

990 / 2

ISSN-0132-6058
საქართველოს
ისტორიული
მეცნიერებათა
აკადემიის

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მანანა

47

ისტორიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების
ისტორიის
სერია

3

1990

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ისტორიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

СЕРИЯ
ИСТОРИИ,
ЭТНОГРАФИИ И
ИСТОРИИ ИСКУССТВА



თბილისი
ТБИЛИСИ

3. 1990

ქურნალი დაარსებულია 1971 წელს
Журнал основан в 1971 году

გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, გ. გიორგაძე, ვ. ითონიშვილი, ი. კაჭარავა, მ. ლორთქიფანიძე, გ. მელიქიშვილი, რ. მეტრეველი (რედაქტორი), დ. მუსხელიშვილი, თ. ჟორდანიას, ე. ხოშტარია-ბროსე (რედაქტორის მოადგილე), თ. ცქიტიშვილი, ლ. ჭილაშვილი, ნ. ჯანბერიძე.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, Г. Г. Гиоргадзе, О. К. Жордания, В. Д. Итонишвили, Ю. М. Качарава, М. Д. Лордкипанидзе, Г. А. Меликишвили, Р. В. Метревели (редактор), Д. Л. Мухелишвили, Э. В. Хоштария-Броссе (заместитель редактора), О. В. Цкитишвили, Л. А. Чилашвили, Н. Ш. Джанберидзе.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-85-50 Телефон

გადაეცა წარმოებას 10.VIII.90; ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.X.90; ანაწყოების ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; პირ. ნაბეჭდი თაბახი 16,8; სააღრიცხვო-საგამომც. თაბახი 12,28; შეკვეთა № 2134 ტირაჟი 1600; ფასი 1 მან. 30 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниერება», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ა რ ი ლ ა ბ ი

ჯ. გვასალია, ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის საკითხისათვის (1917—1920 წწ.)	7
ლ. თოიძე, ქართველი და ოს ხალხთა ურთიერთობის ისტორიიდან (1917—1920 წწ.)	17
მ. სურგულაძე, ქართული საისტორიო აქტების შესწავლის თეორიული პრინციპები	67

ახლო წარსულის ფურცლები

გ. შორანაშვილი, მხედართმთავრის შესატყვებანი პრეზიდენტის მოგონებებზე	81
ბ. კვინიტაძე, ჩემი პასუხი	82

ც ნ ო ზ ა ბ ი და შ ა ნ ი შ ვ ნ ა ბ ი

ი. აბაშიძე, საქართველოს წერილობითი ისტორიის განვითარების საკითხისათვის ადრეულ შუა საუკუნეებში	105
ლ. ნინიძე, მ. სანაძე, ჰოვხანავაძის მონასტრის ეგვიპტის წარწერა და ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“, ისტორიის ზოგიერთი საკითხი	112
პ. ყიფიანი, გაზეთი „კავკაზი“ და მისი ეთნოგრაფიული პუბლიკაციების მეცნიერული და საინფორმაციო ღირებულება	129
მ. ჯანჯალია, ბოდბის ტაძრის ეგვიპტის მონასტრობა და მისი ლიტერატურული წყაროები	144

ღ ი ს კ უ ს ი ა და ბ ა ნ ნ ი ლ ზ ა

ნ. ლომოური, აფხაზეთის ადრეული ისტორიის ზოგიერთი საკითხი (პასუხი პროფ. შ. ინალი-ივას)	158
--	-----

მ წ ა რ ლ ის მ ი მ კ ვ ი ღ რ ი მ ბ ი დ ა ნ

ი. შავვაშაძე, საზოგადოება და ზნეობა	174
-------------------------------------	-----

მ ი ა ნ ი ა რ ის ა რ კ ი ვ ი ლ ა ნ

გილაშვილი. თარგმანი მ. წერეთლისა	176
----------------------------------	-----

პ რ ი ტ ი კ ა და ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ო. ცაიტიშვილი, — ო. გოლუშაკი, ხალიფათის ისტორია, I, ისლამი არაბეთში	181
---	-----

ძ რ ო ნ ი ა და ი ნ შ ო რ გ ა ბ ი ა

ნ. კვარაცხელია, საქართველოს ეთნოგრაფთა XI რესპუბლიკური სესია	188
ჩვენი ანკეტა	190

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

Дж. Г. ГВАСАЛИЯ, К вопросу о взаимоотношении грузинского и осетинского народов	7
Л. М. ТОИДЗЕ, Из истории взаимоотношений грузинского и осетинского народов	17
М. К. СУРГУЛАДЗЕ, Теоретические принципы изучения грузинских исторических актов	67

СТРАНИЦЫ НЕДАВНЕГО ПРОШЛОГО

Г. В. КОРНАШВИЛИ, Замечания Главнокомандующего по поводу мемуаров Президента	81
Г. КВИНИТАДЗЕ, Мой ответ	82
Э. Г. АБАШИДЗЕ, К вопросу о развитии письменной истории Грузии в раннем средневековье	105
Д. В. НИНИДЗЕ, М. В. САНАДЗЕ, Притворная надпись Ованаванкского монастыря и некоторые вопросы истории Аластанских «провинциальных царей»	
П. И. КИПИАНИ, Газета «Кавказ» и научно-информационная ценность ее этнографических публикаций	129
М. ДЖАНДЖАЛИА, Роспись придела храма в Бодбе и ее литературные источники	144

ДИСКУССИЯ И ОБСУЖДЕНИЕ

Н. Ю. ЛОМОУРИ, Некоторые вопросы ранней истории Абхазии	158
---	-----

ИЗ НАСЛЕДИЯ ПИСАТЕЛЯ

И. Г. ЧАВЧАВРАДЗЕ, Общество и нравственность	174
--	-----

ИЗ АХРИВА УЧЕНОГО

Сказание о Гилгаме. Перевод М. Церетели	176
---	-----

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

О. В. ЦКИТИШВИЛИ, О. Г. БОЛЬШАКОВ, История Халифата, I, Ислам в Аравии	184
--	-----

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Н. Г. КВАРАЦХЕЛИА, XI республиканская сессия этнографов Грузии	178
Наша анкета	191

CONTENTS

ARTICLES

J. Gvasalia—From the History of Interrelation of Georgian and Ossetian People	16
L. Toidze—From the History of Relation the Georgian and Ossetian People	64
M. Surguladze—Theoretical Principles of the Study of Georgian Historical Documents	80

PAGES OF THE RECENT PAST

G. Koranashvili—The Notices of the Commander-in Chief in Connection with the Memories of President	81
G. Kvinikadze—My Answer	82

PROCEEDINGS AND NOTES

E. Ab'ashidze—On the Problem of Development of the Written History of Georgian in the Early Middle Ages	111
D. Ninidze M. Sanadze—The Chapel Inscription of Hovhannavank Monastery and Some Problems of the History of [Alastan "Provincial Kings"	128
P. Kipiani—The Newspaper „Kavkaz“ and the [Scientific and Informative Value of it's Ethnographic Publication	143
M. Janjalia—Murals in the Annex of Ecdbe Church and Their Literary Sources	157
N. Lomouri—Some Problems of the Early History of Abkhazia	173

FROM THE WRITER'S LEGACY

I. Chavchavadze—Society and Morals	174
--	-----

FROM THE ARCHIVE OF SCIENCE

Gilgameshiani—Translation By M. Tsereteli	176
---	-----

CRITICISM AND BIBLIOGRAPHY

T. Tskitishvili, O. Bolshakov—The History of Khaliphath I, Islam In Arabia	184
--	-----

CHRONICLE AND INFORMATION

N. Kvaratskhelia—The XI Republican Session of Georgian Ethnographs	188
Our Questionnaire	190

ჯონლო პასალია

ჰართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის საკითხისათვის

1964/7

ძველი დროიდან ქართველ და ოს ხალხებს შორის იყო მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა, საქართველოსათვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ჩრდილოეთით განლაგებულ მეზობლებთან — ალან-ოსებთან, ჩრდილოეთის მხრიდან უშიშროების უზრუნველსაყოფად, ჰქონოდა ნორმალური ურთიერთობა. საქართველო ხშირად მიმართავდა ოსთა დაქირავებული რაზმების გამოყენებას თავისი სამხედრო მიზნებისათვის. ოსებისათვის ბრძოლებში მონაწილეობის მიღებას მოჰქონდა — ქირა, საჩუქარი, ნადავლი. სამხედრო დემოკრატიის საფეხურზე მდგომი ოსებისათვის, ენგელსის სიტყვით რომ ვთქვათ, „ომი და ომისათვის ორგანიზაცია ხალხის ცხოვრების რეგულარული ფუნქციები ხდება“.

ქართველ და ოს ხალხებს შორის ინტენსიურ ურთიერთობას ხელს უწყობდა დინასტიური ქორწინებანი, რომელთაც ჰქონდა ადგილი ადრეულ საუკუნეებში. ისინი განსაკუთრებით გახშირდა XI—XII საუკუნეებში. ასე მაგალითად, გიორგი I (1014—1027) ცოლად ჰყავდა ოსი ალდე; ბაგრატ IV (1027—1072) დაქორწინებული იყო ოვსთა მეფის ასულზე — ბორენაზე; დემეტრეს და ოსეთში იყო გათხოვილი; დემეტრემ თავის ვაჟს გიორგი III-ს ოსი ბურღუხანი შერთო ცოლად; თამარის ნეუღლე დავით სოსლანა იყო „ოვსთ მეფე, ტომი ბაგრატიონთა“ (ქცა, I, 369).

ოსებს საქართველო იზიდავდა თავისი მაღალი ეკონომიკური და კულტურული დონით, ბიზანტიიდან და საქართველოდან ვრცელდებოდა ოსეთში ქრისტიანობა VI—X სს-ში.

რამდენადაც ოსებს აღმოსავლეთ საქართველოს მხარეთაგან ურთიერთობა ჰქონდათ ძირითადად შიდა ქართლთან და გვიანსაუკუნეებში ოსთა გადმოსახლებას ადგილი ჰქონდა შიდა ქართლში, შეეჩერდეთ ამ პროვინციაზე.

საქართველოს მთავარი მდინარის — მტკვრის დინებამ განსაზღვრა ისტორიული ქართლის დაყოფა ზემო, შიდა და ქვემო ქართლად.

XI ს-ის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის მიხედვით, შიდა ქართლი მოიცავდა ტერიტორიას „ტფილისითგან და არაგვითგან ვიდრე ტაისიკარამდე და ფარვარადმდე“¹.

იმავე მემკვიდრის განსაზღვრით, შიდა ქართლის უძველესი სახელწოდება იყო ზენა სოფელი: „ხოლო უფლოს დარჩა საყოფელსა მამისა მათისა მცხეთოსისსა მცხეთას. და ეპყრა ქუეყანა არაგვითგან და ტფილისითგან ვიდრე ტაისიკარამდე და ფანავრადმდე. და ამან ალაშენა უფლის-ციხე, ურბნისი, კასპი,

¹ ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 24.

საქართველოს
ენციკლოპედია

არაგვიტვან და არმაზიტვან ვიდრე ტასისკართამდე უწოდა ამას ქუეყანასა ზენას-სოფლისა, რომელსა აწ ჰქვიან შიდა-ქართლი“².

მატიანის ამ ფრაგმენტის მიხედვით, შიდა ქართლის ტერიტორია უფრო შემცირებულია, აღმოსავლეთ საზღვარს არაგვისა და ქალაქ ტფილისის ნაცვლად წარმოადგენს მდინარე არაგვი და არმაზის ციხე.

მართალია, ლეონტი მროველი პირდაპირ არ უთითებს შიდა ქართლის ჩრდილოეთ საზღვარს, მაგრამ ასეთად იგულისხმება კავკასიონის ქედი, რამდენადაც თარგამოსიანთა წილხვდომილი ქვეყნის ჩრდილო საზღვარი ლეონტი მროველის მიხედვით კავკასიონის ქედი იყო (ქცა, I, 4).

სტრაბონი იბერიის და, მაშასადამე, შიდა ქართლის (სტრაბონისეული „შუა იბერია“) ჩრდილოეთ საზღვრად მიიჩნევს კავკასიონის ქედს. იგი წერს: „ხოლო ეს მთა (კავკასიონი) მდებარეობს ორივე ზღვის ბოლოს, როგორც პონტოსი, ასევე კასპიისა, ამავრებს იმ ყელს, რომელიც ჰყოფს ზღვებს. ეს მთა საზღვრავს სამხრეთისაკენ ალბანიასა და იბერიას, ხოლო ჩრდილოეთისაკენ სარმატთა დაბლობებს... ზოგი ტოტი ამ მთისა მოემართება სამხრეთისაკენ, გარს ერტყმის შუა იბერიას და ერთვის არმენიის მთებს“ (სტრაბონი, XI, 2, 15).

მივმართოთ შედარებით გვიანი ხანის წყაროებსა და აღწერებს. ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ტაშისკარს და ლიხის მთას ქვეითი არაგვ-ტფილისამდე სამნი ესე სასპასპეტონი: მემარცხენე მუხრანისა, მემარჯვენე ქართლისა, მეფის თანა მყოფი, ტფილისის ზევით, მტკვრის სამხრეთისა და თრიალეთი ფანავრამდე, — არიან წილი უფლოსისა, მცხეთოსის ძისა; და უფლოსისაგან ეწოდა ზენა — სოფლები შიდა-ქართლს. და ესენი პირველ იყო ერთი სასპასპეტო, და ყოველთა ერისთავთა და სპასპეტთა ზედამხედველი“³.

აქაც არაა პირდაპირი მითითება შიდა ქართლის ჩრდილოეთ საზღვარზე; იქ, სადაც ვახუშტი ქართლოსის (ქართლის ეპონიმის) წილხვდომილი ქვეყნის საზღვრებს აღწერს, მიუთითებს, რომ ქართლის ჩრდილო საზღვარი კავკასიონის ქედი (ქცა, IV, 48). გარდა ამისა, ვახუშტის მიერ მოცემული სადროშოების აღწერიდან, შეიძლება დავასკვნათ, რომ მეცნიერი ბატონიშვილი ამ „ქვეყანაში“ მთლიანად ატყვევდა არაგვის, ქსნის, ლეხურის, მეჯულის, დიდი და პატარა ლიახვების, ფრონეების, ტანას, თეძამის, ძამას და ნაწილობრივ თერგვის (ხევი) ხეობებს, რომელიც მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით.

ვახუშტის რუკებზე შიდა ქართლში შედიან ხევი და დვალეთი (მდ. არდონის და მდ. ფიაგდონის სათავეები — დღ. ჩრდ. ოსეთის ასარ), რომლებიც განლაგებულნი არიან კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით. დვალეთი რომ უძველესი დროიდანვე შედიოდა ქართლის სამეფოში, ეს კარგად ჩანს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობიდან, რომ „კარნი ოვსეთისნი“ და „ორნი (კარნი) დვალეთისა“ ქართლის სამეფოს ტერიტორიაა, რომელიც VI ს-ში სპარსებმა დაიპყრეს.

ი. გიულდენშტედტი, რომელმაც 1772 წელს იმოგზაურა საქართველოში, პროვინცია შიდა ქართლის ჩრდილოეთ საზღვრად კავკასიონის ქედს აღნიშნავს⁴.

² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 24.

³ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, თბ., გვ. 84.

⁴ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, თბ., 1962, გვ. 185, 267.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შიდა ქართლის უძველესი სახელწოდება იყო ზენა სოფელი. იგი დაფიქსირებულია ადრეფეოდალური ხანის ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებსა და VII ს-ის სომხურ გეოგრაფიაში, რომელიც ასახავს IV ს-ის სიტუაციას. სომეხი ანონიმი ქართლის აღწერისას აღნიშნავს, რომ „არაგვი ერთვის მტკვარს და ამით (ამგვარად) ამთავრებს ქართველთა ზემო ქვეყანას“⁵.

უძველესია, რომ სომხური გეოგრაფიის „ზემო ქვეყანა“ წარმოადგენს ქართული სახელწოდების „ზენა სოფლის“ თარგმანს, რამდენადაც ძველ ქართულში „სოფელი“ ნიშნავდა „ქვეყანას“.

სომხური გეოგრაფიის მიხედვით, ზენა სოფელი (ანუ შიდა ქართლი) შედგება შემდეგი ტერიტორიული თემებისაგან („გავარებისაგან“): არაბეთისხევი, საცხუმეთი, გვერდისძირი, ცხრაძმა, ქსნისხევი, ბაზალეთი, ტანისხევი, დვანის ველი.

საინტერესოა, რომ ყველა ამ ტერიტორიულ ერთეულთა სახელწოდებები იხსნება ქართული ენის ნიადაგზე და ყველა ეს ტოპონიმი გაფორმებულია ამ ენის კანონებით.

ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული არაბეთისხევი იკავებდა მდ. დიდი ლიახვის ზემო დინებას, საცხუმეთი — პატარა ლიახვის დინებას; გვერდისძირი — პატარა ლიახვსა და მეჯუდას შორის მოქცეულ ტერიტორიას; ცხრაძმაში ქსნის ხეობის ზემო წელის გარდა შედიოდნენ ლეხურა და მეჯუდა; ქსნისხევი ქსნის ხეობის შუა ნაწილის გარდა, მოიცავდა ლეხურისა და მეჯუდის შუა დინებას; მდ. ნარეკავის გარდა, მოიცავდა ლეხურისა და მეჯუდის შუა დინებას; მდ. ნარეკავის ირგვლივ განლაგებული ტერიტორია და დუშეთ-ბაზალეთის პლატო შედიოდა ბაზალეთში. მტკვრის სამხრეთით მდებარე ტერიტორია შედიოდა ტანისხევის შემადგენლობაში, ხოლო მდ. დვანისწყლისა და ფრონისპირა მიწებს ეწოდებოდა დვანის ველი.

აღსანიშნავია, რომ მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში შიდა ქართლის ტერიტორიაზე არ შეწყვეტილა ქართული აღმშენებლობა, კერძოდ, ციხე-სიმაგრეთა და ეკლესიათა მშენებლობა, რომელთაგან ბევრი შუასაუკუნეთა ქართული არქიტექტურის პირველხარისხოვანი ძეგლია. ბევრ მათგანზე ქართული წარწერებია შემორჩენილი, რომლებიც ხშირად ფრიად საინტერესო შინაარსისა და ადგილობრივი ქართველი ფეოდალების სახელებს გვაცნობენ. ასეთი ძეგლებითაა დაფარული დღევანდელი სამხრეთ-ოსეთის აო-ს მთელი ტერიტორია (არმაზის, ერედვის, დოდოთის, ტბაოს. ქასაღინას, სოხთას, ლიხის, ცხავატის, წირქოლის, იკორთის, ყანაეთის, თიღვის და სხვა ეკლესიები).

ანტიკურსა და ადრეფეოდალურ ხანაში მთელი შიდა ქართლი ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში — საერისთავოსა ანუ სასპასპეტოში იყო გაერთიანებული. XI—XIII სს. შიდა ქართლის საერისთავოებისათვის მთელს შიდა ქართლს მოიცავდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ლაშა-გიორგის დროინდელი (XIII ს. დასაწყისი) ერთი დოკუმენტი, გიორგი IV-ის მიერ გაცემული ამ სიგელიდან ჩანს, რომ ქართლის ერისთავ-ქრისტავის საგამგეოში ანუ შიდა ქართლის ტერიტორიაში შემოდიოდა „საქართლის ერისთავის“ საგამგეოც. „საქართლის ერისთავის“ რეზიდენციას კი — „საქართლის ციხეს“ იცნობს ვახუშტი და ამ ციხე-სიმაგრის ნანგრევები ასეთივე სახელწოდებით დღესაც არსებობს

⁵ სომხური გეოგრაფია, ვენეცია, 1881, გვ. 78.

შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, დვანისწყლის სათავეებს ჩრდილოეთით მთაში, იმერეთიდან ქართლში გადმომავალ გზაზე. ტოპონიმი „საქართლის ციხე“ საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ აშკარა ხდება: XIII ს-ში რაჭა-იმერეთიდან მომავალთათვის ამ ციხე-სიმაგრისა და მის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია საკუთრის „ქართლი“ ანუ იგივე „შიდა ქართლი“ იყო. XIII საუკუნის შემდეგ, შიდა ქართლის საერისთავოს დაშლის შედეგად წარმოიშვა შემდეგი სათავადოები: ქსნის საერისთავო (XIII ს.), არაგვის საერისთავო (XIV ს.), საციციანო (XIV ს. მიწურული), საამილახვრო (XV), სამაჩაბლო (XV ს.), სამიროვიზო (XV ს.), საჯავახო (XV ს.), სამუხრანბატონო (XVI ს.): აღნიშნულ სათავადოთა გვერდით XVIII ს. შიდა ქართლში ჩანს მთელი რიგი წერილი სათავადოებისა.

საქართველოსა და ოსეთს შორის ურთიერთობა მეტწილად ნორმალური და კეთილმეზობლური იყო. მაგრამ საკმარისი იყო ვარეშე ანუ მესამე ძალის ჩარევა, რომ მათ შორის ურთიერთობა დაძაბულ ხასიათს ღებულობდა.

XIII ს-ის მეორე ნახევარში ორი მონღოლური სახელმწიფოს — „ოქროს ურდოსა“ და ილხანთა შორის ბრძოლის პერიოდში, შიდა ქართლის მიდამოებში იყენენ დაზუბანდის გზით აქ შემოსული ოსებისაგან შემდგარი სამხედრო რაზმები, რომლებიც მაშინ ილხანთა ბრძანებით მოქმედებდნენ.

მონღოლები თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის ბრძოლაში იძულებით იყენებდნენ დამორჩილებული ქვეყნების მეომრებს და მათ შორის განხეთქილებას თესავდნენ. ოს ფეოდალთა რაზმები, განაგრძობდნენ რა მონღოლთა „მოლაშქრეთა და თანამებრძოლთა“ ფუნქციის შესრულებას, თავისი საშახტურებრივი მდგომარეობით ვალდებულნი იყვნენ დაპირისპირებოდნენ მათ, ვინც ქართლში უპირისპირდებოდა ნოინებს, ე. ი. ქართლის აზნაურ-დიდებულებს.

ქართლის შინაპოლიტიკური რღვევის ვითარებაში ოს ფეოდალთა რაზმებს მიეცათ საშუალება გაეშალათ თავიანთი მოქმედება. სახელდობრ, 1292 წელს, ქართლში უმეფობის პერიოდში, როდესაც ქვეყანას მხოლოდ ერისთავი და აზნაურები ჰყავდა პატრონად, ყამთააღმწერლის სიტყვით, პირველად „იწყეს ოგსთა ოზრებად, ხოცად და რბევად და ტყვევად ქართლისა და ქალაქი გორი წარტყუნეს და თვისად დაიჭირეს ოგსთა“⁶.

ოს ფეოდალთა მოძალატის წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევა, რომელიც მეფე გიორგი V ბრწყინვალემ XIV ს-ის 20-იან წლებში დაიწყო, მიზნად ისახავდა შინაური მშვიდობის უზრუნველყოფასა და შემციობული ქართული მიწისმფლობელობის აღდგენას. გიორგიმ, ყამთააღმწერლის სიტყვით, „განასხნა და აღფხურნა“ ოგსნი (ე. ი. აპყარა და აღმოფხვრა), წაართვა მათ „ციხენი და დაბნები“, რომლებიც „დაეპყრათ ადგილ-ადგილ“, ბრძოლა მეტად სასტიკი და მძიმე გამოდგა. ბრძოლებში ცენტრალური ხელისუფლების მხარეზე იბრძოდა მთის მოსახლეობაც: ქსნის საერისთავოს ლაშქარი ვირშელ ერისთავის მონაწილეობით და „მთიულნი არაგვისანი“. ჩრდილოეთიდან მშვიდობიანობის გარანტიის მიზნით გიორგი ბრწყინვალემ ამიერკავკასიაზე გასასვლელი გზებიც მტკიცედ დაიჭირა. საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ენერგიული ზომების წყალობით ქართლში მთარეშე ოსური რაზმები განადგურებული ან საქართველოდან განდევნილ იქნა.

⁶ ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 296.

ოსური ახალშენების შექმნა ქართლში გვიანშუასაუკუნეებში მიმდინარეობდა. ოსთა გადმოსახლებას ქართლში თავისი არსებითი მიზეზები ჰქონდა. ვერ კიდევ XIII—XIV საუკუნეებში მონღოლმა და თურქმანული მოადგმის დამპყრობლებმა დაარბიეს და გაანადგურეს ჩრდილო კავკასიის ველებზე მცხოვრები ოსები. გადარჩენილთა ერთი დიდი ნაწილი ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიან რაიონში შეიხიზნა. იქ მათი არსებობის პირობები მეტად არახელსაყრელი იყო. მწირი მთა და სამეურნეო ტექნიკის დაბალი დონე მათი მოთხოვნების მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებდა. ამიტომ ბუნებრივი უნდა ყოფილიყო მოსახლეობის ლტოლვა საქართველოსაკენ, რომლის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება უფრო მაღალ დონეზე იდგა. ეს პროცესი განსაკუთრებით გაააქტიურა გვიანშუასაუკუნეებში მონღოლთაგან დასუსტებულ ოსებზე ყაზარდოს პოლიტიკურმა ექსპანსიამ.

საჩო-საბადელების მძებნელი ოსები ქართველ მთიელთა სოფლებში იკვლევდნენ გზას. ხშირად კი აქაურ ფეოდალთა კუთვნილ მიწებზე ხიზნებად სახლდებოდნენ. ამას, ერთი მხრივ, ისიც უწყობდა ხელს, რომ ქართველი მოსახლეობა საგარეო მტრების შემოსევათა შედეგად ძალზე შემცირებული იყო, ან კიდევ ბარის ეკონომიკური ზემოქმედების წყალობით დაბლობისაკენ ინაცვლებდა. XVIII ს-ის პირველი ნახევრის ისტორიკოსს ვახუშტი ბაგრატიონს სწორად აქვს შემჩნეული ეს პროცესი და წერს: „ამ მთის ადგილებთა შინა რაოდენნი ოსნი დაესწერეთ, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გარდმოსახლებულან ოსნი და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინადგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან“⁷.

უტყუარი ცნობა გვიანშუასაუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა კომპაქტური მოსახლეობის შესახებ ეხება XVII ს-ის დამდეგს. საქართველოში ნამყოფი რუსი ელჩი მ. ი. ტატიშჩევი (1604—1615) გადმოგვცემს, რომ ზახა (დვალეთში) და მალრან-დვალეთი (დიდი ლიახვის სათავე) უკვე დასახლებული იყო ოსთა მიერ⁸.

მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნის თხზულება — ბესარიონ ქართლის კათალიკოსის „მარტილობა ლუარსაბ მეფისა“. ავტორი მიმოიხილავს ლუარსაბის წამების პერიოდს (1622 წ.), როცა საქართველო უაღრესად რთულ საგარეო-პოლიტიკურ სიტუაციაში იმყოფებოდა, და ამასთან დაკავშირებით ახასიათებს ქართლის ჩრდილოეთის საზღვრებთან შექმნილ ვითარებას: „(ლუარსაბ მეფე) ამისთვის მრავალთა ლუაწლთა შინა იყო, რამეთუ ბოროტნი აღდგომილ იყვნენ საქართველოსა ზედა“.

პირველად ოსმანთაგან, რომელთა დაეპყრა მეფობა ბერძენთა, მერჲე სპარსთაგან და მერჲე შახლობელთა ჩუენთა მთიულთა ოსთაგან, რომელნი დამკვიდრებულ იყვნეს მახლობელად ჩუენსა, რამეთუ იგინიცა ფრიად აჭირკვბდეს, რამეთუ მოწვევნასა ზაფხულისასა ვიდრე ეამადმდე ზამთრისა ხოცდეს და ტყუე-ყოფდეს ცხადად და იღუმალ. და ესოდენთა ძვირთაგან მოცულ იყვნეს ქართველნი“⁹.

⁷ ვახუშტი, აღწერა, გვ. 71.

⁸ С. А. Белокуров, Сношения России с Кавказом, М., 1889, გვ. 508.

⁹ ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბ., 1946, გვ. 408.



XVII ს-ის პირველი ნახევრის ერთი ნასყიდობის სიგელიდან ჩანს, რომ ოსე-ბი სოფელ ზემო ჯავაში ამ დროს ჯერ კიდევ არ მოსახლეობენ. მასში ვკითხულობთ: „გასათავებელი წიგნი და ნიშანი მოგახსენეთ ჩუენ ჭო... თაა ივანემ და ზაქარია და ჩუენთა შვილთა შერმაზან, ინდომა, გარსავეან და არჯაბან თქუენ, მაჩაბელსა პატრონსა ქუაბულს და ზაალს და მისთა ძმათა და მომავალსა სახლისა შენისათა. ამოწყდა ზემო ჯავა და დაუკაცურდა ოსთაგან. ღმერთი იყო მოწყამე ასრე ამოწყდა, რომე კაცის ნაშენები აღარა იყო-რა. მოკვიდე ზემო ჯავას ძიგანიძის მამული მისითა სასაფლაოთა, სახნავითა, სათიბითა, წყალითა, საწისქუილოთა, მითთა და ბარითა, მისისა ნასყიდის ეენახითა, შესავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა. ძიგანიძე, მისი მეშვიდრე, დაკარგული იყო და ფასი იმისიც ავიღეთ. აწ მოგვიყიდა ჩუენი მკვიდრი მამული მე-მოუცილებელი ყოვლის მებატონისაგან, ვერც ბატონ ჩუენი შემოგვეცალოს და ვერც სხვა... ასეთს დროს მოგვიდეთ, რომ ორგან სამგან დედამ შვილი შექამა, კაცმა ცოლი გაყიდის და თვათ დარჩის. ჩუენ თვით ასრე დაგვემართა, რომე ათის სულის ჯალაბისაგან ხუთის მეტი აღარ მორჩა. ჩუენის მკვიდრის მამულის ნავაჭრი ფასი მოვასწარით და ღუთით დავრჩით, ღმერთმან დაგვიადლოს, რომე ჩუენი მკვიდრი მამული იყიდეთ და დაგვარჩინეთ, თუარემ სრულობით ამოვსწყდით. აწ ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან. ვინც ამა ნასყიდობას შემოგვეცალოს, რისხვამაც ღმერთი. ამისნი მოწყამენი არიან. ეფენიაშვილი მოძღვარი სვიმონ, გურჯიშვილი ლომი“¹⁰.

XVIII ს-ის 30-იან წლებში ქართლში ოსთა განსახლებას ასახავს ვახუშტი ბაგრატიონის რუკები და „აღწერა“, რომლებიც დიდი ობიექტურობით გამოირჩევიან. ვახუშტის რუკაზე ოსური სოფლების ნიშნებითაა აღნიშნული დიდი და პატარა ლიახვების ზემო წელი, ნეჯუდის, ლეხურის, ქსნის, თერჯის სათავეები. არავეს ხეობაში არაა არც ერთი ოსური სოფლის ნიშანი. ასევე ქართულია სამუხრანბატონო და საამილახვრო. ეს იმას ნიშნავს, რომ ოსური მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული სოფლები შიდა ქართლის მთიანეთისა და ბარში არ არსებობდა, ასეთი სოფლები მხოლოდ ხეობათა სათავეებში იყო. XVIII ს-ის 30-იან წლებში ოსური მოსახლეობა კომპაქტურია ლიახვის ზედა წელზე, ხოლო მეჯუდის, ლეხურისა და ქსნის ხეობათა სათავეებში სპორადულია. ქსნის ხეობაში ოსთა დამკვიდრება შედარებით გვიან მოხდა. ცნობილი ირანისტი ვასილ აბაევი წერდა:

«Исторические и языковые факты подтверждают, что поселение ксанских осетин в теперешних местах по Ксанскому ущелью произошло не так давно, примерно в последние 200 лет. Они переселились, гонимые малоземельем и нищетой, из разных высокогорных районов Северной и Южной Осетии и принесли с собой мешанину говоров и наречий»¹¹.

XVIII ს-ის 70-იან წლებში მდგომარეობა რამდენადმე შეცვლილია. ქართლში მეტი ოსი ჩანს, ვინემ ადრე. ამავე პერიოდის ვითარების ამსახველია გიულდენშტედტის მოგზაურობის დღიურები. გიულდენშტედტი ჩრდილო ოსეთისაგან განსხვავებით, რომელსაც ოსეთს უწოდებდნენ. შიდა ქართლის პროვინ-

¹⁰ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, საბ. Hd—1959; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1940, გვ. 364.

¹¹ В. И. Абаев, Осетинский язык и фольклор, М. 1959, გვ. 501.



ციებზე საუბრისას მათ აღნიშნავს, როგორც ოსური მოსახლეობათ დასახლებულ მხარეებს, რომლის მთიან ნაწილში ოსები ქართველებთან ერთად ცხოვრობენ.

ი. გიულდენშტედტის მონაცემებით ლიახვის ზემო წელზე XVIII ს-ის 70-იან წლებში ოსებთან ერთად ცხოვრობენ ქართველები¹².

გიულდენშტედტის მოგზაურობის შემდგომ ხანაში ქართლში მატულობს ოსური მოსახლეობა, მათი განსახლების არე სამხრეთით მოიწეეს.

1770 წლის დემოგრაფიული აღწერის მიხედვით დღევანდელი სამხრეთ-ოსეთის აო-ს ტერიტორიაზე 2860 კომლი ოსი ცხოვრობს, აქედან 2000 კომლი ქსნის საერისთავოში, 860 კომლი სამაჩაბლოში¹³. თვით ქ. ცხინვალში მხოლოდ „ქართველნი, სომეხნი და ურიანი“ ცხოვრობენ.

საქართველოში (შიდა ქართლში) ოსთა გადმოსახლებით გვიანშუასაუკუნეებში თვით ქართველი მეფე-ფეოდალები იყვნენ დაინტერესებულნი. უცხო ეთნიკური ელემენტის (თანაც კულტურის დაბალ საფეხურზე მდგომის) ქართულ გარემოში დასახლება იმდროისათვის იმდენად საშიში არ იყო ქართული ეთნოსისათვის, რადგან ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთვნოდა. ამასთანავე, ქართულ სახელმწიფოებრიობის პირობებში და თანაც ჩამოსახლებისთანავე ქართული ქრისტიანობის (მართლმადიდებლობის) მიღების შემდეგ, ოსები ქართულ ყოფა-კულტურას ადვილად ეთვისებოდნენ. ქართველ მეფე-თავადთა მიერ ოსთა ქართულ მიწაზე დასახლებით ორი პრობლემა წყდებოდა: ეკონომიკური და დემოგრაფიული. არსებობს მეფე ერეკლე II-ის მიერ გაცემული წყალობის წიგნი 1794 წლისა, რომლითაც ის ვინმე ოსს თუჯუკო კუდუხაშვილს უბოძებს თარხნობას და აზნაურობას იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა ოსეთიდან ოსები გადმოასახლა და ქართულ მიწა-წყალზე დაამკვიდრა (იხ. სცსსა, ფ. 1448, საბ. № 31). ასეთი საბუთი XVIII ს-ის მეორე ნახევარისა არა ერთი და ორი გვაქვს, რომლებითაც შიდა ქართლის მთაში ქართველთა ნასახლარებზე, გამოწვევალ მამულებზე ჩვენი მემამულენი ოს მიგრანტებს ასახლებდნენ.

1802 წლისათვის თანამედროვე სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქში შემავალ სოფელთაგან ოსებით კომპაქტურადაა დასახლებული მხოლოდ შემდეგი: ყორნისი, ტბეთი, კუსრეთი, გუდისი, ფოტრისი, ჭვრივი, მღვრივი, სათიხარი, კულბუთი, ხრომისწყარო, ჟამური. ოსები ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ შემდეგ სოფლებში: ძვილეთი, სვერი, ერედვი, ქორდი, დიცი, აწერისხევი, ჭარები, სნეკვი, ბელოთი, საცხენისი, ვანათი, ზარდიანთკარი, მერეთი, კარბი, არბო. სხვა სოფლები ქართული მოსახლეობითაა დასახლებული.

1802 წ. ახალგორში ცხოვრობდნენ ქართველები და სომხები; ჯავაში (ხევის-ჯავანი) მხოლოდ ქართველები; ცხინვალში კი — ქართველები, სომხები და ებრაელები¹⁴.

1804 წელს ცხინვალში ცხოვრობს 12 კომლი ოსი¹⁵. 1900 წლის Кавказский календарь-ის მიხედვით კი ცხინვალში ცხოვრობენ მხოლოდ ქართველები, სომხები და ებრაელები.

¹² გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, თბ., 1962, გვ. 277—279; II, 1964, გვ. 67.

¹³ ვ. გამრეკელი. აღმ. საქართველოს შიდაეკისიური პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობანი, თბ., 1980, გვ. 35—36.

¹⁴ Акты, I, Тифлис, 1866, გვ. 466—470.

¹⁵ საქ. ცენტ. ისტორიული არქივი, ფ. 254, ანაწ. I, საქმე 76.

XIX ს-ის დასაწყისში ოსები მხოლოდ შიდა ქართლის მთაში მკვიდრობდნენ. XIX ს-ის პირველ ნახევარში ისინი შიდა ქართლის მთისწინეთში დასახლდნენ და XIX ს-ის მეორე ნახევრიდან ინტენსიურად დაიწყეს ბარის სოფლებში ჩამოსახლება.

1842 წ. ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობა შეამოწმა რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრმა ჩერნიშოვმა. იგი ადგილზე გაეცნო საქმის ვითარებას და ნახა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მცხოვრებთა მოქალაქეობრივი განვითარების მდგომარეობა შედარებით დაბალი ღონისა იყო. იმ მიზნით, რომ მათთვის უფრო მყარი მმართველობა შეექმნათ, მიუთითა ამიერკავკასიის მთავარმართებელს — თუშები, ფშაველები, ხევსურები, მთიულ-მოხევეები და ოსები ჩამოეშორებინათ მაზრებისაგან, რომლებსაც ადრე ეკუთვნოდნენ და მათგან შეედგინათ განსაკუთრებული ოკრუგები სამხედრო-სახალხო მმართველობით¹⁶.

ამ მითითების საფუძველზე კავკასიონის სამხრეთ კალთებზე მცხოვრებ მთიულთაგან, რომლებიც ადრე გორის, თბილისისა და თელავის მაზრებში შედიოდნენ, შეიქმნა თუშ-ფშავე-ხევსურეთისა და ოსეთის ოკრუგები.

ოსეთის ოკრუგის შემადგენლობაში თავდაპირველად შეიყვანეს აგრეთვე საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ მცხოვრები მთიულეთ-მოხევეები და ამ ოკრუგის ცენტრად მთიულეთის სოფელი ქვეშეთი აირჩიეს. 1842 წ. სექტემბერში გოლოვინმა იმოგზაურა ოსეთის ოკრუგში. როდესაც იგი დარწმუნდა, რომ ოსეთის ოკრუგის უფროსისათვის თავისი ადგილსამყოფელიდან — სოფ. ქვეშეთიდან — ძნელი იყო ოსებით დასახლებული მიწა-წყლის (ჯავის ხეობის, მალრან-დვალეთი და ნარ-მამისონი) მართვა-გამგეობა, გადაწყვიტა ოსეთის ოკრუგისათვის ჩამოეცილებინა საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ მცხოვრები მთის ზოლის მოსახლეობა და შეექმნა მათგან ადმინისტრაციული ერთეული — მთის ოკრუგი, რეზიდენციით ქვეშეთში¹⁷.

1843 წელს გორისა და თბილისის მაზრებს ჩამოაშორეს მათი კუთვნილი ქსნის ხეობის ზემო წელისა და შენაკადის აუზი, რომელიც მეტწილად ქართველებით იყო დასახლებული და ცხოვრების ადათით ბევრი რამით გავდნენ არაგვის ხეობის ქართველებს, და მთის ოკრუგის შემადგენლობაში შეიყვანეს. შემდეგში მთის ოკრუგის ვრცელი ტერიტორია დაყვეს ხევის, მთიულეთისა და ქსნის უბნებად. 1843 წელსავე ოფიციალურად გაიხსნა ოსეთის ოკრუგი, რომელიც ასევე სამ უბნად (ჯავის, პატარა ლიახვის და ნარის) დაწაწილდა. ამავე 1843 წელსვე სპეციალური ინსტრუქციით მთის ოკრუგის უფროსს მთის ხალხთა მთავარი უფროსის წოდება მიენიჭა და მას ოსეთისა და თუშ-ფშავე-ხევსურეთის ოკრუგებიც დაუქვემდებარეს¹⁸.

ბარიატინსკის მეფისნაცვლობის დროს (1859 წ.) თბილისის გუბერნიის მთის ოკრუგებში მთელი რიგი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ხასიათის ცვლილებები განხორციელდა.

ოსეთის ოკრუგი მოიცავდა დღევანდელი სამხრეთ ოსეთის ნაწილს და არღონის ხეობას (ისტორიული დვალეთი). ამ ოკრუგის უფროსის რეზიდენცია იმყოფებოდა ს. ჯავაში და სათანადო კონტროლს ვერ უწყევდა ნარის უბანს,

¹⁶ АКТЫ, т. IX, გვ. 749.

¹⁷ იქვე.

¹⁸ იქვე.

ვინაიდან დეალეთი მისი ადგილსამყოფლიდან კავკასიონის მთავარი ქედით იყო გამოყოფილი.

ჩრდილოეთ კავკასიაში წარმოებული სამხედრო ლაშქრობებთან დაკავშირებით 1858 წ. 3 აპრილს შეიქმნა კავკასიის ხაზის მარცხენა ფრთა, რომლის შემადგენლობაშიც შევიდა ოსეთის სამხედრო ოკრუგიც (ჩრდ. კავკასიაში). იმის გამო, რომ ნარის უბანი ახლოს მდებარეობდა ვლადიკავკაზთან და წელიწადის ყოველ დროს თავისუფლად უკავშირებდა მას, ბარიატინსკიმ ნარის უბანი ჩამოაშორა თბილისის გუბერნიას და „კავკასიის ხაზის მარცხენა ფრთის“ ოსეთის სამხედრო ოკრუგს გადასცა, რომელიც შემდეგში თერგის ოლქის შემადგენლობაში შევიდა. ასე ჩამოშორდა საქართველოს ათასწლეულთა განმავლობაში მისი განუყოფელი ტერიტორია — დეალეთი.

ოსეთის ოკრუგის ძირითადი ნაწილი — ჯავისა და პატარა ლიახვის საპოლიციო უბნები, რომლებიც თანამედროვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის მხოლოდ მესამედს შეადგენს, თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში დატოვეს. ვინაიდან ჯავისა და პატარა ლიახვის საპოლიციო უბნები მთის ხალხების მთავარი უფროსის ადგილსამყოფელიდან — ანანურიდან ძნელად გადასასვლელი ქედებით იყო დაცილებული და ართულებდა მის მიერ ამ ხალხების მართვა-გამგეობის საქმეს, ჯავისა და პატარა ლიახვის უბნები ჩამოაშორეს მათ და ოსეთის საპოლიციო უბნის სახით გორის მაზრის შემადგენლობაში შეიყვანეს¹⁹.

Д. Ж. Г. ГВАСАЛИИ

К ВОПРОСУ О ВЗАИМООТНОШЕНИИ ГРУЗИНСКОГО И ОСЕТИНСКОГО НАРОДОВ

Резюме

Аланы — осетины, проживавшие на равнинах и в горах Северного Кавказа, с давних времен имели с Грузией военно-политические и экономические отношения. В военных целях Грузия часто использовала наемные осетинские отряды.

В 1292 году, инспирированные Ильханами осетинские военные отряды, Дербентским путем проникают в Картли и захватывают г. Гори. В 20-е годы XIV столетия грузинский царь Георгий V Блистательный освобождает Картли от осетин.

Образование осетинских поселений в Картли протекало в период позднего средневековья. Еще в XIII—XIV веках монголами были разорены осетины, проживавшие на равнинах Северного Кавказа. Часть уцелевших осетин укрылась в высокогорных районах Центрального Кавказа. В поисках средств существования осетины пробирались к селам грузинских горцев и часто поселялись на землях местных феодалов. Бесспорное сведение о наличии в горах Шида Картли компактного осетинского населения относится к XVII веку (М. И. Татищев).

По данным Вахушти Багратиони в 30-х годах XVIII столетия осетины проживали в верхней части бассейна р. Лиахви, в верховьях рек Меджуды, Лехуры, Ксани и Терека.

¹⁹ საქ. ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 10, ანაწ. I, საქმე 543, ფურც. 3, 6.

В 1842 году в границах Грузии (в составе Тифлисской губернии) было образовано несколько территориально-административных единиц, в том числе Осетинский округ, в 1843 году разделенный на три участка (Джавский, Малолиахевский, Нарский). В 1858 году Нарский участок (историческая Двалети) был отделен от Тифлисской губернии и передан Терской области, а Джавский и Малолиахевский участки были включены в состав Горийского уезда в качестве Осетинского полицейского участка.

J. GVASALIA

FROM THE HISTORY OF INTERRELATIONS OF GEORGIAN AND OSETIAN PEOPLES

S u m m a r y

The Alan—Osetians who lived on the plains and in the mountains of the North Caucasus for a long time had military—political and economic relations with Georgia. For military purposes Georgia often used hired detachments of the Osetians.

In 1292 the Osetian military detachments were inspired by the Ilkhans through the Derbent road and penetrated into Kartli and captured the town of Gori. In the twenties of the 14th century the Georgian King George V the Brilliant liberated Kartli from the Osetians.

Formation of the Osetian settlements in Kartli proceeded in the period of the Late Middle Ages. In the 13th—14th centuries the Osetians who had lived on the plains of the North Caucasus were defeated by the Mongolians. A part of survived Osetians took shelter in high mauntainous areas of the Central Caucasus. In search of means the Osetians were making their way to settlements of the Georgian mountaineers and often settled on the lands of local feudals. The irrefutable information about the presence of compact Osetian population in mountains of Inner Kartli dates back from the 17th century (M. Tatishev).

According to the data by Vakhushti Bagrationi in the thirties of the 18th century the Osetians lived in the upper part of drainage basin of the Liakhvi river, in Upper Mejuda, Lekhura, Ksani and Terek rivers.

In 1842 within the Georgian borders (within the Tiflis Province) were formed several territorial and administrative units including the Osetian District which in 1843 was divided into the three districts (Java, Little Liakhvi, Nara). In 1858 the Nara District (historical Dvaleti) was separated from the Tiflis Province and was incorporated into the Terek District, but Java and Little Liakhvi Districts were included into the structure of the Gori Uyezd (district) as the Osetian Police District.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიის განყოფილებამ

ლევან თოიძე

პარტიულ და ოს ხალხთა ურთიერთობის ისტორიიდან
(1917—1920 წწ.)

42951

ჩვენს ისტორიოგრაფიაში ბოლო დრომდე თითქმის დამკვიდრებული იყო აზრი, რომ ამიერკავკასიის კომისარიატისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო ქართველთა მიერ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შელახვა, მათი განუსაზღვრელი ჩაგვრა. ამის შესახებ ბევრს წერდნენ ქართველი და არაქართველი ბოლშევიკები, ქართველი და არაქართველი საბჭოთა ისტორიკოსები. ამასვე ამტკიცებდა ი. ბ. სტალინი, რომელიც გაზეთ „პრავდაში“ 1921 წლის 10 თებერვალს გამოქვეყნებულ სტატიაში — „პარტიის მორიგ ამოცანებზე ნაციონალურ საკითხში. თეზისები რკპ (ბ) X ყრილობისათვის, დამტკიცებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ“ — აღნიშნავდა: „...კერძო საკუთრებაზე და კლასობრივ უთანასწორობაზე დაფუძნებულ ახალ ნაციონალურ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ არსებობა:

ა) თუ თავიანთ ნაციონალურ უმცირესობებს არ დაჩაგრავენ (პოლონეთი, რომელიც ჩაგრავს ბელორუსებს, ებრაელებს, ლიტველებს, უკრაინელებს; საქართველო, რომელიც ჩაგრავს ოსებს, აფხაზებს, სომხებს; იუგოსლავია, რომელიც ჩაგრავს ხორვატებს, ბოსნიელებს და სხვ.);

ბ) თუ მეზობლების ხარჯზე თავიანთ ტერიტორიას არ გააფააროებენ, რაც იწვევს კონფლიქტებსა და ომებს (პოლონეთი — ლიტვის, უკრაინის, რუსეთის წინააღმდეგ; იუგოსლავია — ბულგარეთის წინააღმდეგ; საქართველო — სომხეთის, თურქეთის წინააღმდეგ და სხვ.).

გ) თუ არ დაემორჩილებიან „დიდ“ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ფინანსურ, ეკონომიკურ და სამხედრო დარგებში“¹. ამ თეზისების საბოლოო რეაქტირებაში მონაწილეობა მიიღო ვ. ი. ლენინმა².

მაშასადამე, ი. ბ. სტალინსაც მიაჩნდა, რომ დამოუკიდებელ საქართველოში იჩაგრებოდნენ ოსები, აფხაზები, სომხები და მას ბუნებრივადაც თვლიდა, რადგან კერძო საკუთრებასა და კლასობრივ უთანასწორობაზე დაფუძნებულ ახალ ეროვნულ სახელმწიფოებს (მათ შორის საქართველოსაც), მისი აზრით, არ შეეძლოთ ეროვნული უთანასწორობისა და ეროვნული ჩაგვრის მოსპობა. მისივე აზრით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მეზობლების — სომხეთისა და თურქეთის ხარჯზე ცდილობდა თავისი ტერიტორიის გაფართოებას. რა დავარქვით ამას, განსაკუთრებით უკანასკნელ დებულებას? ისტორიის უცოდინარობა თუ სხვა რამ მიზნით განპირობებული პოლიტიკური სვლა? მკითხველი თვითონ განსჯის.

1 ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 19.

2 იქვე, გვ. 443, მე-5 შენიშვნა.

2. „მაინე“, ისტორიის სერია, 1990, № 3

საპარტიულო
სამსახური

ერთი კი ცხადია. გადაუდებელ ამოცანად უნდა მივიჩნიოთ ამ პრობლემის ღრმა და ობიექტური კვლევა, მისი საფუძვლიანი შესწავლა სიმაართლისა და მხოლოდ სიმაართლის დადგენის მიზნით. სიმაართლისა, რომელსაც დაგვიჯერებს ქართველიც, რუსიც, აფხაზიც, ოსიც და სხვ. დღეს არც ერთი არ გვიჯერებს. ეს კი რამდენადმე ჩვენი (ისტორიკოსების) ბრალიც არის. ჩვენი ისტორიოგრაფია ხომ გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებების გამო საკითხს, უმთავრესად, ცალმხრივად აშუქებდა, რითაც სცოდავდა ისტორიის და არა მარტო ისტორიის წინაშე. ჩვენ ხომ 1918—1920 წლებში ქართველებსა და არაქართველებს შორის წარმოქმნილ კონფლიქტებს მხოლოდ და მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის კუთხითა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეროვნული პოლიტიკის კრიტიკის ნიშნით განვიხილავდით (იყო, რასაკვირველია, გამონაკლისიც). სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ გამოსვლებში მაგალითად, ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების, ოსთა ეროვნული უფლებების გაფართოების, მათი ნორმალური სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის სამართლიან ბრძოლას ვხედავდით. ყურადღება არ ექცეოდა იმას, რომ აჯანყებულთა მესვეურები ფაქტობრივად საქართველოს ამ განუყოფელი ნაწილის საქართველოდან ჩამოცილებას მოითხოვდნენ და ასეთ საფრთხეს რეალურადაც ქმნიდნენ. წარმოდგინეთ რა დღეში ჩაეარდებოდა საქართველო, თუ მასში მოსახლე სხვა ეროვნული უმცირესობებიც მსგავს მოთხოვნებს წამოაყენებდნენ და შეისრულებდნენ კიდევ-სხვას ეს, შეიძლება, ეროვნული საკითხის დემოკრატიულ გადაწყვეტად, ერთა თვითგამორკვევის უფლების იდეალურ განხორციელებად მიეჩნია. საქართველოსთვის კი ეს დიდი უსამართლობა და ფაქტობრივად დაღუპვა იქნებოდა. უსამართლობა იქნებოდა იმიტომ, რომ საქართველოს მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა მიწები კი არ დაუპყრია, სხვისთვის კი არ წაუერთმევეია, არამედ, სხვადასხვა დროს თვით ეროვნული უმცირესობები დასაზღვევნი ამ ისტორიულ ქართულ მიწებზე, რაც რიგი პოლიტიკური, ეკონომიკური და საერთაშორისო ფაქტორებით იყო განპირობებული (აფხაზეთისა და აფხაზეთის პრობლემა, ცხადია, სხვა კუთხით უნდა განვიხილოთ, რადგან აფხაზები საქართველოს უძველესი ბინადარნი არიან).

არაქართველებით დასახლებული ქართული ტერიტორიების საქართველოდან ჩამოცილება და სხვა სახელმწიფოებთან შეერთება დანაშაული იქნებოდა და არა ერთა თვითგამორკვევის უფლების იდეალური რეალიზაცია. სწორედ ეს მიიყვანდა საქართველოს დაღუპვამდე.

ამიტომ ეროვნულ უმცირესობათაგან არავინ უნდა იკადროს, თუ გნებავთ, არავინ უნდა გაზედოს ქართული მიწების ბედის ცალმხრივი, თავისი სურვილისა და მიხედვით გადაწყვეტა, სხვა სახელმწიფოებთან მათი შეერთების მცდელობა. და თუ ვინმე მაინც იკადრებს, მას სწორედ რომ საკადრისი პასუხი უნდა გაეცეს. ეს უნდა იყოს საქართველოში მცხოვრებ არაქართულ მოსახლეობასთან ქართველი ხალხის ურთიერთობის ამოსავალი წერტილი. ეროვნულ უმცირესობათა მხრივ ქართული მიწების სხვა სახელმწიფოებისათვის გადაცემის მოთხოვნის გამართლება არ შეიძლება არც კლასობრივ-პოლიტიკური, არც ეკონომიკური, არც მორალურ-ზნეობრივი (განსაკუთრებით, მადლისა და ამავის დაფასების) და არანაირი თვალსაზრისით.

ეროვნულმა უმცირესობამ, ქართული ენისა და კულტურისადმი პატივისცემასთან ერთად, ბუნებრივია, უნდა იზრუნოს თავისი სოციალურ-ეკონომიკური აღორძინების, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და ეროვნული კულტურის განვითარებისათვის. ამაში მას ხელი უნდა შეუწყოს ყველამ, უწინარეს ყოვლისა, თვით ქართველმა ხალხმა, მისმა მთავრობამ. ქართველ ხალხს ამ მხრივ, ალბათ, ნაკლებად მოეძებნება სასაყვედურო. ავიღოთ თუნდაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდი, რომელსაც ჩვენი ისტორიოგრაფია ეროვნულ უმცირესობათადმი ქართველი ხალხისა და მისი მთავრობის დამოკიდებულების თვალსაზრისით ერთობ ოდიოზურად წარმოაჩენს. დავიმოწმოთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომლის მეთოთხმეტე თავი — „ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი“ — 9 მუხლს შეიცავს:

მ უ ხ ლ ი 129

არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა.

ყველას აქვს უფლება სწეროს, ჰბეჭდოს და ილაპარაკოს დედა-ენაზე.

მ უ ხ ლ ი 130

ეროვნულ უმცირესობისაგან შემდგარი ადგილობრივ თვითმმართველობის ერთეულებს (თემი, ერობა, ქალაქი) უფლება აქვთ შეერთდნენ და დააარსონ ეროვნული კავშირი თავის კულტურულ-განმანათლებელი საქმეების უკეთ მოსაწყობად და გასაძღოლად კონსტიტუციისა და კანონის ფარგალში.

ეროვნულ უმცირესობას, რომელსაც ასეთი თვითმმართველობის ორგანოები არ მოეპოვება, შეუძლია ამის გარეშეც შეადგინოს ეროვნული კავშირი ამ მუხლში აღნიშნული უფლებითა და კომპეტენციით.

ეროვნულ კავშირში შესვლა ხდება სალაპარაკო ენის მიხედვით.

ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ-განმანათლებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო და თვითმმართველობათა ბიუჯეტიდან გადაიდება ფინანსიური საშუალებები პროპორციულად მცხოვრებთა რაოდენობისა.

მ უ ხ ლ ი 131

არ შეიძლება შეიზღუდოს ვისიმე პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება ეროვნულ კავშირში მონაწილეობისათვის.

მუხლი 132

ყოველ ეროვნულ კავშირს შეუძლია აღძრას და დაიცვას სასამართლოს წინაშე ის საქმე, რომელიც ეხება კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებულ ეროვნულ უმცირესობის უფლების დარღვევას.

მუხლი 133

საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს თანაწილი უფლება აქვს მიიღოს სახელმწიფო, სამოქალაქო, სამხედრო და საქალაქო თუ საერობო სამსახური.

მუხლი 134

ეროვნულად ნარევი ადგილობრივი მმართველობა ვალდებულია სწავლა-განათლებისათვის გადადებული თანხით დააარსოს საკმარისი სკოლების და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებისა მოქალაქეთა ეროვნულ შემადგენლობის პროპორციის მიხედვით.

მუხლი 135

ეროვნულ უმცირესობის სკოლაში სწავლება იწარმოებს ბავშვის სალაპარაკო ენაზე.

მუხლი 136

ადგილობრივი მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატება ყველა მოქალაქეთა 20%-ს, ამ ეროვნულ უმცირესობის მოთხოვნით მსჯელობა და საქმის წარმოება სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში შემოღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენასთან ერთად მის დედა-ენაზედაც.

მუხლი 137

არაქართველ დებუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა საკმაოდ არ იცის, შეუძლია პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვას დედაენით, რომლის სწორ თარგმანს წინასწარ წარუდგენს პარლამენტის პრეზიდიუმს.

დაწვრილებით წესს განსაზღვრავს კანონი³.

³ საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21, ბათოში, 1921, გვ. 36—37.



ციტირებულ მუხლთა შინაარსი უთუოდ მიგვანიშნებს, რომ საქმე გვაქვს ცივილიზებული ხალხისა და ქვეყნის კონსტიტუციასთან, რომლისთვისაც უცხოა ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების შელახვა. აქ აშკარად ჩანს კონსტიტუციის შემოქმედთა ზრუნვა ეროვნულ უმცირესობათა სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნულ-კულტურული განვითარებისათვის.

შეიძლება გვიფხრან, ეს მხოლოდ კონსტიტუციაში ჩაწერეს ასე, თორემ პრაქტიკულად კონსტიტუციას არავინ იცავდა და სინამდვილეში ქართველები ეროვნულ უმცირესობებს ჩაგრავენდნენ. კონსტიტუციის დაცვისათვის, მართლაც, აღარ დარჩა დრო დამოუკიდებელ საქართველოს, რადგანაც იგი 25 თებერვლამდე მხოლოდ რამდენიმე დღით ადრე მიიღეს. ხოლო რაც შეეხება ეროვნულ უმცირესობებისადმი ქართველთა იმდროინდელ დამოკიდებულებას, ამას ქვემოთ ოსების მაგალითზე დავინახავთ.

ოსები საქართველოში ჩრდილოეთიდან ჩამოვიდნენ. საუკუნეთა მანძილზე ოსთა მასა თანდათანობით იკავებდა ქართულ მიწებს და ალაგ-ალაგ ოსთა კომპაქტურ დასახლებასაც ქმნიდა. საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა ჩამოსახლების თეზისი საკამათო არ უნდა იყოს. კამათი შეიძლება მხოლოდ იმაზე, თუ პირველად როდის, რომელ საუკუნეში და რა რაოდენობით დაიკავეს ოსებმა ქართული მიწები.

ოსების მიერ დაკავებული ქართული მიწები ქართული ეთნოსის ერთ-ერთი უძველესი კერა იყო. ქართული ეთნოსი აქ ჩამოყალიბდა და ვითარდებოდა ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის საუკუნეებიდან, რა დროიდანაც შეიძლება საქართველოს ტერიტორიაზე ეთნო-კულტურული პროცესებისათვის კონკრეტულად თვალის მიდევნება⁴.

საქართველოში დასახლებული ოსები საუკუნეების მანძილზე საერთო ქართული ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ემორჩილებოდნენ საქართველოში მოქმედ კანონებს, საქართველოს ლხინი თუ გასაჭირი, ძირითადად, მათი ლხინიც და გასაჭირიც იყო. ყოფილთ საკითხებზე ყველა დროისა და ხალხისათვის დამახასიათებელ ცალკეულ უთანხმოებებს, რასაც, უნდა ვიგულისხმოთ, ვერც ოსები და ქართველები ასცდებოდნენ, იშვიათად თუ მიუღიათ ეროვნული შეფერილობა. სადავო საკითხები უომრად წყდებოდა. ამ საერთო ვითარებას ვერ ცვლიდა ოსი გლეხისა და ქართველი მემამულის ურთიერთდამოკიდებულება, რადგანაც ქართველი მემამულე იმდროინდელი, შეიძლება ითქვას, უკანონო კანონებით მინიჭებულ უფლებებს ერთნაირად იყენებდა როგორც ოსი, ისე ქართველი გლეხების მიმართ. თუმცა არც ის არის სავსებით გამოსარიცხავი, რომ ამ ორი ერის ურთიერთობის ფსიქოლოგიურ ასპექტს გარკვეულ დაღს მაინც ასვამდა საზოგადოებაში სოციალურ-კლასობრივი ადგილების ასეთი განაწილება: გლეხი — ოსი, მემამულე — ქართველი (ცხადია, იგულისხმება ოსებით დასახლებული შიდა ქართლის რაიონები). ე. ი. ოს გლეხს ქართველი და მემამულე, შესაძლოა, ადევკატურ ცნებებად წარმოესახებოდა. მაგრამ ამაში ხომ ქართველთა დადანიშნულება საერთოდ აბსურდულია. ქართველ თავადებს ხომ ოსები თავიანთ მამულებზე ძალით არ დაუსახლებიათ. ეს ურთიერთობა ხომ თვით ოსებმა აირჩიეს, იგი ხომ თვით ცხოვრებამ განსაზღვრა. ამიტომ ოსი გლეხები უნდა შერიგებოდნენ იმ ხვედრს (შეუროგდნენ კიდევ), რომელიც მათ

⁴ იხ. აპოლონ სილაგაძე, შოთა ბადრიძე, როდემდე, კატილინა?! — ვაზ. „სახალხო განათლება“, 1989 წლის 25 ოქტომბერი.

ცხოვრებამ არგუნა. სოციალური სამართლიანობისათვის კი მათ ქაროველ გლეხებთან ერთად უნდა ებრძოლათ. ოსი გლეხების კლასობრივი მოძრაობის მესვეურებს, უწინარეს ყოვლისა, იმაზე უნდა ეზრუნათ, რომ სოციალური თავისუფლებისათვის მათს ბრძოლას ანტიქართული ხასიათი არ მიეღო. ეს იქნებოდა საკითხის იდეალური გადაწყვეტა.

ოსებს შესაძლებლობა ჰქონდათ საუკუნეების მანძილზე ზიარებოდნენ მდიდარ ქართულ კულტურას (თუმცა ამ შესაძლებლობას ბოლომდე როდი იყენებდნენ), განუწყვეტლივ ეზრუნათ მშობლიური ენის, კულტურის განვითარებისათვის, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის, არსად დედამიწის ზურგზე ოსებს მსგავსი შესაძლებლობანი სხვაგან არა ჰქონიათ. არც ის უნდა დაგვაიწყდეს, რომ მათ საკუთარი წვლილი შეჰქონდათ ქვეყნის საერთო განვითარებაში.

ქართველები არასოდეს გამოსულან ოსების მიმართ ძალმომრეობის, მათ წინააღმდეგ ბრძოლის პირველდამწყებების როლში. ეს რეალობაა.

ქართველთა და ოსთა საუკუნეობრივი მეგობრობა სერიოზულად შეილახა 1918—1920 წლებში. სწორედ ამ დროს დაიღვარა სისხლი მათ შორის. ყველამ უწყის, რომ ეს მოხდა არა ქართველთა ინიციატივით. მაშინდელი ქრილობები დღესაც მოუშუშებელია. ესეც რეალობაა.

აღნიშნულ პერიოდში ქართველთა და ოსთა ურთიერთობას საბჭოური ისტორიოგრაფია არაობიექტურად აშუქებდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ შიდა ქართლში მოსახლე ოსთა ბრძოლას იგი ყალბად გაგებულ კლასობრივი პოზიციებიდან განიხილავდა. ამ ბრძოლაში დაღვრილი სისხლისთვის პასუხისმგებლობას მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და მის შეიარაღებულ ძალებს აკისრებდა. იგივე ითქმის აფხაზების აჯანყების შესახებაც. საქმე ის გახლავთ, რომ აჯანყებული ოსებიცა და აფხაზებიც საბჭოთა ხელისუფლებისათვის იბრძოდნენ. მათ სწამდათ, რომ ეს ხელისუფლება არსებულზე უფრო პროგრესული იყო. ამის უფლებას მათ ვერაფერ წაართმევდა. არც ის უნდა დაგვაიწყდეს, რომ ამ ბრძოლას კომუნიზმის იდეების ფანატიკურად ერთგული ქართველი ბოლშევიკები წარმართავდნენ, არც ის, რომ აფხაზ და ოს მეამბოხეთა შორის ქართველი გლეხებიც ერივნენ. აჯანყებულთა სოციალური და ეროვნული შემადგენლობა სპეციალური შესწავლის საგანი უნდა გახდეს. ამჟამად კი ჩვენი მსჯელობისათვის მთავარი ის არის, რომ აჯანყებულებმა პირველებმა აღმართეს ხელი საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ესეც ისეთი რეალობაა, რომელსაც ვერაფერ უარყოფს. ასეთ ვითარებაში განა ამიერკავკასიის კომისარიატს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და მათს შეიარაღებულ ძალებს აღარა ჰქონდათ თავდაცვის უფლება? ჰქონდათ, რასაკვირველია, გამოიყენეს კიდეც. ამას ის მოჰყვა, რომ, ოსთა მიერ დაღვრილ ქართულ სისხლს, შემდეგ ქართველთა მიერ დაღვრილი ოსური სისხლიც მიემატა. არ აღმოჩნდა გონიერი ორგანიზებული ძალა, რომელიც ხალხებს ამ უბედურებას ააცდენდა. თავიდათავი ის იყო, რომ ოსი გლეხების კლასობრივი ბრძოლის ფორმით მოვლენილ დრამატულ (ფაქტობრივად ანტიქართულ) აქციებს მესვეურობდნენ პოლიტიკურ სირბინეს მოკლებული პირები, რომლებმაც, უწინარეს ყოვლისა, საკუთარ ხალხს ავნეს.

როგორც ითქვა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ არაქართული მოსახლეობის აჯანყებებს ჩვენი ისტორიოგრაფია ამ ასპექტით არ განიხილავდა. ეს აჯანყებები სავსებით სამართლიანად შეფასებულია როგორც კლასობრივი ბრძოლის, სამოქალაქო ომის გამოვლენა, რომლის საბოლოო მიზანი იყო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება. მაგრამ, ამასთან ერთად, ეს აჯანყებები რომ ფაქტობრივად საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული და, ამდენად, გაუმართლებელი იყო, ამის აღიარებას ჩვენი ისტორიოგრაფია ერიდებოდა. ეს იყო პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა, როგორმე არ ვაიმწყვავებინათ ეროვნული შუღლი, რაც 1918—1920 წლებში დიითესა, როგორმე დაეშოშმინებინათ აჯანყებების გამო თავის დროზე რეპრესირებული არაქართული მოსახლეობა. მიზანი კეთილშობილურად ჩაითვლებოდა, თუ კი მას მოვლენათა ყოველმხრივი და ობიექტური შეფასების საფუძველზე მიღწევდნენ, რეპრესიები, თანაც ისეთი მკაცრი, როგორც, მაგალითად, 1920 წელს აჯანყებული ოსების წინააღმდეგ განხორციელეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა, ცხადია, არ შეიძლება არ იწვევდეს ისტორიკოსის, უწინარესად, ქართველი და ოსი ისტორიკოსების გულისტვიჯის. ვინ ვინ და ისტორიკოსმა კარგად იცის, რომ დაღვრილ სისხლს, მით უფრო თუ ეს ეროვნული კონფლიქტის დროს მოხდა, საუკუნეობით არ ივიწყებენ თაობები.

ამიტომ მთელი ყურადღება ექცეოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ლანძღვა-გინებასა და აჯანყებულთა წინააღმდეგ მის მიერ განხორციელებული რეპრესიების დაგმობას. ამ რეპრესიებში კი მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მთავრობას ამტყუნებდნენ. მცდარი აღმოჩნდა ეს გზა. მან მიზანს ვერ მიაღწია. ზიანი კი დიდი მოგვაყენა. დროა, დიდი ხანია დროა, დაიწეროს მხოლოდ სიმართლე.

ანალოგიური მდგომარეობა გვექონდა წითელი არმიის მიერ 1921 წელს საქართველოში განხორციელებული აქციის შეფასებამაც. მთელ მსოფლიოს ვარწმუნებდით, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველო აღსდგა საკუთარი მთავრობის დასამზობად და საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. ვიშველიებდით დოკუმენტებსაც, რომელთა სანდოობის შესამოწმებლად თავს არავინ იწუხებდა.

ნაცვლად იმისა, რომ დაედასტურებინა წითელი არმიის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობისა და მისი ძალით გასაბჭოების ფაქტი, ჩვენი ისტორიოგრაფია ამკვიდრებდა საქართველოს მშრომელებისათვის წითელი არმიის უანგარო დახმარების, აჯანყებულთა (!) წინაშე წითელი არმიის მიერ ინტერნაციონალისტური მოვალეობის მოხდისა და საქართველოში წითელი არმიის განმათავისუფლებელი მისიის ყალბ თეზისს. ყოველივე ეს პარტიის პოლიტიკისაგან გამომდინარეობდა. ან კიდევ, რამდენი შრომა დაიწერა საბჭოთა საქართველოსადმი საბჭოთა რუსეთის უანგარო დახმარების შესახებ (ფულით, სურსათით, ყველაფრით). არა და ყველასათვის ცნობილი იყო, რომ სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის შედეგად, დანგრევის პირას მიყვანილ რუსეთს სხვებისათვის უანგარო დახმარება მაშინ (მაგალითად, 1921 წელს) ნამდვილად აღარ შეეძლო. ეს ის პერიოდია, როცა სწორედ რუსეთს გაუჭირდებოდა, ვთქვათ, უკრაინის, ამიერკავკასიისა და სხვა რეგიონთა მატერიალური რესურსების გარეშე. ჩვენ კი საქმეს ისე წარმოვაჩენდით, თითქოს საბ-

ჭოთა რუსეთი იმიტომ იპყრობდა ქვეყნებს, რომ შემდეგ თვითონ ერჩინა ისინი. კუროზულა ნამდვილად.

შედგად ის მივიღეთ, რომ ზოგიერთებმა მართლა ირწმუნეს ჩვენს მიერვე გაყალბებული ჩვენი ისტორია და ახლა აქეთ გვსაყვედურობენ: ყველაფერში უანგაროდ გეხმარებოდით, ჩვენ ვაგაძლებინეთ და არ გვიფასებთო. ამას გვეუბნებიან ცენტრში გამართულ ლიტერატურულ თუ სხვა ფორუმებზე, იგი გვსმენია ზოგიერთთაგან თბილისშიც, სხვაგანაც. უცოდინართა უტაქტიზას ნუ გამოვედევნებით, ვაპატიოთ, მაგრამ ძირითადად მათი გამტყუნება არ შეიძლება. ისინი ხომ ისტორიის მკვლევარები არ არიან და ამიტომ იმეორებენ იმას, რასაც ჩვენ თვითონ ათეული წლების მანძილზე ვწერდით და ვასწავლიდით. ცუდი ის არის, რომ მათ საკუთარი ისტორიული ცოდნის გადასინჯვა არ სურთ. მაგალითად, როცა გარდაქმნამ, საჯაროობამ და ეროვნული მოძრაობის არნახულმა აზვირთებამ ისტორიკოსებს ძველი სტერეოტიპების დაძლევა გაუადვილეს და ზოგიერთმა ქართველმა ისტორიკოსმა, მართლაც, სცადა სანდო დოკუმენტების საფუძველზე მართალი ისტორია დაეწერა, ზემოთ აღნიშნული კატეგორიის ხალხი მაინც ძველი წარმოდგენების ტყვეობაში დარჩა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ ყურნალისტებმა, რომლებიც 9 აპრილის ტრაგედიის ორგანიზატორთა ქომაგებად და ანტიქართული ისტერიის გამჩაღებლებად მოგვევლინენ. ყველაზე საკვირველი მაინც ის იყო, რომ ყურნალისტებმა თ. კოსტენკომ, ლ. ლევიტინამ და სხვებმაც, საქართველოს 1918—1921 წლების ისტორიის ცოდნა დაიჩემეს და უცოდინარის თავხედობით შეუტიეს ქართველ მკვლევარებს, რომლებმაც, მართალია, მოგვიანებით, მაგრამ მაინც სცადეს თავიანთი წვლილი შეეტანათ ისტორიული სიმართლის დადგენაში. მოტივი? მევანისა და მევანის აღრინდელ გამოცემულ წიგნებში სხვანაირად წერია და ისაა სწორი, ახლა რასაც წერთ (მაგალითად, 1921 წელს საქართველოს ოკუპაციის შესახებ), სულ ტყუილიაო.

1989 წლის 10 ივნისს გაზეთ „კომუნისტში“ გამოვაქვეყნეთ სტატია „ოკუპაცია, ინტერვენცია, ძალდატანებითი გასაბჭოება თუ...“, რომელშიც მცირეოდენი კომენტარებით გადმოცემული იყო ი. ბ. სტალინის, ლ. დ. ტროცკის, ფ. ე. მახარაძისა და გ. კ. ორჯონიკიძის გამოხატუებები წითელი არმიის მიერ საქართველოში 1921 წელს განხორციელებული აქციის შესახებ. მკითხველს ახსოვს, ი. ბ. სტალინი ამ აქციას ოკუპაციას უწოდებდა, ლ. დ. ტროცკი — ინტერვენციას; ფ. ე. მახარაძე აღნიშნავდა, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტში არათუ არავითარი აჯანყება არ ყოფილა საქართველოში, არამედ ადგილობრივად მომუშავე კომუნისტებმაც კი არაფერი იცოდნენ წითელი არმიის შემოსვლის თაობაზე; გ. კ. ორჯონიკიძემ აღიარა, რომ 1921 წლის თებერვალში თითქმის მთელი საქართველო აღსდგა ჩვენს (ე. ი. წითელი არმიის) წინააღმდეგო. ამ ოთხი მოღვაწის გამოხატუებები ბრწყალბებულ ჩასმული, ყოველგვარი ცვლილებების გარეშე იქნა გამოქვეყნებული. ასე რომ, გამოცემულთან შემოდავებისათვის აღარავითარი საფუძველი არ რჩებოდა. ციტატები ზუსტად იყო მოყვანილი. მაგრამ ლენინსკოეზნამიელებმა ამაზე თვალის დახუჭეს და ციტირებულ დოკუმენტთა სანდოობის შეუმოწმებლად აღნიშნულ პუბლიკაციას „გრუბაია ფალშივკა“ უწოდეს (იყო სხვა ეპითეტებიც). ამ პრობლემაზე პერსონალურად ლენინსკოეზნამიელებთან სპეციალური კამათის გამართვა, ალბათ, დროს დაკარგვა იქნებოდა. მით უფრო, რომ გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე

1989 წლის ნოემბრის პირველ ნახევარში გამოქვეყნებული წერილების სერია სათაურით „მხოლოდ სიმართლე“ სწორედ იმ პოზიციისა და არგუმენტების დოკუმენტურ კრიტიკას ისახავდა მიზნად, რომლებსაც „ლენინსკოე ზნამიაც“ ეფარება. სხვათაშორის, რედაქციასთან მცირე დიალოგის გამართვაც ვცადეთ. ვთხოვეთ გამოეყოთ მაქსიმუმი ერთი საათი, ბოლოს 20 წუთითაც ვკმაყოფილდებოდით. იმედი გვქონდა, ადვილად დავარწმუნებდით იმაში, რომ დოკუმენტები ზუსტად არის გამოქვეყნებული, სიყალბე არავის ჩაუდენია, და თუ მათ, მართლაც, ჭეშმარიტება აინტერესებთ, მაშინ ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, ვფიქრობდით, პოზიციას შეიცვლიდნენ, ბოდიშსაც მოიხდიდნენ და „კონფლიქტიც“ ამოიწურებოდა, მომავალში იმას მაინც გააკეთებდნენ, რომ ქართველ მკვლევართა შეურაცხყოფელი სტატიების გამოქვეყნებას მოერიდებოდნენ. ამაოდ დავშვრით. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მეტად თავაზიანად მიგვიღეს, მაგრამ თანამშრომლებთან საუბარზე მავანთა და მავანთა „მოუცულობისა“ თუ თბილისში „არყოფნის“ გამო, რედაქცია ვერაფრით დავითანხმეთ. ისე, მოცილილი კაცი შეურაცხყოფისათვის ოფიციალურ პასუხსაც მოსთხოვდა გაზეთის მესვეურებს, მაგრამ, ალბათ, ესეც უნაყოფო და მიაშიტური საქციელი იქნებოდა.

სტატიაში „ველიკორუსების ეროვნული სიამაყის შესახებ“ (1914 წ.) ვ. ი. ლენინი წერდა: „არავინ არის დამნაშავე იმაში, რომ ის მონად დაიბადა; მაგრამ მონა, რომლისთვისაც არა თუ უცხოა მისწრაფება თავისი თავისუფლებისაკენ, არამედ კიდევ ამართლებს და აფერადებს თავის მონობას (მაგალითად, პოლონეთის, უკრაინის და სხვათა ჩახშობას უწოდებს ველიკორუსთა „სამშობლოს დაცვას“), ასეთი მონა არის გულისწყრომის, ათვალწუნებისა და ზიზლის კანონიერი გრძნობის გამომწვევი ტუტუცი და ხეპრე“⁵, ვ. ი. ლენინის ეს გამოანათქვამი უმთავრესად, დამპყრობელი ერის რეაქციულ-შოვინისტურ ფრთას ეხება, მისი აღრესატი დაპყრობილ ერებშიც მოიძებნება, ამჯერად ამით დავკმაყოფილდეთ. ჩავთვალთ, რომ ჩვენს ნაცვლად თვით ვ. ი. ლენინმა გასცა პასუხი იმ კატეგორიის ხალხს, რომელსაც ჩვენ ლენინსკოეზნამიელებსაც მივაკუთვნებთ.

მიუვებრუნდეთ ოსთა შეიარაღებულ გამოსვლებს. წინასწარ ეთქვათ, რომ მათს გამომწვევ მიზეზთა შორის ეროვნულ და სოციალურ მოტივებთან ერთად მთავარი ადგილი ეკავა ოს ექსტრემისტთა პოლიტიკურ ავანტიურისსს, რაც ოსთა მოძრაობას სეპარატისტულ ხასიათს აძლევდა.

1917—1918 წწ.

შიდა ქართლში მცხოვრები ოსების ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში გაერთიანებისათვის მოძრაობას 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მიეცა გასაქანი. თვდაპირველად ცალკე სამაზრო ადმინისტრაციული ერთეულის შექმნას მოითხოვდნენ. ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის თავმჯდომარისადმი 1917 წლის 10 აპრილს გაგზავნილ წერილში ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭიოჯვი სწორედ ასეთ მოთხოვნას აყენებდა. ის აღნიშნავდა:

⁵ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 21, გვ. 112—113.

«В протокол заседания съезда представителей исполнительных комитетов Закавказья внесено мое заявление, как представителя осетинского населения Закавказья, о нежелательности ограничения устройства местных исполнительных комитетов пределами, ныне существующих уездов. Это заявление я уполномочен сделать от имени всего осетинского населения горной полосы Закавказья, отнесенной современным административным делением к Душетскому, Горийскому, Рачинскому уездам и Владикавказскому округу Терской области, а также уполномочен отметить, что оставлять впредь такое дробление этой полосы не возможно.

Весь этот район, как цельная географическая и этнографическая компактная единица является совершенно обособленным краем, как в отношении устройства поверхности... так и в отношении населения с своеобразными бытовыми условиями, земельными отношениями между собою и к помещикам (из осетин нет помещиков. Помещиками их являются грузины) видами своего хозяйства (скотоводства и земледелия), а равно и назревшими к данному времени культурно-просветительными задачами.

Представляя одну цельную, неразрывную культурно-экономическую территорию, ее только насильственно, с целью дезорганизации, можно дробить на районы 3 или 4 уездов и нескольких округов. В сущности нет ни малейшего основания к такому дроблению столь компактной культурной единицы. Царская власть была заинтересована в дезорганизации и раздроблении на мелкие части, обособленных районов в целях ослабления развития культурной мощи населения и стравливания двух соседних дружеских народов (имею ввиду докладную записку Наместника Воронцова к Николаю I-му в 1852 г., коим уничтожено сенатское решение, присудившее земли в 5-ти ущельях в полную собственность жителей этих ущелий и вызвано восстание осетин, а равно провокационные стравливания старой властью горцев в 1905—1906 годах). Но в настоящее время, когда все силы Временного правительства и самого народа направлены к осуществлению культурно-просветительных задач, на развитие нравственной мощи народа, о намеренном дроблении культурно-экономических единиц, каковою является горно-осетинский район, не может быть и речи.

Теперь в целях скорейшего осуществления здесь самых лучших начинаний, в целях проведения в жизнь начал свободы и регулирования всей жизни в этом захолустном малопроездом крае, нужно непременно и скорейшее объединение в одну административную единицу сельских

исполнительных комитетов этого района. ... Необходимо выделить этот район в особую административную единицу, соответствующую по схеме своей административной организации уезду (ხაზგასმა ჩვენია — ლ. თ.) Эта же полоса при введении земства составит особый земский район»⁶.

წერილის ავტორის ზოგიერთი არგუმენტი შეიძლება დასაზუსტებელი იყოს, მაგრამ ამჯერად მკითხველის ყურადღება მხოლოდ იმას გვინდა მივაქციოთ, რომ 1917 წლის აპრილში ოსი მოსახლეობისათვის მოითხოვდნენ განსაკუთრებულ (ცალკე) ადმინისტრაციული სამსახურ ერთეულის შექმნას. ისიც უნდა ითქვას, რომ ოსი გლეხური მოსახლეობა მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ჩაბმული ამ მოძრაობაში. საამისოდ მას გარკვეული დრო სჭირდებოდა. ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ ამ წერილში მეფის რუსეთი ოსებსა და ქართველებს შორის (ამ „ორ მუზობელ და მეგობარ ხალხს შორის“) მტრობის ჩამოგდებით დაინტერესებულ ძალად არის მიჩნეული.

გორისა და დუშეთის მაზრებში მცხოვრებ ოსთა პოლიტიკური დონის თაობაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის შემდეგი დოკუმენტი:

«В Тифлисский Губернский Исполнительный Комитет.

Население Южной Горной Осетии, живущее в нагорной полосе Горийского и Душетского уездов, до настоящего времени остается вневоздействия революционных сил; население знает и переворот, но не имеет никакого понятия ни о тех новых началах, которые выдвинула великая революция, ни о тех благодетельных последствиях, которые ожидаются от нее в случае ее благополучного завершения. Население слышало здесь об объявленных гражданских свободах, но составило о них превратное представление, толкуя их или узко, или распространительно; отсюда — уродливые и крайне нежелательные формы проявления взаимоотношения общественных элементов. Причина этому — полное отсутствие пропаганды, отсутствие надлежащего освещения свершающихся событий. Правда, в самом начале переворота была сменена старая власть, но на ее место очутились те же служители старого порядка, только под новым названием. В интересах революции необходимо обратить надлежащее внимание на темное население Южной Осетии. Тифлисский Осетинский Комитет, составленный из безусловно революционно-демократических элементов Осетии, и поставивший себе целью пропаганды организацию и подготовку Осетии к восприятию идей великой революции, а также к выборам в учредительное собрание, уполномочил меня просить Тифлисский Губернский Исполнительный Комитет о ходатайстве перед Особым Закавказских Комитетом, что-

бы последний снабдил Осетинский Комитет средствами и полномочием для всесторонней работы в осетинской деревне»⁷.

უთუოდ აღსანიშნავია ოსური კომიტეტის ზრუნვა მთის ზოლის ოსთა კულტურული და პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. თბილისიდან 20 კაცის გაგზავნაც ამ მიზანს ემსახურებოდა. ეს საქმე რომ ბოლომდე მიეყვანათ, ვინ იცის, იქნებ 1918 წლის მარტის ტრაგედიაც არ დატრიალებულიყო.

1917 წლის 15—17 დეკემბერს ქ. ცხინვალში გაიმართა სამხრეთ ოსეთის დელეგატთა მეორე ყრილობა, რომელმაც აირჩია სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო. მიმდინარე მომენტის შესახებ ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ვკითხულობთ:

«Принимая во внимание, что гражданская война окончательно подорвала экономическую жизнь России и еще больше усилила анархию и тем способствовала образованию отдельных республик и автономий, что только Учредительное Собрание может объединить эти отклонившиеся республики, заключить почетный мир и разрешить наиболее важные вопросы революции, съезд постановил: всемерно поддерживать Учредительное Собрание и стать в его защиту, если это потребуется. Поручить избираемому Южно-Осетинскому Национальному Совету составить наказ депутатам. В разрешении национального вопроса в Учредительном Собрании держаться общероссийской ориентации; поддержать Краевую власть на Кавказе. Совет должен работать в полном контакте с демократией соседних наций. Съезд находит неотложным проведение в жизнь национализации школы, администрации, суда, войска, выделения Южной Осетии в одну Земскую административную единицу (ხაზგასმა ჩვენია—ლ. თ.). Окончательную разработку и проведение в жизнь национальной программы поручить упомянутому выше национальному совету»⁸.

ამრიგად, ყრილობამ იმსჯელა სამხრეთ ოსეთისათვის ფართო თვითმმართველობის მინიჭების თაობაზე და დაადგინა, რომ ჩამოყალიბებულიყო იქ საერთო ადმინისტრაციული ერთეული.

ახლად შექმნილმა სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 4 ანკვარს ოფიციალური ბარათით აცნობა საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომ იგი უკვე შეუდგა მუშაობას და ამიერიდან ყველა საკითხზე, რომელიც ოს ერა ეხება, ჩვენ მოგვეპოვებოთ. ბარათში ისიც იყო ნათქვამი, რომ სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო სამხრეთ ოსეთის საქმეთა უმაღლეს ხელმძღვანელ ცენტრს წარმოადგენს⁹.

⁷ საქ. სსრ ორსმცსა, ფ. 1844, აღწ. 1, საქ. 90, ფურც. 14.

⁸ საქ. სსრ ორსმცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 55, ფურც. 5.

⁹ საქ. სსრ ორსმცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 55, ფურც. 4.



1918 წლის 10 იანვარს კი სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ ამიერკავკასიის კომისარიატს წარუდგინა პროექტი, რომელშიც ნაჩვენებია იყო, თუ რა ფორმით და რა საზღვრებში უნდა ჩამოყალიბებულყო სამხრეთ ოსეთის ერობა. დავიმოწმეთ რამდენიმე ადგილი ამ პროექტიდან:

«Опираясь на ясную и определенно выраженную волю Южно-осетинского народа, мы находим, что справедливое осуществление земского дела в Закавказье немыслимо без образования особого уездного административного давления из нагорных частей Рачинского, Горийского и Душетского уездов, сплошь занятых южно-осетинским населением».

«...Становится понятным естественное стремление осетин образовать по крайней мере в той полосе, где они живут компактной массой, одну административную единицу, с органами управления, специально для них созданными. Так как эта полоса по пространству... и численности населения вполне удовлетворяет норму, необходимую для образования уездов, то целесообразнее всего выделить всю эту территорию, населенную осетинами, в особую уездную организацию... Только объединив эту однородную по происхождению, языку и культурному развитию массу южно-осетинского населения в один горный уезд или округ с национальной администрацией, возможно провести в учреждениях применение родного осетинского языка».

«...В начале владычества русских в Закавказье интересующая нас нагорная полоса вся составляла один южно-осетинский военно-административный округ, причем в состав этого округа входило и Нарское ущелье, отнесенное потом к Терской области».

«Логический вывод из этих положений — настоятельная необходимость выделения горно-осетинского района в самостоятельную уездную земскую единицу... Это будет содействием скорого и в то же время, быть может, безболезненному переходу осетин от патриархально-родового строя и архаических пережитков обычного права к усвоению культурных завоеваний нашей эпохи».

«Если закавказская демократия заинтересована в экономическом развитии горно-осетинского района она должна всемерно содействовать выделению этого района в особую уездную земскую единицу. Для южно-осетинского народа такое образование самостоятельного осетинского уездного земства упрощает, наконец, проблему национального самоопределения...».

«Создание южно-осетинской уездной административно-земской единицы подсказывается жизненной необходимостью, потому, что при наличности такой единицы возмож-

ნო 1) построить систему административного управления применительно к психологии осетинского народа, 2) провести последовательно во всех учреждениях применение осетинского языка, 3) заложить прочную основу для культурно-экономического развития горно-осетинского района, 4) в сильной степени упростить разрешение национального вопроса в условиях южно-осетинской действительности».

«Без Цхинвала горно-осетинское население потеряет естественный выход на плоскость и в значительной степени проиграет в культурно-экономическом отношении»¹⁰.

როგორც ეს ვრცელი ამონაწერები მოწმობენ პროექტის ავტორები მოითხოვდნენ, რომ სამხრეთ ოსეთში შემოეღოთ განსაკუთრებული (ცალკე) სამაზრო ადმინისტრაციული დაყოფა; შექმნილიყო განსაკუთრებული (ცალკე) სამაზრო ორგანიზაცია, მთის მაზრა ან ოკრუგი ერთეული ადმინისტრაციით, დამოუკიდებელი სამაზრო საერობო ერთეული, განსაკუთრებული (ცალკე) საერობო ერთეული, დამოუკიდებელი სამაზრო ერობა და სხვ.

ყველა ეს მოთხოვნა, არსებითად, ერთი და იგივეა და შეიძლება ჩამოვაცალიბოთ, როგორც სამხრეთ ოსეთის ცალკე (განსაკუთრებული) სამაზრო საერობო ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის მოთხოვნა. იმ დროს, 1918 წლის დამდეგს, უფრო შორს არ მიდიოდნენ, ამაზე უფრო ფართო ავტონომიის საკითხს არ აყენებდნენ. ცხინვალს კი თავიდანვე სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გულისხმობდნენ.

1918 წლის 2—4 მარტს ცხინვალში გაიმართა სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს პირველი სესია. იგი საბჭოს თავმჯდომარემ გ. გაგლოევმა გახსნა. ეს ის დრო იყო, როცა თურქეთი წარმატებით უტევდა რუსეთისაგან მიტოვებულ საქართველოს, რომელსაც ჯერ სრული დამოუკიდებლობაც ვერ მიეღო და მტრის მოგერიებაც ძალზე უჭირდა. თავდაცვის ორგანიზაციას აძნელებდა რევოლუციის შედეგად გამწვავებული სოციალური და ეროვნული ურთიერთობებიც. რა პოზიცია დაიკავა ამ საკითხში სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ? მოუხსინით სესიის მონაწილეებს:

«Враг у ворот, он покушается на нашу свободу и мы достойно должны отразить его» (Г. Гаглов).

«Нам не страшны никакие угрозы извне, свобода наша в безопасности если мы вместо гражданской войны и национальных распрей, все силы наши направим к отражению врага» (П. Ефремидзе).

«Турецкий режим нам не сулит ничего отрадного. Мы попадем в условия более тяжелые, чем при Николае втором. Поэтому весь Кавказ, как один человек, должен стать на защиту добытой свободы» (тот же Г. Гаглов).

«Чтобы не упустить революцию и избежать рабства — пусть каждый смело идет в полк» (К. Дзевисов).

¹⁰ საქ. სსრ ორსმცსა, ფ. 1818, აღწ. 1, საქ. 113, ფურც. 1—5.

«Лучше погибнуть в борьбе за свободу, чем влечь позорную жизнь под ярмом рабства» (Г. Дзасохов).

«Рать павших героев зовет нас к победе, к борьбе. Да не допустим турецкую пята попирать могилы» (А. Кецховели).

დელეგატთა პოზიციას წუნს ვერ დავდებთ. იგი ისეთია საერთო მტრის წოგერიების ამოცანებს რომ შეეფერება. ასეთივე იყო სესიის დადგენილებაც:

„Объявить во всеуслышание, что осетинский народ, в единении с демократией республики готов, как один человек, восстать на защиту свободы и революции, откуда бы им не грозила опасность“.

სესიის გადაწყვეტილებით გაგრძელებულ იქნა მუშაობა სამხრეთ ოსეთის პოლკის ფორმირებისათვის. სესიაზე ითქვა, რომ სამხრეთ ოსეთის პოლკი არა მარტო სამხედრო ერთეულია, არამედ რევოლუციური ორგანიზაციაც, რომელიც დაიცავს რევოლუციის მონაპოვარს.

სესიამ მოისმინა გ. გაგლოვის ინფორმაცია სამხრეთ ოსეთსა და ჩრდილო ოსეთს შორის გადასასვლელი გზის (перевальная дорога) მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ. მან ითქვა: „Совет с самого начала своей деятельности прилагает свои усилия к тому, чтобы голодающая Южная Осетия соединилась с хлебородным Севером, чтобы Север и Юг приобщились к общей культуре“. გზის მშენებლობისათვის დაიწყეს ფულის შეგროვებაც.

სესიაზე უყურადღებოდ არ დარჩენილა ერობის შემოღების საკითხი. ითქვა: „...Введение земства и выделение всей Южной Осетии в особую административную единицу в стадии своего осуществления“¹¹.

ასე დაიწყო მუშაობა სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ, რომელმაც იმთავითვე აუცილებლად მიიჩნია სამხრეთ ოსეთის ცალკე სამაზრო საეროზო ადმინისტრაციული ერთეულის შექმნა, ჩრდილოეთ ოსეთთან სამხრეთ ოსეთის დამაკავშირებელი გზის მშენებლობის დამთავრება, სამხრეთ ოსეთის პოლკის ჩამოყალიბება და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ ოსეთის ცალკე ადმინისტრაციული ერთეული ოფიციალურად არ არსებობდა (იგი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაჩნდა მხოლოდ), ჩვეულებრივ საუბარსა და ოფიციალურ დოკუმენტებშიც ოსებით დასახლებული შიდა ქართლის ტერიტორია სამხრეთ ოსეთად მოიხსენიებოდა. ამ ტერმინს ვხვდებით არა მარტო სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს სახელწოდებაში, მის ოფიციალურ ქაღალდებში (ბლანკი, მიმოწერა და სხვ.), არამედ სხვა დაწესებულებების, კერძოდ, თვით საქართველოს ეროვნული საბჭოს მიმართებებშიც. ტერმინს — „სამხრეთ ოსეთი“ რევოლუციამდეც ხმარობდნენ. იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარში“ ვკითხულობთ: „ოსები არიან მთის ხალხი. მათ უჭირავთ შუა წელი კავკასიონის ქედისა ხევსურეთიდგან დაწყებული სვანეთამდე. ზოგი მათგანი სცხოვრობენ ქედს იქით, ქედის ჩრდილო კალთებზე, ზოგნი — აქეთ, სამხრეთ კალთებზე. ამის გამო ოსე-

¹¹ საქ. სსრ ორსმცსა, ფ. 1818, აღწ. 1, საქ. 113, ფურც. 6—7.

თი ორ ნაწილად განიყოფება: ჩრდილო ოსეთად და სამხრეთ ოსეთად. აქეთა ოსებში თითქმის ყველამ იცის ქართული ენა, და ბევრი ქართული ზნე და ჩვეულება შეთვისებული აქვთ. იქით ოსებში კი უფრო რუსული ენა და ჩვეულება გავრცელებული.. მაინც ოსეთი ღარიბი ქვეყანაა... სხვაფრივ კი ოსები არიან მხნე და ნიჭიერი ხალხი, საღისა და წარმოსადეგი აგებულების პატრონნი¹². და მაინც ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ პირობითია, რადგან საქართველოში შეიძლება არსებობდეს, და არსებობს კიდევ, ოსებით დასახლებული ტერიტორია და არა ოსეთი.

სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ ერთი შეხედვით საქმიანი, კეთილი ურთიერთობა დაამყარა საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან. ეს უკანასკნელი მიესალმა სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს შექმნას, თავის წარმომადგენლებს გზავნიდან ოსთა ყრილობებზე და სხვ.

თითქოს არაფერი ჩანდა ისეთი, რაც ქართველებისა და ოსების საუკუნოებრივ თანადგომას სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა და მათს შორის სისხლისღვრას გამოიწვევდა. ეს ასე ჩანდა 1918 წლის მარტის დამდეგსაც. ტრაკედიის დაწყებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე. თუმცა უთანხმოების გარკვეული გამოვლენანი, მაგალითად, ტყით სარგებლობის საკითხებზე წამოჭრილი დავა თუ ცალკეული შეხლა-შემოხლაც კი, აღრიდანე შეიძინებოდა.

იცოტა რამ აღრინდელი ისტორიიდან: ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საქართველოს გლეხობა, ძირითადად, ორ კატეგორიად — დროებით ვალდებულ გლეხებად და ხიზნებად დაიყო. დროებით ვალდებულმა გლეხებმა მიწა მიიღეს. თითო კომლს 6 დსუტინა ერგო, მაგრამ მათს სრულ გამოსყიდვამდე ისინი ვალდებული იყვნენ მოსავლის 1/4 მიწათმფლობელისათვის ეძლიათ. ამასთან ვანსაკუთრებული კანონის გამოცემამდე ყოფილი მიწათმფლობელის ტყითა და საძოვრებით სარგებლობის წესები ძველებური დარჩა. კანონის გამოცემას მთავრობა აჭიანურებდა, რაც ხელს აძლევდა მემამულეებს. დროებით ვალდებულ გლეხთა მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა უმთავრესად მიწის უკმარისობის გამო. ოჯახთა გაყოფის შედეგად თითოეული კომლის სანადელო მიწებით უზრუნველყოფის ნორმა, მაგალითად, 1907 წლისათვის 1/2 დსუტინამდე დავიდა.

სულ სხვა მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ხიზნები, რომლებიც ფაქტობრივად არამკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენდნენ. დიდი ნაწილი თავისუფალი მიწებისა, რაც ბატონყმობის გაუქმების შედეგად გაჩნდა, სწორედ მათ მიიღეს იჯარით. სახნავ მიწებს ხიზნები ტყის გაჩეხვის ხარჯზე აფართოებდნენ.

ქართლში ჩამოსახლდნენ კავკასიონის ქედზე მცხოვრები ოსები, რომლებმაც დაიკავეს გორისა და დუშეთის მაზრების საგრძნობი ტერიტორია, ადრე რომ უღრანი ტყეებით იყო დაფარული. მიწათმფლობელებიც ყოველ ზომას იღებდნენ ახალმოსახლეთა (მოიჯარეთა) მოსახლდად. წახალისების მიზნით ტყით სარგებლობის უფლებებს აძლევდნენ მათ, ესმარებოდნენ საცხოვრისის მოწყობაშიც. პირველ ხანებში გართულებები არა ჰქონიათ. მოიჯარე უკონტროლოდ სარგებლობდა ტყით და გასამრჩელოსაც წესიერად იხდიდა. გამოხდა ხანი და ბევრი რამ შეიცვალა. მოიჯარეთა მიერ ტყის გაჩეხვა წამებინი გახდა

¹² იაკობ გოგებაშვილი, ბუნების კარი, მესამე და მეოთხე წლისათვის, ოცდამეორე გამოცემა, თბ., 1912, გვ. 540.



მიწათმფლობელისათვის. გამეჩხერებული ტყე თანდათან ძვირდებოდა. მოიჯარეს კი უკვე მიმოდ ეჩვენებოდა იჯარის პირობები. ამ ნიდაგზე ბევრი უთანხმოება წარმოიშვა. მთავრობა იძულებული გახდა ჩარეულიყო საქმეში და 1893 წელს გამოიკა სპეციალური დებულება, რომელიც ხიზნებს ეხებოდა. იმ მოიჯარეებს, რომლებსაც „წერილობითი ხელშეკრულება“ არ ჰქონდათ გაფორმებული, ხიზნის უფლებები მიეცათ. ასეთები კი ბევრნი იყვნენ, რადგან ძველად „წერილობით ხელშეკრულებებს“ არ აფორმებდნენ. თავიანთ მოვალეობებს ორივე მხარე უამისოდაც პირნათლად ასრულებდა. მეფის მთავრობამ განუმტკიცა ხიზნებს მიწით, ტყითა და საძოვრებით სარგებლობის უფლება. შეძლებული ხიზნები ეპატრონებოდნენ იმ მიწებსაც, რომლებიც იჯარით ჰქონდათ მიღებული ადგილობრივ, აბორიგენ დროებით ვალდებულ გლეხებს. ხიზნები თავიანთ შთამომავლებსაც შესყიდულ მიწებზე ასახლებდნენ. გორის მაზრაში ხიზანთა აბსოლუტურ უმრავლესობას ოსები შეადგენდნენ. აქედანვე განსახლდნენ ისინი საქართველოს სხვადასხვა მაზრაში.

ტყით სარგებლობის პრაქტიკა გარკვეულ საბაბს ქმნიდა ქართველთა და ოსთა დაპირისპირებისათვის. მაგალითად, სოფ. ავლევიში მცხოვრებ ოსებს, რომლებიც ხიზნის უფლებებით იყვნენ აღჭურვილი, შეეძლოთ უფასოდ ესარგებლათ ტყით. აბორიგენი, ქართველი გლეხები კი ამ უფლებას მოკლებული იყვნენ. ტყის მოვლა-პატრონობისათვის საჭირო თანხის გამოანხების მიზნით, სოფლის აღმასკომმა 1917 წლის ზაფხულში დაადგინა, რომ ტყით სარგებლობისათვის (მაგალითად, შეშის გამოტანისათვის) თითოეულ ქართულ კომლს 5 მანეთი უნდა გადაეხადა, ოსებს კი, როგორც ხიზნებს, გადასახადი არ დაეკისრეს. და ეს მაშინ, როცა თვით მიწათმფლობელებსაც აღარ ჰქონდათ უპირატესობა ტყით სარგებლობაში. ქართველთა პროტესტმა ნაყოფი ვერ გამოიღო, რადგან სოფლის აღმასკომში უმრავლესობას ოსები შეადგენდნენ.

მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა ფრონტიდან ჯარისკაცების დაბრუნების შემდეგ (1918 წლის იანვრიდან). მათ შექმნეს შეიარაღებული რაზმი (დაახლოებით 300 კაცამდე), რომლის აბსოლუტურ უმრავლესობას ოსები შეადგენდნენ და დაიწყეს „წესრიგის დამყარება“, რასაც, მართლაც, რომ დიდი უწყესრიგობა და ანარქია მოჰყვა გორის მაზრაში. შეიარაღებული ექსტრემისტები, ვითომდა იარაღის ჩამორთმევის მიზნით, თავს ესხმოდნენ მემამულეთა ოჯახებს. ძარცვავდნენ მათ (დაწვრილებით იხ. კ. მ. ამირაჯიბის სტატიები: „აგრარული რეფორმა“ და „რევოლუციური წელი სოფლად“. — გვზ. „ვოზროყდენი“, 1918 წლის №№ 122, 136). სწორედ ამ გამოსვლების თაობაზეა ლაპარაკი სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს პირველი სესიის (1918 წლის 2—4 მარტი) შემდეგ საოქმო ჩანაწერში:

«Далее Г. А. Гаглоев выступает с речью об анархии в плоскостных районах Южной Осетии. Вся вина в этом падает на вернувшихся с фронта некоторых солдат. Они выступают против существующих революционных организаций и тем усиливают анархию. Ужасы, творимые ими в Горийском уезде свидетельствуют, что тут перед нами не идейный большевизм, а обречество, грабеж. Необходимо приложить все силы к успокоению умов, разьяснять народу современное положение республики и вообще вести

систематическую революционную пропаганду, создать демократические организации в деревнях и тем изолировать преступные элементы от революционной демократии. Необходимо также отобрать имеющееся у ненадежных элементов оружие и образовать крестьянскую красную гвардию»¹³.

ამ აღიარებას დიდი მნიშვნელობა აქვს შემდეგ განვითარებულ მოვლენათა სწორი შეფასებისათვის.

მაინც რამ განაპირობა ოსთა და ქართველთა სისხლიანი შეტაკება 1918 წლის მარტში, მაშინ, როცა საქართველოს თურქეთი დაპყრობით ემუქრებოდა? რა მოხდა ისეთი, რომ საერთო მტრის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გალაშქრების ნაცვლად ოსებმა ომი გამოუცხადეს თვით საქართველოს?

აქვე ვთქვათ, რომ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით შეიარაღებული გამოსვლები ამ დროს სხვაგანაც ეწყობოდა და მათში მონაწილეობდნენ არა მარტო არაქართველი, არამედ ქართველი გლეხებიც. ამჯერად მხოლოდ ცხინვალის ამბებს შევეხთ.

რუსეთის მიერ ბედის ანაბარად მიტოვებული საქართველო მაშინ თურქეთს ვერ გაუმკლავდებოდა. საქართველოს არმია ჯერ კიდევ არ ჰყავდა. შექმნილი იყო მხოლოდ წითელი (სახალხო) გვარდია, რომელიც რასაკვირველია, ვერ მოიგერიებდა მტერს. გაჩაღდა მუშაობა მეფის არმიის ქართველი ჯარისკაცების მობილიზაციისა და მათგან ქართული ჯარის ნაწილების შესაქმნელად. იმედებს ამყარებდნენ ქართულ პოლკებზე, მაგრამ გაირკვა, რომ ზოგიერთი მათგანი ბოლშევიზმის გავლენას განიცდიდა. ამიერიკავკასიის კომისარიატი მათ, ცხადია, ვერ დაეყრდნობოდა. უფრო მეტიც, საქირო გახდა მათი განიარაღება. ამ საქმეს ხელი მოჰკიდა სახალხო გვარდიამ. განიარაღება ხდებოდა 1918 წლის იანვარ-თებერვალში. მთავრობის ორგანოები არასანდო ნაწილებს კი შლიდნენ და იარაღსაც იძენდნენ, მაგრამ უკმაყოფილებას ვერ სპობდნენ. განიარაღებული ჯარისკაცები სოფლებში დაბრუნდნენ და მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად ამხედრებდნენ გლეხებს.

განსაკუთრებით გართულდა მდგომარეობა გორის მაზრის ცალკეულ სოფლებში, სადაც გლეხობა აშკარად დაუპირისპირდა მთავრობასა და თავდაზნაურობას. თავდაზნაურობას გლეხობა ფიზიკურად უსწორდებოდა. დახოცეს თავადები ციციშვილები, ვეზირიშვილი და სხვ.

გორის პოლკის განიარაღების შემდეგ, ჯარისკაცები სოფლებში გაიფანტნენ. სახალხო გვარდია გლეხობის განიარაღებას შეუდგა. გვარდიელებმა შეიპყრეს ციციშვილების და ვეზირიშვილის მკვლელი გლეხები და ადვილზევე დახვრიტეს, რამაც კიდევ უფრო გაზარდა გლეხთა უკმაყოფილება. აღმოჩნდნენ დემავაგებები, რომლებიც ავრცელებდნენ ხმებს, რომ სახალხო გვარდია თავადაზნაურობამ მოისყიდა და მის ინტერესებს იცავსო. უკმაყოფილო ელემენტებმა თავი მოიყარეს ცხინვალსა და ჯავაში, სადაც ოსი მოსახლეობა შეუდგა მზადებას გვარდიისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. გვარდია კი ნამდვილად აპირებდა არა მარტო ოსი, არამედ ყველა გლეხის განიარაღებას.

¹³ საქ. სსრ ორსმცსა, ფ. 1818, აღწ. 1, საქ. 113, ფურც. 7.

და მინც განიარაღება არ იყო მთავარი მიზეზი ოსთა შეიარაღებული გამოსვლისა. აქ ერთმანეთში იყო გადახლართული სოციალური, ეროვნული და სეპარატისტული მოტივები. დავიმოწმით ადგილები გაზეთ „სახალხო საქმის“ 1918 წლის 30 მარტის ნომერში გამოქვეყნებული რ. ბ-ლის კორესპონდენციიდან „ცხინვალის ამბები“. კორესპონდენტი წერს: „სურათი ცხინვალის აოხრებისა ამნაირად იშლება ჩვენს თვალწინ:

16 მარტს დილით ცხინვალს მოდის ოსთა დელეგაცია, რომელსაც მოაქვს პაკეტი, დაწერილი გორის აღმასრულებელი კომიტეტის სახელზე.

რადგანაც დელეგატები დაუყოვნებლივ პასუხს თხოულობენ, პაკეტს ხსნიან აქაური ორგანიზაციების წარმომადგენელნი: რაჟდენ გაგუა და პორფილე ეფრემიძე. შიგ ასეთი მოთხოვნილებაა: 1) დაუყოვნებლივ დაგვაცავით მიწები; 2) გორის მაზრიდან გააძევეთ რევოლუციონურ ორგანიზაციაში მომუშავე შემდეგი პირნი: კოსტა კაზიშვილი, სოსიკო გოგინოვი, შაქრო კასრაძე და ილია მასისურაძე; 3) გორის მაზრიდან გააძევეთ ყველა თავადი და აზნაური; 4) მოგვეცით სიტყვისა და კრების თავისუფლება. პასუხისათვის უკანასკნელი ვადა არის იმავე დღის (16 მარტის) ნაშუადღევს 3 საათი.

ცხინვალის მუშათა და გლეხთა საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი საგონებელში ვარდება: მოთხოვნილებათა მუხლები მათი განხილვის საგანს არ შეადგენს და დროც ასეთი ცოტა აქვთ. მინც იმართება საბჭოს და კომიტეტის სასწრაფო შეერთებული კრება, თუმცა თითონაც არ იციან რა უნდა გადაწყვიტონ. მართლაც რა გადაწყვიტონ? თავად-აზნაურობის გაძევება მათი საქმე არ არის. რაც შეეხება მიწების დაყოფას, შესაფერი მუშათა უკვე სწარმოებს თანახმად ახალი მთავრობის მიერ გამოცემული საადგილმამულო დეკრეტისა. სიტყვის და კრების თავისუფლება ხომ უკვე განხორციელებულია?

საბჭოს და კომიტეტის კრებას ჯერ არაფერი არა აქვს დადგენილი, რომ უკვე სამ საათზე მეტია. ამ დროს მთებიდან სროლა იწყება და კრებაც წყდება.

სხვა გზა არ არის და სანდრო კეცხოველის მეთაურობით დელეგაცია მიდის ოსებთან. დელეგაციაში არიან: რაჟდენ გაგუა, პორფილე ეფრემიძე, გრიშა ოქრობირიძე, ალექსი ჩოხელი და ვასო იარალოვი. მათთან ერთად მიდის ოსთაგან გამოგზავნილი დელეგაციის წევრი ჩოჩიევი.

დევრისის მოედანზე ოსები მალეიდან სროლით ეგებებიან დელეგაციას, რომელსაც თეთრი ბაირალები აქვს გამოფენილი. დელეგატები იძულებული არიან თხრილში დაიმალონ. ჩოჩიევი მინც ახერხებს ოსებთან ასვლას და იმით გაჩერებას. მათთან აღიან სანდრო კეცხოველი და ვასო იარალოვი. სანდრო მათ არიგებს და ჰპირდება, რაც შესაძლებელია ყველაფერს აგისრულებთო. ამ დროს სანდროს იცნობს ვიღაც გამოქცეული ჯარისკაცი... იგი ლანძღვას დაუწყებს სანდროს, შენ არ იყავი, რომ ქართულ პოლკს იარაღი აჰყარე და ჩვენს ოფიცრებს შეურაცხყოფა მიაცენეო. სანდროს სიკვდილისგან იხსნის ოსი ჩოჩიევი.

მეორე დღეს, 17 მარტს ცხინვალში ამოდის გორის წითელი რაზმი სამაზრო კომისრის გიორგი მაჩაბლის მეთაურობით. იმართება მოლაპარაკება, ოსებს ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ჰპირდებიან გარდა თავად-აზნაურობის გაძევებისა. ისინი თხოულობენ რომ დაპირება დადასტურებულ იქნას საჯაროდ, მიტინგზე, რომელსაც ნიშნავენ 18 მარტისათვის.

დიდხანს არის დავა იმაზე, თუ სად გაიმართოს მიტინგი. ოსები მიტინგისთვის არჩევენ დგვრისის მოედანს, რომელიც ცხინვალს იქით მდებარეობს, ყორნისის მიმართულებით. მიტინგს მაინცდამაინც ბევრი ხალხი არ ესწრება, რადგანაც ყველანი შეშინებულნი არიან. ოსები თავიანთ მოთხოვნილებებს აღასტურებენ. მათაც პაირდებიან დაკმაყოფილებას. გიორგი მაჩაბლის შემდეგ ლაპარაკობს ცხინვალის კომისარი კულუმბეგოვი (ოსი), რომელიც ოსთა მოთხოვნილებებს უფრო მწვავე ხასიათს აძლევს. ამ მიტინგზე მიდიან ტფილისიდან მოსულნი კირილე ნინიძე და გიორგი გაგლოევი. ოსები ახალ მოთხოვნილებას აყენებენ. ისინი თხოულობენ, რომ დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქნან ხარებოვი და მთავრობის მამასახლისად ნაყოფი ფილიშვილი, რომლებიც დაპატიმრებული არიან ამასწინათ მოწყობილ ოსთა... აჯანყებისათვის (ამჟამად ხარებოვი უკვე განთავისუფლებულია საგუბერნიო კომისრის კ. ჯაფარიძის განკარგულებით და სად იყოფება იგი, არავინ იცის).

უკანასკნელად კიდევ ლაპარაკობს ცხინვალის კომისარი კულუმბეგოვი და ამბობს: დაპირება კმარა, საჭიროა დაპირებულის დაუყოვნებლივ ასრულებაო, მოთმინება კმარაო. ამ ბოლო სიტყვების დროს ორივე ხელს მაღლა აიქნევს და იწყება კიდევ ამ ნიშნის შემდეგ სროლა ორი მხრიდან: ზღუდრის კალთიდან და ნაცარ-გორიდან. თავზარდაცემული ხალხი იშლება და მუცელზე ხოხვით შორდება საბედისწერო მოედანს. დაბინდებისას სროლა წყდება. ცხინვალში სამარისებური სიჩუმეა. დაღამებისას ცხინვალის ვენახებს ოთხივე კუთხით ცეცხლი ედება, რომელიც უფრო დიდდება, მაგრამ შეუძლებელია რაიმე ღონისძიების მიღება ბრბოს მხეცობის წინააღმდეგ.

ცხინვალის შტაბში ამ დროს ბჭობაა და მოუთმენლად ელიან გათენებას. დილის ხუთ საათზე შესაძლებელი ხდება ბრბოსთან შებრძოლება. სხვადასხვა მხრისკენ იგზავნიებიან რაზმელები, რომლებიც მედგარ წინააღმდეგობას უწევენ ბრბოს. სროლა მხოლოდ ნაშუადღევს ოთხ საათზე წყდება. ამის მიზეზი ის არის, რომ წითელ რაზმელებს ტყვია-წამალი შემოაკლდათ და შეუძლებელია ბრძოლა, საჭიროა თავის გადაარჩენა.

ცოტა ხნის შემდეგ საზარელი სურათი იშლება. ოთხივე კუთხიდან ცხინვალში შემოიჭრება გამხეცებული ბრბო ველურას ღრიალით და განგავით, იწყება ძარცვა-რბევა, ღრიალი, დუქნების მტვრევა, ყუმბარების სროლა (წითელ რაზმელების მხრით). ისმის ყვირილი: დაარტყით, მოკალით. ბრბო შეიარაღებულია. აქვთ „ვინტოკები“ და ბერდენის თოფები. ბევრს სისხლიანი ხანჯლები, დანები და ხიშტები აქვს გაკეთებული ჯოხებზე. ძარცვა-რბევაში მონაწილეობას იღებენ ერედველი ქართველები.

ალაგ-ალაგ ბრბოს უმკლავდებიან გიორგი მაჩაბელი, კოსტა კაზიშვილი, ილია მაისურაძე და სხვები, მაგრამ გადარჩენის იმედი მაინც არ არის, რადგანაც მავთულები გორსა და ცხინვალს შუა წინათვე გადაჭრილია და მამასაადამე გორიდან მასველი ჯარის მოლოდინი არავის აქვს. ხიდის ყურზე ტყვიამტრქევე ვი მუშაობს. აქ მძიმედ დაჭრიან გიორგი მაჩაბელს და შემდეგ საავადმყოფოს წინ კლავენ. ჩქარა იმავე ადგილას გიორგისავით მოვალეობის მსხვერპლი ხდება და სახელოვან სიკვდილს პოუვებს კოსტა კაზიშვილი. სანდრო კეცხოველიც ხიდის ყურზე დგას და, ალბათ, მისი გული საზარლად იგმინება ძვირფასი ამხანაგების დაკარგვით. იგი მაინც მხნეობას არ კარგავს და ხალხს ანუგეშებს იმ დრომდე, სანამ ურცხვად არ შეეხება ბრბო მის ჭადარას და ტყვიით არ გაუგ-

მირავს პატიოსანს და კაცთმოყვარე გულს. ბრბო ამით არ კმაყოფილდება. გაცივებულ გეგამს საშინლად ასახიჩრებენ.

19 მარტი ასე საზარლად დამდება ცხინვალელთა და იქ მისულ წითელგვარდიელებისათვის. გამარჯვება რჩება ბრბოს და სრული ბატონ-პატრონი ხდება მთელს ცხინვალისა. ხალხი ამ დროს დამალულია, სადაც მოასწრო. მეორე დღეს 20 მარტს, ატყვევებენ კ. ნინიძეს, გ. გაგლოევს და პ. ეფრემიძეს. მთელს ცხინვალში იმ დროს გამეფებულია შიში და ძრწოლა, უიმედობა და სასოწარკვეთილება. ხალხს ემუქრებიან თუ ხელი არ შეუშალებთ გორიდან ჯარის ამოსვლას, ყველას ამოგწყვიტავთო. ახლავე შეუთვალეთ, რომ აქ ჯარი საჭირო არ არისო.

20 მარტს ხალხი უკვე გახიზნულია ცხინვალიდან და ბრბოც თავისუფლად ეზიდება აქედან სხვის სარჩო-საბადებელს. მათი ბატონობა ცხინვალში გრძელდება 22 მარტის შუადღემდე, როდესაც გაიგებენ გორიდან წამოსული ჯარის მოახლოებას ლაჩრულად სტოვებენ აობრებულ ქალაქს... 23 მარტის სროლის დროს მოკლულ იქნენ შემდეგი წითელგვარდიელები: ვასო გელაშვილი, ვარლამ მამალაძე, არჩილ მარგველაშვილი და ვასო ქობულაშვილი. დაიჭრნენ: მიხეილ ლვინერია, გერასიმე ბაშნიევი, ნიკოლოზ გამდლიშვილი, გიორგი ბაზაკაშვილი და ალექსანდრე ბასინაშვილი. რბევა-ძარცვის დროს მიყენებული ზარალი ცხინვალისა სულ ცოტა ათ მილიონ მანეთს უდრის. ცხინვალის კომისარო კულუმბეკოვი ამჟამად დაპატიმრებულია შიგ ცხინვალში“.

კომენტარს თავს ვარიდებთ. მკითხველი თვით განსჯის. ოღონდ დამატებით ცნობებს მივაწვდით მას კვლავ იმდროინდელი პრესიდან.

გაზეთი „ალიონი“, 1918 წლის 5 აპრილი. კორესპონდენცია „ქართლში“.
ხელს აწერს დ.-ლი. „...შტაბში გავიგე ვერაფერად მოკლული გ. მაჩაბელი, ს. კეცხოველი და სხვა გვარდიელები ჩამოსაყენესო... სანახავათ წავედი. როცა მეუბნებოდნენ თუ რანაირათ იყვნენ ისინი დასახიჩრებულნი არ მჯეროდა, მეგონა ძალიან გადამეტებულია-მეთქი... საშინელი, გულშემზარავი სურათი იყო. ჩემდა მოულოდნელად, რაც გამეგონა ყველაფერი გამრავლებული აღმოჩნდა. გ. მაჩაბელი ტყვიებით დაცხრილული იყო მუხლებში. მერე ხანჯლით დაჩხვლეტილი მთელ ტანზე, საფეთქლის ზევით ხანჯლის წვერით თავის ქალა თითქმის აგლეჯილი, და ერთი უმსგავსო ველური სხეულის დამახინჯება... აუხსენია ჩემთვის ადამიანი ასეთ გამხეცებამდის როგორ მია.“

ს. კეცხოველს მარჯვენა მხრიდან მუცელში ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. რამაც მას სიცოცხლე მოუსპო აღბათ, შემდეგ ველურებს თავი მოეჭრათ, მაგრამ კისერში კი არა, მკერდიდან ჰქონდა აკეპილი, თავის ქალა დამსხვრეული. სახეზე წვერების მეტი აღარაფერი სჩანდა. ამბობდენ მოკვლის შემდეგ სხეული ქუჩაზე ეგდო და ზედ ფაიტონებით დადიოდნენო... გაბრუებული, დაბნეული გამოვედი საავადმყოფოდან...“

ცხინვალის ამბებთან დაკავშირებული ველურობისა და სადიზმის ფაქტებს ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია გვერდს უვლიდა. ამას შეგნებულად აკეთებდა, რადგან რეალობას უწყევდა ანგარიშს. რეალობა კი ის იყო და არის, რომ ქართველმა და ოსმა ხალხებმა კვლავინდებურად ერთად უნდა იცხოვრონ. ქართველი ხალხი ოსებით დასახლებულ ქართულ მიწებს თავისი სხეულიდან ვერ მოიკვეთს. ოსებს კი ნორმალური ეროვნულ-კულტურული განვითარების სრული გარანტია ჰქონდათ და უნდა დარჩეთ კიდევ. ამ საკითხის გააწყვეტის სხვა

დემოკრატიული გზა პრაქტიკულად არ არსებობს და ვერც ვერავინ გამონახავს მას. აქედან გამომდინარე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობდა ყურადღება გაემახვილებინა ქართველთა და ისთა ურთიერთობაში არსებულ არა ისეთ მოვლენებზე, რომლებიც კიდევ უფრო დააპირისპირებდნენ ამ ხალხებს, არამედ ისეთებზე, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ სამარცხვინო ისტორიული ფაქტების დავიწყებას და ახალი, ცივილიზებული ერებისათვის შესაფერისი კავშირურთიერთობის დამყარება-განმტკიცებას. არნახული საღიზმის ზემოაღნიშნულ ფაქტებზე ყურადღების გამახვილებას კი, შეიძლება კიდევ უფრო გაეღრმავებინა ქართველ და ოს ხალხებს შორის, ძირითადად, გაუგებრობის შედეგად გაჩენილი უფსკრული, გაედვივებინა მათ შორის უნდობლობა (არა და ქართველ და ოს ხალხებს ისე სჭირდებათ ურთიერთთანადგომა, როგორც ალბათ, არავის ამ ქვეყანაზე).

მართალია, ისტორიისადმი ასეთი დამოკიდებულება პოლიტიკის დანამატად აქცევს მას, მაგრამ ამ ტენდენციის დავლობა, ვერ დავმაღავ, ახლაც მიჭირს. უფრო მეტი. მოკლული ს. კეცხოველის სხეულის დასახიჩრებასთან დაკავშირებული ვანდალიზმის ფაქტს სხვა ვითარებაში, ალბათ, დღესაც არ მოვიხსენიებდი, რადგან ჩვეულებრივ პირობებში, თუ ერთმანეთის გაღიზიანება არ გვიქნდა, იგი, მართლაც, დასაღიწყებელია. მაგრამ დღეს სხვა უკვე დაგვიდგა. კონფრონტაციამ ორ ერს შორის კულმინაციას მიაღწია. ასე რომ, მოსარიდებელი თითქმის აღარაფერი დავგვჩია. ამ ფაქტების გამომწვეურება კი, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, დავგვხმარება ქართველთა მხრივ მოგვიანებით (1926 წელს) ჩადენილი საპასუხო სისასტიკის (ოსური სოფლების გადაწვის) ახსნასა და შეფასებაში (და არა გამართლებაში).

მიუხედავად ცხინვალის ამბებს. გაზეთი „ერთობა“, 1918 წლის 23 მარტი. კორესპონდენცია „ცხინვალის ამბები“. „გუშინ, 21 მარტს ცხინვალიდან დაბრუნდა ამხ. კირილე ნინიძე და შემდეგი გვიამბო... გაძარცვულთა რიცხვის გამორკვევა შეუძლებელია. ძარცვავდნენ ყველას, ვისაც კი მოასწრებდნენ, მიჰქონდათ საათები, ფულები, მანუფაქტურა, კოვზები, საცვლები; ქალებს ბუჭდებს აძრობდნენ თითებიდან. იყო შემთხვევა, რომ წაიღეს აკვანი. მტაცებლობა ხდებოდა აშკარათ: ცალ ხელში ვინტოვკა ეჭირათ საღდათებს, ზურგზე სავსე ტომარა ჰქონდათ წამოკიდებული ან რაიმე ავეჯი და ისე მიდიოდნენ. მომიხდა ლაპარაკი ეგრეთწოდებულ „იდეურ“ საღდათებთან. ესენი აღშფოთებული იყვნენ ძარცვით, ამბობდნენ — ჩვენ მხოლოდ თავადებსა და წითელ გვარდიას ვებრძვით და ხალხს ვიცავთო. ეტყობა ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ გვარდია თავადებისაგან არის მოსყიდული...“ (აი, ასეთი საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა მაშინ ქ. ცხინვალში. ამ თეზისს სადავოდ გახდიან, მაგრამ ფაქტებს რა ვუყოთ?).

გაზეთი „ერთობა“. 1918 წლის 24 მარტი. კორესპონდენცია „ცხინვალის ამბები“. „გუშინ, 23 მარტს ცხინვალიდან ამიერკავკასიის მთავრობას შემდეგი დეპეშა მოუვიდა ვალ. ჯუღელისაგან: 22 მარტს ჩვენმა წითელმა გვარდიამ ცხინვალი და მისი ახლო-მახლო ადგილები ხელში ჩაიგდო. მოწინააღმდეგემ ბრძოლა არ მიიღო და ჩვენს მისვლამდე მთებში გაიქცა. მთელი მათი ძალა გროვდება ჯავის ხეობაში. მთელი დღე სამი სოფლის დაპყრობას და გაწმენდას მოვანდომეთ... ჩვენმა არტილერიამ სოფლები დაზოგა და სოფლიდან გამოსულ მოწინააღმდეგეს ყუმბარები დაუშინა. დღეს დილიდანვე ჩვენი გვარდია მალაღ



მთებს შეუდგა ბრძოლით ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ. ფედერალისტთა რაზმი და ტფილისიდან ჩამოსული წითელი გვარდიელები გავიდა მდ. ლიხავში და დასავლეთიდან ცხინვალს ალყა შემოარტყა. ცხინვალი სამწუხარო სურათს წარმოადგენს: ყველაფერი განადგურებულია, ქუჩებზე ჩვენი ამხანაგების დანთხეული სისხლია დამხმარი. მცხოვრებნი ალტაცებით შეგვხვდნენ. ჭერჭერობით გავათავისუფლეთ 150 ტყვე. ჯვინს რაიონის ტყვეები ჯერ არ გავითავისუფლებია. დიდის სიფრთხილით, რომ ჩვენს და მათ შორის პროვოკაციის მიერ შექმნილი უფსკრული კიდევ უფრო არ გავაღრმავოთ, ხვალ მივიღებთ საჭირო გადაშქრულ ზომებს. მომხდარი ამბები მეტად რთულია და ტრადიკულია. ყველა მამაკაცი სოფლიდან გაიქცა, ზოგიერთი სოფელი სულ დაიცალა. დამნაშავეები სასტიკათ დაისჯებიან“.

ოსთა 1918 წლის მარტის აჯანყება ქართულმა სახალხო გვარდიამ ჩააქრო. მდგომარეობა, ცხადია, კვლავ დაძაბული რჩებოდა.

ამ აჯანყებამ მთელი ქართული საზოგადოებრიობა შესძრა. დიდი ადგილი დაუთმო მას იმდროინდელმა ქართულმა პრესამ. სპეციალურად იმსჯელა ამ საკითხზე საქართველოს ეროვნულმა საბჭომ. ოსთა საკითხისადმი ქართველ პოლიტიკოსთა დამოკიდებულება არაერთგვაროვანია იყო. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გრიგოლ ვეშაპელმა საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 2 აგვისტოს სხდომაზე განაცხადა: „დასასრულს, მე მსურს მოვიყვანო ერთი ქართველი მწერლის აზრი, იგი... დედით ნაოსარი და კარგად იცის ოსთა ყოფა-ცხოვრება. ეს განსლავთ ბატონი იაკობაძე. იგი შემდეგს წერს ოსურ საფრთხეზე გაზეთ „ჩვენს ქვეყანაში“ — „როდესაც საქართველოს მიწა-წყალზე, ქართველი ხალხის წინააღმდეგ ამხედრებს ჩვენში სამადლოდ ჩამოსახლებულ ოსებს მათი ინტელიგენციის ერთი ნაწილი, ეს არამც თუ უმადურობაა, არამედ დიდი უსამართლობაც, რომელიც დაიწყო ოცი-ოცდაათი წლის წინათ. ინიციატორებად შეიქმნენ ჯერ რუსის მოხელეები, ცნობილი ვოსტორგოვის მეთაურობით და მერე ოსის ნაწილად ახალგაზრდობა, რომელიც გამოიზარდა რუსის სკოლებში, როგორც რუსეთის სტიპენდიანტები. ვოსტორგოვმა და ამ ახალგაზრდებმა მოწამლეს საქართველოს ოსების მასა და ეს შხამი არ გადაერეცხებათ გულიდან იქამდე, ვიდრე თავისუფალი საქართველო არ ალაგმავს ხალხის მტრებს და არ დაანახევებს საქართველოს ოსებს მათ შეცდომებს. ჯერ სად იყო რევოლუცია, როდესაც საქართველოს ოსების ინტელიგენციამ მთელი გეგმა შეადგინა რუსეთის პოლიტიკითა და ასი წლის მონობით დაბეჩავებული ქართველი ხალხის დაზავება-დაპყრობისა. ლიხავის ხეობაში მიბრძანდით, თუნდ ცხინვალში, თვალი შეავლეთ იმ რკალს, რომელიც შეიქმნა ოსი მოსახლეობით, დაუკვირდით მარტო ცხინვალსა და დავგრისში ახლად, ჩემის დროს ჩამოსახლებულ ოს ვაჭართა მოხელეობა-მოქმედებას. ამ ხეობიდან გამოსულ ამ ვაჭარ „ბურჟუების“ შეიღებს, მოზარდ თაობას, სტუდენტ მოსწავლეთა წრეებს, მათ კავშირებს, განზარახვებს და თქვენ დამეთანხმებით, არც ეს ვაჭარბატონები დაიხვევენ უკან თუ კი ცოტა რამეს მაინც ჩამოგლეჯენ ყველასაგან დაბრწყინებულ საქართველოს, თუ კი შეძლება მიეცემათ ხელი მოითბონ საქართველოს უბედურებაზე“¹⁴.

გრიგოლ ვეშაპელმა, რომელიც გამოირჩეოდა ოსთა საკითხისადმი თავისი რადიკალური დამოკიდებულებით, აღნიშნა: „საქართველოს ტერიტორიაზე აქა-

¹⁴ ვაზ. «საქართველოს რესპუბლიკა», 1918 წლის 27 აგვისტო.

იქ დასახლებული ოსები მე მიმჩნია უცხო სახელმწიფოს მოქალაქეებად მანამდის, სანამ არ იტყვიან ერთად ვიყოთ თუ არა, სანამ ფედერაციული სახელმწიფოს ეს ნაწილი არ განაცხადებს, რომ იგი არ შედის რუსეთის ფედერაციაში“. და კიდევ: „საქართველოში არიან მხოლოდ ოსები და არა ოსეთი, საქართველოში შეიძლება ოსებზე ლაპარაკი და არა ოსეთზე“¹⁵.

უფრო შემრიგებლური პოზიცია ეკავათ ქართველ სოციალ-დემოკრატებს. მათი აზრი მკაფიოდ ჩამოაყალიბა ეროვნული საბჭოს სხდომაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა, სოციალ-დემოკრატმა ნოე რამიშვილმა, რომელმაც ეროვნულ-დემოკრატთა საყურადღებოდ აღნიშნა: „ჩვენ ხშირად გვიტყვამს და ეხლაც ვიმეორებთ, რომ თქვენი პოზიცია, მართლაც, აუარესებს საქართველოს მდგომარეობას. დიახ, ამაში უნდა დამეთანხმოთ თუ დაინტერესებული ხართ, რომ საქართველოს რესპუბლიკა დამშვიდდეს, საჭიროა ყველა ელემენტთან შერიგება. ჩვენ ვიცით, რომ ოს დემოკრატთა ერთი ნაწილი არის ბოლშევიკური ნაწილი, მაგრამ ოსთა დემოკრატიის შორის არის მეორე ნაწილი, რომელიც დარწმუნებულია, რომ საჭიროა მკვიდრო შეკავშირება საქართველოსთან. თქვენი შეკითხვა იმის მაგიერ, რომ ხელს უწყობდეს ამ ნაწილების შეკავშირებას, მისი მიზანია შერყევა ჩვენი შინაური სიმტკიცისა. თქვენგან ხშირად გვესმის მთლიან საქართველოზე ლაპარაკი და თუ თქვენ საქმიანად დაინტერესებული ხართ, უნდა ემსახუროთ ყველა ნაწილის შემოკრებას. თქვენ კი ამის მაგიერ თქვენს ისარს მიმართავთ ერთი ერის წინააღმდეგ, თუმცა იგი იმდენადვე დამნაშავეა, რამდენადაც დამნაშავეა ქართველი ერი რაჭა-ლეჩხუმის აჯანყებაში“¹⁶.

ასეთივე ინტერნაციონალურია სოციალ-დემოკრატიის მეორე წარმომადგენლის ალექსანდრე ლომთათიძის სიტყვაც: „თუ ჩვენ დავაკმაყოფილებთ ოსებს, ისევე როგორც ქართველ გლეხებს, შეიძლება ჩვენ მათში უფრო გულმოდგინე მოქალაქეები შევიძინოთ. ჩვენი პოლიტიკა ოსებისადმი ისეთივე უნდა იყოს, როგორც ქართველებისადმი. ამნაირი პოლიტიკით შეიძლება ადგილობრივი წესების დამყარება. არა, ჩვენ სხვაგვარ გზას ვერ დავადგებით. სახელმწიფოში ყველა მოქალაქე უნდა იყოს კანონიერი შვილი და არა გერი“¹⁷.

აი, ასე მსჯელობდნენ ოსთა საკითხზე „მენშევიკური საქართველოს“ სოციალ-დემოკრატი ლიდერები, რომლებიც თავიანთი პარტიის, რესპუბლიკის მთავრობის აზრს გამოხატავდნენ. როგორ არ თავსდება ყოველივე ეს იმ სტერეოტიპში, რომელსაც საბჭოური ისტორიოგრაფია ამკვიდრებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული პოლიტიკის შეფასებისას.

1919—1920 წწ.

1919 წელი. ამ წელსაც არ ყოფილა სიმშვიდე შიდა ქართლში. სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო (არჩეული 1918 წლის დეკემბერში), რომელიც იმ დროს ბოლშევიკური იყო, არ ცნობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, უგულუბელყოფდა მის კანონებს და მოქმედებდა როგორც ერთადერთი დამოუკიდებელი პოლიტიკური ხელისუფლება სამხრეთ ოსეთში. 1919

15 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წლის 27 აგვისტო.

16 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წლის 28 აგვისტო,

17 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წლის 30 აგვისტო.

წლის იანვარში მან მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთში დროებითი საგანგებო სასამართლოების შემოღების შესახებ, შემუშავა დებულების პროექტი, რომელიც არ დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ, რადგანაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებდნენ მხოლოდ სახელმწიფოებრივი სასამართლოები, და ოსებით დასახლებულ ადგილებში ჩადენილ დანაშაულთა განსჯადობაც საერთო წესით მათ უნდა დაქვემდებარებოდა. სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ უარი თქვა როგორც გორის მაზრის ერობის, ისე საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობაზე.

როგორი პოზიცია ეკავათ თბილისელ ოსებს ამ ვითარებაში? 1919 წლის 26 თებერვალს გაიმართა თბილისელ ოს მუშათა კრება (დაესწრო ასამდე კაცი), რომელზეც მომხსენებელმა ვ. გავლოვემა თქვა: „...ერთადერთი სწორი გზა ოსეთის დემოკრატიის წინაშე არის თავისუფალი საქართველო, რომლის შემადგენელი ნაწილიც არის ოსეთი“. კრებამ საჭიროდ მიიჩნია: „შეიქმნას მტკიცე კავშირი სოფელთან და გამოუცხადოს სასტიკი ბრძოლა ოსების კონტრრევოლუციურ შეგზნელ ძალებს, რომელნიც ცდილობდნენ ჩაითრიონ ოსეთის მშრომელი ხალხი ჩრდილოეთ ოსეთის ავანტურაში, ნაციონალურ და სამოქალაქო ომში“¹⁸.

სეპარატისტებმა ყურად არ იღეს ძმათა საღი ძახილი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ბევრი დოკუმენტი ჩაუფარდა ხელთ, რომლებიც ცხადყოფენ, რომ სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო მიზნად ისახავდა სამხრეთ ოსეთის შეერთებას რუსეთთან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ აჯანყებისაკენ მოუწოდებდა სამაჩაბლოს მოსახლეობას. სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ 1919 წლის მაისში მიატოვა შტაბბინა და მთებში გაიხიზნა. მისი წარმომადგენლები სოფელ-სოფელ დადიოდნენ, კრებებს მართავდნენ და ბარის გლეხებს მოუწოდებდნენ დახმარებოდნენ ჯაველ აჯანყებულებს, რომლებსაც თავიანთ განკარგულბაში თითქოს ოსთა 3 ბოლკი ჰყავდათ. დამახასიათებელია ოსი გლეხობის ერთი ნაწილის პასუხი, რომელიც გაზეთ „ერთობის“ 1919 წლის 5 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა: „ისინი არეუ-დარევენ საქმეს და შემდეგ მთებში მიიმალევიან. ყოველგვარი ვაი-ვაგლახი და მთავრობის რისხვა კი ჩვენ უნდა გადაგვხდეს თავს და მერე რისთვის, ჩვენ ქართველებთან რა გვაქვს საჩხუბი, მათთან ვცხოვრობთ ძმურად და კვლავაც ასე ვიცხოვრებთ. ჯაველები კი, ვისთანაც უნდათ, იმათთან წავიდნენო“.

იგივე გაზეთი წერდა: „სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ, უკუაგდო რა ჩვენი მთავრობის განკარგულებები და ზოგიერთი უკვე ცხოვრებაში გატარებული კანონები, მოინდომა ძალაუფლების ხელში ჩაგდება, რამაც ადგილობრივ ცხოვრებაში არეუ-დარევა შეიტანა და ამით ფართო ნიადაგი მოუმზადა ძარცვა-გლეჯას და ანარქიას. ამიტომ მთავრობა იძულებული გახდა სასწრაფო ზომები მიეღო და შესაფერისი ნაბიჯიც გადადგა ამ მხრივ“¹⁹.

სამხრეთ ოსეთის დელეგატთა მე-7 ყრილობამ (1919 წლის მაისი) დაგმო „სამხრეთ ოსეთის მეოთხე ეროვნული საბჭოს მოქმედება, რომელიც მიმართული იყო წინააღმდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის

18 გაზ. „ერთობა“, 1919 წლის 1 მარტი.

19 გაზ. „ერთობა“, 1919 წლის 5 ივნისი.

განკარგულებათა და ჯავის მეხუთე ყრილობის რეზოლუციისა, რომლითაც ოსეთი შედის საქართველოში ფართო ტერიტორიული თვითმმართველობის სახით²⁰... ყრილობამ წინადადება მისცა ეროვნულ საბჭოს არ ჩაეერიოს ადმინისტრაციულ საქმეებში.

სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ შეიმუშავა და 1919 წლის ივნისში საქართველოს დამფუძნებელი კრების ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის კომისიას წარუდგინა „სამხრეთ ოსეთის კატონის კონსტიტუციის პროექტი“, რომლის მიხედვით სამხრეთ ოსეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიურ ნაწილად ცხადდებოდა. მას ეკრძალებოდა უცხო სახელმწიფოებთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლა. პროექტში წინა პლანზე იყო წამოყენებული ოსთა ეროვნული პრობლემები, არ იყო გათვალისწინებული ქართველთა და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლების ინტერესები. იგი სცილდებოდა ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის ფარგლებს და საქართველოს ტერიტორიის ნაწილზე ფაქტობრივად ცალკე სახელმწიფოს ქმნიდა.

1919 წლის ივლისში სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ საქართველოს მთავრობას სამხრეთ ოსეთის ტერიტორიული თვითმმართველობის ახალი პროექტი წარუდგინა. ამ პროექტის თანახმად სამხრეთ ოსეთის ტერიტორიული ერთეული მოიცავდა გორის, დუშეთის, რაჭისა და შორაპნის მაზრათა იმ ნაწილებს, რომლებიც ოსებით იყო დასახლებული. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ ცენტრად კი ცხინვალი იყო აღიარებული.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ არ მოიწონა ეს პროექტი. მან თვითონ შეიმუშავა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული მოწყობის პროექტი, რომელიც გულისხმობდა „ჯავის მაზრის“ შექმნას. ამ მაზრაში საქმის წარმოება განხორციელდებოდა დედა ენაზე, ხოლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და მის ორგანოებთან ურთიერთობა — მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო, ე. ი. ქართულ ენაზე.

სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს დელეგაციამ ძირითადად მოიწონა ეს პროექტი, თუმცა არსებითი ხასიათის შემდეგი შესწორებებიც შეიტანა: „ჯავის მაზრას“ ეწოდოს „ოსეთის მაზრა“, მის ადმინისტრაციულ ცენტრად მიჩნეულ იქნას ცხინვალი, ენის საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ და მხოლოდ ოსი ხალხისთვის მიენდოთ.

საუწყებათაშორისო კომისიამ უარყო აღნიშნული შესწორებები. მისი აზრით, სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოს არ ჰქონდა უფლება თვითონ გადაეწყვიტა „ჯავის მაზრის“ ადმინისტრაციული ცენტრის საკითხი (შით უფრო, რომ იგი ქართულ დაბა ცხინვალს ეხებოდა), რადგან ეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების კომპეტენციას განეკუთვნებოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ შექმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა ჩაეტარებინა გორის, დუშეთის, რაჭისა და შორაპნის მაზრებში ახალი სტატისტიკური აღწერა, გაეკრევა ამ მაზრებში მცხოვრები ოსების სურვილი ცალკე გამოყოფის შესახებ. კომისიამ შეუძლებლად მიიჩნია გორის მაზრის დაყოფა.

²⁰ გაზ. „ერთობა“, 1919 წლის 5 ივნისი.

ოქტომბრის რევოლუციის მეორე წლისთავისათვის ბოლშევიკები მთელ საქართველოში ამზადებდნენ აჯანყებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. აჯანყების საკითხი განიხილეს რკპ (ზ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა 1919 წლის 15 აგვისტოს და კავკასიის საერთო პარტიულმა თათბირმა 1919 წლის 9 სექტემბერს. აჯანყების თაობაზე სპეციალური დადგენილება მიიღო რკპ (ზ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა 1919 წლის სექტემბრის დამლევს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისათვის ცნობილი გახდა ბოლშევიკური გამოსვლების გეგმა და მან აჯანყების დაქმულ ვადამდე ორი დღით ადრე დააპატიმრა ბოლშევიკთა სამხედრო-რევოლუციური შტაბისა და სავარნიზონო საბჭოს წევრები. რკპ (ზ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი იძულებული გახდა გადაედო აჯანყება, მაგრამ ვერ მოაწრო ამის შესახებ გაეფრთხილებინა პარტიული ორგანიზაციები. ამიტომ საქართველოს ზოგიერთ რაიონში აჯანყება ადრე დანიშნულ დღეს მოეწყო. სამხრეთ ოსეთში, კერძოდ, როკის რაიონში, იგი 1919 წლის 23 ოქტომბერს დაიწყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ შედარებით ადვილად ჩაახშო ეს აჯანყებები.

დაპირისპირებამ, რაც კლასობრივ სამოსელში იყო გახვეული, კულმინაციურ წერტილს 1920 წელს მიაღწია. ქართველი და ოსი ხალხები ახალი ვანსაცდელის წინაშე აღმოჩნდნენ. ყოველივე დაიწყო რკპ (ზ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის 1920 წლის 23 მარტის დადგენილებით, რომელშიც ნათქვამია:

«1. Организовать Ревком в Южной Осетии. Назначить членами Юго-Осетинского Ревкома т.т. Гаглоева, Джатиева и Санакоева. Задачи 1) Распустить Национальный Совет старого состава; 2) объявить Советскую власть. Временно вся власть находится у Ревкома; 3) Немедленно сформировать вооруженный отряд; 4) войти в связь с Сев. Осетией и селениями Горийского уезда. Центр движения желателен Цхинвал. В распоряжение Ревкома отпустить 100 тысяч рублей (сто тысяч рублей)»²¹.

ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როცა საქართველოს სახლვარს უშუალოდ მოადგა წითელი არმია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, როქის უღელტეხილის დაცვის მიზნით, საჯარისო შენაერთები გაგზავნა სამხრეთ ოსეთში. ეს, ბუნებრივია, შეუძენველი არ დარჩათ არც ადგილობრივ და არც ჩრდილო ოსეთში მყოფ ბოლშევიკებს. აჯანყებისათვის მაინც გამალებით ემზადებოდნენ.

1920 წლის 6 მაისს სამხრეთ ოსეთის რევკომის წევრთა და ადგილობრივ პასუხისმგებელ პარტიულ მუშაკთა თათბირმა (ესწრებოდნენ რკპ (ზ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის წარმომადგენლებიც: გაიოზ დევედარიანი და გრამიტონ მოწონელიძე) ერთხმად დაადგინა:

²¹ Борьба за победу Советской власти в Грузии. Документы и материалы, 1917—1921 гг., Тб., 1958, გვ. 552—553.

«Ввиду сложившихся условий когда, с одной стороны, население (частью) выступило, с другой, принимая во внимание и то, что продвижение груз[инских] правит[ельственных] войск к перевалам сильно укрепляет их позицию, а также подчиняясь приказу Кав[казского] Кр[аевого] К[омитета], признаем необходимым объявить Советскую власть, пока в Рокском районе, закрыть ущелье, обороняясь от врага трудового народа, присоединиться к РСФСР, о чем известить Москву и демократическую Грузию. А. Джатиев, Г. Девдариани»²².

1920 წლის 8 მაისს საბჭოთა ხელისუფლება, მართლაც გამოაცხადეს როკის რაიონში. აჯანყებულებს დახმარება გაუწიეს თერგის ოლქიდანაც. ამასთან დაკავშირებით ე. სანაკოვეი ა. ჯათიევს სწერდა:

«О провозглашении Советской власти в Рокском районе сообщено в Москву, высказано пожелание принять меры дипломатические, чтобы Грузия не приняла агрессивных мер широких размеров против рокского восстания, чтобы она отозвала свои войска на определенное расстояние»²³.

მოსკოვმა უპასუხოდ არ დატოვა აჯანყებულთა თხოვნა. რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გ. ჩიჩერინმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ე. გეგუქორს გამოუგზავნა ნოტა, რომელშიც ვკითხულობთ:

«...Мы с тревогой узнали, что в Южную Осетию, где провозглашена Советская республика, направлены для уничтожения таковой власти грузинские войска. Мы настаиваем, если это верно, отозвать свои войска из Осетии, ибо считаем, что Осетия должна иметь у себя ту власть, которую она хочет. Вмешательство Грузии в дела Осетии было бы ничем неоправдываемым вмешательством в чужие внутренние дела»²⁴.

გ. ჩიჩერინის ეს ნოტა (იმ ნაწილში, რომელიც სამხრეთ ოსეთს ეხება) საერთაშორისო ურთიერთობის ნორმების უგულებელყოფად და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში უხეში ჩარევის ცდად უნდა მივიჩნიოთ. ნოტა დაიწერა არა უადრეს 1920 წლის 17 მაისსა. ამ დროს უკვე ხელმოწერილია (1920 წლის 7 მაისიდან) სამშვიდობო ხელშეკრულება რუსეთის სფს რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის, რომლის ძალით რუსეთმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. ამავე ხელშეკრულებით სამხრეთ ოსეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნაწილად არის აღიარებული. მაშ, რის საფუძველზე მიიჩნევა გ. ჩიჩერინი სხვის

²² Борьба за победу Советской власти в Грузии. Документы и материалы 1917—1921 гг.), Т6. 1958, зб. 552.

²³ Борьба трудящихся Юго-Осетии за Советскую власть в 1917—1921 гг., Документы и материалы, 1957, зб. 83.

²⁴ Борьба за победу Советской власти в Грузии. Документы и материалы, 1917—1921 гг., зб. 573.

საქმეებში „ყოვლად გაუმართლებელ ჩარევად“ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ აჯანყებულ ოსებთან საბრძოლველად ქართული ჯარის გაგზავნას? ნუთუ იმის გამო, რომ ოსები საბჭოთა ხელისუფლებისა და საბჭოთა რუსეთთან შეერთებისათვის იბრძოდნენ, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მისი განუყოფელი ნაწილი (შიდა ქართლი) უნდა დაეთმო? უფრო სამართლიანი იქნებოდა გ. ჩიჩერინის დაეტუქსა ადგილობრივი ბოლშევიკები, რომლებმაც ანგარიში არ გაუწიეს რუსეთ-საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულებას და განაგრძეს საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლა. განა რუსეთი, თვით საბჭოთა რუსეთი დათმობდა (ან დაუთმოა ოდესმე) რუსეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ აჯანყებულ თავის განუყოფელ ნაწილს?

გ. ჩიჩერინის ნოტას დამაჯერებელი პასუხი ვასცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა. 1920 წლის 20 მაისს იგი აცნობებდა გ. ჩიჩერინს: „კმაყოფილებით აღვნიშნავ რა თქვენს ნოტაში გამოხატულ ტენდენციას, ხელი შეუწყოს საქართველოს აღდგენას მის ისტორიულ საზღვრებში, საქართველოს მთავრობა უკიდურესად შეშფოთებულია თქვენი ნოტის იმ ნაწილით, რომელშიც ლაპარაკია საქართველოს განზრახვაზე იარაღით ჩაახშოს საბჭოთა რესპუბლიკა სამხრეთ ოსეთში. ჩემს მოვალეობად ვთვლი თქვენი ყურადღება გავამახვილო იმაზე, რომ საქართველოს საზღვრებში არის არა სამხრეთ ოსეთი, არამედ საქართველოში მყოფი ოსური დასახლებები მდებარეობენ არასადავო ტერიტორიაზე ტფილისის გუბერნიის ძველი საზღვრის სამხრეთით, იმ სასაზღვრო ხაზის სამხრეთით, რომელიც დადგენილია საქართველოსა და რუსეთს შორის. მთელს ამ რაიონში საქართველოს ხელისუფლება ფუნქციონირებს ადგილობრივი დემოკრატიული ორგანოების სახით. თქვენი ცნობა საბჭოთა სამხრეთ ოსეთში ხელისუფლების არსებობაზე, ჩანს, ეხება უღელტეხილზე როკის დასახლებას, სადაც, როგორც ჩვენ უკვე გატყობინებდით, თურგის ოლქიდან შემოაღწია საბჭოთა ჯარების რაზმმა 2 ზარბაზნით... ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ თქვენს მიერ სასწრაფო ზომები იქნება მიღებული როკიდან იქ მყოფი საბჭოთა რაზმის გასაწვევად. მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთმა მშვიდობიანი ხელშეკრულებით იკისრა თავის ტერიტორიაზე არ დაუშვას ორგანიზაციები, რომელთა მიზანიცაა საქართველოში არსებული მმართველობის წესების წინააღმდეგ ბრძოლა, ჩვენ გაუგებრად და გაუგებრობაზე დაფუძნებულად მიგვაჩნია თქვენი გამოსვლა საქართველოს ერთ-ერთ პროვინციაში ვითომცდა არსებული საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად. იმის გამო, რომ ამ გარემოებას ურთიერთუნდობლობის ატმოსფეროს შექმნა შეუძლია, მე დიდად მადლიერი ვიქნებოდი ამ საკითხზე თქვენი განმარტებისა“²⁵.

ე. გეგეჭკორის ნოტას აუცილებელი თავაზიანობა არ აკლდა, მაგრამ იგი მაინც განაწყენებდა გ. ჩიჩერინს, რომელსაც განუმარტეს, რომ სამხრეთ ოსეთი საბჭოთა რუსეთის მიერ აღიარებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილია (ამის შესხენება მას არ უნდა დასჭირებოდა), მოუწოდეს, რომ საქართველოსთან დადებულ ხელშეკრულებას პატივისცემით

²⁵ ციტირებულია ავთანდილ მენთეშაშვილის სტატიიდან «სამხრეთ ოსეთის 1920 წლის მაის-ივნისის შეიარაღებული აჯანყება». — ვაზ. სახალხო განათლება, 1939 წლის 20 დეკემბერი.

უნდა მოეპყრას და როქის რაიონიდან ჯარი საქართველომ კი არა, თვით საბჭოთა რუსეთმა უნდა გაიყვანოს.

შეიცვლიდა კი გ. ჩიჩერინი პოზიციას ამის შემდეგ? ერთი კია — სამხრეთ-ოსეთის 1920 წლის მაის-ივნისის აჯანყების „ლიკვიდაცია“ საბოლოოდ მაინც საბჭოთა რუსეთის მთავრობამ მოახდინა, რასაც ცოტათი ქვემოთ ცხადვყოფთ.

ოსთა აჯანყების ვაგრძელება ამჯერად რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტ-მაც მიზანშეუწონლად მიიჩნია. ახალი ვითარების შესაბამისად, რაც საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას მოჰყვა, იგი იძულებული გახდა თავად ეზრუნა ოსთა შეიარაღებული გამოსვლების შეწყვეტისათვის. მაგრამ აჯანყების მეთაურებს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლის შეწყვეტის შესახებ სიტყვის გაგონებაც არ სურდათ. სამხრეთ ოსეთს (შიდა ქართლს) კი უკვე საბჭოთა რუსეთთან შეერთებულად აცხადებდნენ. ზემოთქმული მტკიცდება დოკუმენტურად. კერძოდ:

სამხრეთ ოსეთის რევკომის 1920 წლის 8 ივნისის ბრძანებაში ნათქვამია:

«Восставшими крестьянами из Юго-Осетии изгнаны меньшевистские войска Грузии и объявляется Советская власть на указанной территории от Они до Душета. Вся власть на указанной территории подчиняется Ревкому всей Юго-Осетии, местонахождение которого в г. Цхинвале. Сообщить наркоминделу РСФСР волю Юго-Осетии о присоединении к Советской России. Политком — Н. Гадиев, Председатель Ревкома — В. Абаев»²⁶.

1920 წლის 18 ივნისი. რკპ (ბ) სამხრეთ ოსეთის საოკრუგო კომიტეტის დეპეშა:

«Москва, ЦК РКП(б), товарищу Ленину и Чичерину. Согласно приказу Кавказского Краевого комитета РКП(б) от 23 марта, подтвержденному особыми курьерами того же Комитета тт. Моцонелидзе и Девдариани, прибывшими на повстанческий фронт 6 мая, 8 июня в Южной Осетии провозглашена Советская власть. У коммунистических отрядов Южной Осетии истощились все патроны. Большой недостаток в пулеметах, нет ни одного орудия. Между тем, если бы у повстанцев было бы достаточно названных материалов, похабное правительство Грузии было бы быстро и решительно ликвидировано. Трудовая Южная Осетия с первых дней Октябрьской революции состоит с правительством меньшевистской Грузии в состоянии открытой борьбы. В состав меньшевистской Грузии Южная Осетия никогда не входила и не входит, считая себя неотъемлемой частью Советской России (საზგასმა ჩვენია — ლ. თ.)

Озверевшие банды меньшевиков под предводительством Джугели сожгли до тла селения Корнис, Цунар, Тбет, Хент и т. д. Всего сожжено 25 крупных сел, не считая мелких.

²⁶ Борьба за победу Советской власти в Грузии, Документы и материалы, 1917—1971, с. 578—579.

Жители от мала до велика истребляются. Таков гнусный приказ грузинского правительства. Трудовая Южная Осетия вконец истекая кровью, в неравной тяжелой борьбе, ждет решающей помощи. Председатель Южно-Осетинского окружного комитета РКП(б) Санакоев. Члены комитета: Джатиев, Гаглоев, Плиев, Козаев»²⁷.

1020 წლის 8 ივლისი. «Телеграмма Юго-Осетинского окружного комитета РКП(б) Третьему Интернационалу, ЦК РКП(б), В. И. Ленину, Г. В. Чечерину и редакции газеты «Правда»: «Юго-Осетинская группа красных повстанцев революционной Южной Осетии вместе с женщинами и детьми, свыше 15.000 человек, обороняются в Егровских лесах, истекая кровью в неравной борьбе с войсками правительства Грузии. Все села и деревни Южной Осетии, где была провозглашена Советская власть, сожжены. Старики, дети и женщины, оставшиеся в некоторых селах, частью истреблены, частью скрываются в лесах, где, лишённые пищи, питаются лишь дикой зеленью. Правительство Грузии, располагая прессой и радио, сеет по всему миру самую злостную провокацию, искажая действительную обстановку вещей. Восставшая Южная Осетия — это часть Советской России. В шовинистическую меньшевистскую грузинскую рес- и не желает входить ვიგიოხა ან ექლონი ლივიღს (ხაზგასმა ჩვენია — ლ. თ.). Протестуя перед трудящимися всего мира против небывалых в истории примеров зверства и дикой расправы с революционной беднотой и с беззащитными и невооружёнными мирными жителями — стариками, женщинами и детьми — революционная Советская Южная Осетия требует защиты и назначения комиссии для констатирования ужасных деяний грузинского правительства. Председатель Южно-Осетинского окружного парткома Санакоев»²⁸.

ამ დოკუმენტებში ძირითადად სწორად არის ასახული აჯანყებულ ოსთა მიმე ხვედრი. აჯანყებულთა რაზმებმა, მართლაც, არასახარბიელო მდგომარეობაში ჩაიგდეს თავი. მოთმინების ფილაავესებულმა ქართულმა მხედრობამ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ სამ წელიწადში სამჯერ აჯანყებული ოსების მიმართ, მართლაც, სასტიკი ულმობლობა გამოიჩინა. სხვა რომ არაფერი ვთქვათ სოფ. ყორნისის, როგორც აჯანყების ერთ-ერთი კერის „სრულად მოსპობის“ თაობაზე, სპეციალური დადგენილება იქნა მიღებული²⁹. ყოველივე ეს ქართული წყაროებითაც მტკიცდება. 70 წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ამ ტრაგედიის დროს ქართველებისა და ოსებისათვის მიყენებული ჭრი-

²⁷ Борьба за победу Советской власти в Грузии, Документы и материалы, 1917—1921, გვ. 581—582.

²⁸ Борьба за победу Советской власти в Грузии, Документы и материалы, 1917—1921 гг., გვ. 589—590.

²⁹ იხ: საქ. ორსმცსა, ფ. 1863, აღწ. 1, საქ. 320, ფურც. 241.

ლობები ჩვენს ხალხებს დღესაც მოუშუშებელი აქვთ. ამბობენ, ჭრილობებს სიმართლე კურნავსო. არა ურთიერთსაყვედურისათვის, არამედ სიმართლის დასადგენად და სამომავლო ვაკეეთილების გამოსატანად ობიექტური ისტორიის მოხმობაა საჭირო.

სწორედ მთელი ობიექტურობით უნდა ითქვას, რომ სამხრეთ ოსეთის 1920 წლის მაის-ივნისის აჯანყების ბოლშევიკ ხელმძღვანელთა მიზანი იყო სამხრეთ ოსეთის ეროვნული თვითგამორკვევა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რუსეთთან შეერთება. უფრო მეტადაც. სამხრეთ ოსეთს ისინი უკვე საბჭოთა რუსეთის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდნენ. ეს კარგად ჩანს ზემოთ დამოწმებული დოკუმენტებითაც.

თავიანთი მიზნების მისაღწევად მათ იარაღს მოჰკიდეს ხელი, სხვა ქვეყნებიდან მაშველი ძალაც მოიხმეს და ფაქტობრივად ნამდვილი ომი გამოუცხადეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელსაც ამ დროს მეორე ფრონტი ჰქონდა გახსნილი: აზერბაიჯანის მხრიდან მას წითელი არმიის ნაწილები უტევდნენ (სხვათა შორის, ასე მოხდა 1918 წელსაც: სამხრეთ ოსეთი მაშინ აჯანყდა, როცა თურქეთმა საქართველოს თავისი ჯარი შემოუსია). ისევე როგორც წინა ორ წელს, 1920 წელსაც ქართველთა და ოსთა შორის სისხლისღვრის პირველდამწყების როლში ოსთა მხარე გამოვიდა (არც იმის დავიწყება გვმართებს, რომ აჯანყებულთა რაზმებში ქართველებიც ერივნენ). ასეთია რეალობა, რომელსაც ვერავითარი ძველი კლასობრივ-იდეოლოგიური სტერეოტიპი (სამოსელი) ვერ შეცვლის.

როგორ მოიქცეოდა ამ ვითარებაში ნებისმიერი, თავის თავის პატივისცემელი დამოუკიდებელი სახელმწიფო? უეჭველია, ისე, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მოიქცა — იარაღით დაიცვა თავისი დამოუკიდებლობა.

ჩვენში მცხოვრები ოსების ეროვნულ უფლებებს ვინ გახდის სადავოდ. არც დავობდნენ, მაგრამ საკითხს შესწავლა სჭირდებოდა და მისი გადაწყვეტის ორივე მხარისათვის მისაღებ ფორმას ეძებდნენ. ამ საკითხის იარაღით გადაჭრის მცდელობა კი ოსთა და ქართველთა ისტორიული ურთიერთობის შებღალვა იყო, მით უმეტეს, რომ ოსებმა სხვებზე კარგად იცოდნენ, თუ რა პირობებში გაჩნდა საქართველოში ოსთა კომპაქტური დასახლება.

ჩვენებური ოსები რომ საბჭოთა ხელისუფლებისათვის იბრძოდნენ, ესეც გასაგებია. ხელისუფლების არჩევანი მხოლოდ ხალხს ეკუთვნის. საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგებმა მაშინ ბევრი ქართველიც მოხმობლა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ქართველი ხალხის უმრავლესობა მაშინ საბჭოთა ხელისუფლებისათვის არ იბრძოდა. ყოველ შემთხვევაში, ეს საკითხი თვით ქართველ ხალხს უნდა გადაეწყვიტა და საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოებისათვის უცხო ძალების მოწვევა, რბილად რომ ვთქვათ, გაუმართლებელი იყო. ეს ასე ჩანს არამარტო დღევანდელი გადასახედიდან. არამედ გონიერი, შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსებისათვის მაშინაც აშკარა იყო. ყოველ შემთხვევაში; ამ საკითხზე დავა, დისკუსია, კამათი, ასე თუ ისე, დასაშვებია იყო. აქ, შეიძლებოდა, საერთო ენაც გამოენახათ. მაგრამ რა ენაზე უნდა ელაპარაკო იმათ, ვინც ტერიტორიის გართმევს და სხვა სახელმწიფოს უერთებს? სამხრეთ ოსეთის აჯანყების მესვეურები კი, როგორც ვნახეთ, სწორედ ასე იქცეოდნენ. მათ ყურად არ იღეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გა-

ფრთხილებები, არ შეასრულეს რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის მითითება აჯანყების შეწყვეტის შესახებ და ამით დიდი უბედურება დაატეხეს თავს თავიანთ ხალხს. ყოვლივე ეს უნდა გავითვალისწინოთ სამხრეთ ოსეთის აჯანყებისა და მისი შედეგების შეფასებისას. უნდა ვალიაოთ, რომ ეს აჯანყება არა თუ შეცდომა, არამედ ქართველი და ოსი ხალხების წინაშე ჩადენილი დიდი დანაშაულიც იყო, რომლისთვის პასუხისმგებლობა მთლიანად აჯანყების კომიტეტებს ეკისრებათ. ამ აჯანყებამ ქართველ ბოლშევიკებს გაურთულა საქმე. 7 მაისის ხელშეკრულების შემდეგ ქართველ ბოლშევიკებს ლეგალური მუშაობის საშუალება მიეცათ, მაგრამ სამხრეთ ოსეთის აჯანყებას მათი დევნა მოჰყვა. 1920 წლის 28 ივნისს ს. კიროვი სწერდა გ. ჩიჩერინს: „ძალიან მწვავედ დგას კომუნისტების საკითხი. მთელ საქართველოში დაპატიმრებები მიდის, რა თქმა უნდა, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, მაგრამ ფორმალურად სამხრეთ ოსეთის აჯანყებაში მონაწილეობას, ჯარებისადმი დაუმორჩილებლობის მოწოდებას აბრალებენ და ა. შ.“³⁰.

აჯანყების ხელმძღვანელთა ფანატიზმსა და ავანტიურზიმზე კიდევ უფრო კარგად მეტყველებს „მშრომელი სამხრეთ ოსეთის მემორანდუმი რევოლუციური მოძრაობის შესახებ“, რომელიც 1920 წლის 28 მაისს განიხილა და დაამტკიცა რკპ (ბ) სამხრეთ ოსეთის საოკრუგო ორგანიზაციის II კონფერენციამ (შეიკრიბა ქ. ვლადიკავკაში). მემორანდუმი ვ. სანაკოევის მიერ იყო დაწერილი. იგი გაუგზავნეს რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, სახალხო კომისართა საბჭოს, რკპ (ბ) ჩრდილოეთ ოსეთის სამხარეო კომიტეტს, კავკასიის ფრონტის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს, მე-10 არმიის პოლიტკომს და სარდალს.

რაზდენ კოზაევის მოგონებიდან:

«Я вместе с тов. Рамоновым выехал в Москву. Тов. Санакоев Лади вручил нам меморандум с письменным наказом: представить меморандум в ЦК РКП(б) и лично товарищу Ленину; твердо отстаивать, что Юго-Осетия — это неотделимая часть Советской России и ничего общего не имеет и не желает иметь с меньшевистской Грузией, ввиду чего необходимо ее немедленно занять Красной Армией, — согласно воле трудящихся Юго-Осетии, объявивших у себя Советскую власть... По мандату Юго-Осетинской партии-организации я получил делегатский билет от имени коммунистических организаций горцев Кавказа на Второй Конгресс Коминтерна... На четвертый или пятый день Конгресса... в момент перерыва я подал тов. Ленину записку — уделить мне две-три минуты. Тов. Ленин принял меня тотчас же... Я передал ему меморандум и кратко, как мог, рассказал о восстании в Юго-Осетии против гнета меньшевистской Грузии, зверских методах подавления ею восстания, а также о решении юго-осетинских трудящихся масс — присоединиться к Советской России. Выслушав ме-

³⁰ ციტირებულია ა. მენთაშვილის დასახ. სტატიის მიხედვით.

ня внимательно и прочитав меморандум, тов. Ленин сказал любезно: «Дорогой товарищ горец! Не волнуйтесь... Езжайте обратно. Южно-Осетинской боевой организации передайте мой привет». При этом он крепко пожал мне руку. Я поблагодарил его и ушел весьма обрадованным»³¹.

„მშრომელი სამხრეთ ოსეთის მემორანდუმში“ ვკითხულობთ: „ამჟამად ჩვენ უშუალოდ მოგვიახლოვდა ძღვევამოსილი წითელი არმია, რომელმაც დაიკავა მთელი თერგის ოლქი. მშრომელმა პროლეტარულმა და ნახევრადპროლეტარულმა სამხრეთ ოსეთმა, რომელიც ჩრდილოეთიდან მთლიან ტერიტორიად ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებს, აგრეთვე საბჭოთა თერგის ოლქს ეხება, პარტიის სამხარეო კომიტეტის დირექტივით 1920 წლის 23 მარტის საეჭურნალო დადგენილებით დაამხო ქართველი მენშევიკების საცოდავი ხელისუფლება, რომელიც ჩვენ ძალით გვექონდა თავს მოხვეული და ჩვენში მხოლოდ ზიზღს იწვევდა.

ვაგრძელებდით რა რევოლუციურ ბრძოლას, ჩვენ მივმართეთ ჩვენს ამხანაგებს, იმავე სამხარეო კომიტეტის წევრებს, მხარი დაეჭირათ დაწყებული აჯანყებისათვის სამხრეთ ოსეთში, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, სადაც გადატრიანებისათვის ყველაფერი არათუ მომწიფებული, არამედ გადამწიფებულიც კია. სამხარეო კომიტეტის წევრებმა რომლებიც ვლადიკავკაზში ჩავიდნენ, მოლაპარაკება განიზრახეს ამხანაგ ორჯონიკიძესთან, ჩვენ კი გარკვევით გვიპასუხეს, რომ საქართველოში აჯანყების მოწყობა აკრძალულია. სამხრეთ ოსეთში დაწყებული აჯანყება კი ლიკვიდირებული უნდა იქნეს, რომ ახლა უკვე აღიარებულია საქართველოს დამოუკიდებლობა, და მალე გვექნება „ჩვენნი“ ქართული კომუნისტური პარტია, რომელიც თვითონ მოაწყობს აჯანყებას და ა. შ. რა არის ეს? ვამცემლობა, შარლატანობა ან სიგჟე? ნუთუ კომუნისტები კონტრრევოლუციური საქართველოს მიმართ ის აღარ არიან, რაც ყოველთვის იყვნენ და უნდა იყვნენ. ჩვენ, როგორც კომუნისტებს, კარგად გვესმის, თუ რას ნიშნავს საბჭოთა რუსეთის მშვიდობა ისეთ კონტრრევოლუციურ კუთხეებთან, როგორცაა ესტონეთი, ლატვია, საქართველო და ა. შ. ეს არ ნიშნავს მათში რევოლუციური მოძრაობის შეჩერებას და მხარეებში არსებული კონტრრევოლუციური ხელისუფლების განმტკიცებისათვის ხელის შეწყობას. ცხადია, ჭეშმარიტ რევოლუციონერს ოფიციალურ ხელშეკრულებებში სტრიქონებს შორის კითხვაც უნდა შეეძლოს და ყველანაირად ყოველთვის კომუნისტების იდეების ერთგულ, რევოლუციონერ ბოლშევიკად უნდა რჩებოდეს. იმას, რაც სამხარეო კომიტეტის წევრებს სურთ გვიკარნახონ, ჩავაქროთ სამხრეთ ოსეთში დაწყებული ხანძარი, ჩვენ აღშფოთებით უარვყოფთ. ამგვარი რამ შეიძლება მოდიოდეს მხოლოდ ჟორდანის მთავრობის მომხრისაგან, ცრუსოციალისტებისაგან და ფსევდოკომუნისტებისაგან, მენშევიკთა ამ ნაფიცი ვეჭილებისაგან, ლიკვიდატორებისაგან. ჩვენი აჯანყების ლიკვიდაციას ამ მოტივით გვიჩვენებენ, რომ „ძლიერმა“ საქართველომ არ გაგვანადგუროს, რომ შეიძლება მენშევიკურმა საქართველომ ომი დაუწყოს ინგლისს, მაშინ კი სამხარეო კომიტეტის რეკეპტით — ჩვენ მოგვიწევს „მენშევიკთა გვერდით ვივოთ“, მაგრამ მენშევიკები არ ომობდნენ და არც იომებენ ინგლისელებთან. ჩვენ კარ-

³¹ Известия Ю.-Осетинского научно-исследовательского института краеведения, выпуск II, Сталинир, 1935, გვ. 119—120.

გად ვიცით, რომ საქართველოს მთავრობა ევედრება ინგლისის ჯარებს არ წავიდნენ საქართველოდან. ჩვენ აგრეთვე კარგად ვიცით, რომ ჟორდანია, ისევე როგორც ინგლისელი იმპერიალისტები, ერთნაირად სპობდნენ და სპობენ ბოლშევიკებს. მაშ, სადღა განსხვავება ორ კონტრარეველუციურ ძალას შორის. . . . მაგრამ დავდგეთ მენშევიკების გვერდით, როგორც ამას ჩვენი გუშინდელი ამხანაგები გვთავაზობენ, თანაც კონტრარეველუციონერი შოვინისტების მეთაურობისა და ხელისუფლების ქვეშ, ჩვენ არ შეგვიძლია. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ორგანიზებული რაზმები იბრძოდნენ ქართველი მენშევიკების ხელმძღვანელობით, რომლებიც არაფრით განსხვავდებიან ანტანტისაგან.

ვჩივებით რა ჩვენი რეველუციური მოვალეობისა და სინდისის ერთგული, ვაცხადებთ: ჩვენ არ შეგვიძლია ველოდოთ რაღაც ახალი სეპარატული ორგანიზაციების შექმნას; შეუძლებელია დაწყებულ წმინდა საქმე ჟორდანიასა და კომპანიის ინტერესებს შეეწიროს.

ჩვენ დავამხეთ ჩვენში მენშევიკთა ხელისუფლება და საბჭოების ხელისუფლება გამოვაცხადეთ. ჩვენ ვიმეორებთ და ვადასტურებთ მშრომელი სამხრეთი ოსეთის ურყევ ნებას, რომელიც ჯერ კიდევ 1918 წელს იქნა გამოთქმული:

1) სამხრეთ ოსეთი საბჭოთა რუსეთის განუყოფელი ნაწილია.

2) სამხრეთ ოსეთი საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში შედის პირდაპირ, საერთო საფუძველზე.

3) უშუალოდ საბჭოთა რუსეთში შესვლას საქართველოს ან სხვა რესპუბლიკის მეშვეობით, თუნდაც იგი საბჭოთა რესპუბლიკა იყოს, ჩვენ არავითარი სახით არ ვუშვებთ იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ წვრილი ეროვნული რესპუბლიკები, მაგალითად, ქართული, რომელიც თვითონ 60—70%-ით დასახლებულია სხვა ეროვნებებით — სომხებით, თათრებით, რუსებით, ებრაელებით, აფხაზებით, ოსებით და სხვა, თავისთავში ინარჩუნებენ ყველა მონაცემს; რათა მასში განვითარდეს ნაციონალიზმის ბუდეები, აქედან გამომდინარე დამლუპველი შედეგებით. მაგალითად, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკაზე მითითება (რომელიც თითქოს რუსი ხალხის და რუსეთის სახელითაა გამოცხადებული) უეჭველია, მიუღებელია, ამიერკავკასიის წვრილი რესპუბლიკებისათვის, მაგალითად, საქართველოსათვის, რადგანაც რუსეთის პროლეტარიატი მიელ მსოფლიოს აძლევს ტონს და რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკაში უშუალოდ შესვლა ფსიქოლოგიურად ახარებს და შთააგონებს თითოეული ერის მშრომელ ელემენტებს. ხოლო ისეთი რესპუბლიკების შემადგენლობაში შესვლას, როგორც საქართველო (თუნდაც იგი საბჭოთა იყოს) შეუძლია ფსიქოლოგიურად მოჰკლას თითოეული, ვინც ამ ერს არ ეკუთვნის და მენშევიკური სეპარატიზმის დანაშაულებრივ ტაქტიკას არ იზიარებს. ამ ჭეშმარიტებაზე თვალი არ უნდა დავხუჭოთ, ის, რასაც საქართველო ჰქვია, ჩვენი რწმენით უნდა შევიდეს საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში უშუალოდ, საერთო საფუძველზე, როგორც ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ნამდვილი რეველუციური კომუნისტები ქართველი ამხანაგებიდან, მშრომელთა წრიდან რომ არიან გამოსული, ამაში სოლიდარობას გავგიწევინ, ხოლო ისინი, ვინც ჩვენ სოლიდარობას არ გავგიწევს, კომუნისტი-სეპარატისტები, გუშინდელი მენშევიკები არიან და ჯერ კიდევ ვერ განკურნებულან ნაციონალიზმის სენისაგან. ეს გადაღებილი მენშევიკები ცენტრებში უნდა ვეძიოთ. ისინი იქ ჩასხდნენ და კომუნისტებს ეროვნულ

სეპარატიზმად აქცევენ და რევოლუციური მასების ნების ფალსიფიცირებას ახდენენ.

ჩვენ საკვებით ფხიზლად და მართებულად გვესმის საბჭოთა ხელისუფლების არსი და კონსტრუქცია, რომელიც ვისი სახელითაც არ უნდა იყოს გამოცხადებული, ყველგან და ყოველთვის კომუნისზმის დიადი იდეების გამტარებელი უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, მისწრაფებას, წვრილი სეპარატიული რესპუბლიკებისადმი ჩვენ არ ვესალმებით. სეპარატიზმი პლუსი კი არა, მინუსია საბჭოთა მშენებლობაში. ერთიანი რუსეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, როგორც ეტაპი მსოფლიო სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკისაყენ, ყველა ჰეშმარიტ, გონიერ კომუნისტს უნდა აკმაყოფილებდეს, თუ ის ნაციონალიზმის შავი ლაქით არ არის მოწამლული. ჩვენ მხარს ვუჭერთ და მივესალმებით საბჭოთა მშენებლობას ამ იდეალური მიმართულებით.

4) სამხრეთ ოსეთის ორგანიზაცია ისეთივე სახით რჩება, როგორც აქამდე იყო. რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) დროშის ქვეშ ჩვენ არ გვინდა ნაბიჯის უკან გადადგმა, პლიუსიდან მინუსისაკენ. არ გვინდა შესვლა სეპარატიულ ქართულ, ან სხვა რომელიმე კომუნისტურ პარტიაში.

ამჟამად ჩვენ მიტოვებული ვართ და ქართველ შოვინისტებთან ბრძოლაში სისხლისაგან ვიცლებით. ჩვენ მივმართავთ ამხანაგ კომუნისტებს და ძლევაში სილ წითელ არმიას დაგვეხმარონ, რათა მთელს ამიერკავკასიაში საბოლოოდ დაეამხოთ ყველა რანგის შოვინისტები და მენშევიკები და ყველგან აღვმართოთ კომუნისზმის წითელი დროშა. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი გამოწვედილი ხელი პარალიზებული არ იქნება და რუსი ამხანაგები დიდხანს არ დაგვტოვებენ ძმური დახმარების მოლოდინში.

ჩვენ ვესალმებით რუსეთის პროლეტარიატს, მათ ბელადებს — ამხ. ლენინს, ტროცკის, ჩიჩერინს და სხვებს, აგრეთვე წითელარმიელებს, რომელთაც ყველა ჩაგრულისათვის ხსნა მოაქვთ.

ძირს დანაშაულებრივი სეპარატიზმი. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციას და კომუნისზმის ზეამს³².

მემორანდუმი ხელს აწერდნენ რკპ (ბ) სამხრეთ ოსეთის საოკრუგო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. სანაკოევი, თავმჯდომარის ამხანაგი ს. გავლოევი, კომიტეტის წევრები: ა. პლიევი, ა. აბაევი, მდივანი ა. ჯათიევი, რკპ (ბ) სამხრეთ ოსეთის ორგანიზაციის 17 რაიონული კომიტეტის წარმომადგენლები.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ მემორანდუმი ვ. ი. ლენინს გადასცეს. მიიღო იგი გ. ჩიჩერინმაც. მკვლევარი ვ. ცხოვრებოვი აღნიშნავს, რომ მემორანდუმს ყურადღებით გასცნობია გ. ორჯონიკიძეც, რომელსაც ტექსტის არეებზე თავისი მინაწერები გაუკეთებია. მემორანდუმი დაცულია გ. ორჯონიკიძის პირად ფონდშიც, რომელიც სკკპ ცკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინისზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში (ფ. 85, აღწ. 18, საქ. 41, ფურც. 6—9) ინახება³³. მემორანდუმის ტექსტი ნაწილობრივ ავთანდილ მენთეშაშვილმა გააცნო გაზეთ „სახალხო განათლების“ მკითხველებს თავის ზემოდასახელებულ სტატიაში. უფრო ვრცლად (არა მთლიანად) გამოქვეყნებულია იგი ვ. ცხოვრებოვის ნარკვევში „ვლადიმერ სანაკოევი“³⁴.

³² ციტირებულია ა. მენთეშაშვილის დასახელებული სტატიადან.

³³ В. Д. Цховребов, Из истории Юго-Осетинской организации КП Грузии (1917—1925 гг.), Цхинвали, 1981, გვ. 54, 112.

³⁴ В. Д. Цховребов, Владимир Санакоев (биографические разыскания, Цхинвали, 1983, გვ. 119—129.

„მშრომელი სამხრეთ ოსეთის მემორანდუმი რევოლუციური მოძრაობის შესახებ“ ზუსტად ასახავს იმდროინდელ ადგილობრივ ოს (და არა მარტო ოს) ბოლშევიკ-ხელმძღვანელთა ფსევდო-რევოლუციურ განწყობილებებს, მათს მცდარ წარმოდგენებს ინტერნაციონალიზმზე, სეპარატიზმზე, ერთა თვითგამორკვევის უფლებებზე და ა. შ.

სწორად მიუთითებს ავთანდილ მენტეშაშვილი სამხრეთ ოსეთის აჯანყების მესვეურთა შეცდომებზე: მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის იდეების ყალბად გაგება, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების მცდარად დაპირისპირება თითოეული ერის თვითგამორკვევის, თვით სახელმწიფოებრივი გამოყოფისა და დამოუკიდებელი, თავისუფალი განვითარების იდეებისადმი, ყოველივე ამის შეინდებვა ფსევდო-რევოლუციური ლოზუნგებით, მოკლედთა კონკრეტულ-ისტორიული ვითარებისაგან მოწყვეტა, მარტოოდენ გარეშე სამხედრო ძალაზე იმედის დამყარება და ა. შ.²⁵ აქვე დავძენთ, რომ ეს შეცდომები სათავეებს თვით რკპ (ბ) პრაქტიკიდანაც იღებდა.

მემორანდუმში გულისწყრომაა გამოთქმული იმ რეპრესიების გამო, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ რომ მიმართა აჯანყებულთა წინააღმდეგ. აჯანყების მონაწილეთა არასახარბიელო მდგომარეობის შესახებ უკვე ითქვა. იგი, მართლაც, ძნელად დასაიწყებელია. მაგრამ ნუთუ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმის აღიარებას, რომ ეს რეპრესიები პასუხი იყო აჯანყებულთა იმჟამინდელ და აღრინდელ მოქმედებებზე. აჯანყების ხელმძღვანელებს ნუთუ თავიანთი დანაშაულიც არ უნდა დაენახათ ყოველივე ამაში. ეს აჯანყება ხომ თავიდანვე განწირული ავანტიურა იყო. რკპ (ბ) სამხრეთ ოსეთის საოკრუტო კომიტეტს ხომ არაერთგზის განუმარტეს ზემდგომმა პარტიულმა ისტანციებმა, აჯანყებას არავითარი პერსპექტივა არ აქვს, იგი უნდა შეწყვიტოთ, რადგან „უსუსტნი“ ხართ, „ძლიერი“ მოწინააღმდეგე დაგამარცხებთ, შექმნილ ვითარებაში ვერც ვერავინ დაგვხმარებათო. მემორანდუმის ავტორებმა (იმავე აჯანყების ხელმძღვანელებმა) კი პარტიული კოლეგების ამჯერად გონიერული რჩევა „გამცემლობად, შარლატანობად ან სიგიჟედ“ მონათლეს. მემორანდუმის ავტორებმა ამ დოკუმენტშიც განაცხადეს, სამხრეთ ოსეთი საბჭოთა რუსეთის განუყოფელი ნაწილიაო. კი მაგრამ რა უფლებით? სხვა რომ არაფერი ვთქვათ, იქაური, მკვიდრი ქართული მოსახლეობის აზრი აღარ აინტერესებდათ? კიდევ უფრო აღმაშფოთებელი და ქართველი ხალხის შეურაცხყოფელია მემორანდუმის ავტორთა შემდეგი განცხადება: „ის, რასაც საქართველო ჰქვია, ჩვენი რწმენით, უნდა შევიდეს საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში უშუალოდ, საერთო საფუძველზე, როგორც ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები“. ამასთან, „მშრომელი სამხრეთ ოსეთის“ ეს „უჩრევი ნება“, როგორც თვითონ მიუთითებენ, თურმე „ჯერ კიდევ 1918 წელს იქნა გამოთქმული“. 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა მემორანდუმის ავტორებს მიაჩნიათ დანაშაულებრივ სეპარატიზმად, საქართველოს ტერიტორიიდან სამხრეთ ოსეთის (შიდა ქართლის) „ჩამოჭრა“ და რუსეთთან შეერთება კი ეროვნული საკითხის სამართლიან გადაწყვეტად. ქართული მიწა-წყლის ეს ნაწილი მემორანდუმის ავტორებს რუსეთში სამხრეთ ოსეთსა სახელ-

35 იხ. ვან. „სახალხო განათლება“, 1989 წლის 20 დეკემბერი.

წოდებით შეჰყავთ, ხოლო „ის, რასაც საქართველო ჰქვია“ თბალისისა და ქუთაისის გუბერნიების სახით უნდა შევიდესო რუსეთში.

განვავრძოთ კიდევ? ისედაც ხომ ნათელია, რომ ასეთი ავანტიურისტული ლოზუნგებით აჯანყებულთა და სისხლისღვრის პირველდამწყებთა წინააღმდეგ რესპუბლიკის კანონიერი მთავრობა რეპრესიებს მიმართავდა. სამწუხაროა, რომ ამ აჯანყებას ორივე მხრიდან უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლიც მოჰყვა.

სამხრეთ ოსეთის 1920 წლის აჯანყების შეწყვეტა მიზანშეწონილად მიიჩნია რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმაც. 1920 წლის 7 ივლისს მან დაამტკიცა ინსტრუქცია, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო საბჭოთა რუსეთის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები კავკასიაში. ამ დოკუმენტში ეკითხულობთ: „...დაწყებული აჯანყება, მაგალითად, სამხრეთ ოსეთში უმტკივნეულოდ უნდა იქნეს ლიკვიდირებული“³⁶. 1920 წლის 19 ივლისს კი გ. ჩიჩერინი გ. ორჯონიკიძეს სწერდა: „საჭიროა ოსეთის აჯანყების უმტკივნეულოდ ლიკვიდაცია, კიროვის მხრივ დიპლომატიური ხელისშეწყობით მოსახლეობისათვის საქართველოს მთავრობისაგან მიღწეულ უნდა იქნას ამნისტია და დახმარება მათი დანგრეული სახლებისადასადგენად“³⁷.

მკითხველის ყურადღება გვირდა გავიამხვილით ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე. 1920 წლის 16 ივნისს რკპ (ბ) თერგის საოლქო ბიუროსა და რევკომის ორგანოში გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა მასალა „აჯანყება საქართველოში“, რომელშიც დადასტურებული იყო სამხრეთ ოსეთის აჯანყებაში რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მისი კავშიურის თანამონაწილეობა. ამ პუბლიკაციის გამო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ განმარტება მოსთხოვა რსფსრ მთავრობას. რსფსრ სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოში ს. კიროვი ამასთან დაკავშირებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ე. გეგეჭკორს ატყობინებდა: „ჩემს მიერ თქვენდამი უკვე მითითებული იყო, რომ რუსეთის კომუნისტურ პარტიას, მისი ცენტრალური კომიტეტისა და რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სახით, კავკასიაში გადაჭრით არავითარი ურთიერთობა არ ჰქონია და არც შეიძლება ჰქონოდა სამხრეთ ოსეთის აჯანყებასთან. იგივე უნდა ითქვას კავკასიის ფრონტის სარდლობაზე, ვინაიდან ჯერ კიდევ რუსეთსა და საქართველოს შორის ზავის ნორმალურ დადებამდე გაცემულ იქნა კატეგორიული ოპერატიული ბრძანება ყოველგვარი სამხედრო მოქმედება შეეწყვიტათ საქართველოს ჯარების წინააღმდეგ. შესაძლებელი სასაზღვრო გაუგებრობები კი მოლაპარაკებებით გადაეწყვიტათ. ამრიგად, რკპ თერგის საოლქო ბიუროსა და რევკომის ორგანოში 16 ივნისს გამოქვეყნებული შენიშვნა მხოლოდ რედაქტორს უნდა მიეწეროს.

ჩემს მიერ დამატებით მოკითხული ცნობებით აღმოჩნდა, რომ სკპ ცენტრალურმა კომიტეტმა არ იცის არავითარი სამხრეთ ოსეთის საოკრუგო კომიტეტი და, ვასაგებია, რომ თუ ასეთი ორგანიზაცია არსებობდა, მას მოქმედებისა და რკპ სახელით გამოსვლის უფლება არ ჰქონდა. შენიშვნის ეს ნაწილი, რომელიც უპასუხისმგებლო სფეროებიდანაა გამოსული, ირკვევა, რომ რედაქტორის მიერ იქნა გაშვებული დაუდევრობის მიზეზით. ამის შედეგად, რედაქ-

³⁶ ციტირებულია აკაკი ირემაძის წიგნიდან „განთიადის სათავეებთან“, თბ., 1984, გვ. 247.

³⁷ ციტირებულია ავთანდილ მენთეშაშვილის დასახელებული სტატიიდან.

ტორი მოხსნეს და კანონიერ პასუხისგებაში ეძლევა დაუდევრობისათვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

დარწმუნებული იყავით ჩემს სრულ პატივისცემაში. რსდსრ სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოში ს. კირიკი“³⁸.

როგორც ვხედავთ, სამხრეთ ოსეთის ამ ავანტიურისტულ საწყისებზე მოწყობილ აჯანყებას თვით კომუნისტური პარტია და საბჭოთა რუსეთის მთავრობაც გაემიჯნენ, რაც ერთობ ძნელი გასაგები აღმოჩნდა აჯანყების მომწყობთათვის.

ამრიგად, სამხრეთ ოსეთის 1918—1920 წლების აჯანყებები მიმართული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. მათს მიზანს შეადგენდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, სამხრეთ ოსეთის გამოყოფა საქართველოდან და საბჭოთა რუსეთთან შეერთება. ეროვნული მომენტი ამ აჯანყებათა ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ფაქტორია (ამ თეზას სოციალ-დემოკრატი-მენშევიკთა ზოგიერთი წარმომადგენელი მაშინ საკამათოდ ხდიდა).

ისიც უუჭველია, რომ ამ აჯანყებების გამომწვევ მიზეზთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა კლასობრივ-იდეოლოგიურ, სოციალურ ფაქტორებსაც. საქმე ის არის, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თავისი ხანმოკლე არსებობის მეტად რთულ საშინაო და საგარეო პირობებში, ბუნებრივია, ვერ მოასწრო საჭირობოტო სოციალური პრობლემების საბოლოოდ გადაჭრა. ეს მოსახლეობის გარკვეული ფენების უკმაყოფილებას იწვევდა, რასაც წინააღმდეგობა იყენებდნენ მთავრობის მოწინააღმდეგე პოლიტიკური ძალები, უწინარეს ყოვლისა, ბოლშევიკები, რომლებიც მომხიბვლელი ლოზუნგების მეშვეობით ახერხებდნენ უკმაყოფილო გლეხთა ნაწილის თავიანთ მხარეზე გადაბირებას და მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობაში ჩაბმას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ასე ხდებოდა არა მარტო, ვთქვათ, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებშიც: რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში, დუშეთში და სხვ. საქართველოს მთავრობა რეპრესიებს მიმართავდა ქართველ აჯანყებულთა წინააღმდეგაც.



აქვე მკითხველს დანართის სახით ვთავაზობთ რამდენიმე დამახასიათებელ მასალას 1918 წელს ქართულ პრესაში გამოქვეყნებული ზოგიერთი სტატიიდან, რომლებიც, ვფიქრობთ, დაეხმარება მას სამხრეთ ოსეთის აჯანყების ხასიათის გარკვევაში.

გაზეთი „საქართველო“. 1918 წლის 23 მარტი. შ. ამირაჯიბის სტატიიდან „ცხინვალის ფრონტი“.

...ჩვენს ხელმძღვანელი წრეები ჯერ კიდევ ანგარიშს არ უწევენ იმ მთავარ მოვლენას, რომელმაც რევოლუციის ხაზი მოზნიქა ჩვენში და სხვა მიმართულება მისცა მას. არ უწევენ ანგარიშს იმას, რომ კავკასიაში უკვე მოხდა კოლიზია რევოლუციონური სულისკვეთებისა და დროშა რევოლუციისა ის აღარ არის უკვე, რომელსაც მივდევდით ჩვენ რევოლუციის პირველ ნახევარში. მთელი ტრალედია ქართველი დემოკრატიისა იმაში გამოიხატება, რომ იმ დროს, როცა ქართველი დემოკრატია ისევ სოციალური რეფორმების და დემოკრატიზმის ნიადაგზე სდგას, სხვა დანარჩენი ერები კავკასიისა ნაციონალურ პოლიტიკას აწარმოებენ. ასეთია მდგომარეობა ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში და ასეთი სურათი იშლება დღეს საქართველოშიც. ის, რაც მოხდა თათარ-სომეხთა შორის, უნდა მომხდარიყო საქართველოშიც — ამის მაჩვენებელია სწორედ ცხინვალის ამბებიც. შეეძლო განა ოსობას, მომწყვდევულს საქართველოს ჩრდილოეთ მდლობზე, ადრე თუ გვიან არ გაეზიარებინა ის გეზი პოლიტიკისა,

³⁸ ციტირებულია ა. მენთეშაშვილის დასახელებული სტატიიდან. — გაზ. „სახალხო განათლება“, 1989 წლის 20 დეკემბერი.



რომელშიც იზიარებენ დღეს ყველა ერები ჩვენში, გარდა ქართველებსა, პოლიტიკა წააღეს. აი, რა არის დღევანდელი ლოზუნგი და ოსებმაც აშკარად განაცხადეს: ცხინვალის ჩვენია, საქართველოს მალღობი — ოსეთია... თვით ჩვენ დროშიც, რევოლუციისა და ერთა თვითგამორკვევის ხანაში, ეს იდეა ავაზაკურ იდეათ დარჩება. ჩაუფიქრდით ამ იდეის ბუნებას. ჩვენ არ ვიცით საქართველო უფრო ქართული, ვიდრე ის ადგილი საქართველოსა, სადაც ამჟამად ოსები სტოვდნენ. ეს არის ზურგი საქართველოსი, მისი ხერხემალი... ჩვენ გვსმენია მრავალი პოლიტიკური ფანტაზია, მაგრამ ოსეთის სახელმწიფო საქართველოში — არა. მაგრამ ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ასეთი სტრატეგია ძირიანად შეცვლილი არ არის დღეს ოსებში და ისინი საფუძვლიანად არ ისწავიან თავიანთი „ოსელების“ განხორციელებას. დღეს უკვე აშკარად ლაპარაკობენ, რომ მთელ ამ სამწუხარო ისტორიას დიდი კავშირი აქვს ჩრდილოეთ-კავკასიის უკანასკნელ დროის ამბებთან და, შესაძლებელია, პოლიტიკური იდეების ტვირთი, რომლის ზიდეა მას არ შეუძლიან. სულ სხვა გარეშე ძალამ აკვიდა ისობას. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროს, როდესაც სცდებიან და ავანტურაში ებმებიან არა მარტო ცალკე პირნი, არამედ მთელი ერებიც. შესაძლებელია უკუღმართი და პატარა ერს ადვილად მოეჩვენა ამ ტვირთის ზოდვა და ჩაება ავანტურაში. თუ არაფერი გამოვიდა და დამარცხდით, ჩვენ დავგვიჩიან როგორც უბრალო დამნაშავეთ, თუ გამოვიდა — გაუმარჯოს თავისუფალ ოსეთს! აი, როგორ მსჯელობენ, ალბათ, ოსის „პოლიტიკოსნი“. მაგრამ ცხინვალის ამბები საშიში მოჩვენება საქართველოს მომავლისათვის და საქირთა არა მარტო მისი სასწრაფო ლიკვიდაცაა, არამედ სიმკაცრეც, რომ იგი არ განმეორდეს“.

გაზეთი „საქართველო“. 1918 წლის 24 მარტი. სტატიიდან „ცხინვალის ამბები და მთავრობის გამჭრიახობა“ (სტატია ხელმოუწერელია):

„...საქართველოს შუა გულში მოკალათებული, საქართველოს მიწა-წყალზე დასახლებული ოსობა რევოლუციის დასაწყისიდანვე სცილობდა საქართველოდან დამოუკიდებელი „ოსეთის“ შექმნას და ჩრდილოეთის ოსეთის შეერთებას. სხვის მიწა-წყალზე საკუთარი სახელმწიფოს დაარსება ჰქონდათ განძრახული. თავისთვის მოიწყვეს მილიციები, კომისარიატები და ყოველივე მართვა-გამგეობა, ჯარი და ეროვნული საბჭო. ესაა, როცა საქართველოს მფლობელობა გართულდა და მას ყოველ მხრიდან მტერი ერტყმის, ოსებმა დრო იხელეთეს და ჩრდილოეთის ოსების შემწეობით და ბოლშევიკების ფულით ქართველ ერს ომი გამოუცხადეს, რომ დაიუფლონ და დაიმკვიდრონ ცხინვალის და ყველა ის კუთხეები, სადაც ოსების მოსახლეობა არის გარეული ქართველობაში. მაგრამ ჩვენი მთავრობისა და ბოლშევიკ სალდათების პარტიის ბელადებისათვის შემამულეთა წინააღმდეგ ამბოხებისა და სოლშევიკ სალდათების აჯანყების გარდა არა არსებობს რა, აქედან ცხადია, როგორი იქნება მთავრობის პოლიტიკა ცხინვალის აჯანყების შესახებ. დამარცხებული ოსები ამერ-კავკასიის მთავრობას დაემორჩილებიან, მათ მიტინგებს გაუმართავენ და მეთაურებს დარიგებებს მისცემენ. ოსება კი განაგრძობენ თავის ეროვნული მიზნების განხორციელებას — საქართველოში „დამოუკიდებელი ოსეთის“ აშენებას. საქართველოს საუკეთესო მიწები მათ მუქათთ ეძლევათ. ქართველ ხალხს არც ერთს კუთხეში არ ხვდება იმდენი საუკეთესო მიწები, რამდენიც მათ უჭირავთ, მაგრამ მათ ესცდ არ აკმაყოფილებს და არც არის გასაკვირველი, რომ უპატრონი ქვეყანას ასე თავხედურად ეპატრონებიან“.

გაზეთი „ერთობა“. 1918 წლის 24 მარტი. ცხინვალის ამბების თვითმხილველის კირილე ნინიძის (ამერ-კავკასიის სიმიის წევრ გიორგი გაგლოვეთან ერთად არეულობის დროს ცხინვალში იმყოფებოდა) სტატიიდან „არეულობა ცხინვალის რაიონში“:

„...2. სა და რ ა ქ ო ს რ თ ა ნ. ტყვიანობა და განსაკუთრებით ტირანისში, შეიარაღებული ჯარისკაცები დაგვხდნენ. ისე დადიოდნენ ხიშტიანი თოფებით, გეგობოლათ საომრათ ამირებენ წასვლას. ტირანისში (ცხინვალამდე 7 ვერსია) გეობრებს: ცხინვალს გასაჭირი სდგომია, შეგიძლია ასი შეიარაღებული კაცი გავატანოთ საშველათო. ჩვენ მალღობა გადავუხადეთ და გზას გავუღებთ. ის იყო სამი ვერსით დაუახლოვებით ცხინვალს, რომ იმ ადგილას, სადაც მატურებია, შეიარაღებული ჯარისკაცები დავინახეთ საფრებში ჩაშლანდარი, საფრადიანი სალდათი გამოხტა, გაგაჩერეს და ბოდიშის მოხლით გაგეგნობეს. ერთმა განხტა გეობოვა და გაგლოვემაც „საქართველო“ დაუტოვა, დიძრა თუ არა ფაიტონი, იქვე ახლო განგრებოდან სხვა სალდათები გამოვიდნენ და იმათაც გაგაჩერეს. ჯერ იმათაც ბოდიშის მოხლით დაგვეწყეს ჩხრეკა, მაგრამ მალე კიდევ გაჩნდა ორა სალდათი (როგორც ლაპარაკე შევატყვი, ოსები უნდა ყოფილიყვნენ) და ჩვენს კეთილ განწყობილებაში სრული დიონანის შეიტანა. რატომღაც მე არ მოვეწონეთ და თითის დაქნევით ფაიტონიდან ჩამოსვლა მიბრძანეს. საბჭურადაც ბოროტი განზრახვა ეხატებოდა. გაგლოვემა მიინდომა საქმის გამოკეთება და სემიის-

წევრობის მოწმობა ამოიღო. ამან ცეცხლზე ნათი გადასხა, ის ნახანებში გადაიყენეს, ჯაშუში ყოფილხარო, უთხრეს და შემდეგ მეც ჩამომბარბანეს ფატიჩინიდან, ისინი ოსურათ-ლაპარაკობდნენ და ვაგლოვის სახეზე ამოვიციხებ, რომ ჩვენი დახერხება უნდოდათ. დიპლომატიკა საჭირო აღარ იყო და მე პირდაპირ ვკითხე ვაგლოვს მგონი მოკლას გვიპირებენ-ზეთია, რაც მან თავს დაქვეით დადასტურა, ჩვენ მათ „რეჩით“ მივმარჯუთ, ავუხსენით, რომ ჩვენი მოკლვა არ არის ვაჭაკობა და სხვა ასეთები. ჯერ უკან მოაბრუნეს ფატიჩონი, მაგრამ შემდეგ უკან დაბრუნებაც აფვირებალეს. გვეუბნებოდნენ: რისი გემუნიათ, ჩვენ არ მოგვლავთ, მხოლოდ სოფელში ჩავიყვანათო. ცხინვალში მიინც რა გინდათ, იმათთან ჩვენ ბრძოლა გვაქვს, დღეს საღამოს შევადო და ყველას ამოვხოცავთ და ვერც თქვენ გადარჩებითო. რაკა ბრძოლის მიზანი გამოვიკითხეთ, გვითხრეს თავადები და წითელი გვარდია შეერთდენ და ხალხს ებრძვიანო (ხაზგასმა ჩვენია — ლ. თ.). ცხადია, ჩვენ გორში დაბრუნება ვარჩიეთ, მაგრამ ისინი სოფელში გვეპატრებოდნენ. ბოლოს ორმა სალდათმა „გვიხსნა“ — ერთი ოსი იყო და ერთიც ქართველი — იმათი რჩევით ცხინვალში წასვლის ნება მოგვცეს, ის იყო აღვიღოვან დავიძიართ, რომ ერთმა სალდათმა ჩვენი თვალის წინ გადასჭრა ტელეგრაფის მავთული. აშკარათ ვიგრძენით, რომ გაღიაში მივდიოდით, მაგრამ სხვა გზა არ იყო: სალდათებთან „სტუმრათ“ ყოფნას, ისევე ჩვენს ამხანაგებთან სიკვდილი გვეჩრია და ცხინვალში შევედიო“.

„3. მიტინგზე. პირდაპირ მიტინგზე გავეშურეთ. ხუთი საათი იქნებოდა, ის იყო მანაბლო რეზიუმეს უკეთესად სხვების ნაღამარაყვეს, უკანასკნელი სიტყვა მე მეცუთენისოთ თქვა. მეტი არ იქნება ამ სახალხო გმირის სიტყვების მოყვანა. „ამხანაგებო“, თქვა მან: 1905-ში გადაწყვეტილი მქონდა სიკვდილი და შემთხვევამ სიცოცხლე მარჩია. მას შემდეგ ჩემი სიცოცხლე ერთგვარი საჩუქარია. მე სიკვდილის არ მეშინია, მაგრამ მომეცით ნება იქ მოვეკლე, სადაც ეს საჭიროა, გამიშვით ისევე აწყურის პოსტზე, რაც შეეხება თქვენს მოთხოვნებს — მიმართა მან დედეგატებს — იმას ჩვენ საყვებით ვღებულობთ. აი, ეს მოთხოვნები: თქვენ ითხოვდით გორის მახრიდან თავდაზნაურების გაძევებას, მაგრამ შემდეგ ჩვენ დავეთანხმეთ ერთმანეთს, რომ ასეთ დადგენილებებისათვის ქვეყანა სასაცილოთ ავიღებოდა. ეს კითხვა ხომ მოგხსენით. მართალია, მართალია შესძახეს აქეთ-იქიდან. მეორე თქვენს მოთხოვნა — ხატიროვის და სხვების განთავისუფლება — ენეც ავიღო საქმეა, მესამეა — ყაზიშვილის, იღ. მისხარაძის, გოგინოვის და კიდევ ერთის აქედან წაყვანა — ამასაც ვასრულებთ, რაც შეეხება იმას, რომ სიტყვის თავისუფლებას, იარაღის გადაცემას აღმასრულებელი კომიტეტების განჯარვულებათ — ეს ხომ ჩვენი დიდი ხნის სურვილიაო. მოკლე სიტყვით მიმართა დამსწრეთ გიორგი ვაგლოვებმა. თუცა კამათი შეწყვეტილი იყო და სიტყვა მომცეს მე, როგორც მუშათა ცენტრის წევრს, მაგრამ ტრიბუნაზე აიჭრა რაიონის კომისარო კულუმბეგოვი და გაცხარებით წარმოთქვა: კმარა ლამაზი სიტყვები და დაპირებები, საქმე ასრულებათო. ყველაფერი აირია. ავიდოდა და დავიწყე ლაპარაკი, მინდოდა მდგომარეობა გამომეცეთებია, მაგრამ მოლოდენლათ გორაკებთან თოვლების სროლა ასტყდა და ხალხი დაიფანტა. უცებ მომაგონდა სალდათების ნათქვამი, ცხინვალში მივალ და ყველას ამოვხოცავთო, დავუბრძობაოვ იმას მავთულის გადაჭრა, ახირებული მოთხოვნილებები და მთავრობის წარმომადგენლის კომისარ კულუმბეგოვის სიტყვები და საბოლოოთ დავრწმუნდი: რა ოსტატურათ გაებათ ვიღაცებს პროვოკაციის ქსელი, რომლის ნაყოფიც მალე ვიგეგმეთ“.

„...გადავწყვიტეთ ტყვეების დათხოვა, რომ ვაგვეგო, რა ხალხი გვებრძოდა. რასაკვირველია, მტერი სიმართლეს არ გვეტყოდა, მაგრამ მაინც ბევრი რამ ვაფიგეთ. დაჭერილებმა არაფერი იცოდნენ იმ მოთხოვნილებების, რომელსაც ზემოთ ვავეყვანით. დაჭერილების უმრავლესობას ოსები შეადგენდნენ, მაგრამ იყვნენ ქართველებიც. ხელმძღვანელობდა ვანშე ხასიევი, სამხედრო პირი, მოსულები იყვნენ შორეულ სოფლებიდან. ზოგიერთის თქვამით ცხინვალს თათრები შემოვიხინ და საჭიროა დაცვაო, ზოგი კი თავადების და გვარდიელების წინააღმდეგ საბრძოლველათ წამოსულიყო. რა აზრისაც არ უნდა ვიყოთ ამათ ჩვენებას შესახებ, ერთი რამ უცილობო იყო: გვებრძოდნენ და არაფერი იცოდნენ იმ მოთხოვნილების შესახებ, რომელიც დღეგატებმა წამოგვიყენეს“ (ხაზგასმა ჩვენია — ლ. თ.).

„8. ოსი შავლეც. სამისნაგეარზე იძულებული ვავხდით ჩვენი შტაბი მიგვეტოვებია ერთი სომხის სახლში გადავსულიყავით... მალე სროლა აუტუნეს ჩვენი სადგომის ზედასართულს. სროლის შემდეგ ალაყაფის კარებს მოადგენ და ჩვენც იძულებული ვიყავით მივგებებოდით. ჩვენი დანახვა და „დავხვრიტოთ“ ერთა იყო... მაგრამ ჩვენს ვაგვირებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ერთი ხნიშნული სალდათი მოიჭრა ჩვენთან და ჩემი გვარო ახსნა. ეს იყო ოსი შავლეც კოყავი. ერთხელ შენ დადამარჩინე, ახლა მე უნდა გადავარჩინო. ამ თოხი წლის უკან სასამართლოში 102 მუხლით ასამართლებდნენ, მე მისი უფასო დამცველი ვიყავი



და, უშველოს ღმერთმა, სამხედრო სასამართლომ ის გაამართლა. აი ამ შავლევამ გადაგვიჩინა დახვრეტას ხუთი კაცი. ძალიან გავგებხარდა ასე ადვილად ვადარჩინა, მაგრამ ისევ შავლევამ დაგვაშწარა სიხარული: ჩვენს შეკითხვაზე, თუ რათ იღეს იარაღი, შავლევამ აგვიხსნა: რა გქნათ, თავადები და წითელი გეგარდია გვებრძვიანო» (ხაზგასმით ჩვენია — ლ. თ.).

9. მოქალაქენი. როგორია მოქალაქეთა სულიერი განწყობალება. ჩემს დღეში ისეთი სიძულელი არ მობრძენია აღმამინასადმი, როგორც ამ დღეებში ვიგრძენი. როცა ჯარისკაცები მოქალაქეთა ქონებას ეზიდებოდნენ, როცა ერთ სახლს ცეცხლა წუთკალეს და ცხინვალს გადაბუგვა მოელოდა — აუტანელი იყო მათი მდგომარეობა, მაგრამ ჩვენ რას ვეგრძობდნენ: წყველა-კრულით გვეგებებოდნენ ქუჩებში. ენა გაუხმეს იმას, ვინც პირველად თავისუფლებაზე დაიწყო ლაპარაკით. ეს ჩვენ გეგებოდა. და ამავე დროს ერთი ომი ამოღებული ხანჯლით მოგვეგებოდა უკან. საქმით იყო ხანჯალი დაერთვა, რომ სხვა ჯარისკაცები მოშველებოდნენ. მაგრამ ამ შავლევამ თოფის კონდახით გამოუღდა ბრბო, ვაგანბა, ხანჯლიანა ისიც მოგვაშორა და ერთ ქოხში მიგვიყვანა ლიხევის პირათ... ჭერ კიდევ არ ბნელოდა, როცა გამოვედით. ჯარისკაცები ნატატებ ნიეთებს ეზიდებოდნენ იქით-აქეთ...»

12 ჩვენი ნაციონალისტები. ჩვენი ნაციონალისტები გადაკრილათ აცხადებენ ცხინვალის ამბებს ისე როგორც მოძრაობისათვის აქვს კავშირი. ჩემს ფაქტით ეს შეცდომაა. ოსი ნაციონალისტები რომ მუშაობენ, ეს ცხადია, მაგრამ ხალხი აქ არაფერ შუაშია. იმდენათ ძლიერია ოსებში ინტერნაციონალიზმი, რომ „აჯანყებულებმა“ ცხინვალის დაპყრობის შემდეგ მეთაურთა სოციალ-დემოკრატი აირჩიეს. დეე მართო სახელს ატარებდეს ის სოციალ-დემოკრატი — ეს სულერთია. ოსების მსასს, სხვას რომ თავი დაენებნათ, კარგათ ესმის, რომ ქართველებთან ომით მას ხეირი არ დაეყრება. არ გრძნობენ მხოლოდ ოსი ნაციონალისტები. ეს არც ვასკვირია, როცა ოსებში ჭერ კიდევ ძლიერი გავლენა არ ყოფილა სტრატეგიების და მთავრობის მანქანისთვის. მიანც საინტერესოა, როგორ მოახერხეს ნაციონალისტებმა ამოღენა ხალხის ამორაგება. საქმთა თვალს ვადავალოთ დამცემთა შემადგენლობას: მათში ოსებზე არიან და ქართველებიც და თუ ოსობა სუარბობს, მხოლოდ იმითმ, რომ ამ რაიონში თითქმის მართო ოსობა ბინადრობს. და როგორც ოსები, ისე ქართველები ფრონტთან მოსული ჯარისკაცებია, რომელნიც „ბალშევიზმის“ ძლიერ გავლენის ქვეშ იმყოფებანი. მოკლეთ, რომ ვთქვათ — ცხინვალის აჯანყება — ეს არის ოსი ნაციონალისტების და გახულოვნებული ჯარისკაცების შეერთებული გამოლაშქრება რევოლუციის წინააღმდეგ. ჩვენ საქმე გვაქვს აშკარა კონტრარევოლუციურ გამოლაშქრებასთან და ეს კარგად უნდა დაიხსნაოთ».

გაზეთი „ერთობა“. 1918 წლის 25 მარტი. სტატიიდან „ოს ინტელიგენცთა საყურადღებოდ (ცხინვალის ამბების გამო)“ (სტატია ხელმოუწერელია):

ჩვენი წინაგაძრობა ასრულდა. ცხინვალის ამბები ნაციონალისტებმა თავისებურად გამოიყენეს. ამბობენ ეს ოსეთის აჯანყებააო. ზოგიერთების ფანტაზია ისე შორს წავიდა, რომ ცხინვალის ამბებში თერგის ოლქის და ადგილობრივი ოსების შეერთებული მოქმედება დინახეს, ასტეხეს განგაში: ოსებს ცალკე ერთეულის შექმნა სურთ, ბარში ჩამოსვლა გააუქმებენ და ქართველების მთაში გარეკვას ცდილობენო.

პირველ რიგში, რასაკვირველია, ჩვენებურ ყოფილ თავად-აზნაურთა დამცველი ორგანოები ჩადგენ. „საქართველო“, „ეოზროედენიე“, ჩვენი რესპუბლიკა“ ერთმანეთს ეკობრებთან შეუმომწყებელ ცნობების ბუქდავაში და სენსაციური აზრების გამოთქმაში. ყოველი რიგვანი აღამიანი, მით უმეტეს გაზეთი, უნდა ცდილობდეს ამ საერთო არეულ-დარევის დროს ქუშმარტების ძიების გზას არ ასცდეს და არ გაავრცელოს ისეთი ზმები და აზრები, რომელსაც მდგომარეობის გამწვავება შეუძლია, აღნიშნული გაზეთები კი თითქმის განზრახ ხუჭვენ თვალს სინამდვილეზე და საკუთარი ღვარძლიანი გულისნადები სიმართლეთ გამოაქვთ...»

„ცხინვალის მოძრაობა დიდს საფრთხეს წარმოადგენს რევოლუციისათვის და ამიტომ არის, რომ წითელი გეგარდია ასე თავგანწირულად იბრძვის მის ჩასაქრობათ, კერძოდ, ჩვენმა პარტიამ თავისი საუკეთესო წევრები შესწირა მის ლიკვიდაციას. დამნაშავენი უნდა აღმოჩნდნენ იქნან და სასტიკათ დაისჯონ. დამნაშავეთა რიცხვში უმეტესია, პირველ ადგილს დაიჭიერენ ოსი ნაციონალისტები: ისინი ანდერგვეენ წყალს, ისინი სთესვენ შურსა და მტრობას ორ მეზობელ ერის შორის. ეს დღეს ცხადია. მაგრამ არანაყლები სისასტიკით უნდა იქნან დასჯილნი ჩვენი ნაციონალისტებიც, ისინი ცდილობენ ქართველ ხალხს თვალბრუნ აუხვიონ და მძათა სისხლს დაანთხევიონ. ასე რომ არ იყოთ საიდან გავო „საქართველომ“, ვითომ ოსობა სამკვერო-სასიცოცხლო ომს უცხადებდეს ქართველობას. ჩვენ ვიცით, რომ ნაციონალისტების საღაროში არ მოიპოვება არც ერთი დამამტკიცებელი საბუთი. სამაგიერათ ისინი ორ დიდ

ტყუილს ავრცელებენ. ტყუილია, ის, ვითომ გორის მპრის ოსობა ჩრდილოეთ კავკასიის ოსობასთან შეერთებას და საქართველოს წინააღმდეგ გამოლაშქრებას ცდილობდეს. ოსთა ყრილობამ და საზოგადოთ ოს გლეხობის მოქმედებამ საკმაო დაგვიმტყიცა ეს. ტყუილი და საშიშრონი პროვოკაციაა ავრთვე ის, ვითომ ოსთაგან ბევრს 100—120 დესეტენა საუკეთესო მიწა ქონდეს, უმრავლესობა კი 30—40 დესეტენა. პირიქით, ოსობის უმრავლესობას სწორეთ უმიწობა ახრჩობს და ამიტომ შეიძლება ვთქვათ ექნეს ოს ნაციონალისტების მოწოდებას ბარში შესვლისა და იქიდან ქართველების გარეკისადმი. ეს, რასაკვირველია, ფუჭი და მკენე ოცნებაა: არავითარ ძალას არ შეუძლია ბარში მოსახლე ქართველების აყრა, როგორც შეუძლებელია ოსების აყრა და სხვაგან გადასახლება. დემოკრატია შესძლებს ახალი მიწის კანონი ცხოვრებაში გაატაროს და ამ კანონის ძალით განსახლებულ ტერიტორიაზე მცხოვრები თანასწორათ იქნება დაკმაყოფილებული მიწით მიუხედავად იმისა ოსი იქნება ის თუ ქართველი, რესი თუ სომეხი.

ნაციონალისტი ყველგან ნაციონალისტია: ოს ნაციონალისტებს სურთ ცხინვალის რაიონიდან ქართველების გარეკვა, როგორც ქართველი ნაციონალისტები ოცნებობენ საქართველოს საზღვრებიდან ოსების გარეკვას. ისინი ანგარიშს არ უწყევენ სინამდვილეს. მაგრამ ხალხი ბრავი არ არის. მას აქვს საღი ალლო, ის ინსტიქტით გრძნობს, რომ ნაციონალისტების ავანტიურა დამღუპველია. ამიტომ ჩვენ ეჭვი არ შეგვაქვს იმაში, რომ ოსობა, როგორც ხალხი ცხინვალის არეულობაში მონაწილეობას არ იღებს. აქ, როგორც ვთქვით, მოქმედებენ გახულიანებული ჯარისკაცები და ოსი ნაციონალისტები. შესაძლებელია ქართველი ნაციონალისტებიც არ აკლებდენ ხელს, მაგრამ ამის შესახებ ჭრჭერობით ცნობები არ მოგვეპოვება.

ასეთ მდგომარეობიდან გამომდინარეობს ჩვენი მოქმედების ხაზი. მთელი ჩვენი პარტიული ძალები უნდა ავაშუშნათ, ყველგან მიტინგები და კრებები უნდა გავმართოთ და ხალხს საქმის მდგომარეობა აეუხსნათ. ამას გარდა ენერგიულთ უნდა შევედგეთ საჭირო რეფორმების ვანზორციელებას. ეს არის თავი და თავი და არა რეპრესიები, როგორც ჩვენი ნაციონალისტები ფიქრობენ. რასაკვირველია, ვერც რეპრესიებზე ავიღებთ ხელს. მაგრამ რეპრესიები მიმართული უნდა იყოს არა ხალხის წინააღმდეგ, არამედ საზოგადოების იმ ნაწილების, რომელნიც ცხოვრების არეუ-ღარევის უწყობენ ხელს... უნდა დატყვევებულ და დასჯილ იქნან ის ნაციონალისტები, რომელნიც საქმეს რევენ. ასეთი ზომების მიღება საჭიროა როგორც ოსების, ისე ქართველების სოფლებში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ოსებში მუშაობა გაცილებით უფრო ძნელია, ვინემ ქართულ სოფლებში. ოსებს თითქმის არა ყავს ინტერნაციონალური ინტელიგენცია. ოსების სოფლებში ყოფილი სტრაჟნიკები და მფარობის ნამამსახლისრები ითვლებიან პირველ კაცებათ.

ამიტომ საჭიროა ენერგიული მუშაობა აწარმოვოს ინტელიგენტების იმ მცირე ჯგუფმა, რომელიც დღეს არსებობს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სულაც არ არის საჭირო პაციალისტობა იმისათვის, რომ ყალბ გზას ავსცდეთ. ოსის ინტელიგენტებმა უნდა შეიგნონ, რომ ოსების და ქართველების დაპირდაპირება საფრთხეს წარმოადგენს ქართველობისათვისაც, მაგრამ ოსობისათვის პირდაპირ დამღუპველი იქნება. ამიტომ მხოლოდ ნასტრაჟნიკები და აშკარა პროვოკატორები თუ იცდებიან დღევანდელ პირობებში ოსობაში არეულობას მოხელენს. ყველა შეგნებული და პატიოსანი ოსი ვალდებულია უთხრას ხალხს სიმართლე და ექსცესებში არ ჩააბას ის“.

გაზეთი „რევოლუციური ნობათი“. 1918 წლის 27 მარტი:
„სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოსავან“.

„ცხინვალში მომხდარ ამბების გამო საზოგადოებაში დადის სხვადასხვა ყალბი ხმები. ამ ხმების მიხედვით ცხინვალის ამბებში ვითომცდა დამნაშავე არიან მხოლოდ ოსები, და ვითომც მოძრაობას აქვს ეროვნული ხასიათი. სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო სთვლის თავის მოვალეობათ აუწყოს საზოგადოებას, რომ იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც მას ხელთ აქვს, ცხინვალის ამბების გაშუქება სრულებით არ შესაბამება სინამდვილეს და რომ ის არ მომხდარა ეროვნულ ნიადაგზე.“

ამ მოძრაობაში, რომელიც დაიწყო ქართული სოფლიდან, ერედვიდან, მონაწილეობას იღებენ ფრანტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები. როგორც ოსები, ისე ქართველებიც და ისინი მოქმედობენ შეთანხმებულთ ადგილობრივი მემამულეების და მოთაგობის აგენტების წინააღმდეგ და თუ ოსები რიცხვით სჭარბობენ ქართველებს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ რაიონში მოსახლეობენ უმთავრესათ ოსები.

სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო სიამოვნებით ყოველთვის აღნაშნავდა ორი ხალხის ოსების და ქართველების მშერ განწყობილებას, რომელიც არ დარღვეულა მრავალ ხნობის

განმავლობაში და თუ ცხინვალის ამბებს სხვანაირათ აშუქებენ ამის წინააღმდეგ სამხრეთ ოსების ეროვნული საბჭო აცხადებს პროტესტს.

ს ა მ ხ რ ე თ ო ს ე თ ი ს ე რ ო ვ ე ნ უ ლ ი ს ა ბ ჯ ო ა .

გაზეთი „ერთობა“. 1918 წლის 28 მარტი. სტატიიდან „ცხინვალის ამბები“ (სტატია ხელმოწერულია):

„გუშინ, 27 მარტს, გორიდან დაბრუნდა ცხინვალის ამბების გასაცნობათ წასული კირილე ნინიძე, რომელმაც შემდეგი გვიამბო: ...მოძრაობის ხასიათი ჯერ სავსებით არ არის გამოკვლეული, მაგრამ ერთი რამ დღესვე ცხადია: ცხინვალის ამბობზეა არ არის ოსური ამბობზეა, თუმცა ზოგიერთს ძალიან სურთ ოსური მოძრაობის ხასიათი მისცენ მას... ცხინვალიდან მოსული ცნობებით შეამბოხებთ უკვე ეტყობა დაქსაქვა: დღევანდელი დღევანდელი მოსის და შერიგებას ითხოვს, სიტყვის იძლევიან იარაღს დავაბრუნებთო. ჩვენები კატეგორიულ მოთხოვნას უყენებენ დაუყოვნებლივ დააბრუნონ იარაღი და გაცენ მოთაგებები. თანდათან ირკვევა, რომ შეამბოხებთ ხელმძღვანელობენ სამხედრო ხელოვნების მეოღნე პირები: საუცხოთ ქონით მოწყობილი სანჯები. საზოგადოთ კარგი ორგანიზაცია აქვთ. ერთი სოფლია აღების დროს შეუნიშნავთ, რომ ქალების დიდი რიცხვი გადიოდა სოფლები და შემდეგ იმ ადგილიდან, სადაც ქალების კვალი ქრებოდა, სროლის ხმა მოისმოდა. რაცა სოფელი აიღეს, იმ ალაგას, აუარებელი ქალის ტანისამოსი იპოვეს, იქვე სისხლი იყო დაქვეული. ეტყობა გადაქმულები გავიდენ. ყველაგან პროვოკაციის ძლიერი ქსელია გაშვული. ოსებში ლაპარაკობენ: შთაგრობას გადაიწყვეტია რვა წლის ზევით ყველა ოსი მამაკაცი დახოცვაო. ამასვე ამბობენ ქართველების სოფლებში ქართველების შესახებ. ავრცელებენ აგრეთვე ხმებს შემავალულები და წითელი გვარდია შეერთდენ და ახალ შთაგრობას ებრძვიანო...“

...როგორც უკვე აღვნიშნე ცხინვალის რაიონში დიდ პროვოკაციას აქვს ადგილი. ვიმეორებ, ოსი ნაციონალისტების მოღალატური მოღვაწეობა აშკარაა, მაგრამ ხალხს ნაციონალიტურ მოძრაობაში წილი არ უღვეს. ამ საბუთებიც: ცხინვალის რაიონი შეადგება ორი საბოქალაქოსაგან: ცხინვალის და ოსეთის (горно-осетинский). ცხინვალის საბოქალაქოში ქართველები ცხოვრობენ უშთაგრესათ. ოსები სკარბობენ მხოლოდ ოსეთის ნაწილში (ჯაიხს ხეობა). მოძრაობა კი ძლიერია არა მარტო ჯაიხს რაიონში, არამედ მთელ ცხინვალის ნაწილში და აგრეთვე მეჯვრისხევის და გომის რაიონში, ტყვიავში და ტარძისში ჩვენს რაზმს შეტყებაც კი მოუხდა შეიარაღებულ ჯარისკაცების ჯგუფთან. გარდა ამისა, იმ პოსტზე, რომელიც ცხინვალის ახლოს იდგა და მე და გავლოვეს დახვრეტა დაგვაპირა 18 მარტს, როგორც ოსები, ისე ქართველებიც იდგენ. ამაზე ადრე დიწყო მოძრაობა სოფ. ერედვიდან, ერედვი კი ქართული სოფელია. სწორედ აქ დიწყო პირველი შეტყება.“

გაზეთი „ალიონი“. 1918 წლის 29 მარტი. სტატიიდან „ცხინვალის ტრალუდის გამო“ (ხელს აწერს: „ისევ ის“):

„გაბალშევიკებულმა ჯარისკაცებმა უთხრეს გლეხებს: ხომ ჰხედავთ, მიწას არ გაძლევთ, გასწყვიტეთ თავადაზნაურობა და წაიღეთ მიწებიო.“

გლეხები ასე მოქციენ. მოთავრობამ მათ წინააღმდეგ ზომებო მიიღო. — ჰხედავთ, როგორ იცავენ თავადაზნაურობას მოთავრობა და წითელი გვარდია. ეგენი თქვენი მტრები არიან და თავადების დამცველები.“

ჩააწეთეს ბოლშევიკებმა ხალხს ყურში. მოთავრობა და წითელი გვარდია თავადაზნაურობის მომხრეა — იო რა მოედო სოფლებს ყველაგან.

უნდობლობა და უქმყოფილება ნელანელა გაიზარდა და მან წარმოშვა ცხინვალის ტრალედი, ლეჩხუმის ამბები.“

გუშინ თუ თავადებსა და მათს ბავშვებს ჰპოცდა ბრბო შეუბრალებლად, დღეს იგივე ბრბო ხალხისათვის თავადებულ პირებს და პარტიულ მუშაკებს ჰპოცავს. ლევან დაღეშვილიანის, მაჩაბლის, კეცხოველის მკვლელებმა განა იცოდენ ეისა ჰკლავდენ?

რომ სცოდნოდათ არც მოჰკლავდენ. ისინი ღრმად იყვნენ დარწმუნებულა, რომ ხალხის მტრებსა ჰკლავდენ. ასე ჩააგონეს ხალხს, ხალხიც ასე მოიქცა...“

„ამა ჩაუკვირდეთ ცხინვალის ამბებს. ცხინვალს იკლებენ, სძარცვავენ, მიცვალებულებსაც კი ჰხდიან ტანისამოსს. ეს წმინდა წყლის ყაჩაღობაა. მენშევიკებს საზოხდროთ ჰპოცავენ და ამავე დროს ვაძიხიან: ბაქოდან ამხანაგები მოგვლენ და ჩვენი საკუთარი მოთავრობა გეყოლებო. ეს უკვე ბოლშევიზმია. რუთენ გავლოვეს ქართველი ამხანაგები აწამეს და ისე დახოცეს. რუთენს კი ოსები შტაბის უფროსათ და დიქტატორათ ირჩევენ. ეს ინტერნაციონალიზმიაო, გვარწმუნებს კ. ნინიძე. არა, ეს ნაციონალიზმია. ოსების გლეხობა, რასაკვირ-



ველია, ყველა ამ კითხვებში ვერ გავრკვევა, მაგრამ მათ მეთაურობენ შეგნებული პირები, რომლებმაც იციან, რასაც სჩადან. მათი მიზანია თავისუფალი ოსეთი საქართველოა შეაგულში“.

„ქართველ ერს აბა რა ექნება თავისუფალი ოსეთის წინააღმდეგ? სრულებით არაფერი. თავისუფლება ყველასათვის აუცილებელია, საჭირო და სასურველი. მაგრამ ჩვენ ვიცით ოსეთი მხოლოდ თერგის ოლქში, საქართველოში კი არა. საქართველოში არიან ოსები, რომლებთანაც ქართველ ხალხს მუდამ კეთილი განწყობილება ჰქონია. მაგრამ ნათქვამია, სიკეთისათვის სიკეთე ვის მიუზღავსო. ჩვენს ოსებს სრული უფლება აქვთ თავისუფლად მოეწყონ საქართველოს საზღვრებში, ხოლო ისინი უნდა დაექვემდებარონ საქართველოსა და ამიერ-კავკასიის მთავრობას. ოსეთის მთავრობა იქ არის შესაძლებელი და საჭირო, სადაც ოსების მიწა-წყალია — თერგის ოლქში. როდესაც ისინი ცდილობენ საქართველოს შეაგულში საკუთარი დამოუკიდებელი მთავრობის შექმნას, ეს არის საქართველოს დანაწილება, დაგლეჯა, რის ნებასაც ქართველი ერი არავის არ მისცემს, სანამ პირში სული ედგმება. ოსების ნაციონალისტები ამოუღდნ გერდში ბალშევიკებს, მათ უკან გააყვენ ჩვეულებრივი მძარცველები და სამივემ ერთად მოიწადინეს ქართველი ერის შიგ გულში ლახვარის ჩაცემა სწორედ იმ დროს, როდესაც საქართველო უდიდეს გასაპირის განიცდის“.

გაზეთი „ერთობა“. 1918 წლის 24 მაისი. სტატიიდან „ოსების ეროვნული ყრილობა“ (ხელმოწერა — „გ.“):

„28 მაისისთვის ახალი სტილით ს. ჯავაში ოსურმა ეროვნულმა საბჭომ დანიშნა მესამე ეროვნული საერთო ყრილობა... უმთავრესი განსახილველი კითხვა უნდა იქნეს საერთო პოლიტიკური მდგომარეობა ამიერკავკასიისა და ოსების დამოუკიდებლობა... მეორე საყურადღებო კითხვა ეხება ცხინვალის ტრაგედიას, რომელიც მოხდა 19—20 მარტს. უნდა გამოთქვას უკანასკნელი სიტყვა აქაც და ეროვნულმა ავტორიტეტულმა ყრილობამ დაგვის ეს სამარცხინო, ველური გამოსვლა, რომელსაც მოჰყვა ამხანაგების გერაგულად დახოცვა და მთელი ცხინვალის დარბევა-დაწიოკება. ეროვნულმა ყრილობამ ოსებმა მშრომელ ხალხს უნდა მოსწონს ეს სამარცხინო ჩირქი, რამდენადაც იგი ეხება მას და ნათელი მოფინოს თუ რა გარემოებაში მოხდა ეს აჯანყება...“

გაზეთი „ერთობა“. 1918 წლის 5 ივნისი. ა. ფარნიევის სტატიიდან „ამიერკავკასიის ოსების წარმომადგენლების მესამე კრება“:

„28 მაისს სოფ. ჯავაში შესდგა ამიერ-კავკასიის ოსების წარმომადგენლების მესამე კრება. კრებას დაესწრო 70-მდე წარმომადგენელი და ოსი ინტელიგენცია თითქმის გამოუკლებლათ. იყო ჩრდილოეთ-კავკასიის ოსების ეროვნული საბჭოს წარმომადგენლებიც. კრებას დაესწრენ, აგრეთვე ამიერ-კავკასიის მუშათა ორგანიზაციების სოციალ-დემოკრატიულ საოლქო კომიტეტის წარმომადგენელი ი. რამიშვილი და ბალშევიკების წარმომადგენლები ფ. მახარაძე, ჯ. ჩხეიძე, აკოფიანი და სიხარულიძე. ი. რამიშვილმა კრებას ამიერკავკასიის მუშათა ორგანიზაციების სოციალ-დემოკრატიული საოლქო კომიტეტის სახელით მისასალმებელი სიტყვა უთხრა და უსურვა სახალხო საზოგადო საქმეების წარმატება და საქმიანობა. ჩრდილოეთ-კავკასიის ოსების ეროვნული საბჭოს წარმომადგენელმა მ. ზორაევმა მოხსენება გააკეთა იქაურ ოსების მდგომარეობის შესახებ და დაასკვნა, რომ არსაიდან შეეღა არ არის, სულ ტყუელია, თითქოს ბალშევიკები თავიანთი ჯარით გვიწვედნ დახმარებას, ჩვენ მათ არ გხედავთ, ჩვენ ერთადერთი იმედი გვაქვს, რომ თქვენ გაგიწყეთ დახმარებას. თქვენ კეთილ განწყობილებაში ხართ თქვენ მეზობლებთან, ჩვენ კი ჩვენ მეზობლებისაგან განადგურებას ყოველდღე მოველით. 28 მაისს ი. რამიშვილმა გააკეთა მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ. მან დაასკვნა, რომ რუსეთის რევოლუცია დადღეს ანარქისტებმა და კონტრრევოლუციონერებმა... მოხსენების შემდეგ მრავალი შეკითხვა მისცეს ი. რამიშვილს. ეკითხებოდნ:

- 1) მამ ოსები ხომ ამიერდან დამოუკიდებელი ვართ და ხომ უფლება გვაქვს თუ მოვიინდომეთ არ შემოვიდეთ საქართველოს რესპუბლიკაში?
- 2) რით ვართ უზრუნველყოფილი, რომ ზეალ-ზეგ სოციალისტები არ მიატოვებენ მთავრობას და გაბატონდებიან ნაციონალ-დემოკრატებში?
- 3) რით ვართ უზრუნველყოფილი, რომ ოსმალითი გავანებებს თავს და არ ჩაიგდებს ხელში საქართველოს ტერიტორიასო?... მეორე და მესამე შეკითხვაზე ი. რამიშვილმა დამაკმაყოფილებელი პასუხი მისცა. პირველ შეკითხვაზე უპასუხა, რომ ეს საკითხი არ გავგარჩევიაო“.

„კრებას მალ-მალე გამოუცხადებდნ ხოლმე: ფ. მახარაძე სიტყვას იტყვის შეუადრის შემდეგ, ფ. მახარაძე სიტყვას იტყვის საღამოზე, ფ. მახარაძე სიტყვას იტყვის დღაზე. მაგრამ კრება ვერა და ვერ ედრისა და მახარაძე წავიდა ჩრდილოეთ კავკასიაში კრების დაბოლოს, ფ. მახარაძე და მისი ამხანაგები ცალკე ოთახში იყვნენ მოთავსებული და იქიდან ახდენდა ამა



თუ იმ განკარგულებას, ამა თუ იმ პირს ავალებდა ეთქვა რამე. საზოგადოთ ბალშევიცებსა და ზოგიერთი სოც.-რევოლ. შორის არავითარი განსხვავება არ იყო და თითქმის ერთი და იგივეს აკეთებდენ და ლაპარაკობდენ, რაიცა იყო მიმართული სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ...”

„ოსებში ათასგვარ ცნობებზე აგრეცელებენ ვილაციები. ამბობენ. ოსებს, სომხებს და რუსებს ადგილებიდან ითხოვენ, ოსები, სომხები და რუსები შეერთდენ ქართველების წინააღმდეგო და ვინ იცის კიდევ რას არ გაიგებთ. რომ დემოკრატის მტრებმა არ გამოიყენონ ყველაფერი ეს და ნამდვილ ფაქტთ არ გადასცენ ქართველ დემოკრატას, ამისათვის საჭიროთ მიმანჩია ვაუწყყო, რომ ოსის დემოკრატია არ აპყეება ხალხის მტრებს, არ დაიჭრებთ მათ ნათქვამს და არ წავა თავისი მოძიე ქართველი დემოკრატის წინააღმდეგ. ვინც იცნობს ოსების ეკონომიურ მდგომარეობას, ვინც იცნობს ოსების და ქართველების გეოგრაფიულ პირობებს, ვინც იცის ოსების პოლიტიკური მიმართულება, ყველა დამერწმუნება, რომ ოსები არ არიან დაინტერესებული ქართველი დემოკრატის დასუსტებაში და თუ ზოგიერთი პირები ცდილობენ ამ ორ ერთ შორის ამდგომონ წყალი, ეს ოსებს არ უნდა მიეწეროს რაოვრობი ეს. ერი არ არის პასუხისმგებელი ამა თუ იმ უპასუხისმგებლო პრისისათვის... ოსი გლეხები რატომღაც ყველა კრებებზე დაბეჭთებით აცხადებენ ხოლმე: „ნასწავლებმა დაველუპეს, ნასწავლები გვეღებავენო...“

გაზეთი „ერთობა“. 1918 წლის 11 ივნისი. ა. ფარნიევის სტატიიდან „ოსები საქართველოში (შესაძლებელია თუ არა ოსების დამოუკიდებლობა საქართველოში?)“:

„...ჩვენ დავსახლდით ქართველ დემოკრატისთან ახლოს, ბევრ ადგილზეში განსხვავებასაც ვეღარ ამჩნევს კაცი, ბევრ სოფლებში სანახევროთ ოსებია დასახლებული... ოსების ვალობა-გაიგო ქართველმა გლეხობამ. მან გაიგო, რომ ოსებს შიანთ, მან არ დაუწყყო კითხვა ვინ ხარ, საიდან ჩამოფრინილხარ, რა ენაზე ვალობ, და დღემდის ძმურათ იცნოვრეს. არც ერთხელ არ უთქვამთ ერთმანეთისათვის, შენ ჩემი მტერი ხარ, მე მშინ, შენ მიძლარი ხარ, მე ქართველი ვარ, შენ ოსი ხარ, მე ნასწავლი ვარ, შენ უსწავლეო.“

შარშან, ამიერკავკასიის ოსების წარმომადგენლების პირველ კრებაზე 5 ივნისს სოფ. ჯავაში გ. ნ. ჯიოევმა გაუბედავათ, გაუგებრათ აღძრა ოსებას ცალკე გამოყოფის — დამოუკიდებლობის საკითხი, კრებამ უარი უთხრა. იგივე ჯიოევმა შარშან ვლადიკავკაში ამიერკავკასიის და ჩრდილოეთის კავკასიის ოსების წარმომადგენლების პირველ კრებაზე 17 ივნისს აღძრა ოსების გამოყოფის და დამოუკიდებლობის საკითხი, კრებამ არც მაშინ მიიღო. 28 მისს ამაწელს ამიერკავკასიის ოსების წარმომადგენლების მესამე კრებაზე სოფ. ჯავაში პ. ვ. პ. თედევევმა და ბ. კოჩიევმა აღძრეს ოსების გამოყოფის — დამოუკიდებლობის საკითხი. ამ კითხვის საბოლოოთ გადასაწყვეტათ ამა თვის 15-ში მოწვეულია ოსების წარმომადგენლების მეოთხე კრება. რამდენი მომხრე აღმოუჩნდებათ ბ. ბ. ნ. ჯიოევს, პ. თედევევს და ბ. კოჩიევს მე არც ვიცი“.

„ქართველი დემოკრატია არას დროს არ უზღუდავდა უფლებებს ოსის დემოკრატისა. ქართველ დემოკრატის არასდროს არ დაუტანებია ძალა ოსის დემოკრატისათვის სამშობლო ენაზე ხელი აიღო... მე ვფიქრობ, ისინი, ვინც ოსების დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნაზე ოცნებობენ, მათ არაფერი გაეგებათ ქვეყნიერების ავ-კარგისა ანდა ვანგებ სურთ შეატაკონ ქართველი და ოსის დემოკრატია ერთმანეთს და დაილუპონ ის, რაც მოიპოვა ხალხმა“.

Л. М. ТОИДЗЕ

ИЗ ИСТОРИИ ВЗАИМООТНОШЕНИЙ ГРУЗИНСКОГО И ОСЕТИНСКОГО НАРОДОВ (1917—1920 ГГ.)

Резюме

Автор обосновывает необходимость всестороннего изучения грузино-осетинских взаимоотношений, дабы показать несостоятельность некоторых положений, утвердившихся в советской историографии, о национальном угнетении осетин правительством Демократической республики Грузии (1918—1920 гг.).

Осетины проникли в Грузию из Северного Кавказа, через Главный Кавказский хребет. В течение столетий они постепенно

занимали грузинские земли и местами (в частности, на территории Шида Картли, называемой сегодня Южной Осетией) создавали компактные поселения. Этот тезис не является спорным. Спорным может быть лишь то, впервые когда, в каком веке и в каком количестве переселились осетины в Грузию.

До революции 1917 года между населением Грузии и Южной Осетии не было вооруженных столкновений. В 1918—1920 годах в Южной Осетии под руководством большевиков устраивались вооруженные выступления за установление Советской власти, отторжение Южной Осетии от Грузии и присоединение ее к РСФСР. Восставшие убивали, грабили т. н. «классовых врагов», коими зачастую оказывались представители грузинского населения. Эти восстания направлялись, главным образом, грузинскими большевиками, стремившимися использовать их в борьбе за свержение правительства Демократической Республики Грузии. Участвовала в них и незначительная часть жителей грузинских селений, главным образом, вернувшиеся с фронта большевистски настроенные солдаты.

Самым крупным из этих выступлений было начатое по указанию Кавбюро ЦК РКП(б) вооруженное восстание в Южной Осетии в мае-июне 1920 года, до предела обострившее отношения между грузинским и осетинским народами. Восставшие под руководством большевиков установили Советскую власть и объявили Южную Осетию «неотъемлемой частью РСФСР», что явилось поправлением национально-территориальных прав грузинского народа, явным посягательством на территориальную целостность республики, гнусной попыткой отторгнуть исконные грузинские земли.

Требования восставших, направленные против независимой Грузии, были осуждены не только грузинским народом, но и осетинами, проживающими за пределами Южной Осетии, в разных уголках Грузии. Они шли вразрез и с договором, заключенным 7 мая 1920 года между Советской Россией и Демократической республикой Грузии, по которому Южная Осетия признавалась как неотъемлемая часть Грузии. После этого договора само Кавбюро потребовало прекращения восстания. Однако организаторы восстания не сделали из этого нужных выводов.

После неоднократных попыток, не приведших к мирному урегулированию конфликта, правительство Демократической республики Грузии с целью защиты территориальной целостности и политического строя республики, было вынуждено дать указание своим вооруженным силам прибегнуть к осуществлению репрессивных мер против восставшихся. Хотя эти репрессии носили ответный, оборонительный характер (грузинская сторона ни разу не выступала в роли первоначинателя репрессий) со стороны грузинского правительства, тем не менее они оказались слишком жесткими, нанесли немалые человеческие и материальные убытки населению Южной Осетии (в первую очередь жителям селений, являвшихся очагами восстания). Ответственность за это падает, главным образом, на организаторов восстания.

Анализируя причины, вызвавшие восстания в Южной Осетии за годы существования независимой Грузии, а также требования, выставляемые восставшимися, автор приходит к следующему выводу:

Восстания, диспиррированные большевиками в Южной Осетии в 1918—1920 годах, ставили себе целью установление Советской власти, отторжение исконной грузинской земли (Шида Картли) от Грузии и присоединение ее к РСФСР. Вооруженные выступления

ოსეთინ, населяющих Шида Картли, против независимой Грузии были обусловлены национальным (точнее, ложным, нереальным представлением восставших о национальном самоопределении), классово-идеологическим и социальным факторами.

Дело в том, что правительство Демократической республики Грузии за время своего кратковременного существования, в условиях труднейших внутренних и внешних осложнений, не смогло до конца урегулировать острые социальные проблемы, хотя и были приняты серьезные меры по их разрешению. Это вызывало определенное недовольство части крестьян, чем и воспользовались антиправительственные политические силы, прежде всего, большевики, сумевшие с помощью привлекательных лозунгов (земля крестьянам, фабрики и заводы рабочим, мир и самоопределение народам и т. д.) сапитировать часть населения вступить в борьбу за Советскую власть, за свержение законного правительства независимой Грузии. Здесь же следует отметить, что большевикам удавалось инспирировать антиправительственные выступления не только в Южной Осетии, или, скажем, в Абхазии, но и в других регионах Грузии: в Рача-Лечхуми, Мегрелии, Душети и т. д.

В работе (в этом номере журнала публикуется первая часть задуманной автором монографии, продолжение последует в следующем номере) обосновывается необходимость поиска путей к восстановлению и упрочению дружеских отношений между грузинским и осетинским народами, чему, по мнению автора, будет способствовать глубокое знание правдивой истории.

LEVAN TOIDZE

FROM THE HISTORY OF RELATION BETWEEN THE GEORGIAN AND OSSETIAN PEOPLES

(1917—1920)

S u m m a r y

The author substantiates the urgency of a comprehensive study of georgian and Ossetian national interrelations in order to prove the untenability of some stereotyped images of national oppression of Ossetians by the government of the Georgian Democratic Republic in 1918—1920, that have been established in the Soviet historiography.

Ossetians had come to Georgia from North Caucasia penetrating through the Main Caucasian Range. For centuries they were gradually occupying Georgian territories creating in places compact settlements (such as the territory of Shida Kartli now called South Ossetia). This statement is indisputable. One may only argue on the time the first Ossetians had migrated to Georgia and what their number was.

There had never been any armed clashes between Georgian and Ossetians before the revolutions of 1917. However, in 1918—1920 some Bolshevik-organized armed actions took place in South Ossetia and were aimed at establishment of the Soviet power, separation of South Ossetia

from Georgia and its joining the RSFSR. The rebels killed and sobbed their so-called „class enemies“who quite frequently turned out to be Georgians. Those revolts were mainly led by Georgian Bolsheviks who were directing them toward overthrowing the government of the Democratic Republic of Georgia. Among the participant were also a few representa— this of Georgian villages, mostly, Bolshevik-minded former soldiers.

The largest of those uprisings provoked by the order of the Caucasian Bureau of the Central Committee of the Workers and Peasant Party (Bolsheviks) was an armed revolt in South Ossetia in May-June, 1920, which aggravated to the utmost the relations between the Georgian and Ossetian peoples. The rebels led by Bolsheviks established the Soviet rule and declares South Ossetia „an integral part of the RSFSR“, which was, in fact, infringement upon the national — territorial rights of the Georgian people, a clear encroachment on the territorial integrity of the Republic, a dirty attempt to annex indigenous Georgian lands.

The claims set forth by the rebels and directed against independent Georgia were condemned both by the Georgian people and by numerous Ossetians living in various parts of Georgia. They contradicted the terms of the Treaty signed on 7 May, 1920, by Soviet Russia and the Democratic Republic of Georgia, according to which South Ossetia was recognized as an integral part of Georgia. After that Treaty had been signed the Caucasian Bureau itself demanded that the revolt should be stopped. However, the leaders of the uprising did not make proper conclusions.

After several failures to achieve a peaceful settlement of the conflict, the government of the Georgian Democratic Republic was obliged to give orders to its armed forces to resort to repressive measures against the rebels in order to defend the territorial integrity and political order of the Republic. Although those repressions were a kind of response, or defence on the side of the Georgian government which had never been an initiator of such actions, they turned out to be too cruel and caused both human and economic losses in South Ossetia (in the first place, in those villages that were the centres of the uprising). The responsibility for all that should be borne by the leaders of the revolt.

Analysis of the reasons that instigated that revolt in South Ossetia in the years of Georgia's independence and of the rebels claims has led the Author to the following conclusions:

The revolt inspired by Bolsheviks in South Ossetia in 1918—1920 were aimed at establishing the Soviet rule, at annexing the indigenous Georgian land (Shida Kartli) and joining it to the RSFSR. The armed actions of the Ossetians inhabiting Shida Kartli against independent Georgia were caused by national (more strictly speaking, erroneous, unrealistic ideas of the rebels concerning national self-determination), class ideological and social factors.

The point is, that the government of the Georgian Democratic Republic failed to settle completely the most acute social problems during their

brief existence, under conditions of extreme internal and external hardships, despite serious steps taken towards their solution. This gave rise to certain discontent among some peasants; consequently, the antigovernmental political forces, in the first place, Bolsheviks, caught at the opportunity and drew part of the population into the struggle for rightful government of independent Georgia, using the most appealing slogans—„Land to peasant“, „Plants and factories to workers“, „Peace and independence to peoples“, etc. It is also worth mentioning that Bolsheviks managed to inspire antigovernmental actions not only in South Ossetia, or Abkhazia, But also in other regions of Georgia, viz, Racha — Lechkumi, Samegrelo, Dusheti and others.

In this works (it is only the first part of a look planned by the Author, to be continued in the next issue), the Author substantiates the necessity of searching ways to improve and strengthen friendly ties between the Georgian and Ossetian peoples, and expresses an opinion that a fruitful, profound knowledge of history will contribute to that search.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

დიპლომატიკამ, როგორც სამეცნიერო დისციპლინამ, თავისი განვითარების მანძილზე რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულება შეიძინა: 1. დიპლომატიკა ჩამოყალიბდა, როგორც დამხმარე დისციპლინა, რომელსაც უპირველესად დოკუმენტური წყაროს სანდოობის საკითხი უნდა გადაეწყვიტა. (ეს ფუნქცია შენარჩუნებული აქვს მას დღესაც), ამ ამოცანის გადაჭრას ემსახურებოდა დიპლომატიკის ამჟამად „ტრადიციულად“ წოდებული მეთოდი — ფორმულარული ანალიზი. ამ მეთოდს შეესაბამებოდა საბუთთა დაყოფა კერძო და საჯარო სამართლებრივი საწყისების საფუძველზე ავტორობის ნიშნით⁴; 2. საბუთების სტრუქტურული ტიპების დადგენა და მათი ევოლუციის შესწავლა სამართლებრივი ინსტიტუტების ცვალებადობის გამოსავლენად. ეს მიმართულება დაკავშირებულია ა. ლაპო-დანილევსკის სახელთან. ამ უაღრესად საინტერესო და პერსპექტიულ გზას ერთგვარ წინააღმდეგობას უქმნიდა ტრადიციული დიპლომატიკის საკლასიფიკაციო სქემაში ჩაკეტება⁵; 3. დოკუმენტური წყაროების უდიდესმა მნიშვნელობამ ფეოდალური საზოგადოების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის კვლევისათვის ცხადი გახადა ფორმულარული ანალიზის შეზღუდული შესაძლებლობანი და ამ სახის წყაროების შინაარსობრივი მონაცემებით დაინტერესება წამოსწია წინ. ასეთ მიზნობრივ მიდგომას დოკუმენტებისადმი შედეგად მოჰყვა კვლევის სპეციფიკური მეთოდების უგულვებელყოფა და თემატური კლასიფიკაციის დამკვიდრება⁶; 4. საისტორიო წყაროთა წარმოშობის პროცესში სოციალური ფაქტორის როლის განსაზღვრა, წყაროთა ფუნქციონირების კულტურული და სოციალური არეალის დადგენა, რასაც თანამედროვე წყაროთმცოდნეობა ისახავს მიზნად, დღას წესრიგში აყენებს წყაროს მთლიანობაში შესწავლის მოთხოვნას. ამ მოთხოვნის რეალიზაციის გზა თანამედროვე დიპლომატიკაში არის სახეობრივი კლასიფიკაციის თანმიმდევრული გატარება და შესაბამისი მეთოდის შემუშავება. ეს უკანასკნელი მიმართულება თანამედროვე დიპლომატიკაში გამოიკვეთება ჯერ მხოლოდ, როგორც ტენდენცია.

ისტორიულმა მეცნიერებამ წყაროთა კლასიფიკაციის რამდენიმე საფუძველი იცის, ყოველი მათგანი შეესაბამება საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა შესახებ მეცნიერებაში შემუშავებულ მთავარ კონცეპციას. ამდენად, მყარი და უცვლელი კლასიფიკაციის დაკანონება ისტორიულ წყაროთა მიმართ, როგორც ეს შესაძლებელია, ვთქვათ, საბუნებისმეტყველო დარგებში, შეუძლებელია განხორციელდეს. არსებობს შეხედულება, რომ სოციალურ-ჰუმანიტარული მეცნიერების მეთოდოლოგიური პრობლემების დაპუშავება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლოგიკური მოდელებს მიხედვით შეუძლებელია და ასეთი მცდელობები შესასწავლი საგნის უფრო ღრმად წვდომას ვერ

4 ამ მიმართულების უდიდესი წარმომადგენლები არიან: მაგ.; T. Sickel, Beiträge zur Urkundenlehre, Bd. I—VIII Wien. 1861—1882. J. Ficker, Beiträge zur Urkundenlehre, Bd. I—II, Innsbruck, 1877—1878.

5 А. С. Лаппо-Данилевский, Очерк русской дипломатики частных актов, Пгр., 1918; იხ. აგრეთვე, Историческое обозрение, сб. статей, посвящённых А. С. Лаппо-Данилевскому, СПб., 1916.

6 ასეთი კლასიფიკაციის ნიმუში იხ. წიგნში: Черепнин Л. В., Русские феодальные архивы XIV—XV вв., т. II, М., 1951, გვ. 62—64.

მოემსახურება⁷. უფრო პერსპექტიულ გზად არის ჩათვლილი მეცნიერულ და მეცნიერებადმდე ცოდნათა დონეების გნოსეოლოგიურ-მეთოდოლოგიური ასპექტების შეფარდებათა დადგენა. „მეცნიერებადმდე“ ცოდნა შენახულია ნაციონალურ ენებში, მხოლოდ არა ცხადად, არამედ პოტენციურად. ეს აზრი, უპირველეს ყოვლისა, ვრცელდება წერილობით ისტორიულ წყაროებზე, რომლებშიც „მეცნიერებადმდე“ სოციალური ცოდნა შესაძლებელია ყოფილი რეალიების საბურველითაც იყოს დაფარული. საკუთრივ კონკრეტული ისტორიული ფაქტის გარდა წყაროთა ტექსტების ენობრივ სტრუქტურებში სოციალურ რეალობასთან ერთად ასახულია საზოგადოების იდეოლოგიური, პოლიტიკური, ასოციაციური, მხატვრული და ა. შ. წარმოდგენები. ამგვარი „მრავალნიშნაინობა“ ისტორიული წყაროებისა აძნელებს მკაცრად ერთნიშნადი კლასიფიკაციის მოხდენას. ზემოთქმული ენება, ცხადია, წყაროთა იმ სახეობებსაც, რომლებსაც სწავლობს დიპლომატიკა.

დოკუმენტური (აქტური) წყაროების თანამედროვე კლასიფიკაციების შეფასებისათვის აუცილებელია წყაროთმცოდნეობის თეორიაში მიღებული საკლასიფიკაციო ანების — სახეობის — გამოსაყოფად მიჩნეული კრიტერიუმების შეფასება. ისტორიული წყაროს ტიპის თუ სახეობის წარმოქმნა-ჩამოყალიბების პროცესებზე ზეგავლენას ახდენს ისტორიული პირობები. ისტორიული წყარო თავად არის შედეგი ისტორიულად თანმხვედრ (პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ...) ფაქტორთა ზემოქმედებისა. დოკუმენტურ წყაროთა ერთ-ერთი უმთავრესი თვისება — ტიპოლოგიურად ერთგვაროვანი ქმედებების წერილობითი ფიქსაცია — მიჩნეულია აქტური წყაროების სოციალური ფუნქციის გამოვლენად. ისტორიულ წყაროთა სოციალური ფუნქციის შესახებ თავდაპირველად აზრი გამოითქვა ჩეხ დიპლომატიკოსთა შრომებში⁸.

ეს შეხედულება გაიზიარეს და დამატებითი არგუმენტებით გააძლიერებარუსმა მეცნიერებმა. ო. მედუშევსკაია სოციალურ ფუნქციას მიიჩნევს ვადამწყვეტ ფაქტორად, რამაც წყაროთა სახეობების გაჩენა გამოიწვია. სახეობრივი ნიშნების სიმყარე, მისი აზრით, მრავალჯერად განმეორებული ერთგვაროვანი სოციალური ქმედების წერილობითი ფიქსაციის აუცილებლობამ გამოიწვია. ინფორმაციის მოცულობაც და სანდობაც არის დამოკიდებული წყაროს სოციალურ ფუნქციაზე. ამავე მკვლევრის აზრით, სახეობრივ ნიშანთა ჩამოყალიბებაში განმსაზღვრელია ერთგვაროვან წყაროთა საერთო დანიშნულება. საერთო დანიშნულება იწვევს საერთო ფორმალურ ნიშანთა გაჩენას (გაფორმების წესები) ამავე დროს დანიშნულება განაპირობებს წყაროს შინაარსსაც, იმდენად, რამდენადაც წყაროს დანიშნულება მხოლოდ შინაარსით შეიძლება იქნეს გამოხატული. მაგრამ შინაარსი ვაცილებით უფროა ტევადია, ვიდრე წყაროს დანიშნულება, ანუ მასში ჩადებული „შეგნებული“ ინფორმაცია. ამდენად, „შეგნებული“ ინფორმაცია გამოხატავს წყაროს სახეობისადმი კუთვნილებას.

⁷ Рудельсон, Типология социально-гуманитарного знания, как философская и методологическая проблема, в книге: Проблемы методологии социального знания, Л., 1985, гл. 46.

⁸ იქვე, გვ. 47, 50.

⁹ J. Šebanek, Męglichkeiten und die weitere Entwicklung der Diplomatik in Ramen der historishen Mediavitik, In: XIIC Congrės international des sciences historiques. Rapports, IV. Vienne, 1965.

თუმც ასეთი ინფორმაცია ვერ ამოწურავს წყაროს ინფორმატულობას სრულად. სახეობრივი წყაროს ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშად მკვლევარს მიაჩნია აქტები, რომელთა არსებობამ, თავის მხრივ, წარმოქმნა სახეობრივი მეთოდია¹⁰.

წყაროთა სოციალური ფუნქცია ამოსავალ დებულებადაა მიჩნეული სხვა ავტორთა შრომებშიც. გამოთქმულია შეხედულება, რომ წყაროთა სახეობრივი ერთიანობა შეესატყვისება ისტორიულ სინამდვილეში მოქმედებათა მთელ ტიპს — თუ კი რომელიმე ერთი წყარო ერთ რომელიმე ისტორიულ მოვლენას ასახავს, წყაროთა სახეობა — მოცემული სოციალური ორგანიზმის სტრუქტურის ელემენტებს. ამიტომ სახეობის კატეგორია ისტორიულ რეალობაააც ასახავს და შემეცნებით ფუნქციასაც ასრულებს¹¹.

ლ. პუშკაროვი, რომელსაც ისტორიული წყაროების კლასიფიკაციის კრიტერიუმად მიჩნეული აქვს ინფორმაციის კოდირების წესი, სახეობას ასე განმარტავს: სახეობა არის წერილობითი წყაროების ისტორიულად ჩამოყალიბებული კომპლექსი, რომელთაც აერთიანებს შინაგანი ფორმის მსგავსება. სახეობაში თავმოყრილ წყაროებს აქვთ საერთო ფორმულარი, სახელწოდება და სხვა გარეგნულად ნიშნები¹².

წყაროთა სახეობრივი კლასიფიკაციის მომხრეა ა. პრონშტეინიც. სახეობის გამოსაყოფ კრიტერიუმად მისთვის მისაღებია „შინაგანი ფორმა“, რაშიც იგი გულისხმობს წარმოშობის, შინაარსის და ფორმის დიალექტიკურ ერთობას. შინაგანი ფორმა ამ ავტორის თვალსაზრისითაც დაკავშირებულია წყაროს დანიშნულებასთან. ამდენად, იგი ერთმანეთისაგან განცალკევებულად არ განიხილავს შინაგან ფორმასა და დანიშნულებას¹³.

დოკუმენტური წყაროების სახეობებს ს. კაშტანოვი თვლის ამა თუ იმ სოციალური ფუნქციის იურიდიულ რეალიზაციად¹⁴. ასეთი განმარტების მიხედვით, სახეობათშორისი განმასხვავებელი ნიშანი შეიძლება იყოს ესა თუ ის იურიდიული ნორმა. ამგვარად, სახეობათა ჩამოყალიბებაში წყაროთა სოციალური ფუნქციის როლი სპეციალურ ლიტერატურაში აღიარებულია. იგივე კრიტერიუმი შეიძლება იქნეს გამოყენებული სახეობათა შიდა კლასიფიკაციის დროს.

ისტორიული საბუთების სახეობრივი კლასიფიკაცია ასახავს საბუთების სოციალურ ფუნქციას. ფუნქციათა დავიწროება-დაკონკრეტება ხდება შიდა-სახეობრივი კლასიფიკაციის საფეხურზე. მაგრამ საბუთში გაცილებით უფრო რთული და მრავალფეროვანი სოციალური სინამდვილეა დაფიქსირებული, ვიდრე ეს შეიძლება გამოიხატოს მათი კლასიფიკაციის დონეზე. ისევე როგორც არც ერთი კლასიფიკაცია, ასევე სახეობრივი კლასიფიკაციაც არ შეიძლება ამოწურავდეს კლასიფიცირებული მასალის სრულ ინფორმატულობას. ისტო-

¹⁰ О. М. Медушевская, Современное зарубежное источниковедение, М., 1983, гл. 18—21.

¹¹ А. А. Курносоев, К вопросу о природе видов источников, Источниковедение отечественной истории, М., 1976, гл. 8.

¹² Л. Н. Пушкарев, Классификация русских письменных источников по отечественной истории, М., 1975, гл. 225.

¹³ А. П. Пронштейн, Методика исторического источниковедения, Ростов-на-Дону, 1976, гл. 44—46.

¹⁴ С. М. Каштанов, Русская дипломатика, М., 1988, гл. 15.

რიული საბუთის ტექსტი ასახავს არა მხოლოდ მისი შემდგენლის კონკრეტულ მიზანდასახულობას, არამედ თანადროული საზოგადოების მსოფლდქმას, იდეოლოგიურ, ზნეობრივ და სოციალურ წარმოდგენებს. ამიტომ გამართლებული არ შეიძლება იყოს საბუთების მნიშვნელობის დაყვანა რომელიღაც ერთი, თუნდაც ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემის გაშუქებაზე.

თანამედროვე წყაროთმცოდნეობა აყენებს წყაროს მთლიანობაში შესწავლის საკითხს. ეს მოთხოვნა დოკუმენტური წყაროების შემთხვევაში შეიძლება გავრცელდეს მთელ სახეობაზე, ქვესახეობაზე და ა. შ. ყოველგვარი ცალკე არსებული სახეობა ან ქვესახეობა შესაძლებელია შესწავლილი იქნას, როგორც გარკვეული მთლიანობა. თავის მხრივ, ამ მთლიანობას განაპირობებს სოციალურად ერთგვაროვანი ქმედებანი, რომლებიც ასახავს ჰპოვებენ სახეობრივ წყაროში. ისტორიულ საბუთებში დაფიქსირებული ცხადი თუ ფარული ინფორმაცია, ერთმანეთის გადაშვეთი წარმოდგენები მოცემულია სახეობის (ქვესახეობის, ნაირსახეობის) ტექსტში. სახეობრივი ტექსტი არის ის მატერიალური ნაშთი წარსულისა, რომელშიც ორგანულად ერწყმის ერთმანეთს ისტორიული სინამდვილის კონკრეტული (ამდენად ცვალებადი) მოვლენების ასახვა ამავე სინამდვილისათვის დამახასიათებელ უცვლელ, მყარ წარმოდგენებს საზოგადოებრივი პროცესების შესახებ. ს. შმიტს პერსპექტიულად მიაჩნია ისტორიული წყაროების შესწავლა სემიოტიკური ასპექტით, ისე რომ მხედველობის არეში იყოს მოხვედრილი ნიშნის ორმაგი მიმართება აღსანიშნ ობიექტთან და მის განზოგადებულ ასახვასთან, და, ამასთანავე, სხვადასხვა დონის არსებობა ერთი ნიშნათა სისტემის ფარგლებში¹⁵.

რა თქმა უნდა, ის ფაქტობრივი მასალა, რომელსაც გვაწვდის სახეობრივი წყარო, შესაძლოა სხვა ტიპის ან განსხვავებული სახეობის წყაროშიც იყოს ამოცნობილი, მაგრამ აქ მთავარი და განმსაზღვრელია ინფორმაციის ორგანიზების წესი, რაც რეალიზებულია სახეობრივ ტექსტში. სახეობრივი ტექსტი ისტორიული ცხოვრების ამა თუ იმ სფეროს მეტ-ნაკლები სიზუსტის ასლია, მისი ენობრივი ნიშანია, ასახული სინამდვილე დოკუმენტში გადმოიკემა არა როგორც გარკვეულ მოვლენათა ჯამი, არამედ, როგორც გარკვეულ მოვლენათა კავშირი, ანუ კომუნიკაცია აღსანიშნსა და ნიშანს შორის¹⁶. სახეობრივი ტექსტის ორგანიზაციის წესი არანაკლები ინფორმაციის მატარებელი შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე უშუალოდ აღქმადი და მასში გამიზნულად შეტანილი ცნობა. ასეთ ინფორმაციას უწოდებს ი. კოვალჩენკო „ფარულს“¹⁷.

¹⁵ С. О. Шмидт, Современные проблемы источниковедения, Источниковедение, Теоретические и методические проблемы, М. 1969, с. 28.

¹⁶ სემიოტიკის ძირითადი საკითხია ნიშნისა და აღსანიშნის მიმართება. ნიშნის არის მის საგნობრივ სუბსტრატში არ მდგომარეობს, არამედ იმ ვითარებაში, იმ „ნიშნობრივ სიტუაციაში“, რომელშიც ფუნქციონირებენ ნიშნები. ნიშანს მნიშვნელობა ეძლევა მხოლოდ გარკვეულ ფაქტორთა მიმართებებში. ასეთ კავშირში იქნეს საგანი ნიშნის ღირებულებას. იხ. А. А. Абрамян, Основные понятия семиотики, Вопросы философии, 1966, № 10, გვ. 54.

¹⁷ И. Д. Ковальченко, Исторический источник в свете учения об информации, История СССР, 1982, № 3, გვ. 133, აგრეთვე А. Я. Гуревич, Язык исторического источника и социальная действительность, Билингвизм в средневековой Европе. Семиотика. Сборник статей по вторичным моделирующим системам, Тарту, 1973, გვ. 73.

ისტორიული საბუთების ტექსტის გაცნობა ინტუიციურ დონეზეც კი, „შეუიარაღებელი თვალით“, სრულ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ საქმე გვაქვს განსხვავებული საკომუნიკაციო ფუნქციის მქონე, ვიდრე ეს პირველად ენას შეიძლება ჰქონდეს, გარკვეულ ენობრივ სისტემასთან. სახეობრივი საბუთის ენა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ორგანიზაციის წესებს ემორჩილება, რაც საშუალებას იძლევა მკვეთრად გაიმიჯნოს ერთი რომელიმე სახეობის ტექსტი ისტორიული წყაროს სხვა სახეობისაგან. ი. ლოტმანი იმ ენებს, რომლებიც ბუნებრივ, პირველად ენებზე დაყრდნობით ახალი დონის საკომუნიკაციო სისტემებს ქმნიან, უწოდებს მეორად ენებს, ან მეორად მამოდელირებელ ენებს¹⁸. ასეთი მეორადი ენები არა მარტო საკომუნიკაციო, არამედ მამოდილურებელი საშუალებაა და ეს ორი ფუნქცია ერთმანეთისაგან განუყოფელია¹⁹. მეორად მამოდელირებელ ენობრივ სისტემებად არის მიჩნეული მეცნიერებების ხელოვნური ენები, მითის, რელიგიური ტექსტების, ზღაპრების ტექსტები. ასეთებად მიიჩნევენ რ. ბარტი მასობრივი კომუნიკაციის სფეროში გამოყენებულ ზეპირ, თუ წერილობით ტექსტებსაც. მისივე განმარტებით, აღნიშნული ტექსტები წარმოადგენენ შინაარსით გაერთიანებულ მეტყველების (წერითი და ზეპირი) დასრულებად ნაკვეთებს, რომელთაც აქვთ მეორადი საკომუნიკაციო მიზნები და ამ მიზნების შესაბამისი შინაგანი ორგანიზაცია, დამყარებული პირველად ენაზე და სხვა კულტურულ ფაქტორებზე²⁰.

შუა საუკუნეების საისტორიო წერილობითი წყაროების სახეობრივი კლასიფიკაცია განსაკუთრებული სიცხადით ავლენს ერთიანი მამოდელირებელი ენობრივი სისტემის ფუნქციონირებას სახეობრივად ერთგვაროვანი ტექსტების ფარგლებში. იგივე ნიშანი განარჩევს ურთიერთისაგან სახეობრივად განსხვავებულ წყაროთა ტექსტებს. ისტორიულ წყაროთა საკლასიფიკაციო საფუძველი — სოციალური ფუნქცია დაფიქსირებულია ამ ფუნქციის შესაბამისი ნიშნით — ყოველი გარკვეული სახეობისათვის დამახასიათებელი ენობრივი სისტემით. წყაროს სოციალური ფუნქციის და მისი ენობრივი სისტემის ერთიანობაში განხილვით ვლინდება ორგანული კავშირი წყაროთა საკლასიფიკაციო კრიტერიუმსა და მათი კვლევის მეთოდიკას შორის.

დოკუმენტური წყაროების კოდირების წესები, ანუ ტექსტის ენობრივი ორგანიზაციის თავისებურებანი არა მარტო არადოკუმენტური (მატიანეები, მხატვრული მწერლობა და სხვ.) წერილობითი წყაროებისაგან მათი გამიჯნვის საშუალებას იძლევა, არამედ თვით დოკუმენტურ სახეობებს გამოჰყოფს ერთმანეთისაგან. ენობრივ მახასიათებლებში ხდება რეალობაცია დოკუმენტის სოციალური ფუნქციისა, არსებითად, დოკუმენტის სოციალური ფუნქცია — აღსანიშნა და ტექსტი, როგორც ამ ფუნქციის აღმნიშვნელი, ერთი და იმავე კრიტერიუმის სხვადასხვა ასპექტია.

სახეობრივი წყაროს ტექსტი არის გარკვეული წესებით ორგანიზებული ენობრივი სისტემა. ამდენად, კვლევის პროცესში იგი განიხილება, როგორც სისტემური ობიექტი. სისტემური ობიექტის უპირველესი ნიშანია მისი დასრულებადობა, ანდა, მთლიანობა. მაგრამ სისტემური ობიექტი არ არის განუ-

¹⁸ Ю. М. Лотман, Структура художественного текста, М., 1970, გვ. 3.

¹⁹ იქვე, გვ. 22.

²⁰ Ф. Барт, Лингвистика текста, Новое в зарубежной лингвистике, вып. VIII, М., 1978, გვ. 442.

ყოფელი მთელი, იგი გაყოფადია, შედგება ცალკეული ელემენტებისაგან, რომლებიც, თავის მხრივ, სისტემის თვისებებს ატარებენ ანუ, შეიძლება კვლავ დაიშალოს კიდევ უფრო მცირე ელემენტებზე და ა. შ. ამ თვისებაშია გამოხატული სისტემის მეორე აუცილებელი ნიშანი — მისი იერარქიულობა. სისტემის ელემენტები ასახული სინამდვილის სხვადასხვა ასპექტს შეესატყვისება, სხვადასხვა თვისობრიობას გამოხატავენ და შესაბამისად ამისა, მათი დახასიათება სხვადასხვა ნიშნით უნდა მოხდეს. სწორედ ამიტომ სისტემა, როგორც ერთიანი მთელი, არ განიხილება როგორც მისი შემადგენელი ელემენტების მნიშვნელობათა მექანიკური ჯამი. სისტემური მთლიანობა ელემენტებისა ხარისხობრივად ახალ მნიშვნელობას იძენს. სისტემის არსებობა ნიშნად არის მიჩნეული აგრეთვე ელემენტთა იერარქიის ყველა დონეზე შინაგანი, სპეციფიკური კავშირების არსებობა. ცალკეულ ელემენტთა ურთიერთდაკავშირების მოქმედო წესები (სისტემის ფარგლებში), განაპირობებს ელემენტთა სისტემური მთლიანობის სურათს²¹.

სისტემის მთლიანობის სურათი არის მოცემული სისტემის სტრუქტურაში. ერთგვაროვანი სისტემური ობიექტების მიმართ სტრუქტურა შეიძლება შეფასდეს, როგორც სისტემის ინვარიანტული ასპექტი²².

სისტემის აღნიშნული ნიშნები ახასიათებს საისტორიო აქტების ტექსტს (მხედველობაში გვაქვს შეთანხმებითი სახეობის ტექსტი). საბუთთა ტექსტები თუმცა ინტუიციურად, მაგრამ მაინც სისტემად იყო აღქმული დაპოლიტიკის ფუძემდებლების მიერ. ამ დისციპლინის განვითარებაც დაკავშირებულია საბუთის ტექსტში, როგორც სისტემაში უფრო ღრმად წვდომის მოთხოვნასთან. საბუთის ტექსტის სისტემური აღქმა უდევს საფუძვლად იმ მეცნიერთა შეხედულებებს, რომლებიც მასში ხედავენ ადვილად ფორმალიზებად კომპონენტებს.

მტკიცება იმისა, რომ საბუთის ტექსტი სისტემური ობიექტია, სახეობით არ არის განმსაზღვრელი მისი შესწავლის ხერხებისა და საშუალებებისა. ენობრივი სისტემები შესწავლება სხვადასხვა მიზნით სხვადასხვა იერარქიულ დონეზე. ამიტომ კვლევის მეთოდის დახასიათებას წინ უნდა უძღოდეს უსათუოდ კვლევის მიზნის განსაზღვრა. საისტორიო აქტების — სახეობრივი წყაროების — ტექსტი, როგორც ენობრივი სისტემა, წყაროთმცოდნეობითი შემეცნების თვალსაზრისით საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მას აქვს ისტორიული სინამდვილის მამოძირებელი ფუნქცია. საბუთის ტექსტი არის წარსულის გარკვეული ხატი, გარემოს ნიშნადი ასლი, საბუთის ტექსტში განხორციელებულია ე. წ. „სემიოტიკური უწყვეტობის“ პროცესი²³.

²¹ ლიტერატურა სისტემური ობიექტის შესახებ: В. Д. Садовский, Парадоксы системного мышления, Системные исследования, 1972, 33. 134; იქვე А. И. Каценелинбойген, Системный анализ и проблема ценностей, 33. 48; Б. Т. Юдин, Становление и характер системной ориентации, Системные исследования, 1971, 33. 26; გ. სიხარულიძე, სისტემურ-სტრუქტურული ანალიზის საკითხისათვის, მაცნე, ფილოსოფიის სერია, 1973, № 4, 33. 8.

²² И. Ф. Овчинников, Категория структуры в науках о природе, Структура и формы материи, М., 1967, 33. 35.

²³ В. А. Виноградов, Е. Л. Гинзбург, Система, ее актуализация и описание, Системные исследования, 1971, 33. 93.

სინამდვილის მამოდელირებელი ენობრივი სისტემის შესწავლა და დახასიათება ნიშნავს იმ ზედა ზღვრული მიჯნის დადგენას, რომლის მიღმა აღებულები ენობრივი სისტემა თავად აღიქმება სხვა, უფრო დიდი სოციალური სისტემის ელემენტად. ისტორიული საბუთების ტექსტის დიალომატიკური ანალიზი მხოლოდ იმ ისტორიული გარემოს აღწერისა და დახასიათებისაკენ შეიძლება იყოს მიმართული, რომელსაც იგი ენობრივი სტრუქტურებით გადმოსცემს. ამასთანავე საბუთების მასობრივი ხასიათი საშუალებას იძლევა აღიწეროს ასახული სოციალური გარემო მის მოძრაობაში. ისტორიული საბუთი, სემიოტიკის ცნებებით თუ ვილაპარაკებთ, არის რთული ნიშანი, აღმნიშვნელ შესაბამისად რთული სოციალური სინამდვილისა. სწორედ ამიტომ აღმნიშვნელის ენობრივ სისტემაში ყოველგვარი სტრუქტურული ცვლილება შეიძლება შეფასდეს, როგორც მითითება შესაბამის ცვლილებაზე აღსანიშნ სინამდვილეში. დაბლომატიკა შესასწავლი ობიექტის მხოლოდ გარეგნული ნიშნების აღწერით არ შეიძლება შემოიფარგლოს. აუცილებელია შეფასდეს საბუთის ტექსტის ცალკეული ელემენტების გაქრობა ან გადანაცვლება იურიდიულ, ისტორიულ თუ ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებასთან მიმართებით²⁴. უთუოდ ისტორიული საბუთების ტექსტსა და მასში ასახულ რეალობას შორის ამგვარ დამოკიდებულებას გულისხმობენ სპეციალისტები, როცა ისტორიულ საბუთებს უწოდებენ საზოგადოებრივი სისტემების და მათთვის დამახასიათებელი სტრუქტურების ფუნქციონირების ამსახველ წყაროს²⁵.

ამრიგად, ისტორიული საბუთის ტექსტი ფუნქციური ტექსტია. მისი ძირითადი დანიშნულება ექვემდებარება რომელიმე სოციალური ქმედების გადმოცემას. სწორედ ეს ფუნქციაა, რომელითაც ზორციელდება ტექსტის კავშირი სოციალურ სინამდვილესთან²⁶. ამავე დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კონკრეტულობისა და ზოგადობის ის ასპექტები, რომლებითაც ხასიათდება ისტორიული საბუთის ტექსტი. ყოველი ცალკეული საბუთი კონკრეტულ სოციალურ სინამდვილეს ასახავს: კონკრეტულია საბუთის ავტორი და ადრესატი, კონკრეტულია საბუთით დადგენილი სამართლებრივი დამოკიდებულებანი. ამ კუთხით თუ შევხედავთ, ისტორიული საბუთების ტექსტები უაღრესად ცვალებადია, რადგან ყოველი მათგანი წარსულის სოციალური ცხოვრების სხვადასხვა ფრაგმენტს აცოცხლებს. მაგრამ ყოველ ისტორიულ საბუთს ვარაუდობთ კონკრეტულისა, აქვს ზოგადი დანიშნულება, რამდენადაც მასში თავმოყრილია სოციალური სისტემის (რომელიმე ურთიერთობის) ზოგადი ნიშნები. ეს ნიშნები მყარია და განმეორებადი საბუთის სახეობის ფარგლებში, ანუ, ვლინდება სახეობის სტრუქტურაში, რომელიც შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ასახული საზოგადოებრივი ურთიერთობის ცვალებადობის შესაბამისად. ამრიგად, ისტორიული საბუთის ტექსტი ცვალებადია კონკრეტულა საბუთის დონეზე და უცვლელი სახეობის დონეზე. ყოველი საბუთის ტექსტი „ცვალებადი“ და „უც-

²⁴ G. Tessier, *Diplomatique*, In: *L'Histoire et ses Methodes*, Paris, 1961 გვ. 667.

²⁵ И. Д. Ковальченко, *Исторические источники в свете учения об информации*, гв. 141.

²⁶ ტექსტის ლინგვისტური თეორიის თანახმად, ყოველგვარი ტექსტის ქმნალობა დამოკიდებულია სოციალურ და სავნობრივ კონსტანტებზე და ტექსტის კომუნიკაციური დანიშნულება განსაზღვრავს მასში კომპოზიციური ელემენტების ორგანიზაციას. იხ. მაგ., Х. Изенберг, *О предмете лингвистической теории текста*, *Новое в зарубежной лингвистике*, М., 1978, გვ. 53—55.

ვლელი“ ელემენტების კომბინაციაა. უცვლელი ელემენტების არსებობა საბუთის შემქმნელი საზოგადოების გარკვეულ შეხედულებათა და ურთიერთობათა სიმყარეს, მის სტატიკურობას უჩვენებს. ცვალებადი ელემენტების გაჩენა კი სოციალური ცხოვრების ობიექტურ მდინარებას, მასში მიმდინარე პროცესებს ასახავს (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცნებებს „ცვალებადი“ და „უცვლელი“ გარკვეული პირობით ვიყენებთ. საბუთის ტექსტის ანალიზის დროს აუცილებელია სინქრონულობის პრინციპის დაცვა. რა მახასიათებელიც „უცვლელი“ ერთი ეპოქისათვის, შეიძლება „ცვალებადი“ აღმოჩნდეს სხვა დროისათვის).

ერთ სინქრონულ ჭრილში აღებული ერთგვაროვანი ფუნქციის საბუთთა უცვლელი ტექსტობრივი ელემენტები ქმნიან საბუთის სტრუქტურას, რასაც შეიძლება ვუწოდოთ ასახული სინამდვილის ენობრივი მოდელი.

ისტორიული საბუთების კვლევის მეთოდიკა შეფარდებული უნდა იყოს საბუთის ტექსტში დაფიქსირებული ისტორიული სინამდვილის ამოცნობის მიზნთან. ეს კი მოითხოვს ტექსტის შინაარსობრივი ორგანიზაციის კვლევას, ანუ ტექსტის სემანტიკურ ინტერპრეტაციას. სემანტიკური ინტერპრეტაცია, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს სრული ტექსტის, როგორც სტრუქტურული მთლიანობის, დანიშნულების განსაზღვრას და მხოლოდ შემდეგ შეეხება მის ცალკეულ ნაწილებს²⁷. ფაქტობრივად ტექსტის ანალიზის ეს საფეხური ხორციელდება კლასიფიკაციის დროს, რადგან საკლასიფიკაციო კრიტერიუმის გამოყენება უკვე გულისხმობს საბუთის ტექსტის სემანტიკურ ინტერპრეტაციას.

ყოველი ტექსტის სემანტიკური ანალიზის დროს ძირითად სამუშაო ტერმინად მიჩნეულია სიტყვა „თემა“²⁸. რადგან ისტორიული საბუთების შემთხვევაში საქმე გვაქვს ფუნქციურ ტექსტებთან, რომლებშიც მრავალი სხვადასხვა ინფორმაციული ღირებულების თემა კვეთს ერთმანეთს, ამდენად, მოსახერხებლად მიგვაჩნია აღინიშნოს საბუთის სოციალური ფუნქციის შესატყვისი ტექსტის მონაკვეთი ტერმინით — ძირითადი თემა. ძირითადი თემის გამოყოფა უზრუნველყოფს სახეობრივი ტექსტების, როგორც ერთი მთლიანის, ანაღ, როგორც სისტემური ენობრივი ობიექტის წარმოდგენას. ძირითადი თემა სახეობრივი ტექსტის ცენტრალური სტრუქტურული ელემენტია. ყველა დანარჩენი სტრუქტურული ელემენტი — დიბლომატიკური თემა — დაკავშირებულია მასთან. სტრუქტურის ელემენტები, ანუ დიბლომატიკური თემები, თავისთავად რთული აღნაგობისაა და შესაძლებელია დაიშალოს ცალკეულ ელემენტებზე. ასე რომ საბუთის ტექსტის დაშლა შესაძლებელი ხდება იერარქიულად სხვადასხვა დონეზე, რომლებიც საბუთის გაბმულ ტექსტში უწყვეტი ურთიერთკავშირით ქმნიან სტრუქტურული მთლიანობის სურათს²⁹. ყოველ დიბლომატიკურ

27 З. И. Шмидт, «Текст» и «История», как базовые категории, Новое в зарубежной лингвистике, М., 1978, გვ. 98.

28 О. И. Москальская, Грамматика текста, М., 1981, გვ. 17.

29 სისტემური გამოკვლევების მთავარ მიზნად და ამავე დროს სირთულედაც მიჩნეულია ასეთი შეცნობილი ხერხების მოძიება, რომლებიც უზრუნველყოფენ შესასწავლი ობიექტის, როგორც მთლიანობის წარმოდგენას. ასეთი მიდგომა გულისხმობს იმ სპეციფიკურ ნიშნების დახასიათებას, რომლებიც აპირობებენ შესასწავლი ობიექტის სისტემატურობას. განსაკუთრებული როლი ასეთი მიზნისათვის ენიჭება სისტემათწარმოქმნელი კავშირების გამოყენებას და შეფასებას. იხ. მაგ., И. В. Блауберг, Э. Т. Юдин, Системный подход в социальных исследованиях, «Вопросы философии», 1967, № 9, გვ. 100—103; გ. სიხარულიძე, სისტემატურ-სტრუქტურული ანალიზის საკითხისათვის, გვ. 8.


თემას (სტრუქტურის ყოველ დაშლად ელემენტს) მისთვის დამახასიათებელი ენობრივი კონსტრუქცია შეესაბამება. უკვე აღნიშნული იყო, რომ საბუთის ტექსტი რთული ინფორმაციული კომპლექსია, მასში ჩადებული ინფორმაცია აღმატება ძირითადი თემის ინფორმაციულ მოცულობას. ცალკეული დიპლომატიკური თემები ასახვენ ისტორიული რეალობის ამა თუ იმ ასპექტს, მოვლენას, შეხედულებას, მიმართებებს და ა. შ. რადგანაც არაერთგვაროვანია თვით ასახავი რეალობა, სხვადასხვა კატეგორიის მოვლენები ერთ ენობრივ სისტემაშია გადმოცემული, ამდენად, ბუნებრივია, მათი დახასიათებაც სხვადასხვა ენობრივი საშუალებებით ხდება.

დიპლომატიკური ანალიზის დროს უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საბუთის ტექსტის სემანტიკის წესების დადგენას, ანუ იმ ზღვრული მიჯნების მიგნებას, რომლის იქით ტექსტის ელემენტებად დაშლა კვლევის ინტერესებს სცილდება. სახეობრივი ტექსტის დაშლა ძირითად თემად და ცალკეულ თემებად გვაძლევს ტექსტის სემანტიკურ სტრუქტურას. ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ემთხვეოდეს ტექსტის სინტაქსურ სტრუქტურას (სინამდვილის პროექცია ხდება არა სინტაქსის დონეზე, არამედ სემანტიკის დონეზე). სემანტიკა იმორჩილებს სინტაქსს³⁰. ტექსტის სხვადასხვა სემანტიკური თემა სინტაქსურ დონეზე სხვადასხვა კონსტრუქციით: ცალკეული სიტყვით, ფრაზით, წინადადებით ან ზეფრაზული ერთობით არის გამოხატული. ეს დამოკიდებულება ტექსტის გამოსახვის (სინტაქსის) დონესა და სემანტიკის დონეს შორის არის მიზეზი იმისა, რომ საბუთის ტექსტის სემანტიკის დროს სინტაქსურად ტოლფარდი ტექსტის უმცირესი ერთეულის მიგნება არ ხერხდება. სხვადასხვა სემანტიკური თემა ტექსტში სინტაქსურად სხვადასხვა ზომისა და კონსტრუქციის ერთეულით რეალიზდება. ამდენად, ტექსტის დაყოფის წესი მიზნად ისახავს მის სემანტიკაში მაქსიმალურად ღრმად წვდომას და არა სინტაქსური კონსტრუქციების დახასიათება-აღწერას.

შეთანხმებითი სახეობის ისტორიული საბუთების სემანტიკური მოდელი შეიძლება აღიწეროს გრაფიკულად. მოდელის ელემენტები გამოყოფილია სახეობის შემადგენელი ქვესახეობების ძირითადი სემანტიკური თემების აბსტრაქციების საფუძველზე. მოდელის ცენტრალურ ელემენტად მიჩნეულია აქცია [C], რადგან სახეობაში გავრთიანებული ტექსტების სოციალური ფუნქცია გამოიხატება რომელიღაც სოციალური ქმედებით. აქცია მყარდება ორ იურიდიულ პირს შორის [A, B]. იგი ემყარება ზნეობრივ, რელიგიურ ან იურიდიულ საფუძველს [D]. აქციით ხდება სამართლებრივი ნორმების გავრცელება გარკვეულ ობიექტზე — მატერიალურზე ან იურიდიულზე [E]. აქციას ესაპირობება დაცვა ან უზრუნველყოფა. [F].

გრაფიკული მოდელი გამოხატავს შეთანხმებითი სახეობის საბუთების უმთავრესი თემატური კომპონენტების ურთიერთკავშირს. მოდელის ყოველი ელემენტი დაკავშირებულია ცენტრალურ ელემენტთან. უწყვეტი ხაზები გამოხატავს ძირითად სტრუქტურულ კავშირებს, რომელთა არსებობას განაპირობებს თვით აქცია. წყვეტილი ხაზები უჩვენებენ იმ კავშირებს ცალკეულ ელემენტებს შორის, რომლებიც იერარქიულად დამყარებულნი არიან ძირითად

³⁰ В. Дресслер, Синтаксис текста, Новое в зарубежной лингвистике, М., 1978, 83-136.



კავშირებზე. ამავე დროს ყოველი ცალკეული ელემენტი თავად შეიძლება ქმნიდეს იერარქიულ სტრუქტურას, როგორცაა ვთქვათ, A: A₁, A₂ და ა. შ.

ძირითადი თემა (ტრადიციული დიპლომატიკის dispositio, გრაფიკული მოდელის ელემენტი C), გამოიხატება ტექსტის იმ ნაწილით, რომელიც საბუთის შედგენის მიზანდასახულობას არკვევს. ძირითადი თემის გამოყოფა საბუთში „ალაგებს“ მასთან დაკავშირებულ სხვა თემებს. ძირითადი თემის ხასიათი განაპირობებს ტექსტში დანარჩენი თემების შერჩევას და მათი ურთიერთმიმართების პრინციპს. შესაძლებელია საბუთის ტექსტში ძირითადი თემა ერთზე მეტი იყოს (ორი, ზოგჯერ სამიც), ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც საბუთის ტექსტი გამოხატავს შერეულ სახეობებს (ან ქვესახეობებს).

საბუთის ტექსტში ძირითადი თემა ყოველი სახის იურიდიული გარიგებისათვის შესაფერისი სპეციალური ტერმინებით და სტერეოტიპული გამოთქმებით გადმოიცემა. ძირითადი თემა შესაძლებელია თავად იშლებოდეს ცალკეულ შემადგენელ თემებად, რაც დამოკიდებულია იურიდიული გარიგების პირობებზე, მონაწილე მხარეთა შორის გარკვეული ვალდებულებების არსებობაზე. ძირითადი თემის დამუშავების წესებში ასახულია, ერთი მხრივ, მოქმედი კანონმდებლობის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესი, მეორე მხრივ, თვით პრაქტიკის გავლენა საკანონმდებლო ნორმებზე.

ძირითადი თემის გადმოცემისას საბუთის ტექსტში უაღრესად თავისებურ მოვლენად აღიქმება ძირითადი თემის განმეორების (ან განმეორებების) ფაქტი. განმეორებისას იმდენად მყარია ტექსტის სინტაგმატურ ღერძზე ძირითადი თემის ადგილი, შერჩეული სინტაქსური კონსტრუქციები და გამოთქმის ლექსიკური შედგენილობა, რომ სრულიად ცხადია განმეორების, როგორც წესის თვითმიზნურობა. ცალკეული დიპლომატიკური თემების შეგნებულ განმეორებები შემჩნეულია ბიზანტიურ და რუსულ დიპლომატიკაში³¹. ცნობილია განმეორებების, როგორც სტილური ხერხის გავრცელებულობა და ფუნქცია შუა საუკუნ-

³¹ И. П. Медведев, Очерки византийской дипломатики, Л., 1988, гл. 59—60; С. М. Каштанов, Богословская преамбула жалованных грамот, Вспомогательные исторические дисциплины, V, Л., 1973, гл. 95.

ნების სხვადასხვა დარგის მწერლობის ძეგლებში³². საისტორიო აქტებში თემის განმეორებების დროს განსაკუთრებული დატვირთვა მოდის შესატყვის გამოთქმებში ზმნის გრამატიკულ დროზე. განმეორებული თემები ყოველთვის გადმოცემულია გამოთქმებით, რომლებიც ორიენტირებულია მომავალ დროზე, რითაც გამოხატულია მოცემული სოციალური წესრიგისადმი, როგორც დროში უცვლელი მოვლენისადმი, საზოგადოების დამოკიდებულება.

აქციის საფუძველი (გრაფიკული მოდელის ელემენტი D). ამ თემაში ერთიანდება ყველა ის შოტივი, რომელიც შეიძლება მიჩნეული იყოს ამა თუ იმ იურიდიული გარიგების მიზეზად. ასეთთა შორის უპირველესი და იერარქიულად ყველა დანარჩენ მიზეზზე უფრო მაღალი არის ღვთაებრივი ნება (ტრადიციული დიპლომატიკის *invocatio*), აქციის ჩადენის მიზეზად გარკვეული ქვესახეობის საბუთებში დასახელებულია ზნეობრივი და იურიდიული მოტივები — პრეამბულა (ტრადიციული დიპლომატიკის *arenga, proemium*). ეს მოტივები უაღრესად საინტერესოა იმ იდეოლოგიური და სამართლებრივი წარმოდგენების დასადგენად, რომლებსაც ანგარიში ეწეოდა იურიდიულ გარიგებათა შედგენისას. აღნიშნული თემები უამრავი ვარიანტითაა წარმოდგენილი, რომლებიც დიაქრონიულ ჰრილში განვითარების საკმაოდ მკაფიო სურათს წარმოგვიდგენენ. იურიდიულ გარიგებათა მიზეზებად საბუთებში ჩამოთვლილია პირადი მოტივები, ძალზე ფართო სპექტრის ყოფითი პრობლემები, რომლებიც პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი ან სოციალური პროცესების კონტექსტში პოულობენ ახსნას. საბუთის ტექსტში ასეთი მოტივების შესატყვისად არ გვხვდება და არც შეიძლება იყოს მყარი სტერეოტიპული გამოთქმები ან ენობრივი ფორმულები, რადგან ისინი ერთგვარად, „სიტუაციური“ მოვლენების კარნახით არიან წარმოქმნილი და ისტორიული წარსულის სოციალური ცხოვრების ცვალებად, ცოცხალ ფრაგმენტებს წარმოაჩენენ. ასეთი „ყოფითი“ მიზეზები დიდ ზეგავლენას ახდენს ძირითადი აქციის შინაარსზე, მხარეთა შორის კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთდამოკიდებულებაზე.

გარიგების იურიდიული მხარეები (გრაფიკული მოდელის A, B ტრადიციული დიპლომატიკის *intitulatio, inscriptio*) ქართულ საბუთებში, მცირე გამოჩაყლის გარდა, საბუთის გამცემი ამავე დროს არის იურიდიული გარიგების ავტორიც. ავტორის თემის იერარქიული სტრუქტურა დიდად არის დამოკიდებული გასხვისებული ობიექტის მიმართ ავტორის (იურადიული პირის) იურიდიულ უფლებებზე. იურიდიული პირი შესაძლოა წარმოდგენილი იყოს რამდენიმე ფიზიკური პირით, სამონასტრო კრებულებით, სასოფლო თემით და ა. შ. თვით სამეფო სიგელებშიც თავს იჩენს განსხვავება ავტორის თემის დამუშავების წესში იმისდა მიხედვით, გასხვისებული ობიექტი წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას, თუ სამეფო დომენის კუთვნილებას. ავტორის თემაში საბუთის გამცემი პირის ოჯახის წევრების ჩამოთვლა მათუთითებს სახლის საერთო უფლებებზე გარიგების ობიექტის მიმართ. ავტორის თემის ვარიანტებით შესაძლებელია განისაზღვროს სახელმწიფო, კორპორაციული, საოჯახო თუ ინდივიდუალური საკუთრების ფორმები, რომლებიც შეადგენენ გარიგების ობიექტის სამართლებრივ შინაარსს. არსებითად იგივე შეიძლება ითქვას ადრესატის თემის შესახებ. ადრესატი — იურიდიული პირი ასახავს უფლებათა-

³² Д. С. Лихачев, Поэтика древнерусской литературы, М., 1979, зб. 127.

იმ სტრუქტურას, რა უფლებებითაც მას გადაეცემა გარიგების საფუძველზე ობიექტი.

ობიექტის თემა (გრაფიკული მოდელის ელემენტი E, ტრადიციული დიპლომატიკის dispositio), იურიდიული გარიგებების ძირითადი ობიექტი ფეოდალური ხანის საბუთებში არის ყმა-მამული და სხვადასხვა შინაარსისა და ხარისხის უფლებები (იმუნიტეტური). შესაბამისად ობიექტის რაობისა, მისი ამსახველი და დამახასიათებელი ენობრივი კონსტრუქციები ერთმანეთისაგან განსხვავდება. განსხვავება თავს იჩენს ერთგვაროვანი ობიექტის დახასიათების წესებში დიპლომატიულ კრილში, რაც უფლებათა სტრუქტურაში შესაბამის ცვლილებებზე მიუთითებს. საუკუნეების მანძილზე მყარი ენობრივი კონსტრუქციებით — ფორმულებით ხდება გასხვისებული მამულის აღწერა, რაშიც გამოვლენილია ფეოდალური საზოგადოებისათვის ნიშანდობლივი სააზროვნო კატეგორიების უცვლელობა. გარიგების ობიექტის იურიდიული მახასიათებლები უსათუოდ შეესაბამება და განსაზღვრავს ძრითად აქციით დადგენილ სამართლებრივ ნორმებს.

ძირითადი აქციით გამოხატული სამართლებრივი ურთიერთობების დაცვა (გრაფიკული მოდელის ელემენტი F, ტრადიციული დიპლომატიკის Sanctio, corroboratio). იურიდიული გარიგების აუცილებელი თემატური კომპონენტია ძირითადი აქციით დამყარებული ურთიერთობების დაცვა. ამ თემაში ფაქტობრივად საკმაოდ ბევრი კონკრეტული თემა ერთიანდება, რომელთაც აქვთ საერთო ფუნქცია ძირითადი თემის მიმართ. საბუთით დამყარებული ურთიერთობების დაცვა გამოხატულია: 1. აკრძალვით ყველა შესაძლო დამრღვევთა მიმართ (აკრძალვას შეიძლება მინიჭებული ჰქონდეს ბრძანების ფორმა, შეიძლება მას ახლდეს ღვთაებრივი სასჯელის მუქარა); 2. დამტკიცებანი ან მოწმეთა ჩვენებანი. ეს უკანასკნელი თემები, უპირველეს ყოვლისა, ასრულებენ საბუთით დაფიქსირებულ მხარეთა უფლებების დაცვის ფუნქციას, სწორედ ამ ფუნქციას ემყარება ამ თემების მეორე ფუნქცია — საბუთის ნამდვილობის დადასტურება. ყველა ის ცალკეული თემა, რომელიც ერთიანდება საბუთთა აღებულ სახეობის მიმართ უფრო ზოგად დაცვის თემაში, ხასიათდება ძალზე სპეციფიკური სინტაქსური კონსტრუქციებით. ამ თემათა „გავრცელების არეალიც“ საბუთთა ქვესახეობების მიხედვით ზუსტად შეიძლება შემოისაზღვროს.

М. К. СУРГУЛАДЗЕ

ТЕОРЕТИЧЕСКИЕ ПРИНЦИПЫ ИЗУЧЕНИЯ ГРУЗИНСКИХ ИСТОРИЧЕСКИХ АКТОВ

Резюме

На современном этапе развития источниковедения выдвигается задача изучения исторического источника как единого целого. При такой постановке вопроса следует пересмотреть традиционные принципы классификации документальных источников, так как классификация является первой ступенью познания всякого исторического источника.

Исторические документы — видовые источники. Видовая классификация отражает социальную функцию источника. Внутривидовая классификация конкретизирует социальную функцию, выраженную в соответствующей языковой структуре.

Признание за основу классификации социальной функции источника влечет за собой поиск новых средств исследования, которые послужат в большей степени проявлению т. н. скрытой информации.

Каждый вид, подвид и т. д. документального источника в своем языковом выражении представляет собой специфическую систему, которой свойственна целостность и иерархичность структуры. Видовой текст источника, как целостная система, отражает элементы и связи более обширной системы социальной действительности. Исходя из этого положения, дипломатическое изучение видового источника должно иметь целью семантическую интерпретацию каждой отдельной темы текста.

M. SURGULADZE

THEORETICAL PRINCIPLES OF THE STUDY OF GEORGIAN HISTORICAL DOCUMENTS

Summary

At the present stage of development of source studies the task of studying a historical source as a single whole, comes to the fore. Under such statement of the problem, the traditional principles of classification of documentary sources stand in need of revision, for classification is the first-step in the understanding of a historical source.

Historical documents constitute specific sources. Specific classification reflects the social function of a source. Interspecific classification concretizes the social function expressed in a relevant language structure.

Recognition of the social function of a source as the basis of classification entails the search of new ways of study, that will help to reveal the so-called concealed information to a greater degree.

Each species, subspecies and so on, of a documentary source in its language expression constitutes a specific system characterized by a wholeness and hierarchic nature of structure. The specific text of a document, as an integral system, reflects the elements and relations of a broader system of social reality. Proceeding from this principle, diplomatic study of a specific source should aim at a semantic interpretation of each individual them of the text.

მხედართმთავრის შესიტყვებანი პრეზიდენტის მოგონებებზე

მემუარულ ლიტერატურაში ყოველთვის ჭარბად აქვს ადგილი ისტორიულ მოვლენათა სუბიექტურ ასახვასა და შეფასებას. ავტორები ჩვეულებასამებრ ცდილობენ მეტი მიიწერონ ვიდრე ეს ნამდვილად იყო ან არის. შესაბამისად აკნინებენ სხვათა როლს. მით უმეტეს ისტორიკოსს მეტი კრიტიკული განწყობილება მართებს, როცა მემუარების ავტორი თავის მოწინააღმდეგეს ეხება. სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარების მთავარსარდლის გიორგი კვინიტაძის „ჩემს პასუხში“. ცნობილია, რომ იგი და ნოე ჟორდანიას ერთმანეთისადმი საკმაოდ მტრულად იყვნენ განწყობილი. „ჩემი პასუხი“ დაწერილია ნოე ჟორდანიას „ჩემი წარსულის“ პასუხად და დაიბეჭდა აღნიშნული მოვლენების გამოქვეყნების ერთ-წლის შემდეგ, 1954 წელს. სამწუხაროდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი იმხანად უკვე გარდაცვლილი იყო და ამიტომ „ჩემს პასუხს“ პასუხი არ მოჰყოლია. პროფესიონალი ისტორიკოსის ამოცანაა კრიტიკული მეთოდით აღჭურვილმა განიხილოს „ჩემი წარსული“ და „ჩემი პასუხი“, დაადგინოს ნამდვილი ფაქტები. თორემ ისე ხდება რომ ჩვეულებრივ მკითხველთაგან ზოგი ერთას მოვლენების ყველა მოთხრობილ ფაქტს იზიარებს, ზოგი — მეორისას. ისტორიკოსის მოვალეობა, ცხადია, ისიც გახლავთ, რომ გაარკვიოს მკითხველი ისტორიულ სიტუაციაში. ვფიქრობთ, „ჩემი პასუხი“ დიდად დააინტერესებს მკითხველთა უმეტესობას, მით უფრო რომ ნოე ჟორდანიას „ჩემ წარსულს“ იგი უკვე იცნობს.

გ. კვინიტაძის „ჩემი პასუხი“ იბეჭდება უცვლელად, გარდა უმნიშვნელო ორთოგრაფიული ჩასწორებისა.

გურამ შორანაშვილი

გენ. გ. კვინიტაძე
საქართველოს ჯარების ყოფილი მთავარსარდალი

ჩ ე მ ი პ ა ს უ ხ ი
(ნოე უორდანიას „ჩემი წარსული“-ს შესახებ)

დიდ მადლობას ვუძღვნი იმ ქართველ ემიგრანტებს, მხედრებს და არამხედრებს, რომელთაც იყისრეს ამ წიგნაკის გამოცემა და ამით ხელი შეუწყეს საქართველოს მხედრობის შესახებ სინამდვილის აღდგენას.

აპრორი

ნოე უორდანიას გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა მისი მოგონებანი „ჩემი წარსული“.

ეს წიგნი მეტად დამამცირებელია ქართველი ერისა და განსაკუთრებით, მისი მხედრობისა. როგორც დამსწრე ჩვენი წარსულისა და არა-ერთხელ მთავარ-სარდალი მისი ჯარებისა, ვერ გავჩუმდები და მოვალეცა ვარ, ვაეცე მას სათანადო პასუხი.

ემგობინებოდა ჩემი მოგონებების გამოცემა, რაც დაწერილია 1922 წელს პარიზში ჩემი ჩამოსვლისთანავე, საიდანაც მკითხველი გაითვალისწინებდა ნ. უორდანიას მთავრობის მოღვაწეობას საქართველოში და, განსაკუთრებით, თვით ნ. უორდანიას ნამდვილ მოქმედებას.

ეხლა კი აღვადგენ სიმართლეს იმისა, რაც მოთხრობილია „ჩემ წარსულში“. ამ მოგონებებში ბევრი ამბებია დამახინჯებული და მოგონილიც და ისე, რომ ძნელი წარმოსადგენია, ის მიეწეროს მხოლოდ შეცდომებს.

როდესა აღამიანი საიჭიოს მიემგზავრება, ის აღარ სტყუის, მას ვართ ჩვეულნი. ამიტომ შეიძლება მკითხველს ეგონოს, რომ თუ არა მთლად, მაინც რაღაც უნდა იყოს სიმართლე, რაც ამ წიგნს უფრო მეტად მავნელ ხდას.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს წიგნი დაწერილია მისი სიკვდილის 14 წლის წინ. მაშასადამე, გვაფიქრებინებს, რომ უსახუთო ბრალდებანი და ამბების გადამახინჯება და მოგონებაც არის აღწერილი განზრახვით, რაღაც დასახული მიზნისათვის.

საერთოდ, მოგონებების დამწერი ერთს ვერ აიცდენს თავიდან: რაც უნდა გულდადებით და წინაგანზრახვით დაწეროს, მის ნაწერში ყოველთვის ნათლად გამოჩნდება მისი კაცობა, მისი ხასიათი, მისი თვისებანი, ჭკუა და განათლება.

მე შევეჩები ამ წიგნში მხოლოდ შელახულ სამხედრო ამბებს და სამხედრო პიროვნებებს.

მიემართოთ ამ წიგნს.

1918 წელს გენ. ოდიშელიძე იყო სამხედრო კომისრის თანაშემწედ (კომისრად ამ დროს იქნებოდა ბ-ნი ე. გეგეჭკორი ან ბ-ნი ვ. გობეჩია).

თანახმად სომხების თხოვნისა, გენ. ოდიშელიძე უთმობდა მათ ტფილისის არსენალიდან 13.000 თოფს.

არსენალი იყო მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს განკარგულებაში. ე. ი. ნ. ჟორდანიას განკარგულებაში, რომელმაც მისცა სომხებს მხოლოდ 6.000 თოფი.

ამაზე ნ. ჟორდანიას სწერს (გვერდი 121): „ამ ინციდენტის შემდეგ, ოდიშელიძეზე გული გამიტყდა. აშკარა იყო, რომ მომხდარმა ამბებმა ისე მოშალა და დაარეტიანა, რომ აღარ იცოდა, რას შერებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, იმდენი მფარველი აღმოუჩნდა ჩვენს პარტიაში, რომ ადგილიდან ვერ დავსძარით, სამაგიეროდ მისას არას ვიგონებდი და არც ვეკავშირებოდი. რით დაიქსახურა ნდობა? ერთადერთი გზით, — ყველა ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს ფეხქვეშ ეგებოდა, რასაც ეტყოდნენ, მაშინვე უდასტურებდა, თავისი აზრი არავითარ საკითხზე არ ჰქონდა. სხვისას იმეორებდა და ამიტომაც ხმა გაუვარდა, — ერთადერთი ღენერალია რევოლუციის მომხრეო; გაიკეთა რა ანე სახელი, მთელი სამხედრო საქმეების აწყობა მიანება პოლიტიკოსებისაგან შემდგარ სამხედრო კომისიას“.

ამისთანა ჩივილით და ბრალის სხვაზე გადატანით სავსეა ნოე ჟორდანიას „ჩემი წარსული“.

ასეთი დაფასების შემდეგ გენ. ოდიშელიძე ერთი-ორი თვის შემდეგ იყო დანიშნული ჩვენი დელეგაციის შემადგენლობაში ოსმალეთში და ბათუმში ნოე ჟორდანიას თანხმობით. შემდეგ იყო აგრეთვე პარიზში ჩვენს დელეგაციაში.

1918 წლის აპრილში მე ვიყავი მიწვეული ამიერკავკასიის რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის გ. გიორგაძის თანაშემწედ და მთავარსარდლად.

1918 წლის 26 მაისს, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ხელახლად მიწვეული ვიყავი საქართველოს მთავრობაში ნ. რამიშვილის თავმჯდომარეობით, იმავე თანამდებობაზე.

1918 წლის ივნისის დამლევს — არ ვიცი, რა წესით, — ნოე ჟორდანიას გახდა მთავრობის თავმჯდომარედ და ერთადერთი ცვლილება მოახდინა: მე მთავრობიდან დამითხოვა და ჩემს ადგილზე დანიშნა გენ. ოდიშელიძე, რომელიც ამ დროს უცხოეთში გახლდათ.

რით იხსნება ასეთი საოცარი ამბავი?

ამ დროს ჩვენში იყვნენ გერმანელები, რომლებიც ცუდი თვალთ უყურებდნენ დამფუძნებელი კრების სასახლეზე აღმართულ წითელ დროშას და წითელ გვარდიასაც.

მაშინ მმართველ წრეში გადაწყვიტეს წითელი გვარდიის გარდაქმნა სახალხო გვარდიად და შედგენა მისი წესდებისა.

ამისათვის გ. გიორგაძის თავმჯდომარეობით მოხდა თათბირი წესდების შესადგენად.

ამ თათბირში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ნ. ჟორდანიას, იმ დროს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე.

წესდებაში იყო, მასხოვს, 12 მუხლი, საერთოდ უვარგისი, განსაკუთრებით, სამხედრო ორგანიზაციისათვის.

თანახმად ამ წესდებისა, უნდა შექმნილიყო მხოლოდ ბატალიონები. არ არსებობდა არც პოლკები, არც ბრიგადები, არც დივიზიები. რიცხვი ბატალიონებისა თანდათან მიიყვანეს 24-მდე. მართვა გვარდიისა და მისი ნაწილებისა იყო ხელში კოლეგიური დაწესებულებებისა.

როცა დასჭირდებოდათ რამოდენიმე ბატალიონის შეკავშირება, განსაკუთრებით სამხედრო მოქმედებისათვის, ითხოვდნენ სამხედრო უწყებლებას პოლკოვნიკს, ან გენერალს.

რასაკვირველია, ასეთი ორგანიზაცია, განსაკუთრებით ომის დროს, იყო მავნებელი, მით უმეტეს, რომ მასში აშკარად ჩანდა პრეტორიანების თვისებები, რაც დამტკიცდა შემდეგში ბევრი მაგალითებით.

მე ვიყავი წინააღმდეგი, მაგრამ გამოეთქვი შემდეგი აზრი, რადგან ვერ დავაჯერე ამისთანა ორგანიზაციის უვარგისობა: „მესმის კარგად, რომ თქვენ გსურთ გყავდეთ სანდო დასაყრდნობი ძალა ახალი წეს-წყობილების გასამკურნებლად. არავის არა სურს, ამ მოვლენას შეედავოს; დეე, ასე იყო, მაგრამ ომის დროს, გვარდიელები უნდა იყვნენ გაწვეული ჯარში, თანახმად მობილიზაციის სიებისა“. აი, მშშინ ნ. ჟორდანიამ, ძლიერ აღშფოთებულმა, განაცხადა: „მე, როგორც მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე, ვაცხადებ, რომ ქართული ჯარის სათავეში შეუძლებელია ყოფნა ისეთი პირისა, რომელიც ასე მტრულად არის განწყობილი გვარდიის მიმართ“. ვუპასუხე: „მე არავის არ ვთხოვდი სამსახურს; დაებრუნდები ჩემს სახლში და დაეიწყებ ჩემს აივანზე მშვიდად თამბაქოს წევას ისე, როგორც სანამ აქ მომიწვევდნენ. თქვენი აღვლვება არ შეეფერება არც თქვენს წლოვანებას და არც თქვენს ჰალარა წვერს“.

აი მიზეზი მთავრობიდან ჩემი დათხოვნისა.

ამის შემდეგ მოხდა ბევრი ამბები: სომხებთან ომი, სადაც გავედი მოხალისედ; მერე ახალციხის ამბები, სადაც მივიღე მონაწილეობა ნ. ჟორდანიას პირადი თხოვნით.

ახალციხის, ახალქალაქისა და არტანის ალების შემდეგ, იმავე 1919 წლის მარიაპოლისოვში, მიმიწვიეს სამხედრო სკოლის უფროსად.

1920 წლის აპრილში, ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს, გამგზავნეს ადერბეიჯანში ჩვენი მათთან სამხედრო კავშირის გამოსაცოცხლებად, რადგან დღიდან მისი დაარსებისა (1919 წლის ზაფხული) არაფერი არ გაკეთებულაყო.

დაბრუნებისას კინაღამ არ ჩაუვარდი ხელში რუსებს.

იმავე აპრილის (1920 წ.) დამლევს დამნიშნეს მთავარსარდლად. ეს ომი გავათავეთ მტრის დევნით ჩვენს საზღვრებს იქით.

იმავე წლის ზაფხულში ოსების შემოტევა უკუვადგეთ; მივიღეთ ინგლისელებისაგან აჭარა და ბათომი.

მაგრამ დაბრუნდა გენ. ოდიშელიძე, და მე მაშინათვე გამანთავისუფლეს სამსახურიდან.

ერთი-ორი თვის შემდეგ, როცა გამოაშკარავდა რუსების განზრახვა საქართველოზე დაცემისა, გენ. ოდიშელიძე (იმ დროს სამხედრო მინისტრის თანაშემწე), დაინიშნა მთავარსარდლად.

1921 წლის 16 თებერვალს მე ვიყავი დანიშნული მთავარსარდლად, გენ. ოდიშელიძე, გადაყენებული თავის თანამდებობიდან, იყო დანიშნული ნ. ჟორდანიას მრჩეველად. ამისთანა თანამდებობა არ არსებობდა ჩვენს სამხედრო კრებულში. მაშასადამე, ნოე ჟორდანიამ ბოლომდე არ მოიშორა იგი. საკვირველი

ის არის, რომ „ჩემ წარსულში“ არსად არ არის აღნიშნული, რა მიზეზი იყო ჩემი სამსახურიდან დათხოვნისა.

პირველი ჩემი დათხოვნა მოხდა 1918 წელს შედეგად ჩემი წინააღმდეგობისა გვარდიის ორგანიზაციისა, როგორც სამხედრო ძალისა; 1919 წლის იანვარში სომხებთან ომის შემდეგ; 1919 წლის მაისში ახალციხის ამბების შემდეგ; 1920 წელს რუს ბოლშევიკებთან ომის შემდეგ; 1921 წლის მარტში, სტამბოლში ჩამოსვლისას. მიზეზი ჩემი უკანასკნელი დათხოვნისა ის იყო, რომ „ჯარი აღარ არსებობს“-ო.

ახლა ოფიცრებზე:

აი, რასა სწერს ნოე ჟორდანიას მათზე (გვ. 165 და 166);

1919 წ. მთიულთა საშველად ბოლშევიკების წინააღმდეგ იყო გაგზავნილი ადერბეიჯანით „ჯარის ნაწილები“. სინამდვილეში კი იყო გაგზავნილი ლეო კერეელიძე და მისი მოხალისეთა რაზმი; იქ ისინი იყვნენ განაირაღებული ადერბეიჯანის მთავრობის განკარგულებით, რომელმაც გამოაცხადა, რომ ისინი ჰყიდნენ თავის იარაღს.

ამ გარემოებამ მისცა ნ. ჟორდანიას საბაზი დაეწერა შემდეგი: „გამოკვლევამ დაამტკიცა ნაწილობრივ ბრალდება, ასეთი ხულიგნები ერიენ ჯარში, მაგრამ ეს იყო უმცირესობა რუსის ჯარში ნამსახური ოფიცრების მეთაურობით. საზოგადოდ ჩვენ დაგვლუბა ამნაირმა ოფიცრობამ, მას არ ჰქონდა არავითარი პატრიოტიზმი, ყველაფერს უყურებდა გამოჩენის თვალსაზრისით, ძარცვავდნენ სისტემატურად პოლკებს — ერთი სიტყვით, ეს რუსეთშივე ხალხი იყო ნამდვილი რისხვა ჩვენი საქმიანთვის“.

171 გვერდზე კიდევ სწერს ოფიცრებზე: „ჩვენი მთავარი სატყევეარი იყო სამხედრო ძალის მეთაურობის მოწყობა. ქართული ოფიცრობა იყო გავრდილი რუსის ჯარში და შკოლაში, იყო იმავე დროს რუსის ორიენტაციის, მხოლოდ არა ბოლშევიკურ, არამედ თეთრის. ჩვენთან მოდიოდა უმთავრესად ბოლშევიზმის სიმულვილით და არა თავისუფლების სიყვარულით“.

აქვე კიდევ ერთხელ აძაგებს გენ. ოდიშელიძეს და 172 გვერდზე ათავებს ასე: „დარჩა ოდიშელიძე, ე. ი. დარჩა უხელმძღვანელობა, უპლანობა, მოუშვადებლობა, ალაღ-ბედობა. შემოდიოდა საჩივრები ჯარის ნაწილებიდან, რომ ფული იფლანგება, ხოლო სასამელ-საქმელი კი უვარჯისაო და სხვ. ვნიშნავდი რევიზიებს, მაგრამ არა გამოდიოდა რა. ერთი გამფლანგველის ალაგს იჭერდა ასეთივე ოფიცერი, ჩვენი ოფიცრობის უმრავლესობა მთელს ჩვენს საქმეს უყურებდა როგორც დროებით წარმავალ მოვლენას, რომელიც შესწყდება, როგორც კი რუსეთი აღდგებაო, ამიტომ ხელს ითბობდნენ. საზოგადოდ წარეს და კლასებს შორის ერთადერთი ამ ოფიცრობის უმრავლესობა არ აღმოჩნდა თავის სიმაღლეზე, მოკლებული ყოველივე პატრიოტულ რწმენას“.

აი, რასა სწერს ქართველ ოფიცრებზე საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე. გადაგვარებულებად ასახელებს ხან „უმცირესობას“, ხან „უმრავლესობას“.

განა შეეფერება მთავრობის თავმჯდომარეს ასეთი ბრალდებანი?!

სინამდვილე კი სულ სხვა იყო.

აი, რამდენიმე მაგალითი:

სამხედრო სკოლაში იყვნენ მოსამსახურე-მუშები; ოფიცერი, ვის განკარგულებაშიც ეს მუშები იყვნენ, იღებდა ნაკლებს ჯამაგირს, ვიდრე მუშა.

ოფიცრებს — მასწავლებლებს ლექციებისათვის ეძლეოდათ იმდენი ფული, რაც ძლივს ჰყოფნიდათ ტრამეისათვის.

მე, სამხედრო სკოლის უფროსი, ვიღებდი ჯამაგირს 6.000 მანეთს. ერთხელ პოლკოვნიკი სტოქსი, ინგლისელი, ანტანტის წარმომადგენელი და მე მივიღოდი რუსთაველის გამზირით. ერთმა მათხოვარმა მოგვმარა თხოვნით, და პოლკოვნიკმა სტოქსმა მისცა მას 5.000 მანეთი.

ომის დროს დაქვრივებულ ოფიცრის ცოლს არ ეძლეოდა სარჩენად პენსია: არც აძლევდნენ მის დასამარხად დახმარებას.

მახსოვს, კაპიტანი მარინაშვილი ახალციხის ამბების დროს ყველგან აშენებდა ხიდებს, აკეთებდა და ასწორებდა გზებს, სწმენდა თოვლისაგან და ასწორებდა გზას ხანოირის უღელტეხილზე და სხვა; შეეყარა ქლექი, ვითხოვთ 5.000 მან. აბასთუმანში გასაგზავნად; უარი მივიღეთ, და გარდააცვალა.

თუ ოფიცრობა იყო გამსჭვალული მხოლოდ „ბოლშევიკური რუსეთის სიძულვილით“, რდგორც ადასტურებს ნ. ჟორდანიას, მაშინ დენიკინთან წავიდოდნენ, მით უმეტეს, რომ საქართველო ამ დროს არ უტევდა ბოლშევიკებს, ის მხოლოდ იგერიებდა მათ შემოსევას.

რუსულ გარში რუსეთის არც ერთ ერს არ ჰყავდა ისეთი ოფიცრობა, როგორც ქართველებს, — მუდამ სახელმოხვეჭილი და წარჩინებული. მე შევადგინე ახალციხის ამბების დროს გენერლების სია; 25 გენერალიდან 23-ს ჰქონდა მიღებული წმინდა გიორგის ჯვარი.

ახლა ვადავალ ჩვენს სამხედრო მოქმედებებზე და გზადაგზა აღვადგენ სიმართლეს.

1918 წლის ქრისტეშობისთვეში სომხებმა დაიწყეს ომი ჩვენს წინააღმდეგ. აი როგორ არის აღწერილი ეს ომი 134 და 135 გვერდებზე: ინგლისელი ბრაიდფორდი შემოვიდა ნ. ჟორდანიასთან და დაემუქრა „დიდხანს აქ ვერ იბატონებთო“. და წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ მუქარა სისრულეში მოიყვანა, — სომხები შემოგვასია. რა სურდათ?!

მერე ხსნის, რომ სომხებს უნდოდათ თბილისის დაჭერა და ქართული მთავრობის გადასვლა ქუთაისში.

თურმე ეს იყო მიზეზი ომისა!

მთავრობის თავმჯდომარე ძალიან ადვილად ხსნის ომის მიზეზს.

8 ქრისტეშობისთვეს სომხებმა დაიწყეს შემოტევა: მთავრობამ გამოაცხადა მობილიზაცია მხოლოდ 18 ქრისტეშობისთვეს. თუ სომხებს თბილისის დაჭერა უნდოდათ, რას ელოდა მთავრობა და რატომ არ აცხადებდა მობილიზაციას უფრო ადრე?!

სინამდვილე შემდეგშია:

1919 წელს არის გამოცემული ჩვენი მთავრობის მიერ წიგნი „იზ ისტორიი არმიანო-გრუზინსკიხ ოტნოშენიი“. ამ წიგნიდან ჩანს, რომ სომხებმა მოითხოვეს ბორჩალო და ახალქალაქი, და არა თბილისი.

თურმე 1917 და 1918 წლებში ჩვენი მეთაურები ჰპირდებოდნენ სომხებს ამ მპარებს, რადგანაც მცხოვრებთა უმრავლესობა აქ იყო სომხები. სანამ არსებობდა ამიერკავკასიის რესპუბლიკა, ამას არა ჰქონდა მნიშვნელობა, ამპობდნენ სომხები, და რესპუბლიკების გამოცხადების შემდეგ მოითხოვდნენ დაპირების ასრულებას.

ამისთანა დათმობა ჩვენი ძველებური მიწა-წყლისა, ცოტა არ იყოს, წინ-დაუხედავია და არც „მცხოვრებთა უმრავლესობის დებულება“ არის სწორედ გაგებული.

რაც შეეხება ომის აღწერას (გვ. 135), არც ეს გახლავთ სწორე. თურმე, როგორც ამბობს ნ. ჟორდანიანი, „ბოლნისთან მოეყარა თავი სომეხთა მთავარ საომარ ძალას“, თურმე „აქ მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა მათ და ჩვენს გვარდიას შორის“. მერე სწერს ნ. ჟორდანიანი: „ამასობაში რევოლუციური ჯარი ნაწილობრივ გამოვიდა საბრძოლველად და გაიმართა რევოლუციური ომი“.

ასეა აღწერილი ამ ომის მსვლელობა.

სინამდვილეში კი იმ ნიშანთულებით, სადაც იყო გაგზავნილი გვარდია ნ. ჟორდანიანს პირადი ბრძანებით (გვ. 135), ბოლნისის სომეხებს ჰყავდათ მხოლოდ ჯარის ერთი ბატალიონი და ბოლნისის მცხოვრებნი და არც ერთი ზარბაზანი. მათი მთავარი ძალა კი წამოვიდა რკინიგზის გასწვრივ, სადაც დაამარცხდა შულავერთან, და დაამარცხა ჩვენმა ჯარმა, რომელმაც ხელთ იგდო მათი ოთხი ზარბაზანი, დაიბრუნა შულავერი და სადახლო და დაიწყო მტრის დევნა.

აქ უნდა დავუმატო, რომ ბოლნისის მიმართულებით, სადაც გახლდათ გვარდია, პირველ შეტაკებაში მტერმა ჩაიგდო ხელში ჩვენი ზარბაზნები. მაღლობა ღმერთს, ზარბაზნები დავიბრუნეთ ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მაისურაძის, გვარდიის შტაბის წევრის, თაოსნობით. უკანასკნელმა ამას შესწირა თავისი სიცოცხლე.

სრულებით არაფერს ამბობს ნ. ჟორდანიანი, თუ რით გათავდა ომი. გათავდა იმით, რომ ის მიწა-წყალი, რასაც ჩვენ არ ვუთმობდით სომეხებს, სადავოდ გავხადეთ, ესე იგი, მხედრულად მოგებული ომი პოლიტიკურად წაეგეთ.

ახალციხის ამბებზე, რის შედეგადაც დაკარგული გვექონდა ახალციხე და ახალქალაქი, მთავრობის თავმჯდომარე არაფერსა სწერს, ვითომც ეს ამბავი არც მომხდარიყოს.

1920 წლის ომზე ბოლშევიკების წინაღობა სწერს მხოლოდ შემდეგს (169—170): „მოგვადგა საზღვარზე მაისის დასაწყისს, მივიღეთ სასწრაფო ზომები, გამოვაცხადეთ სამხედრო წესები. გვარდიის მოზილიზაცია და სხვ. მთავარ-სარდლად დაინიშნა გენ. კვინიტაძე. ყველა ჩვენს ღენერლებსა და პოლკოვნიკებს შორის ეს პირი მიგვაჩნდა აქტიური, სწრაფი, მომქმედი, მხოლოდ ჭიუტი და მიუჯარებელი, მაგრამ უკეთესი არავინ იყო, და უნდა შევირიგებოდით ამას“.

შემდეგ სწერს: „პირველი შეტაკება მოხდა წითელ ხილზე, მტერი დაამარცხა გვარდიამ, მხოლოდ გაკვირვებით ამბობენ, თათრები ყველა გაიქცა და მათ შორის არეულმა რუსებმა თავი შემოგვაკლესო, მოკლული აღმოჩნდა ყველა რუსი, არც ერთი ადერბეიჯანელი“.

შემდეგ: „სწორედ ამ დროს მოხდა მოსკოვთან ხელშეკრულების დადება და მით ომიც შეჩერდა“ (ხაზი ჩემია — გ. კ.).

სამხედრო სკოლაზე ბოლშევიკების თავდასხმის შესახებ არ არის ერთი სიტყვა, მიუხედავად იმისა, რომ სკოლის შემადგენლობა, როგორც იუნკრები. აგრეთვე ნაცვალთა ათასეული, დარჩა ერთგული სამშობლოსა და მთავრობისადმი.

1920 წლის 7 მაისს გრ. ურატაძემ მოაწერა ხელი ხელშეკრულებას მოსკოვთან, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ქართული სისხლი იღვრებოდა ჩვენს საზღვარზე რუსებთან ბრძოლაში.

რაც შეეხება გვარდიის მოქმედებას წითელ ხილთან, რადგან ნ. ჟორდანიას აცხადებს, რომ ამ ხილთან „გვარდიამ დაამარცხა მტერი“, უნდა ვთქვა შემდეგი: ამ ხილთან მოხდა შეტაკება მხოლოდ თავმცველებისა (ავანგარდის) და ამიტომ რუსების ჯარი არ იყო დამთავრებულად დამარცხებულ.

რაც შეეხება თვით გვარდიის მოქმედებას უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ორგანიზაცია იყო სრულიად უვარგისი ბრძოლისათვის, როგორც ეს აღმოჩნდა სომხებთან ომში, ახალციხეში, წითელ (გატეხილ) ხილთან და განსაკუთრებით 1921 წელს ჩვენს უკანასკნელ ომში.

წითელ ხილთან პირველ შეტაკებაზევე გვარდიის ნაწილებმა დასტოვეს ბრძოლის ველი, და აქ, პარიზში, ახლაც ცოცხალი არიან ის პირნი, რომლებიც მათრახებით აბრუნებდნენ მათ ბრძოლაში.

შემდეგში, როცა ჩვენ ვაწვებოდით მტერს და ის იხვედა, ერთ ღამეს გვარდიამ დატოვა თავისი პოზიციები; ძლივს-ძლივით შეაჩერეს წითელ ხილთან და მეორე დღეს უბრძოლველად დაიკავეს დატოვებული ადგილები, მტერს კი არ გაუნძრევია ხელი.

18 მაისს სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე და მე გავემგზავრეთ ფრონტზე ნ. ჟორდანიას თანხმობით. უკვე გაცემული იყო ბრძანება 19 მაისისათვის მთავარი შეტევის დაწყებისათვის, და ჩვენ გვექონდა აღებრთავანელებთან დადებული პირობა, რომ ისინი მოახდენდნენ რუსების ზურგში აჯანყებას, რაც, მართლაც, მოახდინეს 25 მაისს განჯაში. 19 მაისს, 12 დღის შემდეგ ბოლშევიკებთან ხელშეკრულების დადებისა, სადასლოში მივიღეთ ნ. ჟორდანიას ბრძანება ომის შეჩერებისათვის. „და მით ომიც შეჩერდა“-ო, ამბობს ნ. ჟორდანიას.

ერთ ღამეში მოხდა უმიზეზოდ ცვლილება.

ეს იყო 1920 წელს, ზაფხულში, როცა გაჩაღდა ომი ბოლშევიკებისა პოლონელებთან და ვრანგელთან. ჩვენს მხარეს ბოლშევიკების ერთი დივიზია* იყო ისე დამარცხებული, რომ ფრონტიდან მოხსნეს: მეორე დივიზია დავამარცხეთ და ვდევნიდით. ჩვენი ცნობით, ბოლშევიკებს ჰყავდათ კიდევ მხოლოდ ერთი დივიზია ბაქოსთან. შეიძლება მეტიც, ჩრდილო-კავკასიიდან წამოსული. ამ დროს მე მყავდა 40 ათასზე მეტი ხიშტი.

25 მაისს აღებრთავანში მოხდა აჯანყება: ვფიქრობ, რომ ჩვენს გამარჯვებას შეიძლება მოჰყოლოდა ჩრდილო-კავკასიელების აჯანყება ბოლშევიკების წინააღმდეგ. როგორც აღებრთავანში.

აი, როდის დავკარგეთ ჩვენი სამშობლო და არა 1921 წელს.

ამის მაგივრად მოხდა უცნაური ამბავი: თანახმად ბოლშევიკური აღებრთავანის მოთხოვნისა, ჩვენი გამარჯვებული ჯარი იხვეს წითელ (გატეხილ) ხილის აქეთ; ეს ჩვენი დამარცხებული მტერი (ბოლშევიკური აღებრთავანი) მხოლოდ ამ პირობით თანხმდებოდა საზავო მოლაპარაკებაზე.

ამ ომის შემდეგ მივიღე ნ. ჟორდანიასაგან ერთი უცნაური საყვედური: „აი, თქვენ აიღეთ ათი მილიონი მანეთი თბილისის გასამარჯვებლად და ეს სიმაგრეები სრულებით არ დაგვეჭრებია“-ო.

„მადლობა ღმერთს, რომ არ დაგვეჭირდა“, ვუპასუხე.

აი, რა პატრონი ჰყავდა საქართველოს!...

„ჩემი წარსული“-დან გამოდის, რომ სომხებთან ომში ჯარს თითქოს არ

* ამ დროს ბოლშევიკების დივიზიაში ითვლებოდა 4500—5000 კაცი.

მიუღია მონაწილეობა: არც 1919 წელს ახალციხის ომში, გვარდიის წასვლის შემდეგ, რაც მოხდა თანახმად მათი მოთხოვნებისა. ჯარმა დაამარცხა მტერი ფოცხოვში, გადალახა საზღვარი და დაუბრუნა არტაანი საქართველოს.

არ შეიძლება არ დაუშვათ, რომ ამ ომის შემდეგ ქალაქი არტაანი, ჩვენი სისხლით აღებული, გადაეცა სომეხებს.

არტაანი, მტკვრის მარცხენა მხარე, სადაც იყო მხოლოდ ყაზარმები, დარჩა ჩვენს ხელში, მაგრამ ახალ-ქალაქიდან ჩვენი იქ მისვლა შეიძლებოდა მხოლოდ სომეხების ნებართვით, რადგანაც ხანიორით იქ მიდიოდა ცუდი გზა და თვით უღელტეხილი ნ თვე იყო დაფარული თოვლით.

ნ. ჟორდანიას ყველგან აქებს გვარდიას: „გვარდიამ დაამარცხა მტერი წითელ ხოდან“, „გვარდიამ დაამარცხა ბოლნისთან მთავარი ძალა სომეხებისა“. ე. ი. გამოჰყავს მხსნელად საქართველოსი.

სინამდვილეში კი სწორედ ეს ორგანიზაცია იყო ერთ-ერთი მიზეზი ჩვენი დაღუპვისა.*

ეხლა შევეხებო 1921 წლის ომს (გვ. 173—174—175).

ბაქოდან ჩამოვიდა ჩვენი წარმომადგენელი ვანო ხუნდაძე. „ჩამოვიდა მოულოდნელად“, ამბობს ნ. ჟორდანიას და „დაწვრილებით გვიამბო, აშკარა იყო მოსკოვის განზრახვა. დავფაცურდით, თავდაცვის საბჭო დავაარსეთ და შეუდექით მზადებას ჩუმად, არავის გაეგო საქმის ნამდვილი ვითარება. ეს საიდუმლო იყო საჭირო, რომ ხალხში პანიკა არ გამოეწვია და მორალური კრიზისი არ შეგვექმნა. საბჭოს დაარსება მოხდა 11 ნოემბერს“. საქართველოს არსოდეს არ ჰქონია თავდაცვის საბჭო. რის წყალობითაც სინამდვილეში არავინ იყო სახელმწიფოს თავდაცვის პასუხისმგებელი. ეს იყო 1918, 1919—1920 წლებში.

როცა 1920 წელს მე დამნიშნეს მთავარსარდლად, მოვიტოვე ამისთანა დაწესებულების დაარსება, რადგანაც სახელმწიფოს თავდაცვის გეგმა არ დამხვდა. დებულება და მისი შემადგენლობა შევადგინე მაშინათვე.

1920 წელს სამსახურისაგან განთავისუფლების შემდეგ ეს თავდაცვის საბჭო გააუქმეს, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ მშვიდობიანობის დროს იყო საჭირო ეს დაწესებულება, მხოლოდ ამ დროს შეიძლება ომისათვის მომზადება: ესე იგი იარაღის, ტანსაცმლის, სურსათისა და ყველაფრისა, რაც ესაჭიროება ჯარს და განსაკუთრებით, თავდაცვის გეგმისა, ჯარის მობილიზაციის ძირითადი დებულებანი, ჯარის მოწყობა, საზღვრების გამაგრება; რასაკვირველია მომავალი მთავარსარდალი უნდა იყოს ამაში ჩახედული და ემზადებოდეს ომისათვის. ჩვენში კი ომისათვის მომზადება იყო მობილიზაცია, მთავარსარდლის დანიშვნა კი ხდებოდა უცბად.

თუ როგორ იყო მოწყობილი ჯარი და მისი მობილიზაცია, არ შევჩერდები ამაზე.

„კობრიელის“ საშუალებით მოვაწყეთ საფრანგეთში ყოფნა 60 ყუმბარისა, — ამბობს ნ. ჟორდანიას. რა არის ეს 60 ყუმბარა? ერთ ბატარეას ბრძოლაში არ ეყოფა ნახევარ საათს. ვგონებ, ეს რიცხვი შეცდომაა.

176 გვერდზე ბრალსა სდებს გენ. ოდიშელიძეს და გენ. ზაქარიაძეს, რომ ბოლშევიკების მიერ სომხეთის დაპყრობის შემდეგ ევრეთწოდებული „სადავო

* საფრანგეთის სამხედრო მისიის მოთავე.

ადგილებში“ შეეცვანეთ ჩვენი ჯარები. ეს მიაჩნია ნ. ჟორდანიას შეტევაზე და სამხედრო თვალთვარისით, და იყო წინააღმდეგი.

„მაგრამ“, ამბობს „ჩვენმა სტრატეგებმა ასე გადასწყვიტეს, თავდაცვის სიმაგრედ დაინახეს ძველებურად მთა-გორი და არა თვით მცხოვრებების სულს-კვეთბა“.

ამით, ვგონებ, თვით ადასტურებს, რომ სომეხებს ჰპირდებოდა ბორჩალოსა და ახალქალაქსა.

რომ თავისი შეცდომა სხვას გადააბრალოს, ახალი სტრატეგიაც გამოიგონა!

როცა იქ მყოფი ჩვენი ჯარის ნაწილები დამარცხდნენ და გენ. ოდიშელიძემ ნაწილების დაფანტვა-დალაგება დააბრალა აკაკი ჩხენკელს, „გული მომივიდა, ვინ არის ჯარების უფროსი — თქვენ თუ ჩხენკელი-თქვა და გამოვუტყხადე დაუყოვნებლივ გადადგეს“.

მაგრამ ეს არ მოიყვანა სისრულეში.

შემდეგ: „გვემართეთ თათბირები, მთავრობის სხდომა. გადაწყდა კვინიტაძის დანიშვნა მთავარსარდლად“.

„გადავსწყვიტე მასთან წინასწარი მოლაპარაკება, შეხვედრასთანავე დაიწყო თავდასხმა უმთავრესად ოდიშელიძეზე. უწოდა მეტად უზრდელი სახელი, გადავიდა სხვებზე, გამოდიოდა რომ არავინ არაფრად არ ვარგა, ომი წინ და წინ წაგებულა, თბილისი უნდა დაეტოვოთ, მცხეთაზე გავმარჯდეთ, ერთი სიტყვით დაუწყობელი აფორაქტებული საუბარი და პლანები. მე ექვი გამოვუტყვი მის ვარგისობის შესახებ ვიწრო წრეში, გვიან იყო“.

რატომ გვიან? რისთვის გადასწყვიტა წინასწარი ლაპარაკი?

არავითარი წინასწარი ლაპარაკი ნ. ჟორდანიასთან არა მქონია. რად უნდოდა ლაპარაკი ჩემთან? განა არ მიცნობდა? განა არ ვიყავი ამის წინათ ჯარების სათავეში ომის დროს? ეს „წინასწარი ლაპარაკი“ მოიგონა უთუოდ იმიტომ, რომ ჩაემატებინა თავის მოგონებებში ჩემთვის მეტად დამამცირებელი ლაპარაკი.

მერე როგორ შეიძლება ამისთანა მდგომარეობაში გალანძღვა გენ. ოდიშელიძისა და დამცირება სხვა გენერლებისა და ლაპარაკი „თბილისის დატოვებაზე“, „მცხეთაში გამაგრებაზე“, ჯერ კიდევ მთავარსარდალიც არ ვიყავი და, რაც მთავარია, არც მეცოდინებოდა ჩვენი ჯარების მდგომარეობა.

ჩემი დანიშვნა მთავარსარდლად მოხდა სულ სხვანაირად: მე ვიყავი ავად და 15 თებერვალს ის იყო წამოვდექი. ამ დღეს, საღამოს 9—10 საათზე დამირეკა ტელეფონით ვ. ჯუღელმა. მკითხა, რას ვპირებ შექმნილ პირობებში. არ ვიცოდი, რა ხდებოდა, რადგანაც არ ვიყავი სამსახურში და ვიცოდი მხოლოდ, რომ დაიწყო ომი.

„განა ისე ცუდად არის საქმე, რომ ჩემი თავი გპირდებათ?“ — ვკითხე. იმან ტელეფონით ახსნა. შევაჩერე და ვუთხარი: „არა ღირს ტელეფონით ამაზე ლაპარაკი, მე მოვალ თქვენთან, რადგან ჩემი სახლი სწორედ გვარდიის შტაბის პირდაპირ არის“.

„არა, მე მოვალ თქვენთანა“—ო, და მოვიდა.

ამიხსნა მდგომარეობა. სადავო ადგილებში მყოფი ჯარი იყო დამარცხებული, მკითხა, თუ მივიღებ მონაწილეობას ამ ომში, ვუთხარი, რომ მთავრობას არა ერთხელ დაუჟღახივარ, და თუ დამიძახებს, რასაკვირველია, მოვალ, რადგან

სამსახურიდან განთავისუფლებისას მუდამ ვეუბნებოდი მთავრობას, — თუ დაგვირდებით, გეახლებით.

მე მივხვდი, რატომ ვ. ჯუღელი მოვიდა ჩემთან, და ვუთხარა: „ოქცენ იცით, რომ მე ვიცი თქვენი გადაჭრით მოთხოვნა სამსახურიდან ჩემი დათხოვნისა, და შეიძლება გეფიქრათ, რომ ეს გარემოება მიზეზი იყოს ჩემი უარისა; ამიტომ პირადად მობრძანდით. ჩემთვის ეს წვრილმანია. ნუ სწუხდებით, თუ მთავრობა დამიძახებს, რასაკვირველია როგორც მუდამ, მოვალ“.

წავიდა და ერთი-ორი საათის შემდეგ უკვე საწოლში ვიყავი, მოვიდა ავტომობილი და წამიყვანა ნ. ჟორდანისა ბინაზე.

შევედი. დიდი მაგიდა; ზედ რუქა, სათავეში ზის ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი და სხვები. ამ მაგიდის ირგვლივ და აგრეთვე მეორე, ამასთან შეერთებულ ოთახშიც, ხალხი; სულ იქნებოდა 30 კაცამდე. გენ. ოდიშელიძე და გენ. ზაქარიაძე პირველ ოთახში. კუთხეში ნ. ჟორდანია ამხსნა მდგომარეობა. აღმოჩნდა უარესი: თურმე დამარცხებულა არა მხოლოდ ხრამის იქით მყოფი ჯარი, არამედ წითელ ხილთან მყოფი 6 ბატალიონი გენ. ჯიჯინას მეთაურობით, გაგზავნილი მათ საშველად აგრეთვე იხევდა. ამას ნ. ჟორდანია დაუმატა, რომ ხვალ დილით ადერბეიჯანიდან იწყებს შეტევას რუსის ჯარი წითელი ხილით, სწორედ საიდანაც მოხსნილი იყო ჯიჯინას ბატალიონები და დამისვა კითხვა: „თქვენი გეგმა“. მე ჯერ არ ვიცოდი, სად იყო დალაგებული დამარცხების შემდეგ ჩვენი ჯარის და გვარდიის ნაწილები, გვყავს თუ არა მშველი ჯარი და სად არის ის, ერთი სიტყვით, სრულებით არ ვიყავი გაცნობილი ნამდვილ მდგომარეობას და რა უნდა მეპასუხა ამისთანა კითხვაზე? მოდი და ნუ გამოხვალ მოთმინებიდან. ვუპასუხე აელვებულმა „ნოე ნიკოლაევიჩი, ომის გეგმას ჰქმნიან ისე, როგორც ქალი ჰქმნის ბავშვს, ჯერ მშვიდობიან დროს თანდათანობით უნდა ყოფილიყო მომზადებული ომის გეგმა, სადაც უნდა ყოფილიყო გარჩეული ყველა შემთხვევა, ამიტომ სარდლობას ალბათ უქნება გეგმა მომავალი მოქმედებისათვის. მე კი შემიძლიან მხოლოდ დავეთანხმო ან შევიტანო შესწორებანი“. ნ. ჟორდანისა შეკითხვაზე გენ. ოდიშელიძემ უპასუხა, რომ ჯარს გაუგზავნა ბრძანება, დაიხიოს ხრამზე. ჩემს შეკითხვაზე, — სად და როგორ არის დალაგებული ჩვენი ჯარი, სარდლობამ ვერ მიპასუხა.

მაშინ ჩაერია ამაში ნ. რამიშვილი და გაშალა თავისი გეგმა. მოკლედ, — უნდა მოვავროვოთ ჯარი ფოილოსთან. იქიდან გადავიდეთ მდინარე მტკვარზე და შევუტიოთ მტერს ზურგში. რასაკვირველია, ვერ შევუთანხმდებოდი ამისთანა უცნაურ გეგმას, მტერი უკვე ხრამზეა, ჩვენი ჯარები იხევენ და გაფანტულიც არიან, რაც გამოჩნდა ნათლად მეორე დღეს დილით. ხვალ დილიდანვე მტერი წითელ ხილიდან და ბორჩალოდან წამოვა თბილისზე. სანამ მოვავროვებთ ფოილოსთან ჯარს, მტერი შემოვა თბილისში, რადგან წინააღმდეგობას ვერავენ გაუწევდა ლორიდან და ბორჩალოდან მომავალ მტერს.

ჩემს შეკითხვაზე, „რა გეაქვს ფოილოსთან მტკვრის გადასასვლელად?“ მივიღე პასუხი: „იქ არის ერთი ბორანი“. „თქვენ კუჩიიდან ვერაზე ვერ გადაიყვანთ ჯარს ერთი ბორნით, როგორ უნდა გადაიყვანოთ მტკვარზე, როცა გალმა ნაპირი მტრის ხელშია?“, იყო ჩემი პასუხი.

არაფერმა მიშველა. ვერ დავაჯერე, ხელის აწევით დაადგინეს ამ გეგმის მიღება და ჩემი დანიშვნა მხოლოდ ფოილოსთან ამ ჯგუფის სარდლად.

კრება დაიშალა. ზოგს ეგონა, რომ მე ვიყავი დანიშნული მთავარსარდლად.

(აქ, პარიზში, ბენია ჩხიკვიშვილმა მიიხრა, რომ ამ სხდომაზე მან ასწია ხელი, რომ ვყოფილიყავი დანიშნული მთავარსარდალად).

როცა ყველა წავიდა, შევაჩერე ვ. ჯუღელი და ვუთხარი, ნოე ჟორდანიას: „ოქვენ შეგიძლიანთ იფიქროთ, რომ მე ვარ შეთანხმებაში რუს ბოლშევიკებთან, რომ მე ვარ სამშობლოს მოღალატე და სხვა ამისთანები. ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს; მიღებული გეგმა განუხორციელებელია: მანამ მოვავროვებთ ფილოსთან ძალას, მტერი შემოვა თბილისში, რადგანაც მას წინ ვერავინ გადაუდგება. ამიტომ ეს გეგმა სწორედ მანვინა და მე ამ თანამდებობაზე უარს ვამბობ“.

აი, მაშინ ნ. ჟორდანიამ, და არა მე, დაიწყო გმობა გენ. ოდიშელიძისა, რომ ის უვარგისი სარდალია, რომ მას არ შეუძლიან ჯარების მართვა და სხვა ამისთანები. მე ვკითხვ: „ოქვენ გენ. ოდიშელიძეზე ამ აზრისა გახდით ეხლა, ჩვენი ჯარების დამარცხების შემდეგ?“, „არა“, ამყად მიპასუხა, მე ყოველთვის ამ აზრისა ვიყავი“.

იმას, რაც მოხდა კრებაზე, დაუმატეთ ეს მისი პასუხი და გაიგებთ ჩემს პასუხს „მამ თქვენის მხრივ ეს გახლავთ დანაშაული (ვისტეკი რუსულად — პრეტუპლენიე). რომ ამ კაცზე ხართ ამ აზრისა და იგი გყავთ მუდამ სამხედრო უწყების სათავეში და თმის დროს აბარებთ სამშობლოს დაცვას“.

გამოვეთხოვე და მივიღიოდი, როცა ნ. ჟორდანიამ მიიხრა. „მანაც ხვალ დილით მოდით შტაბში, მე დაველაპარაკები ზაქარიძეს, როგორ მოვიქცეთ“.

მეორე დღეს, 16 თებერვალს, მივედი შტაბში (მტერმა შეუტია ჩვენს ჯარს სადავო ადგილებში 11 თებერვალს).

შუადღე გადასულიყო, უკვე ვიცოდით ადერბეიჯანიდან რუსებმა გადმოლახეს საზღვარი, შეუტეეს გათენებისას ჩვენს ჯარს მისი მარცხენა ფრთის შემოხვევით და ისიც ვიცოდით, რომ თბილისში უკვე გამოჩნდნენ ბრძოლიდან გამოქცეულნი. ამ დროს გენ. ოდიშელიძე შემოვიდა იმ ოთახში, სადაც მე ვიყავი და მიიხრა: „გაბარებ ჯარს, გისურვებ გამარჯვებას“.

აი, რა პირობებში მოხდა ჩემი დანიშვნა მთავარსარდალად.

გენ. ოდიშელიძე კი იყო დანიშნული მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას სამხედრო მრჩეველად. ესე იგი, შეეძლო გაეწია ნ. ჟორდანიას წინაშე კონტროლი და აწონ-დაწონა და დაფასება ჩემი მოქმედებისა.

ეხლა ყური უგდეთ, რასა სწერს ჩემზე (178 გვ.) „რამდენჯერ მივიღიოდი (მივიღიოდი დღეში ორჯერ) შტაბში. იმდენჯერ კვინიტაძე დაიწყებდა — ერთადერთი გამოსავალია უკან დახევა, გრძელი ფრონტის შემოკლება, მცხეთის მიმართულებით გამაგრება, ზარბაზნების დაწყობა მაღლობზე და იქიდან თბილისის დაცვა, მტერი ვერ შემოვა ქალაქში, ახლა კი გზას მოგვიჭრიან, შემოგვევლებიან და სხ. ეს ყოველ დღე“.

რასაკვირველია, ამისთანა ლაპარაკი არ მქონია ნ. ჟორდანიასთან რომ ეს მოგონილია, ჩანს მისი სიტყვებიდან. აბა, როგორ ვიტყვოდი, რომ მცხეთიდან ზარბაზნებით არ შემოვუშვებ მტერს ქალაქში; რალა დახევა მჭირდებოდა ამისათვის? სოლანდლის ქელიდან მცხეთამდე არა ნაკლებ 30 კილომეტრია, ჩვენი ზარბაზნები ისროდნენ მხოლოდ 7 კილომეტრზე.

ასე გამოჩნდება ხოლმე მოგონილი ტყუილი.

თვითონ ნ. ჟორდანიას უნდოდა დასაწყისში თბილისის დატოვება უბრძოლველად. მე ვიყავი, რომ შევაჩერე და ვუთხარი მას: „მომეცით ათასი კაცი და შეგებრძოლები მტერს, თბილისის დატოვება უბრძოლველად შეუძლებელია“.



და აი აქ, პარიზში სპ. კელიამ მომავონა და დასწერა კიდევ თავის გაზეთში „გუსეაგ“-ში.

ნ. ჟორდანიას თურმე მისულა დამფუძნებელ კრებაში და იქ გამოუცხადებია, რომ უნდა დაეტოვოთ ქალაქი უბრძოლველად, და რომ ეს არის მთავარ-სარდალის აზრით.

1921 წელს, მთავარსარდალად ჩემი დანიშვნის დროს, როგორც მკითხველმა იცის, ნ. ჟორდანიამ „მოკლე წრეში“ გამოთქვა აზრი ჩემს უვარგისობაზე და დამფუძნებელ კრებაში ეყრდნობა ამ „უვარგისი სარდალის“ აზრს.

სპ. კელიამ არ დაიჯერა და რამდენიმე წევრის თანხლებით მოვიდა ჩემთან და მკითხა: „მართალია, რომ ვტოვებთ თბილისს უბრძოლველად?“ ჩემი პასუხი იყო: „ტყუების დავირტყამ თავში ვიდრე დავუტოვებ მტერს დედა-ქალაქს უბრძოლველად“.

მთელი ჩვენი სამხედრო ძალების ნახევარზე მეტი უკვე იყო დამარცხებული და გაფანტული.

ამ ძალების დასახვედრად გავედი სანდარისკენ ვ. ჯუღელის თანხლებით და ენახეთ ხრამიდან მოდიოდა მწყობრად ჯარისა და გვარდიის დანარჩენი მხოლოდ 700—800 კაცი, მათ შორის ერთი ბატალიონი ჯარის პირველი პოლკისა პოლკ. კ. გეგელაშვილის მეთაურობით.

მდგომარეობა შეიქმნა ასეთი:

მტერმა გადმოლახა ხრამი; გატეხილ (წითელ) ხილიდან მოდიოდნენ რუსები.

ორივე მიმართულებით მტერი მოდიოდა თბილისზე. დასახვედრი მაშველი ძალა თბილისთან არ გვყავდა. რადგან ეხლა, როგორც ყოველთვის, როცა უცხად მიწვევდნენ მთავარსარდალად, არ დამხვედრია სახელმწიფოს თავდაცვის გეგმა, მაშინვე დაეუსვი მთავრობას ომის წარმოებისათვის მთავარი საკითხი, როგორც მოეჭიქეცი 1920 წელს. ესე იგი, ჩვენი წინააღმდეგობა თავდება თბილისში, თუ ომი გრძელდებოდა თბილისის დაცემის შემდეგაც? დაადგინეს, როგორც 1920 წელს, სრულებით სამართლიანად, რომ ომს არ ვათავებთ თბილისში და წინააღმდეგობას ვუწევთ მტერს შემდეგშიც.

თანახმად ამ დადგენილებიას, მაშინვე ყველა მინისტრი და სამინისტრო იყო გადაყვანილი ქუთაისში, მთავრობის თავმჯდომარე, საგარეო მინისტრის თანაშემწე კ. საბახტარაშვილი და დამფუძნებელი კრება კი რჩებიან თბილისში; ამათვის მომზადებული იყო განსაკუთრებული მატარებლები და ყველას აუწყეს, რომ მზად იყვნენ ერთ საათში მატარებელში ჩასასხლომად. ასე, რომ თბილისის დატოვება და მისი ევაკუაცია იყო დადგენილი მთავრობის მიერ; ჯარების დახვეის დროს ამორჩევა კი, რასაკვირველია, სარდლობას ეკუთვნოდა.

მივყვეთ წიგნს: 179 გვერდზე: ვითომც მითქვამს: „გზა მოჭრილია, რჩება ერთი ბილიკი — მცხეთისაკენ მიმავალი გზა“. ყველამ იცის, რომ ეს არ არის ბილიკი, ეს არის შარაგზა, შემდეგ — „ხოლო გარე-კახეთიდან მტერი მოდის მცხეთისაკენ“, ყველამ იცის, რომ გარე-კახეთიდან მცხეთისკენ უნდა გამოიაროს თბილისზე.

„ჩემი წარსული“-დანვე ირკვევა, რომ ნ. ჟორდანიას სანდო პირადი ინფორმაციები თურმე ყოფილა გენ. ლებედინსკი, რომელიც (გვ. 175) ჩანს იყო ურთიერთობაში ბოლშევიკურ მისიასთან, რადგანაც მოაწყო საიდუმლო შეხ-

ვედრა თავის ბინაზე ნ. ჟორდანიასი ამ მისიის სამხედრო წარმომადგენელთან, რასაკვირველია, ბოლშევიკური მისიის ნებართვით.

სასაცილოა და დამახანიათებელია ამ პავემანზე მომხდარი ლაპარაკი. თურმე ამ ლაპარაკის დროს ნ. ჟორდანიამ შეატყო, რომ ამ წარმომადგენელს სრულებით არ სურდა მოსკოვის ჩვენზე თავდასხმა. „ლებედინსკის ალბათ მასზე ჰქონდა გავლენა“—ო და რომ „ომი არ მოხდეს, უნდა ჩვენ წავიდეთ დათმობაზე, მაგალითად დაჭერილი „ბოლშევიკების ტყვეების განთავისუფლება“.

შემდეგ, ეს მშვენიერია, „ვამჯობინე დაშინება და ვუთხარი: „კავკასიის ხალხები, იცით ალბათ, უკმაყოფილო არიან მოსკოვის რეჟიმით, თუ ამდენ ხანს არ ამდგარან, ამის მიზეზი ვართ ჩვენ“ და „როგორც კი ჩვენ თავს დაგვესხმებით, აჯანყებებს გაეაჩაღებთ ყველგან თქვენს ზურგს უკან. ამ საბუთმა მასზე იმოქმედა. მხოლოდ მაშინ გავიგე, რომ ყოფილა დავალებული მოსკოვიდან მე ვენახე, ვინაიდან თქვა — „ეს მართლა სერიოზულია. მოსკოვს ვაცნობებო“.

რასაკვირველია აცნობა, რომ ამ აჯანყებების წინააღმდეგ მიეღოთ ზომები. ასეთი გეყავდა მთავრობის თავმჯდომარე.

180 გვერდზე ამბობს, ვითომც მომიყვანია ორი საბუთი დახვევის გადასაწყვეტად: „დამისახელა ორი: საბურთალოში ჩამოვიდნენ მოსკოვის მშვერავები კოჯრით. მაშასადამე გზა არის ღია. სამხედრო მეცნიერება ამბობს, რომ სადაც ორი მშვერავი გაივლის, იქ გაივლის მთელი როტაც, ხოლო სადაც გაივლის როტა, გაივლის იქ მთელი პოლკი“.

ჯერ ერთი, — კოჯორი ჩვენს ხელში იყო; ამას ვერ ვიტყვოდი. სინამდვილეში კი მტერი (მისი ნაწილები) ჩამოდიოდა არა კოჯრიდან და არა საბურთალოში, არამედ მანგლისიდან დიღმის მინდორში.

რაც შეეხება სამხედრო მეცნიერებას, ის ამისთანებს არ ამბობს. შეიძლება, როდისმე ლაპარაკში და არა ჩვენი უკანასკნელი ომის დროს, მიტქვამს ერთ-ერთი ფრაზა, მგონი, კლაუზევიცისა, სადაც გაივლის ურემი, გაივლის კაცი, ხოლო სადაც გაივლის კაცი, გაივლის მთელი ჯარი. გასაგებია ამ სიტყვების აზრი.

რაც შეეხება მეორე საბუთს, ის არის გამოთქმული სრულებით გაუგებრად; ვერ გაიგებ საქმის ნამდვილ ვითარებას. სინამდვილეში კი მდგომარეობა შეიქმნა ასეთი: 24 თებერვალს რუსის ცხენოსანმა ჯარმა უკვე გაიარა ნორიდან (ნორიოდან, გ. ყ) ოლგინსკოებით* და ჰქონდა დაჭერილი მამკოდი, გლდან, ავჭალა და ავჭალის რკინიგზის სადგურიც.

გვარდიამ ნავთლულის პოზიციები დატოვა. ნაშუადღევს ალექსანდრე დგებუაძე მოვიდა ნავთლულიდან დაჭრილი და მითხრა, რომ რუსებს გამოუჩნდათ ტანკები ან ჯავნოსანი ავტომობილები; თვითონ ენახა.

შავნაბადის მონასტერი სოღანლულის ქედზე, ორთაჭალას რომ დასცქერის რუსებმა აიღეს.

დიღმის მინდვრიდან (ნახშირგორასთან) გამოჩნდა ჯერ კიდევ დილით 24 თებერვალს მანგლისიდან ჩამოსული მტერი. მოხვევების პატარა რაზმი შალვა ქარუმიძის მეთაურობით იძულებული იყო დაეხია.

* ოლგინსკოები — თბილისის ზღვის აღმოსავლეთით მდებარე სოფლების — ლენინისა და წითელუზნის ძველი სახელწოდებანი (მანამდე ერქვათ „ქვიშიანი“ და „ქვიტირის ლილო“ (გ. ყ).

შეიძლება ითქვას, რომ უკვე გარშემორტყმული ვიყავით.

ასეთი შეიქმნა მდგომარეობა თბილისთან.

საერთო მდგომარეობა კი იყო შემდეგი: მეთერთმეტე არმია გეკერისა 35000 კაცის შემადგენლობით მოდიოდა ბაქოდან პირდაპირ თბილისზე. ერთმა მისმა ნაწილმა ზაქათალიდან შემოუტია ჩვენს ნაწილებს კახეთში, სადაც მეთაურობდნენ გენ. ახმეტელი და გენ. ჭავჭავაძე და აიძულა ისინი, დაეხიათ.

ჩრდილოეთიდან საქართველოს შემოესია მეორე არმია ლევანდოვსკის მეთაურობით. ეს არმია უკვე მოდიოდა კავკავის გზით, მამისონის უღელტეხილით და შავი ზღვის ნაპირით.

დღუშეთთან გენ. ახმეტელი და გენ. ჭავჭავაძე ჩაუვარდნენ ხელში კავკავის გზით მოსულ ბოლშევიკებს. გენ. ახმეტელი გარდაიცვალა ტყვეობაში. გენ. ჭავჭავაძე კი ომის შემდეგ გამოუშვეს ტყვეობიდან.

მიღებული ზომები დახვეისათვის: გავგზავნე შანიძე მოხალისეთა რაზმით და ჯავშნოსანი მატარებლით ავჭალაში და რკინის გზის სადგური გაეწმინდეთ მტრისაგან, რომ დაეჯერო მტერი, ვითომც ხვალაც ვრჩებით თბილისში. უკანასკნელი საშველი (პირველი პოლკის ათასეული პოლკ. გეგელაშვილისა) შეკუტიე საღამოს 8—9 საათზე შავნაბადის მონასტერს და მგონია უკან დაიბრუნეთ.

შუალამეს 12 საათზე დავიწყეთ საერთო დახვევა.

პირადად მე ცხენდაცხენ 4 ზარბაზნით, 300 კაცით და ერთი ცხენოსანი მწყობრით გავედი თბილისიდან და დაევიტრე პოზიცია დიღმის მინდვრის იქით მუხათ გვერდზე. კოჭრიდან მომავალი ჯარების უზრუნველსაყოფად დიღმის მინდორში ჩამოსული მტრისაგან, სოფელი დიღომიც მქონდა დაჭერილი ერთი ასეულით. ბრძოლის გაგრძელება თბილისისთვის გახდა შეუძლებელი და იძულებული ვიყავით დაგვეწყო დახვევა მცხეთისკენ, რათა წინააღმდეგობა გავვეგრძელებინა.

შემდეგ დღეს ველარ დაიხვედით.

სტამბოლში რომ ჩავედი, მივიღე თბილისიდან წერილი, სადაც მატყობინებდნენ გეკერმა (ბოლშევიკების მთავარსარდალი) წარმოსთქვა: თუ როდისმე შეიძლება მიეცეს დახვეისთვის ვისმეს ჯილდო გენ. კვინიტაძეს უნდა მიეცეს ყველა ჯილდოები. როგორ გამისხლტა ხელიდან, ასე დააფასა მტერმა ჩვენი დახვევა.

182 გვ. თურმე ნ. ჟორდანიას ჩაეძინა მატარებელში და გაიღვიძა როგორც ამბობს აღსტაფაში (აღსტაფა ადერბეიჯანში). ნახა იქ ჯარის და არა გვარდიის ჯარისკაცები თბილისიდან წამოსულნი. დაჰკითხა და გამოარკვია, რომ ესენი იხევდნენ თბილისიდან, „არც ერთი ოფიცერიო“. ვერ მიხვდა, რომ ეს იყვნენ დეზერტირები, რადგან არ ჰყავდათ ოფიცრები და, რასაკვირველია, დიდი ხნის დეზერტირები. ისიც ვერ მოიფიქრა, რომ ფეხით მომავალნი ვერ დაეწყოდნენ მის მატარებელს.

ეხლა ნახეთ ამ გარემოებიდან რა დასკვნა გამოიყვანა ნ. ჟორდანია. სწერს: „ახლა მივხვდი ყველაფერს. მცხეთის ფრონტი იყო მომიზნება ომის გასათავებლად. გავსწიე გორისკენ. აქ დამხვდა შტაბის და კვინიტაძის ვაგონები. ყველა უთავებლოდ გაბნეული მის-მის კუნჭულში“.

ესე იგი, დარწმუნდა მთავარსარდალის ლალატში და არხეინად მიემგზავრება გორისკენ, სადაც ნახა მთავარსარდალის და მისი შტაბის ვაგონები.

რატომ არ მივიდა მთავარსარდალთან, რატომ არ მოსთხოვა მას პასუხი, რატომ არ მიიღო სათანადო ზომები?

იმიტომ, რომ ეს ყველაფერი მოგონილია აქ პარიზში, რომ როგორმე გააშვოს მთავარსარდალი, რომელმაც მასთან შესწყვიტა აქ ურთიერთობა და ნაცნობობაც.

მისდა საუბედუროდ, ამ დროს მე ჯერ ვიყავი მუხთათვერდზე, სადაც ვესალმებოდი ჩვენს ჯარს, ტაბახმელის გმირებს, რომლებიც იხევდნენ გენ. ანდრონიკაშვილის მეთაურობით მტკვრის მარჯვენა ნაპირით.

აქედანვე ვუყურებდი გენ. მაზნიაშვილის მეთაურობით ჩვენი ჯარის ნაწილებს, რომ იხევდნენ მტკვრის მარცხენა ნაპირით, როცა ესენი მიუახლოვდნენ ავჭალას, ვნახე: ამ ჯარმა გაშალა შარი*, ჩამოხსნა ზარბაზნები და აგრეთვე ჯავშნოსნების საშუალებით შეუტია მტერს.

დაახლოებით შუადღეს 25 თებერვალს მოვიდა ჩემთან ცხენდაცხენ გენ. ზაქარიაძე: მითხრა, რომ მცხეთაში დაიშალა ჯარით. მოვედი და ვნახე სადგურზე და მიდამოებში დაშლილი არა ჯარი, არამედ გვარდია.

მივმართე იქ მყოფ ვ. ჯუღელს და მის შტაბს, მოეწესრიგებინათ გვარდია. ჯარის ნაწილებს, ტაბახმელიდან რომ იხევდნენ, ამ დროს ეჭირათ პოზიცია მცხეთის წინ.

ვ. ჯუღელმა და მისმა შტაბმა სცადეს მაგრამ ვერაფერი გაარიგეს. მითხრეს, მხოლოდ გორში შეიძლება მათი მოწესრიგება.

შეჩერება მცხეთაში შეუძლებელი იყო, რადგანაც გვარდიის დაშლის წყალობით, მტერი გავიდოდა პირდაპირ მუხრანს, ესე იგი, მოვკვებოდა ჩვენს ზურგში.

თანახმად ჩემი ბრძანებისა, არტილერია მეორე დღეს 26 თებერვალს გავგზავნე გორისკენ მუხრანით, ჯარი კი ძეგვი-ახალქალაქით. მჯეროდა, რომ გვარდიას მოაწესრიგებენ გორში, იუნკრები ჩავსვი ჩემს მატარებელში მცხეთის და გორს შუა, მგონი გრაკალში ან კასპში.

როცა მივედი გორში, გამოირკვა რომ ვ. ჯუღელმა და მისმა შტაბმა ვერ შეძლეს გვარდიის შეჩერება და მისი მოწესრიგება; გაფანტული მიდიოდნენ ხაშურისაკენ.

გორში მტერი მოგვიახლოვდა. დავრჩი, მანამ კარგად არ დაბინდდა. ჩემი მატარებლის ირგვლივ ვარდებოდა მტრის ყუმბარები, დავძარი ჩემი მატარებელი იმის შემდეგ, როცა ჩვენი ჯარის ზურგმცველის შარი გენ. სუმბათაშვილის მეთაურობით გამოჩნდა მატარებელთან.

ამის დამსწრენი არიან ჩემი შტაბი, იუნკრები და ბ-ნი დავით საღირაშვილი. 5. ჟორდანია არ კმაყოფილდება იმით, რაც დაწერა ოფიცრებზე და 183 გვ. უმატებს: „აღმოჩნდა, რომ თბილისიდან ევაკუაციის დროს ოფიცრებს მიუტოვებიათ თავისი რაზმები, გამოუვლიათ თავ-თავიანთ ბინაზე და ცოლ-შვილი წამოიღეს ხანძარში“.

„წამოიღეს ხანძარში“, სწერს ნ. ჟორდანია. განა ცოლ-შვილი საქონელია?! შემდეგ უკვე გორში დაიწყო ლაპარაკი ოფიცერთა შორის საზღვარგარეთ წასვლაზე და აღგენენ წამსვლელობა სიას. ეს გავიგე ბათომში“. ეს სადაურია?! ესთვის უნდოდათ წარედგინათ ეს სია?

შესამჩნევი ის არის, თუ რა დაჟინებით ნ. ჟორდანია ეძებს რომ გააშვოს ოფიცრები.

* შარი — სამხედრო შენაერთის საბრძოლო წყობა იერიშის დაწყებისას (გ. ყ).

იქვე სწერს დეზერტირებზე. ეს დეზერტირები იყვნენ მისი საყვარელი გვარდიელები. ჯერ ხრამზე ბრძოლის დროს აავსეს თბილისი გამოქცეულებით; გზადაგზა გვარდიის ბატალიონები იშლებოდნენ და მიდიოდნენ თავიანთ სოფლებში. იქვე სწერს (გვ. 182, 183) „არავითარი მზადება ომის გასაგრძელებლად. მითხრეს უღელტეხილზე გაემაგრდებითო (ვინ უთხრა? ქუთაისამდე ეს კაცი არ მინახავს. ჩემი შენიშვნა), მთის გზები დაკავებული გვაქვსო და სხ. ავად ვიყავი, მაინც შეეჯექი ცხენზე და წავედი ამ სიმაგრეების დასათვალიერებლად, მივედი უღელტეხილამდე. არსად არავითარი სიმაგრე. არც თხრილი, არც კაცი, არავითარი წინასწარი ზომა. მხოლოდ დეზერტირობა ურჩიხვი“.

ვადასტურები, რომ იქ იყო პოზიცია ამორჩეული და გამაგრებული ინჟინერ-პოლკოვნიკ თაყაიშვილის მიერ, მაგრამ მთებზე და არა გზებზე.

ეს თხრილები ხაშურთან ბრძოლის შემდეგ დაიჭირა ჩვენმა ზურგმცველმა ვენ. მაზნიაშვილის მეთაურობით, გვარდიის წიფაში გაქცევის შემდეგ.

რადგან გორში გვარდიის ბატალიონები ვერ მოაწესრიგეს ვ. ჯუღელმა მთხოვა, რომ ხაშურში მოვაწესრიგებთო.

ხაშურში მათ მივეცი თითქმის 3 დღე. ჯარს მარტოდ ეჭირა პოზიციები ხაშურის წინ.

ხაშურთან ბრძოლისათვის გვარდიას დავუნიშნე დაეწყო შეტევა 6 საათზე; დაიძრნენ 8—9 საათს; უნდა მოეგლოთ მტრის მარჯვენა ფრთა. ჯარი გადავიდა შეტევაზე პირდაპირ, მუხლამდე თოვლში გაშლილ ხაშურის მონღორობი. ასე თუ ისე ჩვენმა შეტევამ გაიმარჯვა: საღამოზე ბოლშევიკები იხვედნენ ზარბაზნები დაყარეს.

შტაბს უკვე ეგონა, რომ დილით დავიწყებთ დვენას, მოხდა უცნაური მაგრამ ჩვეულებრივი გვარდიელებისათვის, მოვლენა.

დაღამდა თუ არა, ნ. ჟორდანისა საყვარელი გვარდია თავის ნებით მოიხსნა პოზიციიდან და გადავიდა სურამის ქედის იქით, წიფაში.

დილით მტერი გამოჩნდა უღელტეხილზე, ძველი რკინიგზის მიმართულებით და მოექცა ჩვენს ჯარს ზურგში, რომელსაც ეჭირა პოზიცია წინ. იძულებული ვიყავით დაგვეტოვებინა სურამის ქედი.

აქ უნდა აღვნიშნო, რომ მტერს, რომელმაც გადალახა სურამის ქედი ძველი რკინიგზით, გაუმკლავდნენ მე-7-დე პოლკის ნაწილები პოლკოვ. იასე ვაჩნაძისა. ამ გარემოებამ მისცა საშუალება მაზნიაშვილის ნაწილებს დაეხიათ გვირახით.

მკითხველს ეგონება, რომ მე ვაძაგებ გვარდიას, როგორც ხალხს. ნ. ჟორდანია კი აქებს გვარდიას, აძაგებს სარდლობას, ოფიცრობას და მალავს ჯარის მოქმედებას. მე ვაძაგებდი და ეხლაც ვაძაგებ გვარდიის ორგანიზაციას. იქ დააწესეს ისეთი წესები, შეჰქმნეს სწავლის, აღზრდის ისეთი პირობები, რითაც მხოლოდ რყენილნი ხალხს. ამას დაუმატეთ ისიც, რომ არ იყო არც დისციპლინა, არც უფროს-უმცროსობა. ყველგან და ყოველთვის მიტინგები და დადგენილების გამოტანა. ოფიცრობაც ირყენებოდა, გვარდიის შტაბებში იყო ხალხი სრულებით არამცოდნე სამხედრო საქმისა.

რაც შეეხება გვარდიის მთავარ შტაბს, იქ იყვნენ სამხედრო საქმის უფიცნი. ეს შტაბი კი გახლდათ არაქართული; ეს იყო ინტერნაციონალური. იქ იყვნენ გარდა ქართველებისა, სომხები, რუსები, რუსის ურები, თათრები და სხვ.

ყოველთვის ჰყავდათ ამ შტაბში ვინმე უცხოელი ტექნიკოსი-სტრატეგი. მხოლოდ 1920 წელს გადავიდა იმათთან ჯარიდან პოლკ. ჯიჯინია.

ერთი მაგალითი:

ხალციხის ამბების დროს გვარდიის შტაბმა თავი მომაბეზრა: ყოველ დღე მოდიოდნენ, მაძლეოდნენ ამა თუ იმ რჩევას, მოითხოვდნენ ამა თუ იმ მოქმედებას და ბოლოს მითხრეს, რომ იმათ ჰყავთ მხედარი გენერალი და რომ მოკისმინო იმისი გეგმა. დაეთანხმდი. შემოიყვანეს, ვნახე და გავიცინე. ეს იყო ჩემი სკოლის ამხანაგი გვარად ფელიცინი. სამხედრო იურისტი. რევოლუციის გენერალ-გუბერნატორი ირკუტსკში. იქიდან, თეთრების ჯარის დაშლას შემდეგ, ჩამოვიდა და მოთავსდა გვარდიის შტაბში, როგორც სტრატეგი. ვნახე თუ არა, მივესალმე: „ზღრავსტეუი, პეტია!“ ძალზე შერცხვა. მაინც ალაპარაკეს. რასაკვირველია, მისი გეგმა არ გამოდგა.

ქართველ ხალხზე როგორც სამხედრო მასალაზე მე მუდამ კარგი აზრისა ვიყავი.

დავანებოთ ოფიცრობას თავი.

როცა უკანასკნელ რუს-ოსმალის ომში ავიღეთ არზრუმი, იქ ჩავვივარდა მდროშა ოსმალისი. სურათის გადაღებისათვის ამ დროშებისა დაიბარეს ჯარიდან 8 ჯარისკაცი; რასაკვირველია, ამოარჩიეს უფრო დაჯილდოებულნი. ქართველები იყვნენ გაწვეულნი დასავლეთის ფრონტზე. რუსეთში, კავკასიის ჯარში კი იყვნენ თითო-ოროლა. მაინც ამ 8 ჯარისკაცთა შორის იყო ორი ქართველი. ერთი გელოვანი. მეორეს გვარი დამავიწყდა, ძე-ზე თავდებოდა.

ბავშვობისას და ოფიცრობის დროსაც ზაფხულს ვატარებდი ქართლში (საციციანოში, სათარხნიანოში, საერისთავოში), ან კახეთში, სამწუხაროდ, ბედმა არ მარგუნა, რომ დასავლეთ საქართველოში ვყოფილიყავი.

ვიყავი 15—16 წლისა, სამხედრო სკოლის მოწაფე, ერთხელ მივიღიოდი ძეგლის მიდამოებში, როცა შემხვდა გლეხი ფარაჯში.

„გამარჯობა“, „გამამარჯოს“. გზა ერთი გვექონდა. მივიღიოდი ერთად.

„სალდათი ხარ?“ „არა. სალდათი არა ვარ“.

„მაშ რად გაკვრია პავონები?“

„სამხედრო სკოლის მოწაფე ვარ“.

„როცა გავათავებ სკოლას სალდათი იქნები?“

„არა, თუ სკოლა გავათავე, გადამიყვანენ რუსეთში და იქ კიდევ ორი წელიწადი სამხედრო საქმეს მასწავლიან“.

„მერე რაო?“ მითხრა.

„თუ კარგად გავათავე სწავლა. ვიქნები ოფიცერი“.

„მერე, რაო?“ კიდევ მკითხა.

გამიჭირა საქმე და ვუთხარი: „გენერალი ვიქნები“

„მაშ კარგად ისწავლე და გახდი გენერალი“-ო.

„მერე შე რა, ვიქნები გენერალი თუ არა?“

„როგორ თუ რა?“ მომიგო უცბად: „გახდები გენერალი, გაგვიძღვები და გავყრით რუსებს“.

შევხედე გაკვირვებულნი და ვუთხარი: „რას ამბობ, რუსები ბევრნი არიან, მძლავრნი არიან“.

„მერე რაო, ამაყად მიპასუხა, „თუ ჩავერიე თქვენს როტაში, ამ სახრით ათ კაცს გადავებარუნებ“-ო.

მივედ სახლში, ვუამბე მამაჩემს, რომელმაც 58 წელიწადი გაატარა რუსის ჯარში. ცხენოსანში.

„რა გაგივირდა, ჩვენში არაერთხელ ყოფილა ასეთი ამბავი, როცა ჩვენი სამშობლოდან გაგვივლია უფრო მძლავრი მტერი: მაგათ, უბრალო ხალხს, დაუჯერე. ესენი არ ვილაღატებენ, ნასწავლ ხალხზე კი რა გითხრა, შენ თათონ ნახე“.

ასრულდა ორივეს სიტყვა. 1920 წელს გავხდი მთავარსარდალი და საქართველოდან განვდევნეთ რუსები. მაგრამ... როგორც იცით, ამათ იყო.

ჩვენს სამხედრო სკოლაში უფროსად ყოფნის დროს დამტკიცდა ჩემი აზრი, რომ ქართველი ხალხი განმსჭვალულია მხედრული სულით.

საქართველოს ისტორია არის უმთავრესად მისი ომების ისტორია. შუა საუკუნის მპყრობელებმა, რომლებმაც დაიპყრეს ბალკანეთი, კინალამ არ აიღეს ვენაც და აგრეთვე ჩრდილო-აფრიკა, ესპანეთი და შემოესიენ საფრანგეთსაც, იყვნენ ჩვენშიც. მაგრამ საბოლოოდ მაინც განდევნილი იყვნენ. საქმე გავიჭირდა, როცა დავრჩით მარტო გარშემორტყმულნი (კავკასიის მთა, სპარსი, ოსმალო).

მე-**XVIII** ს-ეში კი მარჯვედ ვუმკლავდებოდით მტერს გენიოსი მეფე ერეკლე II-ის წყალობით.

ამ ჩემ აზრს ჩვენს ხალხზე მშვენივრად ამტკიცებს იუნკერებისა და ნაცვალთა ათასეულის ბრძოლები ტაბახმელაზე 1921 წლის ომში. აქ იგივე ხალხი იყო, მაგრამ ნორმალურად აღზრდილნი და ნასწავლნი.

ესლა შევეხები ბათომის ამბებს.

184 გვერდზე ნ. ჟორდანიას სწერს: „უცებ მოულოდნელად ოსმალებმა დაგვარტყა ბათომის მხრით და მოინდომა ქალაქის დაჭერა; აღმოჩნდით ორ ცეცხლს შუა“.

ბათომში უკვე იყო შემოყვანილი ოსმალოს ჯარი. სამწუხაროდ, ნ. ჟორდანიას არა სწერს რატომ შემოვიდა ოსმალოს ჯარი ბათომში.

მისი წერილიდან ჩანს, თითქოს ოსმალომ ბათომიდან შეუტია ჩვენს ჯარს ზურგში.

რასაკვირველია, სრულებით სხვანაირად მოხდა ომი ჩვენსა და ოსმალოს შორის.

11 მარტს ჩვენს ჯარს ეჭირა პოზიციები სამტრედიის ხიდთან რიონის მარცხენა ნაპირას.

12 მარტს ჩამოვედი ფრონტიდან ბათომში ჩვენი უკანასკნელი წინააღმდეგობის მოსაწყობად. დროზე ჩამოვედი.

ბათომში გაკვირვებით ვნახე, ქუჩებში დადიან თათრების დარაჯები. თურმე ნ. ჟორდანიამ ნება მისცა ოსმალოს შემოეყვანა თავისი ჯარი ბათომში. მთავარსარდალს არათუ არა ჰკითხა მისი აზრი, არამედ არც შეატყობინა ეს ამბავი. ვკითხე ჟორდანიას ამის შესახებ.

პასუხად მივიღე, რომ სწორედ ესტყვა, პასუხი ვერ მივიღე იმიტომ, რომ მითხრა: „თათრები ჩვენი მეგობრები არიანო“.

ნამდვილი პასუხი მივიღე აქ. პარიზში.

ფრანგულ ენაზე გამოცემულ ანკარის ნაციონალური კრების ისტორიიდან ჩანს, რომ ჩვენმა წარმომადგენელმა ანკარაში გადასცა ბათომი ოსმალოს (ეს ამბავი იყო გამოქვეყნებული ჟურნალ „კავკასია“-ში).

პატრულების შესახებ ვუბრძანე ბათომის კომენდატს გენ. ფურცელაძეს, რომ თათრების პატრულების უკან იარონ ჩვენმა პატრულებმა შემადგენლობით ორჯერ მეტმა. ეჭვი ავიღე, სიფრთხილეს თავი არა სტიკივო.

მაშინვე მივიყვანე ბათომში ნატანებიდან ართმელაძის დივიზია (იყო მსოლოდ 4 ბატალიონი) და დავიჭიერე ყველა ფორტები; გარდა დაბლობში მყოფ ბორცხანისა, სადაც უკვე იყვნენ ჩასახლებული თათრები.

რაც შეეხება რუს ბოლშევიკებთან მოლაპარაკებას (გვ. 184), აგრეთვე სწორედ არ არის აღწერილი.

„დროს მოსაგებად“, სწერს ნ. ჟორდანია „ჩვენ დავთანხმდით ბოლშევიკებთან მოლაპარაკებაზე და ზავის პირობების გამოამუშავებაზე, რის რატიფიკაციაც უნდა მომხდარიყო ბათომში მთავრობის მიერ“.

რისთვის უნდოდა ნ. ჟორდანის „დროს მოგება“ და განა რატიფიკაციას ახდენს მთავრობა და არა პარლამენტი?!

გრ. ლორთქიფანიძე და სოსო გედევანიშვილი იყვნენ გაგზავნილი სამტრედიამი როგორც მთავრობის წარმომადგენელი ზაგზე ხელის მოსაწერად 15 მარტს. 16 მარტს ხელი მოაწერეს და 17-ს საღამოს 9—10 საათს ჩემს ვაგონში შემოიყვანეს ბოლშევიკების პოლიტრუკი, რომელმაც მითხრა, რომ ომი გათავდა, ზავის ხელშეკრულება ხელმოწერილია და ხვალ გამოვცემ აქ გაზეთსო.

წაიყვანე მთავრობის ვაგონში, სადაც ეს იყო მიღებული ე. გეგუქორის მიერ ჩემი დასწრებით.

საინტერესო ლაპარაკი მოხდა მათ შორის. აქ ამას არ მოვიყვან, რადგანაც ამას ჩემი წერილისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

18 მარტს, დილას უკვე თათრებთან ბრძოლა იყო გაჩაღებული. გამოჩნდა ბოლშევიკების ეშელონი, რომელიც მიუახლოვდა ბათომს, მაგრამ ქალაქში არ შემოსულა, პირიქით ცოტა უკან დაიხია.

რა რატიფიკაციაზე ლაპარაკობს ნ. ჟორდანია?!

რიონის ხილზე მდგომი ჩვენი ჯარი როგორ შემოუშვებდა პოლიტრუკს ან, მით უმეტეს, ბოლშევიკების ეშელონს რომ ხელშეკრულება არ ყოფილიყო ხელმოწერილი?

„აღმოვჩნდით ორ ცეცხლს შუა“, — სწერს ნ. ჟორდანია.

ამას უმატებს იქვე (გვ. 184): „გამოსავალი არ იყო ან შერიგება მდგომარეობასთან და ცნობა მოსკოვის ოკუპაციისა, ან საზღვარგარეთ გასვლა ნაციონალური დროშით და იქ ბრძოლის გაგრძელება. დროს მოსაგებად ჩვენ დავთანხმდით ბოლშევიკებთან მოლაპარაკებაზე და ზავის პირობების გამოამუშავებაზე, რის რატიფიკაციაც უნდა მომხდარიყო ბათომში მთავრობის მიერ“.

თათრებმა ბრძოლა ბათომში დაიწყეს ჩვენს წინააღმდეგ მაშინ, როცა ნ. ჟორდანია იჯდა გემზე „კირალი“-ზე საზღვარგარეთ წასასვლელად და იმავე დროს ზავი ბოლშევიკებთან უკვე იყო დადებული, ე. ი. აასრულა ორივე „ან“, — ზავით შეურთგდა ბოლშევიკებს და საზღვარ-გარეთაც წავიდა.

როცა დამნიშნეს მთავარსარდლად 16 თებერვალს, შტაბში ვნახე ოსმალის ორი ოფიცერი, კიაზიმ ბეი და მისი თანაშემწე ტალაათ ბეი. ორივენი თურმე ელაპარაკებოდნენ ანგორას და მოსკოვსაც პირდაპირი მავთულით (გვ. 181, 4, 5, 6). ეს ლაპარაკი შევაწყვეტინე.

ქ. საბახტარაშვილი ნ. ჟორდანის თანხმობით მაჯერებდა, რომ ოსმალები არიან ჩვენი მეგობრები და იმათი ჯარი ყარაბეჟირ ფაშის მეთაურობით გამოდის ბოლშევიკების (რუსების) წინააღმდეგ; დილით მეუბნებოდა, რომ ისინა აწყებენ ომს სალამოს და სალამოს მეუბნებოდა, რომ დილით.

ამასაც უმატებდა: „ჩვენ მივიღწიეთ იმას, რომ წვაჩხუბეთ ოსმალო და რუსეთი, რაც ანტანტამ ვერ შეძლო“-ო.

ორივეს ვუთხარი „როდის იყო ოსმალო ჩვენი ისეთი მეგობარი, რომ ესლა, ქემალ ფაშა ანტანტასთან ომში, ჩვენი გულისთვის დაეცეს რუსეთს, საიდანაც იღებს იარაღს და ყველა დახმარებას. ჩანს ვერ დავაჯერე: შემოიყვანეს იმათი ჯარი ბათომში, როცა ჩამოვედი ფრონტიდან ბათომში, თურქე თათრების ჯარის ნაწილები უკვე იყვნენ ხულოში და ახალციხეშიც.“

სამი დღის შემდეგ გავიგეთ, რომ რუსების ცხენოსანი გამოსცილდა ხულოს და მოდიოდა ბათომისაკენ. ალბათ, ამათ იცოდნენ, რომ დაიდო ზავი. ვუთხარი ეს ამბავი მთავრობას; არ დაიჯერა, ალბათ ეგონათ; რომ რუსის ჯარი თათრებთან შეხვედრისას შეჩერდებოდა.

185 გვერდზე ნ. ჟორდანია სწერს, რომ მიიღო ზომები, რათა მთავრობა არ ყოფილიყო გადაცემული ბოლშევიკებისათვის.

მეც მივიღე ზომები და უსათუოდ უფრო უზრუნველსაყოფი.

ჩემთან მოვიდნენ ოფიცრები და პოლიტიკური მოღვაწენი და მკითხეს, როგორ შეეხედავ იმას, თუ ისინი დაიჭერენ მთავრობას. ვუპასუხე მოკლედ: „გადავივლით ჩემს გვაზე“.

მაგრამ რომ არ მომეყვანა ბათომში ართმელაძის ბატალიონები, რომელთაც მოედანზე გავუშარეთ ალღუმი, ვინ შეუშლიდა ხელს ოსმალოს წარმომადგენელს კიაზიმ ბეის, რომელმაც უსათუოდ იცოდა ბათომის გადაცემა ოსმალოსათვის, დაეჭირა მთავრობა და გადაეცა რუსებისათვის!

185 გვერდზე ნ. ჟორდანის მოჰყავს თავისი საუბარი განთავისუფლებულ ქართველ ბოლშევიკებთან, სადაც ვითომ უთქვამს, რომ „ისინი დაეხმარონ ჩვენს ჯარს თათრების წინააღმდეგ“.

ეს მისი წინადადება ქართველი ბოლშევიკებისადმი ეწინააღმდეგება ჩემდამი, ორჯელ მოცემულ ბრძანებას: მეორედ გაიმეორა როცა უკვე ბრძოლა ბათომში იყო გაჩაღებული.

გადაჭრით მოითხოვდა გამეცა ბრძანება ჩვენი ჯარის დემობილიზაციისა.

ამას ნ. ჟორდანია დაჟინებით მოითხოვდა, ალბათ, იმიტომ, რომ აქარულეზინა ბოლშევიკებთან დადებული ზავის პირობები. შეიძლება ქართველი ბოლშევიკების ციხიდან განთავისუფლებაც იქ იქნებოდა ჩართული. მაღლობა ღმერთს და გენ. ზაქარიაძეს — ეს ბრძანება არ იყო გადაცემული ჯარისათვის.

უნდა აღვნიშნო, ქართველ ბოლშევიკებთან ნ. ჟორდანის ჰქონდა ლაპარაკი მანამ დაიწყებოდა თათრებსა და ჩვენს შორის ომი; ომი დაიწყო შუალამის შემდეგ 17—18 მარტს, როცა მთავრობა უკვე გემზე იყო. მე კი შტაბისა და იუნკრების თანხლებით ვიყავი ჯერ კიდევ ბათომში.

186 გვერდზე ნ. ჟორდანია მიგონებს: „გემზე გადავედი 16 მარტს. იქ დავეხვდა კვინიტაძე! ვაგვიკვირა მეგონა ბრძოლას მეთაურობდა. მოვიტხოვე დაუყოვნებლივ გადასულიყო ნაპირას და თავისი თვალით ენახა მდგომარეობა და უფროსებთან ერთად ემოქმედნა; მართლაც გადავიდა, რამდენიმე საათის შემდეგ დაბრუნდა. არავინ უნახავს, ნაპირიდანაც არ დაძრულა“.

ლამე 3—4 საათიდან 17—18 მარტისა გვატარე გემზე „მარია“-ზე. გენ. ზაქარიაძემ, შტაბმა და იუნკრებმა ეს იციან. როგორ მნახა გემ „კირალი“-ზე, არ ვიცი.

გემზე გადასვლის თარიღში სცდება. მთავრობა გადავიდა გემზე 17 მარტს ღამის 9—10 საათს იმის შემდეგ, როცა მათ ვაგონში მივიყვანე ბოლშევიკების პოლიტრუკი. ბათომში ბრძოლა ჯერ არ იყო დაწყებული.

შულამის შემდეგ ოსმალები უცბად დაეცნენ ფოსტა-ტელეგრაფს და იქ მოკლეს ჩვენი ორი ოფიცერი. ამით დაიწყო ომი თათრებთან. ნ. ჟორდანიას და მთავრობა იყვნენ უკვე გემზე. რომ ვენახე „კირალი“-ზე ამ დროს, ესე იგი ღამის 10—11 საათს 17 მარტს, როგორ მომცემდა ბრძანებას, მიმეღო მონაწილეობა ბრძოლაში, რომელიც ჯერ არ იყო დაწყებული?!

მთავრობამ მითხრა, რომ ჩვენ ვსვდებით 18 მარტს და, ღამე 17—18 მარტს იმის შემდეგ, რომ პოლიტრუკი მივიყვანე მთავრობასთან, მე მშვიდად ვრჩებოდი ვაგონში. ზოგიერთი ოფიცერი მოვიდა ჩემთან გამოსამშვიდობებლად. მახსოვს მათ შორის პოლ. გელოვანი, წმინდა გიორგის ჯვრით შემკული, მაგრამ ქართული ჯარიდან განდევნილი, როგორც ბევრი სხვა მშვენიერი ოფიცერი, რომლებიც, ჩანს, „ფეხქვეშ არ ეგებოდნენ პოლიტიკურ მოღვაწეებს“ (გვ. 121) და „არ იყვნენ რევოლუციის მომხრენი“.

ღამის პირველი საათი გადასული იყო, გავგზავნე ერთი ოფიცერი, ენახა მთავრობა; დაბრუნდა და მითხრა, რომ მთავრობის ვაგონი დახვდა ცარიელი. წვიდნენ და არც შემატყობინეს; ჩემი ვაგონი იდგა იმათი ვაგონის გვერდზე.

დაახლოებით დილის 3—4 საათს, 18 მარტს, გენ. ზაქარიაძემ მითხრა რომ დრო არის წასვლისა, რათა ბენზინი არ დაგვაკლდეს ჩვენს პატარა გემზედო.

ჩაეჯექით შტაბი და ზოგიერთი იუნკრები და გადავიდით გემ „მარია“-ზე და არა „კირალ“-ზე.

დილის 8—9 საათს. 18 მარტს მივედი პატარა გემით „კირალ“-ზე ნ. ჟორდანიასთან. მითხრა: „მაშ დატოვეთ ჯარი!“ გუშინ, გუშინსწინ, მუდამ მეუბნებოდა, რომ საზღვარგარეთ ბევრი ხალხი არ წამომეყვანა, რადგან იმდენი ფული არა გვაქვს, დღეს მისაყვედურებს, რომ დაეტოვე ჯარი, როცა თათონ ჯარიც, ხალხიც, მიწა-წყალიც დასტოვა და ჩემზე აღრე ჩაჯდა გემში საზღვარგარეთ წასასვლელად.

ჯერ პასუხი არ მივეუბნე, დაუმატა „გადავიტო თუ არა ჯარს ჩემი ბრძანება დემობილიზაციისთვის?“.

ამ დროს ბათომში უკვე ომი იყო. ბოლშევიკების ეშელონი კი მოუახლოვდა ბათომს.

ვუთხარი, რომ, რადგანაც ომი გაჩაღდა, ამ ბრძანების გადაცემა არ არის საჭირო, არც სასურველი და არც მისი ასრულება შეიძლებოდა.

მაინც დაყინებით მოითხოვა ამ ბრძანების გადაცემა. რასაკვირველია ამ ბრძანებას არავინ შეასრულებდა. მაინც წავედი, მენახა მდგომარეობა.

ორი იუნკერი — შოთა ნიკოლაძე და კუკური თოხაძე და ერთი ოფიცერი მიშა გოცირიძე თან მახლდნენ ამ პატარა გემზე, აგრეთვე ბ-ნი თაყაიშვილი, ჩვენი საზღვაო ძალების უფროსი.

ორი იუნკერი გავგზავნე ნაპირიდან, ბარათი მიეცეო გენ. ვარდენ წულუკიძეს სახელზე, რომ ამიხსნას მდგომარეობა. იუნკრები წავიდნენ მთავარ-შტაბში, სადაც მათ დახვდათ გენ. მაზნიაშვილი, შემკული წითელი ნიშნებით „ახალი მთავარსარდალი“.

გენ. მაზნიაშვილი წამოვიდა ფრონტიდან ჩემი ბრძანებით უცხოეთში წამოსასვლელად. მაგრამ მას სადგურზე დახვდნენ ქართველი ბოლშევიკები და სთხოვეს, მიეღო მთავარსარდალობა. მან წაიკითხა ჩემი წერილი, ჩემთვის არაფერი დაუბარებია და იუნკრებს უთხრა, რომ გენ. წულუკიძე რკინიგზის სადგურზეაო.

იუნკრები წავიდნენ იქ და მომიტანეს გენ. წულუკიძისაგან წერილობითი ბარათი. ეს ბარათი კიდევ ცოცხალია; გამოირკვა, რომ ჩვენი ჯარი თათრებთან ბრძოლაშია და აქამდე გამარჯვება ჩვენს მხარეზეა.

ჩემი დარჩენა ბათომში, როცა ძალა-უფლება უკვე ბოლშევიკების ხელში იყო, გახდა ჩემთვის შეუძლებელი, ესე იგი ნიშნავდა ჩემს გადასვლას ბოლშევიკების მხარეზე.

ნ. ჟორდანიას, ჩანს, ძალიან უნდოდა, რომ ეს მომხდარიყო; გასაგებია, უტყუარი საბუთი ექნებოდა ბოლშევიკებთან ჩემი შეთანხმებისა, მით უმეტეს, რომ სრულებით უსაბუთოდ დამაბრალა ღალატი: „მცხეთის ფრონტი იყო მომიზეზება ომის დასამთავრებლად“ (გვ. 182).

ნ. ჟორდანიას არ კმაყოფილდება ყველა იმით, რაც დასწერა ჩემზე და უმატებს: „მისი უცხოეთში წამოსვლა მისი საკუთარი ინიციატივით მოხდა, არავის დაუდგენია“. რათ უნდოდა ამისი აღნიშვნა? ალბათ უნდოდა გაემართლებინა თავისი საქციელი, რომ 1923 წელს დამტოვა უსახსროდ. საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს, ვითომც ეროვნული დროშის მატარებელს, არ შერცხვა, რომ საქართველოს მთავარსარდალი არა-ერთხელ გაჭირვებიდან მისი მხსნელი, მუშაობს პატეს ქარხანაში როგორც უბრალო მუშა.

როცა მე წავედი „კირალი“-დან ბათომში, თურმე ნ. ჟორდანიას უნდოდა დაეძრა გემი და გასაგებია, დავრჩენილიყავი იქ, მაგრამ ჩარუტიმ, იტალიის წარმომადგენელმა უარი სთქვა; „სანამ მთავარსარდალი არ იქნება გემზე, ის არ დაიძრება“. ცოცხალია ამ სიტყვების დამსწერი.

ამიტომ პოლკ. ბადერია, რომელიც თან ახლდა ბ-ნ ჩარუტის, სადამოზე, როცა დავბრუნდი „კირალი“-ზე მოვიდა ჩემთან და მკითხა, „კირალი“-დან კიდევ წავალ სადმე თუ არა? როცა ვუპასუხე რომ აღარ დავიძრები გემიდან, ამის შემდეგ „კირალი“ დაიძრა.

გენ. ოდიშელიძე ნ. ჟორდანიას მრჩეველი და გენ. ზაქარიაძე აგრეთვე თავის ინიციატივით წამოვიდნენ? იუნკრებიც?

ამისთანა კაცთან ურთიერთობის შენახვა ჩემთვის გახდა შეუძლებელი და 1923 წელს შევწყვიტე მასთან ნაცნობობაც.

„ჩემ წარსულ“-ში ჯავრი ამოიყარა.

ჟურნალ „კავკასია“-ში დავწერე 1920 წლის ომზე და აგრეთვე ბათომში მომხდარ ამბებზე: მან არ მიპასუხა იცოდა, რომ ყველაფერი მართალი იყო.

ნ. ჟორდანიას, როგორც ადამიანის დასახსიანებლად მოვიყვანე ორ მაგალითს: როცა ის წავიდა სტამბოლიდან პარიზში, ორი-სამი დღის შემდეგ ჩამაბარეს მისი წერილობითი ბრძანება, რომლითაც ვიყავი განთავისუფლებული

მთავარსარდლის თანამდებობიდან, რადგან „ჯარი აღარ არსებობს“-ო. პარდაპირ ვერ მოთხრა.

მეორე: როცა მოვიტხოვე სტამბოლიდან პარიზში ჩამოსვლა, მთავრობის სხდომაზე პარიზში ნ. ჟორდანამ განაცხადა: „კვინიტაძის ჩამოსვლა პარიზში შეუძლებელია; მოვა აქ, ყველას ეტყვის, რომ ჩვენი ბრალია და კიდევ დაუჯერებენ“-ო.

„ჩემ წარსულ“-ში ნ. ჟორდანია აბრალებს ყველას: მთავარსარდლების დანიშნვას — თავის პარტიას; დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიას — სამხედრო საქმეების მოუწყობლობას; 158 გვერდზე აბრალებს დამფუძნებელ კრებას, რომ მან „ვერ შეანელა გარეშე საფრთხენი“.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე აღნიშნავს: ხალხი იყო რუსების მოტრფიალე, დამფუძნებელი კრება არ ასრულებდა სათანადოდ თავის დანიშნულებას; სარდლობა იყო უვარგისი; ოფიცრები — პოლკის მძარცველები და ხულიგნები, სრულებით მოკლებული სამშობლოს სიყვარულსა; მთავრობაში შესვლა გარდა ე. გეგეჭკორისა და ნ. რამიშვილისა, არავის უნდოდა; ყველა იყო „ჩათრეული“ დამფუძნებელ კრებაში. თოზიციკა ნაციონალ-დემოკრატიებისა იყო მხოლოდ „თოზიციკისათვის“ და არა საქმისათვის.

საწყალი ქართველი ერი!

ნ. ჟორდანია აძაგებს სარდლობას და ოფიცრობას, რომ ეს უკანასკნელი იყვნენ მოკლებული სამშობლოს სიყვარულსა, როცა სტამბოლში ვიყავი, იქ ამ დროს იყო ბევრი ქართველი გენერალი: ყაზბეგი, თუმანიშვილები, მელიქიშვილები, ანდლულაძე და სხვები.

ერთმა მათგანმა გენ. პეტრე მელიქიშვილმა, გადმომცა ამ ძველი გენერლების დავალებით, რომლებიც არასდროს არ მსახურობდნენ ქართულ ჯარში, შემდეგი: „ჩვენ ვიცნობდით თქვენს მამას და თქვენც ვიცნობდით, როცა ბავშვი იყავით. ჩვენ კარგად ვიცით რომ თქვენ არ შეგეძლოთ გეხსნათ საქართველო რუსეთისაგან, მაგრამ თქვენ იხსენით ქართული ჯარის ღირსება და სახელი (ჩესტ); მიიღეთ ძველი გენერლებისაგან ჩვენი უღრმესი მადლობა“.

ამას ამბობენ რუსულ ჯარში ნამყოფი და რუსულ სკოლაში აღზრდილი გენერლები!

ნ. ჟორდანია კი, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე, აბრალებს გენ. კვინიტაძეს სამშობლოსადმი ღალატს.

ნ. ჟორდანიას მოგონებანი დაწერილია 1939 წელს. ვნანობ, რომ გამოქვეყნებული იქმნა მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ. ეს რომ მომხდარიყო ადრე, უსათუოდ მოვთხოვდი პასუხს ცილისწამებისათვის.

ახლა გარდაცვალებულს რა მოეთხოვება!

ჯავრი ამოიყარა ყველაზე და აძაგა თავისი ერი.

საიქოს ღმერთმა შეიწყნაროს მისი სული!

პირველი აბაზიმა

საქართველოს წერილობითი ისტორიის განვითარების
საკითხისათვის აღრეულ შუა საუკუნეებში

საქართველოს წერილობითი ისტორიის გენეზისის კვლევისას, რაც მოიცავს „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ წარმოქმნის საკითხებს, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამ თხზულებათა — „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“, კერძოდ, მისი ქართლის ისტორიის ამსახველი მატეიანის ტექსტების ურთიერთმიმართების საკითხის გარკვევას. თუ, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატეიანეს — რთული სტრუქტურის მქონე თხზულების პირველ ნაწილს, რომელიც, არსებითად „ქართლის ცხოვრების“ თავისებური ვარიანტია — მის ტექსტს, სტრუქტურას, მოცულობას VII ს-ის შუა ხანების შემდეგ, როდესაც უნდა შექმნილიყო „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (არსებობს მისი უფრო ადრეული ხანით დათარიღების ცდაც)¹. არსებითი ცვლილებები არ უნდა განეცადა, თუ არ ჩავთვლით მისი IX საუკუნის რედაქტორის მიერ მიმატებულ, მატეიანისათვის სრულიად არაორგანულ ნაწილს, „ქართლის ცხოვრება“ საუკუნეების მანძილზე განაგრძობდა განვითარებას. „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილი, რომელიც „დავით აღმაშენებლის მეფობის“ ჩათვლით ერთნაირი შედგენილობისაა „ქართლის ცხოვრების“ ყველა რედაქციაში, იმ სახით, როგორითაც მან ჩვენამდე მოაღწია XII ს-ის უნდა იყოს² და არსებობს საკმარისი საფუძველი ვიფიქროთ, რომ ის უნდა შექმნილიყო არა დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ, არამედ მისი მეფობის დროს, კერძოდ XII ს-ის პირველ მეოთხედში³. „ქართლის ცხოვრების“ ამის შემდგომი ხანის ისტორიის შესწავლა⁴ ცხადყოფს, რომ მას, დროთა მანძილზე, პერიოდულად ემატებოდა საქართველოს მიერ განვლილი ცხოვრების ამსახველი ნაწილები, დგებოდა მისი ახალი რედაქციები, რომლებსაც საფუძველად „ქართლის ცხოვრების“ უფრო ადრე არსებული („ძველი“) რედაქციები ედებოდა. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ „ქართლის ცხოვრება“ საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა და მისი XII ს-ის შემდგომი ხანის განვითარება არსებითად ისეთივე იყო, როგორც „ქართლის ცხოვრების“ ტრადიციული ისტორიის, ე. წ. „ჯუანშერის მინაწერის“ თანახმად⁵, მისი VIII ს-მდე ხანის ისტორია — ის „უამითი-უამად აღი-

1 მ. ჩხატარია, ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები, „ცხოვრება წმინდისა ნინოსის“, თბ., 1987, გვ. 81—89.

2 ს. კაკაბაძე, „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის ტექსტოლოგიური შესწავლის საკითხები, მაცნე, ისტორიის სერია, 1977, № 2, გვ. 51, 57.

3 რ. კვიციანი, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, თბ., 1982, „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის ისტორიიდან, გვ. 17.

4 იქვე, გვ. 24 და შემდგომ.

5 იხ. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, ტ. I, გვ. 248.

წერებოდა. „ქართლის ცხოვრების“ ეს ტრადიციული ისტორია, რომლის გამომრიცხველი საბუთები სადღეისოდ გაბათილებულია და მის სასარგებლოდ კი არსებობს საფუძველი, რის გამოც მისი ცნობებისათვის გვერდის ავლა გაუმართლებელი ხდება — გამორიცხავს ჩვენს ისტორიოგრაფიაში ფართედ გავრცელებულ აზრს „ქართლის ცხოვრების“ „მოქცევა ქართლისაზე“, კერძოდ მის მატთანზე დამოკიდებულებისა და ამ უკანასკნელის „საამშენებლო მატინის ხასიათის მასალიდან“ მომდინარეობის შესახებ, რადგან ქართლის ცხოვრების“ (რომელსაც „მინაწერი“ „ქართველთა ცხოვრების წიგნს“ უწოდებს) წყაროდ ყოველთვის, ისევ და ისევ „ქართლის ცხოვრებას“ ასახელებს⁶. ამიტომ „მოქცევა ქართლისაჲს“ მატთან „ქართლის ცხოვრების“ (ჯუანშერის მინაწერში“ მოხსენიებული „ქართველთა ცხოვრების“ ანუ, არსებითად საქართველოს ოფიციალური წერილობითი ისტორიის) VII ს-ის შუა ხანებში, გარკვეული მიზნით — „მოქცევა ქართლისაჲს“ დანიშნულების, იდეური მიმართულების, სტრუქტურის, მოცულობის და სხვ. შესაბამისად შექმნილი „განშტობა“ უნდა იყოს, მსგავსად „ქართლის ცხოვრების“ სომხური რედაქციის (თარგმანისა) XII ს-ში. მართლაც, სავსებით ბუნებრივია, რომ „მოქცევა ქართლისაჲს“ ავტორს, მის დროს არსებული საქართველოს წერილობითი ისტორია (და, ე. ი. VII ს-ის შუა ხანებისათვის არსებული „ქართლის ცხოვრება“ ანუ „ქართველთა ცხოვრების წიგნი“), გამოეყენებინა თხზულების ერთ-ერთი ნაწილის წყაროდ, სადაც აუცილებელი იყო, რომ ქართლის მოქცევა — თხზულების ასახვის მთავარი ობიექტი, მისი თანამედროვეობის — VII ს-ის შუა ხანების დისტანციიდან, ქართლის სამეფოს ისტორიის მთელ კონტექსტში ყოფილიყო წარმოდგენილი⁷.

„ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევა ქართლისაჲს“ მატინის ტექსტების ურთიერთმიმართების ამ თვალსაზრისით შესწავლა ცხადია, რომ არა ყოველთვის, მაგრამ ზოგ შემთხვევაში, ვფიქრობთ, უნდა ადასტურებდეს⁸, და, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ აზრს.

6 გ. მელიქიშვილი, საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები, — საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970, ტ. I, გვ. 53, Н. Ф. Шошиашвили, Некоторые вопросы истории создания „Картлис цховреба“—Актуальные проблемы изучения письменных исторических источников, Всесоюзная научная сессия 17—19 октября 1985 г., г. Батуми, Тезисы докладов Тб. 1985, გვ. 107. მ. ლორთქიფანიძე, რა არის ქართლის ცხოვრება, თბ., 1989, გვ. 37, 43; შ. ბაღრიძე, „ქართლის ცხოვრების“ არქელის ნაწილის ინტერპრეტაციის საკითხები, მაცნე, ისტორიის სერია, 1987, № 4, გვ. 177—183; ე. აბაშიძე, „ქართლის ცხოვრების“ შექმნისა და ისტორიის ზოგიერთი საკითხი, ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო სესია „ძველი ქართლის ცხოვრება“, მოხსენებთა თეზისები, თბ., 1989, გვ. 3.

7 ე. აბაშიძე, ქართლის ისტორია „მოქცევა ქართლისაჲსი“, მაცნე, ისტორიის სერია, 1988, № 3, გვ. 134—135.

8 მ. ჩხარტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 22, ე. აბაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 127—133.

9 ე. აბაშიძე, „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევა ქართლისაჲს“ ტექსტების შედარებითი შესწავლის საკითხისათვის, — ქართული წყაროთმცოდნეობა, VII, თბ., 1987, გვ. 53. „მოქცევა ქართლისაჲს“ და „ქართლის ცხოვრების“ წყაროების შესწავლის საკითხისათვის — ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, თბ., 1989, გვ. 64. „მოქცევა ქართლისაჲს“ მატინის წყაროს კვლევის საკითხისათვის, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1989, № 1,

„ქვემოთ, „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანის ურთიერთმიმართების საკითხს ვახტანგ გორგასლის მეფობის ამსახველი ნაწილების მაგალითზე განვიხილავთ, სადაც, ამ თხზულებების ბევრ სხვა „პარალელურ“ ადგილებთან შედარებით განსაკუთრებით დიდი განსხვავებაა, თუმცა, ცხადია, არის საერთოც¹⁰. „ქართლის ცხოვრებაში“ წარმოდგენილი „ვახტანგ გორგასლის ცხოვრება“ გამორჩეულად დიდი მოცულობის, თავის მხრივ დასრულებული, ჰაგიოგრაფიასთან მიხედვით, რთული სტრუქტურის ვრცელი საისტორიო თხზულებაა¹¹, რომელსაც ხშირად, და არცთუ უსაფუძვლოდ, ისტორიულ რომანსაც კი ადარებენ (რაც თუმცა არ უნდა აკნინებდეს მის, როგორც საისტორიო წყაროს ღირებულებას), მაშინ, როდესაც „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ მას, მატიანის მოცულობის მკაცრად განსაზღვრულობის გამო, ბუნებრივია, სულ რამოდენიმე წინადადება ეთმობა. არსებითად ესაა მოკლე ცნობა ვახტანგ გორგასლის მეფობის შესახებ, რომელიც წარმოადგენს არა „ქართლის ცხოვრებისეული“ „ვახტანგ გორგასლის მეფობის“ მოკლე შინაარს, თუ მის ძირითად ქარგას, არამედ მისი ერთ-ერთი ნაწილის, ერთ-ერთი ეპიზოდის მოკლე რედაქციას, რომელიც მეფისა და მღვდელმთავრის ურთიერთობას ეხება¹². მხოლოდ ამ ფაქტზე ყურადღების გამახვილება ქართლის მოქცევის შესახებ შექმნილ თხზულებაში, რომლის ერთ-ერთი, მოცულობის მხრივ მკაცრად შესწავლილი ნაწილის მიზანიც, ამავე დროს, არის არა ქართლის ვრცელი ისტორიის გადმოცემა („ქართლის ცხოვრების“ მსგავსად), არამედ, მხოლოდ და მხოლოდ მისი „ძირითადი ქარგის“ წარმოდგენა, ქართლის მოქცევის („ნიუნოს ცხოვრების“) ქართლის ისტორიაში ლოკალიზების მიზნით, სავსებით ლოგიკური ჩანს. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანე და კერძოდ მისი „ვახტანგ გორგასლის მეფობა“, ამ თვალსაზრისით სავსებით ასრულებენ თავის ფუნქციას, მით უმეტეს, რომ აქ ვახტანგ გორგასლის მეფობა, მთლიანობაში, არსებითად ისევეა შეფასებული, როგორც „ქართლის ცხოვრებაში“ — ორივე თხზულებაში ვახტანგ გორგასლის მეფობა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ მიჯნად არის გააზრებული¹³ და ის შეფასებულია როგორც „დიდი“ მეფე¹⁴.

ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა ივარაუდა, რომ „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ „ქართლის ცხოვრებისეული“ რედაქცია, კერძოდ, მის მიერ განხილული რამოდენიმე ცნობა, დამოკიდებული უნდა იყოს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ „მსგავს წყაროზე“¹⁵ (და არა „მოქცევაჲზე“).

მაგრამ, ივ. ჯავახიშვილის ეს მოსაზრება აუცილებლად მოითხოვს კომენტარს — უნდა აღინიშნოს, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ „მსგავს წყაროში“, ამ შემთხვევაში, არსებითად ქართლის ისტორიის ამსახველი, „მოქცევაჲს“ მატიანის „მსგავსი“, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი რომელიღაც ჩვენამდე მოუღწეველი თხზულება უნდა ვიგულისხმობთ რადგანაც, ივ. ჯავახიშვილი, „მოქ-

¹⁰ ქართლის ცხოვრება, გვ. მოქცევაჲ ქართლისაჲ — ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 93.

¹¹ Г. Г. Аласания, Классификация грузинских письменных исторических источников, Тб., 1985

¹² ქართლის ცხოვრება

¹³ ი. აბაშიძე, მნათობი, 1990

¹⁴ ქართლის ცხოვრება, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“, გვ. 93.

¹⁵ ი. ვ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 194.



ცევა მართლმადიდებელი და მართლმადიდებელი მათიანეს — „მოქცევა მართლმადიდებლისა“ „პირველი ნაწილი“ და მას, ე. წ. „მოქცევა მართლმადიდებლისა“ „მეორე ნაწილისაგან“ (რომელსაც ის „ნინოს ცხოვრებად“ მოიხსენებდა) დამოუკიდებლად განიხილა, როგორც დამოუკიდებელი ნაწარმოებები¹⁶. და, თუმცა ეს აზრი შემდეგ არ გამართლდა¹⁷ — ცხადი გახდა, რომ „მოქცევა მართლმადიდებლისა“ ეს ნაწილები (მატიანე და მომდევნო ნაწილები) ერთი განუყოფელი თხზულების ორგანული ნაწილებია — შეიქმნა აზრი, რომ კერძოდ ეს მატიანე, „მოქცევა მართლმადიდებლისაში“ მის გაერთიანებამდე, მისგან დამოუკიდებლად არსებობდა¹⁸. ამ სავარაუდო თხზულებას პირობითად მაინც „მოქცევა მართლმადიდებლისა“ „მოიხსენიებენ ხოლმე. მაგრამ „მოქცევა მართლმადიდებლისა“ ამ პირველი ნაწილი „მოქცევა მართლმადიდებლისა“ მატიანე, ვფიქრობთ, პირობითად, გამართლებულია ეწოდოს მანამ, სანამ ის თხზულების („მოქცევა მართლმადიდებლისა“) შემადგენელი ნაწილი იგულისხმება. და თუ მის არსებობას „მოქცევასაგან“ დამოუკიდებლად ვივარაუდებთ (მანამ, სანამ ის „მოქცევა მართლმადიდებლისაში“ გაერთიანდებოდა), ამ შემთხვევაში, გაუმართლებელი ხდება მისი, თუნდაც პირობითად „მოქცევა მართლმადიდებლისა“ მატიანედ ან „მოქცევა მართლმადიდებლისაში“ მოხსენიება. აქ, რა თქმა უნდა, პირობითობებთან გვაქვს საქმე, მაგრამ ამ პირობითობებს საქართველოს (ქართლის სამეფოს) წერილობითი ისტორიის გენეზისის კვლევისას, შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობაც აღმოაჩნდეს.

„მოქცევა მართლმადიდებლისა“ მატიანეს, თუკი მის არსებობას მთლიანი თხზულებისაგან დამოუკიდებლად ვივარაუდებთ („მოქცევაში“ მის სხვა ნაწილებთან ერთად გაერთიანებამდე), ვფიქრობთ, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, თუკი, უფრო ზოგადად, VII ს-ის შუა ხანებამდე (როდესაც უნდა შექმნილიყო „მოქცევა მართლმადიდებლისა“) არსებულ, მაგალითად, „ქართლის ისტორიის ამსახველ მატიანეს“ ვუწოდებდით — რასაც წარმოადგენს კიდევ „მოქცევა მართლმადიდებლისა“ ეს ნაწილი — „მოქცევა მართლმადიდებლისა“ ერთ-ერთი, კერძოდ პირველი ნაწილის წყაროს, რომელიც არსებითად „ქართლის ცხოვრების“ თავისებური, განსხვავებული, მინიატურული რედაქციაა.

როგორც ჩანს, ივ. ჯავახიშვილის მიერ ნაპოვნი თხზულებაც არსებითად ამგვარი — შუა საუკუნეების ქრისტიანული ცენტრალური ხელახლწერილობის პოზიციით წარმოდგენილი ქართლის სამეფოს ოფიციალური წერილობითი ისტორიის ერთ-ერთი, ჩვენამდე მოუღწეველი რედაქცია უნდა იყოს, რომელიც „მსგავსი“ უნდა ყოფილიყო, როგორც „მოქცევა მართლმადიდებლისა“ მატიანისა, ისე „ქართლის ცხოვრების“.

„ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ „ქართლის ცხოვრებისეული“ და „მოქცევა მართლმადიდებლისა“ ვარიანტების ურთიერთმიმართების საკითხს, „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ „ქართლის ცხოვრებისეული“ რედაქციის წყაროს ძიებასთან დაკავშირებით, სპეციალურად შეეხო გ. წულაია, რომელმაც, წინააღმდეგ გავრცელებული აზრისა, ამ მაგალითზე, ეჭვი გამოთქვა „ქართლის ცხოვრების“ „მოქცევას“ მატიანეზე დამოკიდებულების შესაძლებლობის შე-

¹⁶ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, იქვე, გვ. 112, 103.

¹⁷ ე. აბაშიძე, „მოქცევა მართლმადიდებლისა“ შედგენილობა, წყაროები და ეროვნული ტენდენციები, — ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1956, გვ. 63—64.

¹⁸ გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 47; ზ. ალექსიძე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7, გვ. 150, იხ. „მოქცევა მართლმადიდებლისა“.

სახებ. მისი აზრით, საეკვო უნდა იყოს „ქართლის ცხოვრებისეული“ რედ-
ქციის ავტორის მიერ „მოქცევადასეული“ ცნობის გამოყენება, თუნდაც მხო-
ლოდ ამოსავალ წერტილად¹⁹. მეცნიერმა, სამართლიანად გამოიციხა „მოქცე-
ვას ქართლის ცხოვრებაზე“ დამოკიდებულების შესაძლებლობაც ქრონოლო-
გიური მოსაზრებებით — იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ „ქართლის ცხოვრება“
(ჩვენს ხელთ არსებული „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი — ე. ა.) „მოქცევა-
ზე“ უფრო გვიანდელია.

გ. წულაიას აზრით, „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევა ქართლისაჲს“
აღნიშნული ნაწილების ურთიერთმიმართების საკითხი მხოლოდ ორგვარად შე-
იძლება გადაწყდეს: ან, აქ ადგილი უნდა ჰქონდეს საყოველთაოდ ცნობილი
ფაქტების ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ინტერპრეტაციას ორი სხვადასხვა
დროის ავტორის მიერ, რაც ფართოდ არის გავრცელებული შუა საუკუნეების
სხვადასხვა წერილობით კულტურებში, ან, ორივე თხზულება საერთო წყარო-
ზე — პროტოგრაფზე უნდა იყვნენ დამოკიდებულნი, რომელსაც ჩვენამდე არ
მიუღწევია²⁰.

ეს პირველი შესაძლებლობა, ვფიქრობთ, იმ შემთხვევაში უფრო დასაშვე-
ბი იქნებოდა, „ქართლის ცხოვრებისეული“ „ვახტანგ გორგასლის ცხოვრება“
და „მოქცევა ქართლისაჲს“ მოკლე ცნობა ვახტანგის შესახებ, მთლიანი თხზუ-
ლებისაგან დამოუკიდებელნი რომ ყოფილიყვნენ და მათ განხილვას რომ ჰქო-
ნოდა ადგილი. ვახტანგ გორგასლის მეფობას ამსახველი ნაწილების ურთიერთ-
მიმართება ისეთივე უნდა იყოს, როგორც მთლიანად ამ თხზულებებისა და ამ
შემთხვევაში კი, ცხადია გამორიცხულია, რომ ადგილი ჰქონდეს საყოველთაოდ
ცნობილი ფაქტების ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ინტერპრეტაციას „ქარ-
თლის ცხოვრებისა“ და „მოქცევა ქართლისაჲს“ ავტორების მიერ, მაშინ, რო-
დესაც, მათი სწორედ ტექსტობრივი დამოკიდებულება არ იწვევს ეჭვს — „ქარ-
თლის ცხოვრება“ თითქმის მთლიანად — გამოწაკლისებს გარდა, შეიცავს „მო-
ქცევას“ მატთანის ტექსტს.

რადგანაც „მოქცევაჲს“ მატთანის „ქართლის ცხოვრებაზე“ დამოკიდებუ-
ლების შესაძლებლობა უეჭველად გამოიციხულია, ამიტომ ამ თხზულებების
ურთიერთმიმართების გადაწყვეტის ორი შესაძლებლობა დავუშვით: ან „მოქ-
ცევა ქართლისაჲს“ (მისი მატთანე) წარმოადგენს „ქართლის ცხოვრების“ წყაროს
(როგორც ამას უმეტესწილად ვარაუდობენ კიდევ) ან, ორივე ეს თხზუ-
ლება, საერთო, ჩვენამდე მოუღწეველ წყაროზე უნდა იყვნენ დამოკიდებულ-
ნი²¹, და ამ მხრივ, ცხადია, არც ვახტანგ გორგასლის მეფობის ამსახველი ნაწი-
ლები უნდა იყოს გამოწაკლისი.

ამიტომ ვფიქრობთ, რომ აქ, გ. წულაიას მიერ დაშვებულ მეორე შესაძ-
ლებლობას უნდა მიენიჭოს უპირატესობა, რომელიც, როგორც ჩანს, კარგად
ეთანხმება ივ. ჭავჭავიძელის ვარაუდს, და შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის საერ-
თო წყარო, რომელსაც უნდა ეყრდნობოდნენ ამ შემთხვევაში „ქართლის ცხოვ-
რება“ და „მოქცევა ქართლისაჲს“, ქართლის ისტორიის ამსახველი ის თხზუ-

¹⁹ Д жуаншер Джуаншернани, Жизнь Вахтанга Горгасада, перевод, введение и примечания Г. В. Цулая, Тб., 1986, გვ. 30—31.

²⁰ იქვე, გვ. 31.

²¹ ე. ა. ბ ა შ ი ძ ე, ქართლის ისტორია „მოქცევა ქართლისაჲსი“, მაცნე, ისტორიის სე-
რია, 1988, №3, გვ. 134.

ლება უნდა იყოს, რომლის შესახებაც „ჯუანშერის მინაწერი“ მოგვიხსრობს — „ქართველთა ცხოვრების წიგნი“, რომელიც VIII ს-ში ჯუანშერ ჯუანშერიანის კარზე შექმნილ ახალ რედაქციაში აისახა, ხოლო ამ უკანასკნელის მეშვეობით დღესაც არსებობს როგორც „ქართლის ცხოვრების“ ჩვენამდე მოღწეული კიდევ უფრო მოგვიანო ხანის რედაქციების ორგანული ნაწილი.

„ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ ადრეული ხანით დათარიღების ცდები დიდი ხანია არსებობს²². ზემოთქმულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ VII ს-ის შუა ხანებისათვის ის უკვე ქართლის სამეფოს წერილობით გაფორმებულ ისტორიაში უნდა ყოფილიყო გაერთიანებული. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის, ისევე როგორც მაგალითად „დავით აღმაშენებლის ცხოვრება“²³ იმთავითვე „ქართლის ცხოვრებისათვის“ უნდა შექმნილიყო. ამიტომ, ცხადია, რომ ჯუანშერ ჯუანშერიანი „ქართლის ცხოვრების“ ამ ნაწილის, თანამედროვე თვალსაზრისით, არსებითად, მხოლოდ რედაქტორად — ერთხელ უკვე „აღწერილის“ ხელახლა „აღმწერად“, მისი ახალი, თავისი დროისათვის შესაფერისი რედაქციის შემქმნელად უნდა ვიგულისხმოთ²⁴.

ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების შემდეგ, მთელი VI ს-ის მანძილზე და VII ს-ის 20-იანი წლების მიწურულამდე — პერაკლე კეისრის მიერ ქართლის პროირანული მმართველობის და მახდენური ირანის განადგურებამდე, ქართლი, გამოჩაყლის შემთხვევებს გარდა (კირონ კათალიკოსის მოღვაწეობა VI—VII სს. მიჯნაზე, პერიოდული აჯანყებები VI ს-ში და სხვ.) ძირითადად, ირანის მტკიცე პოლიტიკური ჰეგემონიის ქვეშ იმყოფებოდა, რაც, თუმცა, როგორც ჩანს, საკმაოდ სუსტად თუ ზღუდავდა ქართლის კულტურულ განვითარებას (საკმარისია აღინიშნოს რომ ასურელი მამების მოღვაწეობა, რაც ქართლის ქრისტიანიზაციის ახალ ძლიერ ტალღას წარმოადგენდა, VI ს-ზე მოდის), მაგრამ, ამავე დროს, მის, განსაკუთრებით ირანულ სამყაროსთან ამ თვალსაზრისით ურთიერთობას უწყობდა ხელს — ვფიქრობთ, უკვე ამ დროს, უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი „ხოდაა ნამაყის“ გარკვეული გავლენაც „ქართლის ცხოვრებაზე“²⁵, და, ისლამამდელი ირანული წარმოშობის მოტივების გაჩენაც, კერძოდ, „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“²⁶ და „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთ სხვა ეპიზოდში.

22 თ. ქორდანია, ქრონიკები, 1, ტფ., 1892, გვ. XXXIV, ე. გოლაძე, ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, მნათობი, 1983, № 11, გვ. 153.

23 რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 25, 28.

24 გ. ანაბაძე, ჯუანშერი და მისი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1987, №4, გვ. 187.

25 იხ. გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 60—62. ლიტერატურაც იხ. იქვე.

26 იხ. კ. გამსახურდია, ვერტრანგა, თრატეონა და „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1988, № 1, ლიტერატურაც იხ. იქვე.

Э. Г. АБАШИДЗЕ

К ВОПРОСУ О РАЗВИТИИ ПИСЬМЕННОЙ ИСТОРИИ ГРУЗИИ В РАННЕМ СРЕДНЕВЕКОВЬЕ

Резюме

При исследовании генезиса письменно фиксированной истории Грузии значительное место занимает вопрос о взаимосвязи текстов «Жития Грузии» и т. н. «Исторической хроники» — одной из составных частей исторического сочинения «Обращения Грузии» — являющейся в сущности своеобразным миниатюрным и древнейшим вариантом «Жития Грузии».

Традиционная история «Жития Грузии», т. н. «Приписка Джуаншера», исключает как возможность происхождения «Жития Грузии» от «Исторической хроники» «Обращения Грузии», так и происхождения последнего от т. н. «Строительной хроники». Исходя из сведений «Приписки Джуаншера», «Историческая хроника» «Обращения Грузии» представляется как своеобразное «ответвление» от «Жития Грузии».

Исследуемые части «Жития Грузии» и «Обращения Грузии», касающиеся царствования Вахтанга Горгасала, по мнению автора, подтверждают эту мысль.

E. ABASHIDZE

ON THE PROBLEM OF DEVELOPMENT OF THE WRITTEN HISTORY OF GEORGIA IN THE EARLY MIDDLE AGES

Summary

The problem of correlation between the texts of the „Life of Georgia“ and the so called „historical chronicle“ — one of the constituent parts of the „Conversion of Georgia“, which is in fact a kind miniature variant of the „Life of Georgia“, occupies a significant place in the study of genesis of the history of Georgia fixed in the written form.

The traditional history of the „Life of Georgia“ the so-called „Addition of Juansher“ rules out the possibility of origination of the „Life of Georgia“ from the historical chronicle „The conversion of Georgia“ as well as the origination of the latter from the so-called „Building Chronicle“.

Proceeding from the data taken out of the „Addition of Juansher“, the historical chronicle „Conversion of Georgia“ is seen as a kind of branching of the „Life of Georgia“.

The studied parts of the „Life of Georgia“ and the „Conversion of Georgia“, concerning the rein of Vakhtang Gorgasal confirm, in our opinion, this idea.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების წყარომცოდნეობის განყოფილებაში

ღაპით ნინიჲ, მანანა სანაჲ

ჰოვჰანავანჲის მონასტრის ეგვტრის წარწერა ღა ალასტანელ
„პროვინციის მუჰთა“ ისტორიის ჴოზიერთი საიტიხი

ჰოვჰანავანჲის მონასტერი, რომელიც სომხეთში ამჲვე სახელწოდების სოფელში მდებარეობს (არარატის პროვინცია, ახლანდელი აშტარაკის რაიონი), საინტერესო სამონასტრო კომპლექსს წარმოადგენს. მასში შემავალი უძველესი ნაგებობა V ს-ის ტიპური ბაზილიკაა, რომელიც შემდეგ არაერთ-ხელ გადაკეთდა* მონასტრის მთავარი ეკლესია კი აგებულია 1216—1221 წწ.¹ მისი მშენებლობა მხარგრძელთა საგვარეულოს უკავშირდება. ამის შესახებ ცნობას გვაწვდის ზაქარია ქანაკერცი². ამასვე გვამცნობს თვით მონასტრის კედელზე 1217 წ. გაკეთებული წარწერა³.

ჰოვჰანავანჲის მონასტერი, რომელიც მეორე სახელითაც არის ცნობილი „ხილული ვანჲ“, ან „ხოვი-ვანჲ“, მისი არსებობის ადრეულ ეტაპზევე მონაწილეობას იღებს ქართულ-სომხური ურთიერთობების პერიპეტეჲებში. მაგ., „ეპისტოლეთა წიგნის“ მიხედვით, ჰოვჰანავანჲის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში ჩერდება საქართველოდან გამოქცეული მოსე ცურტავის ეპისკოპოსი (VII ს-ის დასაწყისი) და აქედან იწყებს ის ბრძოლას კირიონ ქართლის კათალიკოსის წინააღმდეგ.

ჰოვჰანავანჲის მონასტერს 1250 წელს დასავლეთის მხრიდან აუშენეს შავი ქვით ნაგები, მდიდრული ეგვტერი⁴. სწორედ ამ ეგვტერის ჩრდილოეთ კედელზე გაკეთებულია წარწერა, რომელიც საქართველოს ისტორისათვის არა ერთ საინტერესო მასალას შეიცავს.

აღნიშნული წარწერა, ეკლესიაზე არსებულ სხვა წარწერებთან ერთად, პირველად გადმოუღია ზაქარია ქანაკერცის. მისი თხზულება და, ამდენად, აღნიშნული წარწერაც პირველად გამოიცა 1870 წ.⁵ 1913 წ. ეგვტერის წარწერა შემოკლებით გამოსცა კ. კოსტანენცმა წიგნში „მატიანე ქვაზე“⁶.

¹ О. Халпахчян, Архитектурные ансамбли Армении, М., 1980, с. 385.

² Закари Канакерци, Перевод с армянского, предисловие и комментарии М. О. Дарбинян, М., 1969, с. 242.

³ *Կարի Զախադարյան, Հովանանավանին եւ երա արծանագրութիւնն եր., 1949, թ. 100.*

⁴ Закарий Канакерци, с. 237—238.

⁵ Закарий Канакерци, с. 245.

⁶ *Ջաքարիա Մարկավազ, Ջաքարսյ Մարկավազի պախնութիւն Վազարզապաի, 1870.*

⁷ *Կ. Կոստանենց, Վիմական տარեգիր, სერიაში: Bibliotheca Armeno-Georgica, II, 1913, թ. 142.*

1924 წ. წარწერის სომხური ტექსტი, შემოკლებული ქართული თარგმანით და კომენტარებით გამოაქვეყნა ს. კაკაბაძემ⁸.

საბოლოოდ 1948 წ. აღნიშნული წარწერა პოპანავანქის მონასტრის სხვა შემორჩენილ წარწერებთან ერთად, თავისი ფოტოთი, გრაფიკული მონახაზით და კომენტარებით გამოსცა კ. ლაფაღარიანი⁹.

1. **Շնորհիչն Ա(սիուծո)յ, ի փէրու թի(ս)ն պար(ոն) զգուխալ թամարին, իր թագափորպար**

2. **Ն որդի մեծ(ի)ն մալքիսէթիսկին Գարգէ, ևս Ամասլան, որդի Գողորին ևս ამուս.**

3. **Ին իմ Բեուռնին, հեց ხელაქ պარ(ონաց) ձեռնէ գերկիր աօին, ևս չրթանեցալ ի ծառու**

4. **Թხնէս: Ա(սთուած) թ պար(ոն) აցն ავილია ღერსა, ხრկիրს ღერს: მზანაქლანք ხნაძ փიქინ հერს**

5. **Իք: Հասարակաց თունս խլած էր ու էգեց հოլի շարխათ էր զრած: ამსկ էլ զ**

6. **Հասարակ ի ս(ու)რք կարაպետս ապարպარեսაք վანից ღვი ზოღი շარխაին վեր կալաք վ(ა)ս(ն) არեւշაփութի(ან) պարინ**

7. **აგ მხრიց ხს պარინ აქსაყასკ Շահანշაჩი ևს Շრიվანշაჩი հოღიցნ հამარ ևს არձან(ა) գრესაք լաქიქինակან.**

8. **ხს Աმასլանս վեր կալաქ ևს հասთათხეჩი պარინացն հრამანსა: თქ ირ ვაլս არձანს խარანსէլ ջանაქ պ(ა)რინաց և**

9. **մեր მსეფანე պართოსკან ხენի, դათი Ա(სთուած)յ, վარაძ შიღვაქი ևს კაქინი ათეც ևს ქერეց ս(ու)რք ժიღიվაგ ზიღიվაძ ხეჩეჩი, ამէს:**

10. **ևს սაკასარք ս(ու)რք ილქიხს խითთացանს ի փարიջն: Ժ: պათարաք ի**

11. **փანիჩ հოღი գալրაփեսან: գ: Շահანշაქი: գ: Շრიվანշაჩი: Բ: Զանի: Բ: Ամასլանի: Բ: Բեսო**

12. **ւնէ: կათարიդք գրիս աւլը(ո)ւթ(ին) Ա(սիու ձո)յ ამէს.**

სხვა გამოცემებში:

შემოკლებები: კონსტანენაცი — კ.; კაკაბაძე — კაკ.; ლაფაღარიანი — ლ.

1. კ. **Թագաւորաց:** კაკ. **Թագաւորացն;** ლ. **Թագափորպար**

2. კ. **մեծին მსლქისეჩესქ;** კაკ. **მსლქისეჩესქ;** ლ. **მեծն მალქისթხსկին**

კაკ. **ღიარგէ:** კ. ლ. **Գარგէ**

კ. **ამასლან, որդի Գրիგორին-** კაკ. **Գრიგორին**

ლ. **Աმასլան որդი Գողორին**

3. კ. **Բեսու** კაკ. **Բէლ** ლ. **Բեսուნი**

კ., კაკ. **հէსე** ლ. **հე**

კ. კაკ., **ღერկირ;** ლავ. **ღერկირ**

3/4 კ., კაკ. **ქ დათուოթხსէ** ლ. **ქ დათუოթხსէ**

4. კ. კაკ. **ხრეს;** ლ. **ღერქ**

კ., კაკ. **ხრეს** ლ. **ღერქ**

კ. კაკ. **იზანაქლანք** ლ. **იზანაქლანք**

⁸ ს. კაკაბაძე, ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარეშემო, საისტორიო მოამბე, I, ტფ., 1924, გვ. 138—39.

⁹ **Կ. Զაქარյան,** გვ. 100.

8. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1990, № 3

- 5. კ. *ტყიე ნიღი ჯარაჲს ღერ ყრამ*
 კაკ. *ტყიე ნიღი ჯამჩ ღერ ყრამ*
 ლ. *ო. ტყხე ნიღი ჯარხათ ღერ ყრამ*
- 5/6 კ. კაკ. *ნასარაჲს... საყსყარხეგად.*
 ლ. *ღნასარაჲს... საყსყარხეგად*
- 6. კ. *ქანაგ ღეიე ნიღი ჯარხაჲს*
 კაკ. *ქანაგ ღეიე ნიღი ჯარხაჲს...*
 ლ. *ქანხე ღეიე ნიღი ჯარხათან...*

7. კ. *აქმარაჲ ლ. აქმარაჲ*
 მე-7-ე ბჭვარში კონსტანტინეს ტექსტი წყდება შირვანშაჰზე და მხოლოდ მე-10-ე ბჭვარიდან ახლდება.

- კაკ. *ნიღიღი ლ. ნიღიღი*
- 8. კაკ. *ქერ ღელაგ ლ. ქერ ღელაჲ*
ქაჲჩანხე ლ. ქარანხე
- 9. კაკ. *ქარბა ლ. ქარბა*
 კაკ. *ბიღიღიღი ლ. ბიღიღიღი*
 კაკ. _____; ლ. *ამქს*
- 10. კ. კაკ. *ქ თარღიღი; ლ. ქ თარღიღი*
 კ. *ყათარაჲ; კაკ. ყათარაჲს, ლ. ყათარაჲ*
- 11. კაკ. *ნიღიღი ღელაქანხე ლ. ნიღიღი ღელაქათან*
 კ. წინადადების ეს ადგილი გამოტოვებული აქვს.
 კ., კაკ. *წანანჯარჩ; ლ. წანანჯარჩ*
 კაკ. *ჯანხე; კ. ლ. ჯანხე*
 კ., კაკ. *სამაჯანხე ლ. სამაჯანხე*

11/12 კ. *ჩქათონქ კაკ. ჩქათონქ ლ. ჩქათონქ*
 12. კ. ეს ბჭვარი გამოტოვებულია, კაკ. *ორნიღი; ლ. აინ*
 როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობს წარწერის შემოკლებული ქართული და სრული რუსული თარგმანი. შემოკლებული ქართული თარგმანი ეკუთვნის ს. კაკაბაძეს¹⁰, ხოლო რუსული თარგმანი შესრულებული აქვს დარბინიან-მელიქიანს¹¹.

ჩვენ თარგმანის პარალელურად, ქვემოთ ბჭვარების ნუმერაციის მიხედვით, მოგვყავს ის კითხვასხვაობები, რომლებსაც აღნიშნული ავტორების თარგმანები იძლევიან ჩვენ თარგმანთან შედარებით.

თარგმანი

1. წყალობითა ღმრთისა, ხელმწიფობაში პატრონისა დედოფლისა თამარისა და მისისა სამეფოსა [ვაჟისა],
2. ძისა დიდისა მეღქმისედეკისა გიორგისა, მე ამსაჯანმა გოგორის ძემ და მეუღლემ ჩემმა ბესუქიმ.
3. რა ჟამს მოხდა და პატრონთა ქვეყანა წართვეს, მე არ დავაკელო [მათ] ჩემი

¹⁰ ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 139.

¹¹ Закарий Канакерци, с. 252—253.

4. სამსახური. ღმერთმა გაუმარჯვა პატრონთა, დაუბრუნა ეს ქვეყანა. ჰოვანავანქი მე მიწყალობეს სამკვიდ-

5. როდ, სახლი ეს მთლიანად დანგრეული იყო და სავენახე მიწას შარიათი დადებოდა ჩვენც

6. სრულიად წმინდა კარაპეტს ჩავაბარეთ. მონასტრის სავენახე წერილი შარიათი განვწესეთ სადღეგრძელოდ პატრონ

7. თა ჩვენთა და პატრონის ათაბაგის შაჰანაშაჰისა და შირვანშაჰის სულთათვის და დავწერეთ სიგელი სამუდამო.

8. მე ამსაჯანმა აღვადგინე და პატრონთა ბრძანებით დავადგინე: ვინც ეცადოს ამ განგებულის შეცვლას, ცოდვები ჩემი და ჩემთა პატრონთა

9. მის მოეკითხოს, მსჯავრი ღმრთისა [მასზედ იყოს]. სასყიდელი იუდასი და კაენისა მისგან აიღონ, სამი წმინდა კრებისაგან წყეულ იყოს, ამენ.

10. და ამ წმინდა მონასტრის მსახურთა თავს იღვეს ყოველწლიურად 12 წირვა გადაიხადონ.

11. სულის წმინდის მოფენის დღესასწაულზე; 3. შაჰანაშაჰისათვის, 3. შირვანშაჰისათვის, 2. ჯანესთვის, 2. ამსაჯანისა და 2. ბესუ-

12. ჭისათვის. ამ დაწერილის აღმსრულებელთა [ზედა] კურთხევა იყოს ღმრთისა, ამენ.

წინათარგმანებში:

შემოკლებები კაკ. კაკაბაძე, დ, დარბინიანი—მელიქიანი

პირველი და მეორე ბწყარი:

კაკ. „პატრონობასა პატრონისა დედოფლის თამარისა და მისი ძისა, ძისა მეფეთასა, დიდისა მელიქსედექისა, შვილისა გიორგისა“

დ. „В правление парон-госпожи Тамары и её царственного сына великого Мелкиседека Георга.

მე-3-ე ბწყარი:

დ. «Когда только [чужеземцы] отняли у наших паронов нашу страну, я не изменил служению своим господам».

კაკ. „როდესაც ჩვენს პატრონებს წაართვეს ქვეყანა, ჩვენ მაინც არ დაუკლეთ მათ სამსახურს.

4 დ. Господ «вернул паронам удачу и нашу страну. Отдали они мне в вотчину [село] Оваживанк».

კაკ. „პატრონობასა პატრონისა დედოფლისა თამარისა და მისი ძისა, ძისა ქვეყანა და პატრონებმაც გვიწყალობეს ოპანუ-ვანქი“.

5 დ. „Все наши дома были разрушены, земли [и] сады были обложены шариадом“.

კაკ. „საზოგადო სახლი დანგრეული იყო, ვენახები გადაქცეული იყო შარაგზად“.

6 დ. «Мы же все передали святому Карапету, освободив монастырские земли, сады от шариада во имя долголетия»...

კაკ. „ჩვენ ყველაფერი ჩავაბარეთ წმინდა კარაპეტს და აღვადგინეთ წესისამებრ ვენახები სადღეგრძელოდ.....“

მე-7—მე-9-ე სტრიქონები ს. კაკაბაძესთან გამოტოვებულია მრავალ წერტილით.

წარწერის დათარიღება

1. წარწერას თავის დროზე ყურადღება მიაქცია მ. ბროსემ. ის ფიქრობდა, რომ წარწერაში მოხსენიებულია თამარ მეფე და ამიტომ წარწერას XIII ს-ის დასაწყისით ათარიღებს¹².

2. კოსტანენცი, როგორც ჩანს, წარწერაში მოხსენიებული თამარის ასევე თამარ მეფესთან იდენტიფიკაციის გამო, წარწერას 1201 წლის ახლო ხანებით ათარიღებს.

3. ს. ჯანაშია ადნიშნულ წარწერას თამარ მეფეს მიაწერს და ათარიღებს 1201 წლით (არგუმენტები არ არის მოყვანილი)¹³.

4. ს. კაკაბაძე ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ წარწერაში მოხსენიებული შაჰანშაჰი (შანშე) ატარებს არა მანდატურთუხუცესის, არამედ ათაბაგის ტიტულს, ამდენად, მისი შანშე I დიდად მიჩნევა არ იქნება სწორი. ვარდა ამისა მანვე ყურადღება მიაქცია წარწერაში მოხსენიებულ „დიდი მელიქსედეკის“ პიროვნებას, რომელიც ქართული დოკუმენტური წყაროებით XIII ს-ის დასასრულსა და XIV ს-ის დასაწყისის მოღვაწედ ჩანას. ყოველივე ამის შედეგად ს. კაკაბაძე წარწერას XIV ს-ის დასაწყისით ათარიღებს და მისი ამოკვეთის ზედა ქრონოლოგიურ საზღვრად 1320 წ. მიიჩნევს (ვინაიდან 1320 წ. ანისის წარწერით შანშე II უკვე გარდაცვლილია)¹⁴.

5. კ. ლაფადარიანი, როგორც ჩანს, არ იცნობდა ს. კაკაბაძის საბუთიანობას წარწერის დათარიღების შესახებ. მისი თვალსაზრისი ადნიშნული საკითხის ირგვლივ შემდეგია: წარწერა ამოკვეთილი იყო XIII ს-ის დასაწყისში, მაგრამ შემდგომ, სამრეკლოს აშენების შედეგად წარწერის შუა ნაწილი დაზიანდა და ის ხელახლა ამოკვეთეს იმავე კედელზე XIII ს-ის შუა წლებში. თუმცა მკვლევარი თვითონ არ არის საკითხის ასეთი გადაწყვეტით კმაყოფილი. უფრო ქვემოთ ის დასძენს: „ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი მძიმე შრომის გაწევისა და მიუხედავად (იგულისხმება წარწერის შერჩეულების და შემდგომ მისი ხელახლა ამოკვეთის ფაქტი. ხაზი ჩვენია — დ. ნ. — მ.ს.) დიალექტური ელემენტები მაინც შენარჩუნებულ იქნა წარწერაში“¹⁵. როგორც მისი დათარიღებიდან ჩანს, კ. ლაფადარიანიც წარწერაში დასახელებულ თამარს თამარ მეფედ მიიჩნევს.

ჩვენ ვიზიარებთ წარწერაში დასახელებულ პირთა სარგის კაკაბაძისეულ იდენტიფიკაციას, მაგრამ გვინდა შევეიტანოთ ერთგვარი კორექტივი წარწერის მისეულ დათარიღებაში: როგორც ჩანს, ს. კაკაბაძეს მხედველობიდან გამორჩა ის ფაქტი, რომ წარწერის მიხედვით შანშე უკვე გარდაცვლილია. ამიტომ 1320 წ. უნდა იქნეს მიჩნეული წარწერის ამოკვეთის ქვედა და არა ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად. მაგრამ წარწერა 1320 წელზე ბევრად გვიანაც ვერ გაკეთდებოდა, ვინაიდან წარწერაში გიორგი ჯერ კიდევ მცირეწლოვანია. ამიტომ ჩვენ წარწერას 1320—1321 წწ. ვათარიღებთ.

¹² M. Brosset, Collection d'historiens arméniens, SPB, II, 1876, გვ. 173.

¹³ С. Джанашиа, Об одном примере искажения исторической правды, По поводу книги Н. Токарского «Архитектура древней Армении», Тб., 1947, с. 44.

¹⁴ ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 140.

¹⁵ კ. ლაფადარიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 100.

რელნი, თმოგუელნი და ტაოელნი“¹⁹. ხოლო ფ. გორგიჯანიძე პირდაპირ აღნიშნავს: „და შანშე პირველივე იყო ვახტანგის მეფობის მდომელი“²⁰.

სანამ გამარჯვება დავით VIII მოწინააღმდეგეთა მხარესაა, შანშეს თავისი მამულების მფლობელობაში ვერავინ შეეცილებოდა. მაგრამ გიორგი V მხოლოდ დროებითმა მეფობამ, ვახტანგ III აღრეულმა სიკვდილმა (1304 წ.)²¹, შემდეგ გარკვეულმა შეთანხმებამ დავით VIII და მონღოლებს შორის რასაც 1308 წ. გიორგი VI მცირის გამეფება მოჰყვა, გამოიწვია იმ ბანკის მარცხი, რომელშიც შაჰანშაჰი შედიოდა. როგორც ჩანს, დავით VIII სიცოცხლის ბოლო პერიოდში, საშუალება მიეცა გასწორებოდა თავის მოწინააღმდეგეებს. ამიტომ ჩვენც შანშეს მიერ ჰოვანავანქის მხარის დაკარგვას 1308—1311 წწ. ვათარილებთ, ანუ პერიოდით გიორგი მცირეს გამეფებიდან დავით VIII გარდაცვალებამდე. დავითის გარდაცვალების შემდგომ კი ჰოვანავანქის მხარეს უნდა დაპატრონებოდნენ ალასტანელები, კერძოდ, დავით VIII უფროსი ვაჟი, პირველი ალასტანელი „პროვინციის მეფე“ მელქისედეკი²². ჩვენს თვალსაზრისს ამგვრებს ეპითაღმწერელის ტექსტზე დაკვირვება: თუ საუკუნის დასაწყისისათვის შანშე მხარგრძელი ეპითაღმწერელთან ხშირად იხსენიება და როგორც სამეფო კარის ერთ-ერთი მსხვილი მოხელე აქტიურ მონაწილეობას იღებს ტახტის გარშემო მიმდინარე მწვავე შინაპოლიტიკურ ბრძოლაში, აღნიშნული პერიოდისათვის ეპითაღმწერელთან მისი ხსენება ქრება, რაც, ჩვენი აზრით, გამოწვეულია იმით, რომ შაჰანშაჰი ქვეყნის შინაპოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოცილებულია.

ეპითაღმწერელის მიხედვით შანშე II პოლიტიკურ ასპარეზს დავით VIII გარდაცვალების შემდგომ პერიოდში, მხოლოდ XIV ს. მეორე ათეულის შუა ხანებში უბრუნდება²³. ეპითაღმწერელთან ვკითხულობთ, რომ ოლჯეთუ სულთანმა „წარმოავლინა მცირე გიორგი მეფედ“ და სხვებთან ერთად მას თან ახლავს შანშე მხარგრძელი და ზაქარია. ამ ამბის შემდეგ მოთხორობილია აჯანყების შესახებ, რომლის ჩასახშობად გაგზავნილი იქნა ჩოფანი, რომელსაც თან გაჰყვა გიორგი V, „ხოლო გიორგი [მცირე], ზაალ მელიქ, შანშე და ზაქარია არა წაჰყვეს თანა, წარვიდეს და აიყარნეს, და ტფილისს შევიდეს“²⁴. აჯანყებულთა დამორჩილების შემდეგ, გიორგი V ბრუნდება შინ და სწორედ ამ დროს „მოკლდა ოლჯათ სულტანი“, და „ესმა რა გიორგი მეფესა (ბრწყინვალეს, დ. ნ.) სიკუდილი ყაენისა... წარვიდა ურდოსა“. გიორგი ბრწყინვალე ღებულბზს მეფობას და სამეფო ტახტზე 1318 წელს მკვიდრდება²⁵, ამას უნდა მოჰყოლოდა ალასტანელთა, როგორც დავითის მემკვიდრეთა დამცრობა

¹⁹ ეპითაღმწერელი, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 306, ეპითაღმწერელი, რ. კიკნაძის გამოცემა, გვ. 199.

²⁰ ეპითაღმწერელი, ასწლოვანი მატინაე, რ. კიკნაძის გამოცემის შენიშვნები, გვ. 239.

²¹ დ. ნინიძე, ვახტანგ III გარდაცვალების თარიღისათვის, ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, ჰუმანიტარული და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია, XIV, თბ., 1987, გვ. 22—27.

²² დ. ნინიძე, სოფელ ალასტნის ისტორიიდან, მასალები საქართველოს სოფლის ისტორიისათვის, ნაკვ. III, თბ., 1987, გვ. 37—38.

²³ ეპითაღმწერელი, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 324.

²⁴ ეპითაღმწერელი, რ. კიკნაძის გამოცემა, გვ. 219.


²⁵ ე. კიკნაძე, XIV საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიიდან (გიორგი V გამეფების თარიღი), მცნე, ისტორიის სერია, 1983, № 2, გვ. 178—179.

(რაც აისახა კიდევ ეგვიტერის წარწერაში: „რა უამს მოხდა და პატრონთა ქვეყანა წაართვეს, მე არ დავაკელი [მათ] ჩემი სამსახური“) და შანშე II მხარგრძელის მიერ დაკარგული მამულების დაბრუნება. ალასტანელთა გარკვეულ პერიოდში გიორგი ბრწყინვალესადმი დაქვემდებარების და ამდენად მათი ერთგვარი დამცრობის ფაქტი, ჩვენი აზრით, აისახა უამთააღმწერელთანაც: ყაენმა გიორგი ბრწყინვალეს „მოსცა ყოველი საქართველო, და ყოველნი მთავარი საქართველოსანი და შვილნი დავით მეფისანი, და მესხნი, შვილნი ბექსანი“²⁶. „შვილნი დავით მეფისანი“ სწორედ დავით VIII ძეები, ალასტანელი „პროვინციის მეფეები“ — მეღქისედეკი და ანდრონიკე არიან.

როგორც ანისის წარწერა გვიჩვენებს, შანშე II 1320 წ. გარდაცვლილია. ამის შემდგომ, როგორც ჩანს, გიორგი ბრწყინვალემ ალასტანელებთან ურთიერთობის გამწვავება მიზანშეწონილად არ მიიჩნია და ჰოვანავანქის მხარე შანშეს შვილს კი არ გადასცა, არამედ ალასტანელებს დაუბრუნა ან ალასტანელებმა თავად განახორციელეს ეს აქცია. როგორც ჩანს, ეს ამბავი 1320—21 წწ. უნდა მომხდარიყო, რაც აისახა კიდევ ეგვიტერის წარწერაში: „ღმერთმა გაუმარჯვა პატრონთა, დაუბრუნა ეს ქვეყანა“. ე. ი. გამოდის, რომ ალასტანელთა დროებით დამცრობას 1318—1320 წწ. ჰქონია ადგილი.

ახლა საგანგებოდ გვინდა შევხებით წარწერაში მოხსენიებულ პირთა ვინაობის საკითხს.

ჯერ კიდევ ს. კაკაბაძემ გავლო პარალელი წარწერაში დასახელებულ „დიდ“ მეღქისედეკსა და 1297 წლის დავით VIII საბუთში მოხსენიებულ მეფე მეღქისედეკს შორის. მაგრამ მან აღნიშნული პირები შემდეგ მიმართებაში წარმოვედიგინა — პატრონი თამარი და გიორგი ს. კაკაბაძეს მეუღლეებად, ხოლო მეღქისედეკი მათ შვილად მიიჩნია, წარწერაში მოხსენიებულ გიორგის კი ის გიორგი მცირესთან აიგივებს. საბოლოოდ, მისი გენეალოგიური შტო შემდეგ სახეს ატარებს:



წარწერის აღნიშნული ადგილის ს. კაკაბაძისეული გავება არასწორად მიგვაჩნია. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ წარწერის ეს ადგილი ბუნდოვანია და მას აშკარად რაღაც სიტყვა აკლია, რაც სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. გარდა ამისა ს. კაკაბაძეს, როგორც ჩანს, გამოორჩა ის გარემოება, რომ 1297 წელს დავით VIII მიერ გაცემულ საბუთში მეღქისედეკი სრულიად აშკარად დავით VIII ძედ გვევლინება (ამ გარემოებას ყურადღება მიექცია ჯ. ოდიშელმა, მანვე პირველად გამოთქვა თვალსაზრისი, რომ მეღქისედეკი დავითის ძეა და არა გიორგისა²⁷). შესაბამისად მისი დედა ოლჯათია და არა თამარი. ამდენად, ზემოთ დასახელებულ პირთა ს. კაკაბაძის მიერ შემოთავაზებული მიმართება არ მიგვაჩნია მართებულად.

²⁶ უამთააღმწერელი, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 325, უამთააღმწერელი, რ. კიკნაძის გამოცემა, გვ. 220.


²⁷ ჯ. ოდიშელი, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV—XVII სს.), კრ., XIV—XVIII სს. რამდენიმე ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964, გვ. 88—89.

არ უნდა იყოს სწორი ტექსტის აღნიშნული ადგილის დარბინიან-მელიქიანისეული ინტერპრეტაცია. როგორც ამა ადგილის რუსული თარგმანიდან ჩანს, დიდ მელქისედეკს და გიორგის დარბინიან-მელიქიანი ერთ პიროვნებად მიიჩნევს და თამარის ძედ თვლის. ტექსტის ასეთი გაგების შემთხვევაში ჩნდება შემდეგი წინააღმდეგობანი: 1. მელქისედეკი და გიორგი ორი სხვადასხვა სახელია და გაუგებარია ერთ პიროვნებას, თამარის ძეს რატომ ერქვა მელქისედეკიც და გიორგიც. 2. თუ ეს მელქისედეკ-გიორგი ისეთ ასაკშია, რომ უკვე „დიდია“, მაშინ რატომ არის ის მხოლოდ „*ბაყაღირაქარ*“ და არა „*ყარინ*“ როგორც დედამისი. ფაქტია, რომ წარწერის მიხედვით გიორგი მცირეწლოვანია, ის მხოლოდ თამარის „სამეფო“ — *ბაყაღირაქარ ირქი* და არა თვითონ უფალი — „*ყარინ*“-ი. გიორგის მცირეწლოვანება ძნელი შესათავსებელია მელქისედეკის „დიდობასთან“. ამდენად, ჩვენი აზრით, წარწერაში ორი პიროვნებაა „დიდი მელქისედეკი“ და „საუფლო, სამეფო გიორგი“. ვეყრდნობით რა ქართულ წყაროთა მონაცემებს ვთვლით, რომ წარწერის ადგილი უნდა ატარებდეს შემდეგ სახეს:

1. *ზუორჩიჲნ მ(აჲილი)ძ, ხ ქირილქხ(ა)ნ ყარ(ინ) იკილქლ მამარჩინ, ხრ ბაყაღირაქარ ირქი**

2. *ზ. ირქინ მსბ(ხ)ნ მალქისქხსისნ ჴარაქს*

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ჩვენ ვიძლევიტ წარწერაში დასახელებულ პირთა შემდეგ გენეალოგიას:



რა შეიძლება ითქვას წარწერაში აღნიშნულ პიროვნებათა შესახებ: როგორც უკვე აღვნიშნეთ მელქისედეკის მამა იყო დავით VIII. ჩვენ მიერ ზემოთ მოხსენიებულ 1297 წლის დავით VIII საბუთს ის ამტკიცებს თავის ძმა ანდრონიკესთან ერთად: „ქ. ჩუნენ, მელქსიდეკ მეფისაგანცა, მტკიცეა ნე-ბითა ლ (მრ)თისა(ი)თა. ქ. პატრონთა მამისა და ძმისა ბ(რძნე)ბითა მეცა, ანდრონიკე დამამტკიცებელი ვარ“²⁸.

საბუთის დაწერის დროსათვის — 1297 წ. მელქისედეკი, როგორც ვხედავთ, მეფედ იწოდება, ე. ი. დავითის შვილებს (მას ჰყავდა: მელქისედეკი, ანდრონიკე და გიორგი VI მცირე) შორის იგი უფროსია და მეფეს უკვე თანამოსაყდრედაც გაუხდია. რატომ არ ამტკიცებს საბუთს გიორგი VI მცირე? ან 1308 წელს, როცა გარკვეულ შეთანხმებას ჰქონდა ადგილი დავით VIII და მონღოლებს შორის, რატომ გაამეფეს გიორგი VI მცირე და არა უფროსი ვაჟი მელქისედეკი?

1297 წელს დავით VIII და ყაზანს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების გამო, 1298 წელს მონღოლებმა თბილისში მეფედ დასვეს დემეტრეს ძე ვახ-

²⁸ ქართული ისტორიული საბუთები IX—XIII სს., შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 184.

* შესაძლებელია წარწერის შემსრულებელი სიტყვა *ბაყაღირაქარ*-ს გაიაზრება არა როგორც ზედსართავს-საუფლო, არამედ არსებით სახელს—ტახტის მემკვიდრეს, უფლისწულს.



ტანგი: ეს იყო მისი პირველი გამეფება²⁹. „ვითარ ცნა მეფემან დავით, რომე ვახტანგს მეფედ ჰყოფენ“, წარგზავნა მისი ერთგული ბურსელი ხუტლუმას წინაშე ზავისა და ერთგულების აღთქმით. ხუტლუმამ „ყოველი სათხოველი აღუსრულა“ და დავითმაც წარავლინა მის წინაშე მეუღლე, ქეილათუ ყანის და ოლჯათი, კათალიკოსი აბრაჰამ და ბურსელი. ხუტლუმამ ოლჯათი „დაიმჭირა და არღარა წარავლინა“, კათალიკოსი და ბურსელი კი გაგზავნა დავითის მოსაყვანად. დავითმა ნახა-რა ოლჯათის მოუსვლელობა, „არღარა ინება ნახვა თათართა“ და უთქვამს: „უკვე მომეც ოლჯათ, მოვიდე ურდოსა“. განრისხებულმა ხუტლუმამ „მოაკუდინა ბურსელი“ და „ოლჯათ წარავლინეს ურდოსა“. ქამთააღმწერელის ტექსტზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ეს XIV ს. დამდეგს მომხდარა, ვახუშტი კი პირდაპირ მიუთითებს 1301 წელზე³⁰. იაპონელი მეცნიერი სეიჩი კიტაგავა მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ოლჯათის დავით VIII დაქორწინების საკითხს. მის ერთ-ერთ სტატიას ასეც ჰქვია — „უფლისწული ოლჯათის ქორწინების გარემოებანი და ილხანთა პოლიტიკა საქართველოში“ (კურნალი „შიხო“ — „საისტორიო მოამბე“) ³¹. იაპონელი მეცნიერი თვლის, რომ დავითისათვის ოლჯათის შერთვას ხელი უნდა შეეწყო მონღოლებისათვის საქართველოში მათი ბატონობის განმტკიცებისათვის, მაგრამ ჩამოვარდნილი უთანხმოების შემდეგ, ჩაიშალა რა დავითთან შერიგების ყოველგვარი შესაძლებლობა და გადაწყდა ვახტანგ III გამეფება, მონღოლებმა ოლჯათი აღარ დაუბრუნეს დავითს. ამის შემდეგ, მონღოლთა შემწეობით, 1302 წელს ვახტანგმა უკვე მეორედ და რეალური ძალაუფლებით დაიკავა სამეფო ტახტი. „ხოლო ვითარ ცნა მეფემან არღარა მოცემა ცოლისა თვისისა ოლჯათისი, იქორწინა ქართლისა ერისთავისა ჰამადას ასული, ფრიად ქმნულკეთილი“ ³². ეს ქორწინება წყაროების მიხედვით, ემთხვევა ვახტანგის მეორედ გამეფებას, რომელსაც 1302 წელს აქვს ადგილი. ვახუშტი ბატონიშვილიც დავით მეფის მეორედ ქორწინებას პირდაპირ ათარილებს 1302 წლით ³³. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ დავითს უფროსი ვაჟები — მელქისედეკი და ანდრონიკე ოლჯათისაგან უნდა ჰყოლოდა. ისინი მამის გვერდზე მდგომნი და ყაზანთან კონფლიქტის შემდეგაც დავითის ხელისუფლების დამცველნი და გამტარებელნი ჩანან. უფროსი შვილი, როგორც აღვნიშნეთ, დავითს თანამოსაყდრედაც გაუხდია. მამის მთიანეთში გახიზვნის შემდეგაც, მელქისედეკი და ანდრონიკე დავითს გვერდში უნდა ედგნენ, რაც ბუნებრივია გამოიწვევდა მათი ურთიერთობის გაფუჭებას მონღოლებთან.

რაც შეეხება დავითის მესამე ვაჟს — გიორგის, იგი მეფეს მეორე ცოლისაგან უნდა ჰყოლოდა. როგორც აღვნიშნეთ, ქორწილს 1302 წ. ჰქონდა ადგილი, ბუნებრივია გიორგის დაბადებაც 1303 წ. ვივარაუდოთ. ამიტომაც, რომ

²⁹ დ. ნინიძე, XIV საუკუნის დამდეგის საქართველოს ისტორიის რამდენიმე ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხი, იბეჭდება თსუ შრომებში.

³⁰ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება. IV, თბ., 1973, გვ. 248.

³¹ ნოდარ გობაშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები იაპონელი მეცნიერის სეიჩი კიტაგავას შრომებში, მნათობი, 1987, № 6, გვ. 147.

³² ქამთააღმწერელი, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 309; ქამთააღმწერელი, რ. კიკნაძის გამოცემა, გვ. 203.

³³ ვახუშტი, გვ. 248—249.

იგი არ ამტკიცებს ზემოაღნიშნულ 1297 წლის დავით VIII სიგელს და მის მცირეწლოვანების გამო „მცირედაც“ იმიტომ იწოდება.

1302 წლამდე დავითი მთიანეთშია შეხიზნული, ამ წლიდან კი, სავარაუდოდ მელქისედეკთან და ანდრონიკესთან ერთად, გადადის ჯავახეთსა და ალასტანში³⁴. მალე, ვახტანგ III და ყაზან ყაენის გარდაცვალების შემდეგ, დავითი ახერხებს გარკვეული შეთანხმების დამყარებას მონღოლებთან და შესაძლებლობაც ეძლევა თავისი შვილი დასვა სამეფო ტახტზე. თვითონ კი სიკვდილამდე ჯავახეთსა და ალასტანში რჩება და აქტიურად აღარც ერევა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამის მიზეზი ისიც შეიძლება იყოს, რომ იგი დაავადებული ყოფილა ნიკრისის ქართ: „სენიცა შეეღვა ბოროტ, მიკრისი ველთა და ფერქთა, და უქმარ იქმნა. და იყოცა კაცი ურწმუნო და უშიში ღმრთისა, ამისთვის ბოროტსა სენსა შთავარდნილი უღონობდა“³⁵. ეპითაღმწერელი სხვა ადგილზეც აღნიშნავს: „ხოლო აღესრულა მესამესა წელსა მეფე დავით, გარჯილი სენთა მწარეთა მიერ“³⁶.

დავითის მონღოლებთან შეთანხმების საფუძველზე, როგორც აღვნიშნეთ, სამეფო ტახტზე მისი შვილი უნდა დამჯდარიყო. მელქისედეკისა და ანდრონიკეს დავითის ბანაკში ყოფნისა და დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლის გამო, მონღოლებთან ურთიერთობა გაფუჭებული ექნებოდათ, ამიტომაც ისინი მათ არ ვაამფებდნენ. არჩევანი შეაჩერეს დავითის მეორე ცოლისაგან შეძენილ შვილზე — გიორგი მცირეზე, თან, სავარაუდოა, ითვალისწინებდნენ მის მცირეწლოვანებას, რაც მონღოლებისათვის ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო (1308 წელს გიორგი მცირე 5 წლის ბავშვი თუ იქნებოდა). მელქისედეკი და ანდრონიკე კი როგორც ჩანს, ბოლომდე ერთგულნი დარჩნენ მამისა და მონღოლებთან ცუდი ურთიერთობის გამო ჯავახეთსა და ალასტანის რეგიონში იმყოფებიან. 1311 წელს, დავით VIII გარდაცვალების შემდეგ, მამის მფლობელობა მათ უნდა გაეგრძელებინათ. აქედან უფროსი მელქისედეკი, როგორც ირკვევა, ამ სამფლობელოში „მეფის“ ტიტულით იწყებს მოღვაწეობას და იგი გვევლინება პირველ ალასტანელ „პროვინციის მეფედ“³⁷. სწორედ ეს მელქისედეკია მოხსენიებული ჰოვანავანქის მონასტრის ეგვტერის წარწერაში.

ვეფქრობთ, ეგვტერის წარწერის ჩვენეული წაითხვა და თარგმანი, ზემოაღნიშნული მსჯელობა და 1297 წლის დავით VIII საბუთი თვალნათლივ არკვევს მელქიედეკის წარმომავლობის საკითხს, ავსებს ალასტანელთა გენეალოგიაში არსებულ ხარვეზებს, უარყოფს ს. კაკაბაძის მოსაზრებას გიორგი VI მცირეს ალასტანელებთან დაკავშირების შესახებ და პასუხს გვაძლევს კითხვაზე, თუ ვინაა პირველი ალასტანელი „პროვინციის მეფე“.

ჰოვანავანქის მონასტრის ეგვტერის წარწერის მიხედვით, მელქისედეკს ჰყავს მეუღლე დედოფალი თამარი და ძე გიორგი. ტექსტის მიხედვით, მელქისედეკი გარდაცვლილია, ამიტომაც, ჰოვანავანქის მიმდინარე რეგიონის პატრონად და ხელმწიფედ დედოფალი თამარია აღნიშნული. მისი ვაჟი — გიორგი როგორც ჩანს მცირეწლოვანია, ამიტომ მათ სამფლობელოს დედო-

³⁴ დ. ნინიძე, სოფელ ალასტანის ისტორიიდან, გვ. 31—32.

³⁵ ეპითაღმწერელი, რ. კიკნაძის გამოცემა, გვ. 211.

³⁶ იქვე, გვ. 218.

³⁷ დ. ნინიძე, სოფელ ალასტანის ისტორიიდან, გვ. 37—38, 40.

ფალი განაგებს, როგორც ვხედავთ, წარწერა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ცნობებს ვაწვდის უცნობ ალასტანელებზე — თამარსა და გიორგზე, რომელთაც დღემდე ცნობილ ალასტანელთა გენეალოგიურ ტაბულაში არა აქვთ სათანადო ადგილი მიჩენილი³⁸. ისიც საინტერესოა, რომ „პროვინციის მეფე“ მელქისედეკი წარწერაში „დიდის“ ტიტულით არის შემკობილი. სხვა წყაროებიდან მას ვიცნობდით, როგორც „მეფეთა-მეფეს“ ან „მეფეს“ (ჯვარის მონასტრის ან სინას მთის აღაპები)³⁹.

ეგვტერის წარწერა აზუსტებს პირველი ალასტანელების მოღვაწეობის წლებსაც:

რადგან წარწერით მელქისედეკი გარდაცვლილია, ჩვენ კი წარწერას 1320/21 წლებით ვათარილებთ, ამიტომ მისი გარდაცვალების ზედა მიჯნა ამ წელზე უნდა დავდეთ . ე. ი. 1340 წლის (ს. კაკაბაძე მის გარდაცვალებას 1339—1340 წწ. ათარილებს⁴⁰, ჯ. ოდიშელი კი მის მოღვაწეობას 1297—1340 წწ⁴¹). მელქისედეკის გარდაცვალების თარიღად მიჩნევა არ ყოფილა სწორი. აქედან გამომდინარე თამარ დედოფლის გამეფების ქვედა მიჯნაც 1320/21 წლებზე ჩამოდის. ე. ი. მათი მოღვაწეობის ხანაა: მელქისედეკი — 1311—1320 წწ, თამარი — 1320—1340 (?) წწ.

პოპანავანქის მონასტრის ეგვტერის წარწერას დიდი მნიშვნელობა აქვს ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელო ტერიტორიების ლოკალიზაციის საქმეში. აქედან გამომდინარე წინ წამოიწევს ამ რეგიონში დიდ ფეოდალურ საგვარეულოთა თუ სამეფო მფლობელობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი.

ალასტანელებიდან ჩვენთვის ცნობილი არიან შემდეგი ბაგრატიონები: მელქისედეკი, მისი მეუღლე თამარი და მათი ძე გიორგი, ანდრონიკე, გიორგი ალასტანელი და მისი მეუღლე შუტნიერი, დავითი (ვარაუდით მისი მეუღლე ნათია) და დავითის ძეები — გიორგი და ალექსანდრე. აქ აღნიშნული თითოეული პიროვნების ვინაობისა თუ მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი, როგორც აღვნიშნეთ, განხილულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში. ამჯერად, ყურადღებას გავამახვილებთ ზოგიერთ ძირეულ პრობლემაზე:

ჯ. ოდიშელმა „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელო ტერიტორიების ლოკალიზაციის საკითხებზე მსჯელობისას გამოთქვა მოსაზრება, რომ ისინი გორის მიმდებარე რაიონის მეფეები არიან და საქართველოს სამხრეთ რეგიონთან, კერძოდ, ჯავახეთთან და ალასტანთან მათ კავშირი არა აქვთ⁴². ალასტანელებთან დაკავშირებული დოკუმენტური მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი გორის რაიონთან დაკავშირება და სამხრეთ რეგიონებისაგან მოწყვეტა არ უნდა იყოს მართებული. პირველმა „პროვინციის მეფემ“ მფლობელობა დაიწყო მამის — დავით VIII სამფლობელოში — ჯავახეთსა და ალასტანში, შემდეგ კი მათ ეს ტერიტორიები ვააფართოვეს და როგორც 1433 წლის ალექსანდრე I

³⁸ ჯ. ოდიშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 118.

³⁹ ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI—XVII სს.), თბ., 1962, გვ. 92; ივ. ჯავახიშვილი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 242.

⁴⁰ ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 147.

⁴¹ ჯ. ოდიშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 118.

⁴² იქვე, გვ. 91.



სიგელიდან ჩანს, სამხრეთის სხვა ტერიტორიებზეც მიუწვდებოდათ ხელი⁴³. ჰოვჰანავანქის მონასტრის ეგვტერის წარწერა ამ საკითხთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის. იგი აკონკრეტებს და აფართოვებს ჩვენს ცოდნას ალასტანელთა სამფლობელოების შესახებ, მონასტრის ეგვტერის 1320—1321 წწ. წარწერა გვიჩვენებს, რომ პირველი ალასტანელები — „დიდი“ მელქისედეკი და „პატრონი“ თამარი ბატონობდნენ ისტორიული სომხეთის ერთ გარკვეულ რეგიონზე, საიდანაც გამომდინარებოს, რომ მელქისედეკი არ დასჯერებია მამის მფლობელობაში მყოფ მხარეს და იგი გაუზრდია. აღნიშნული წარწერით, პირველ ალასტანელთა სამფლობელო ტერიტორიებს — ჯავახეთს ალასტანიურთ ემატება ისტორიული სომხეთის ტერიტორიის ნაწილი, რომელშიც ჰოვჰანავანქის მიწებიც შედის. ეს ფაქტიც ერთ-ერთი დადასტურებაა, რომ ალასტანელთა მოწყვეტა საქართველოს სამხრეთი რეგიონებისაგან არ უნდა იყოს სწორი. მელქისედეკი არ შეიძლება ყოფილიყო გორის მხარის „პროვინციის მეფე“, რადგან ასეთ შემთხვევაში ვერ მოხვდებოდა გორიდან საკმაოდ მოშორებით, სომხეთში, კარბის ციხესთან ახლოს მდებარე ჰოვჰანავანქის მონასტრის აღნიშნულ წარწერაში და გორის მხარის „პროვინციის მეფე“ ვერც სომხეთის გარკვეული ტერიტორიის პატრონად მოგვევლინებოდა.

როგორც ჩანს, ალასტანელებს მფლობელობა ჰქონიათ ჯავახეთში ალასტანიურთ, ქვემო ქართლში და უფრო სამხრეთით — სომხეთშიც. აქედან გამომდინარე უსაფუძვლოა იმის ვარაუდი თითქოს ლორე არ შედიოდა ალასტანელთა საგამგებლოში⁴⁴. 1443 წლის ალექსანდრეს საბუთიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ ლორესთან ბრძოლაში თურქმანებს გიორგი ალასტანელი მოუკლავთ და 1373 წელს ამას საქართველოსათვის ლორეს დაკარგვა მოჰყოლია, ამიტომ, ჩვენი აზრით, ალასტანელთა სამფლობელოში იმ დროისათვის ჯავახეთთან ერთად ლორეს მხარეც უნდა ყოფილიყო. იგივე საბუთი მეტყველებს იმაზე, რომ ლორეს მხარეში მამულები ჰქონიათ არა მხოლოდ დავით VIII ჩამომავალ ალასტანელ ბაგრატიონებს, არამედ „ზემოთა და ანუ ქვემოთა“ ქართველ დარბაისელთაც, რომელთაც ისინი ალექსანდრე მეფის ლორესთან ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ დაუბრუნებიათ კიდევ. ჰოვჰანავანქის მონასტრის ეგვტერის წარწერის მიხედვითაც აშკარა ხდება, რომ ალასტანელთა მფლობელობა მოიცავდა არა თუ ჯავახეთსა და სომხეთს, რომელშიც ლორეც შედიოდა, არამედ მათ უფრო სამხრეთით საკუთრივ სომხეთის გარკვეული ნაწილიც ეკუთვნოდათ (ჰოვჰანავანქის მხარე).

ერთგვარი ახსნა უნდა მოეძებნოს ალასტანელთა მფლობელობას შიდა ქართლის გარკვეულ რეგიონში. ჯერ ერთი, პირველ ალასტანელებს (მელქისედეკი და ანდრონიკე) თავიანთი მამის დავით VIII მეფობაში უნდა ჰქონოდათ საუფლისწულო მამულები შიდა ქართლში, რომელზედაც პრეტენზიას

⁴³ ქართული სამართლის ძეგლები, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, გვ. 123—24.

⁴⁴ დ. ბერძენიშვილის აზრით, 1433 წლის ალექსანდრე I საბუთში აღნიშნულ „ტახტი მეფეთა“-ში: „ამა უსუჯულოთა... ტახტი მეფეთა განურყვნია, და საპატრიონი და ცამდის მდალნი საყდარნი შეურაცხ უქნინან“ — შეიძლება იგულისხმებოდნენ არა ალასტანელები, არამედ ტაშირ-ძორაყეტის მეფეები, რომელთა ადგილზე შემდეგ მხარგრძელები იჯდნენ — ი. დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, ნაკვ. I, თბ., 1979, გვ. 52.

ამ ტერტორიაზე რეალური ძალაუფლების დაკარგვის შემდეგაც განაცხადებდნენ. მეორე, გასათვალისწინებელია საკმაოდ მნიშვნელოვანი შემდგომი გარემოება: დავით მერვეს, უკანონოდ გამეფებული გიორგი VI მცირისა და კანონიერი ტახტის მემკვიდრის, დავითის თანამესაყდრის — მელქისედეკის გარდაცვალების შემდეგ (ყველა ამას ადგილი უნდა ჰქონოდა 1320 წლამდე), ტახტის კანონიერი მემკვიდრე იყო მელქისედეკის ძმა ანდრონიკე, ამდენად, 1340 წლიდან ხდება რა ანდრონიკე ალასტანელი „პროვინციის მეფე“ (როგორც ჩანს, თამარისა და მისი ძის გიორგის გარდაცვალების შემდეგ), ის იწყებს ბრძოლას საქართველოს ტახტზე თავისი ასე ვთქვათ „კანონიერი“ პრეტენზიის აღსადგენად. ამიტომაც, უნდა ახერხებდეს თავისი გავლენის მოპოვებას შიდა ქართლის ზოგიერთ რეგიონზე (შესაძლოა თავის ყოფილ საუფლისწულო მამულებზე). სწორედ გიორგი ბრწყინვალესთან 40-იან წლებში მის მიერ წარმოებული შინაპოლიტიკური ბრძოლის გამოძახილი უნდა იყოს 1348 წელს წითლოსან ქვენიფნეველისადმი გაცემულ სიგელში დაცული ცნობა ანდრონიკეს კავშირისა ქსნის ერისთავებთან. როგორც ცნობილია, იგი წითლოსან ქვენიფნეველს აძლევს გორის მხარის სოფლებს: „კარბაი და გარეჯან ზაკურის უბანი, მისითა სამართლიანთა მძღვრითა მკ[უ]იდრად, სამამულოდ, შეუქ[ა]ლად და შეუცვალებლად“⁴⁵.

შიდა ქართლში გარკვეული ტერიტორიების მფლობელობა არ მეტყველებს იმაზე, რომ ალასტანელები გორის მხარის „პროვინციის მეფეები“ არიან. პირიქით, ყველა განხილული საბუთები აშკარად მიგვიჩივებენ იმაზე, რომ მათი ძირითადი სამფლობელოები მდებარეობენ საქართველოს სამხრეთ რეგიონებში (ჯავახეთი, ქვემო ქართლი — ლორე, სომხეთში — ჰოვანავანქის მხარე).

ანდრონიკეს ორი ვაჟი ჰყავდა: გიორგი ალასტანელი და დავითი. რადგან ორივეს „პროვინციის მეფობაზე“ ჰქონდათ პრეტენზია, ამიტომ მათ, როგორც ჩანს, ან თავად, ან მამის გადაწყვეტილებით, სამფლობელოები გაუყვიათ: გიორგის ალასტანელთა სამფლობელოების სამხრეთი რეგიონი უნდა მიეღო (ამიტომაც ებრძვის ის ლორესთან თურქმანებს). დავითს კი ალბათ სამხრეთ საქართველოშიც ექნებოდა გარკვეული მამულები, მაგრამ მათ გვერდზე იგი მამამისის ანდრონიკეს სამფლობელოებსაც ეუფლება შიდა ქართლში (1382 წელს ოქონის ეკლესიას აძლევს ყმა-მამულებს: ზემო რეხაში 10 საკომლო, გარეჯერის ლომსათუბანი, რუისში და ატენში ყმა-მამული). ვინაიდან, გიორგი უფროსი იყო და ალასტანელთა სამფლობელოს ძირითად ტერიტორიებს ის ფლობდა ამ სამფლობელოთა ცენტრით — ალასტანით, ამიტომ, ბუნებრივია, რომ მშებიდან ზედწოდება „ალასტანელი“ მას ერგო.

საბოლოოდ, ჰოვანავანქის წარწერიდან გამომდინარე გვინდა შევეხოთ ამ პერიოდის ისტორიის კიდევ ერთ საინტერესო მხარეს: ქართველ ბაგრატიონთა მიერ სომხური ტერიტორიების მფლობელობის საკითხს მონღოლების პერიოდში (XIII ს-ის დასასრულსა და XIV ს-ის I ნახევარში). როგორც ცნობილია, თანამედროვე სომხურ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია თვალსაზრისი, რომ თითქოს ამ პერიოდში სომხეთის დაქვემდებარება საქართველოს სამეფოსადმი ნომინალურ ხასიათს ატარებდა და მას დამოუკიდებელი თვით-

45 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 98—99.



მმართველობა, სასამართლო და საგადასახადო შეუვალობა ჰქონდა⁴⁶. ეს მცდარი კონცეფცია ამოსავალია იმისა, რომ სომეხი ისტორიკოსები ამ ხანის სომხეთის ისტორიას საქართველოსაგან მოწყვეტით განიხილავენ, როგორც რალაც დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს. სომხურ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ ამ ტენდენციას სამართლიანად აკრიტიკებენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერებიც, მაგ., იაპონელი ისტორიკოსი სეიჩი კიტაგავა სტატიაში — „საქართველოში ილხანთა ბატონობა და არწრუნთა ოჯახის აღზევება“ ლ. ბაბაიანის დასახელებულ ნაშრომთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ მკვლევარი სომხეთის ისტორიას უსაფუძვლოდ განიხილავს საქართველოს სამეფოსაგან მოწყვეტით, თვლის რა სომხეთის მთავრებს თვითნებ ტერიტორიაზე დამოუკიდებელ განმგებლებად. მაშინ როდესაც, ს. კიტაგავას აზრით, იმდროინდელი სომხეთი საქართველოს ტერიტორიაში შედიოდა და ქართველ მეფეთა ძალაუფლება ამ მხარეზე ძველებურად ვრცელდებოდა, „რაც მონღოლთა ინტერესებს უბრალოდ კი არ შეესატყვისებოდა არამედ სანქციონირებულიც იყო მათ მიერ“⁴⁷.

მართლაც, ქართული და უცხოენოვანი წყაროები უდავოდ ადასტურებენ, რომ სომხეთი ამ პერიოდში საქართველოს სამეფოს შემადგენელი ნაწილია, XII ს. მოყოლებული სომხური მოსახლეობა ქართულ სახელმწიფოებრიობას მშობლიურად აღიქვამს და ამ შეგნებამ, როგორც აკად. ს. ჭანაშია აღნიშნავს, საუკუნეებს გაუძლო⁴⁸. საქართველოს სამეფო კარი მიმართავს ღონისძიებებს სომეხთა ქალკედონიტობაზე მოსაქცევად, არსდება ქართული საეანეებიც (მაგ. პლნძაპანქი) და როგორც ალ. აბდალაძე თვლის, არ არის გამორიცხული სომხურ პროვინციებში ქართული ახალშენების გაჩენა, აგრეთვე ქართველი მოხელების დამკვიდრებაც სომხეთში⁴⁹. მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგაც, მართალია, საქართველოს ჩამოსცილდა ბაგრატიანთა, დვინი, ნახჭევანი, მაგრამ ანისი, კარი და ასხვა რეგიონები XIV ს. I ნახევარი ისევ საქართველოს ეკუთვნის.

სომხური ანდერძმინაწერებიდან კარგად ჩანს, რომ XIV საუკუნეშიც სომხეთის მცხოვრებნი საქართველოს მეფის ქვეშევრდომებად თვლიან თავს. მაგ., გლადორში 1323 წ. დაწერილი ანდერძით ვხედავთ, თუ როგორ აღიარებენ სივნეთის „მთავრები“ გიორგი ბრწყინვალეს ხელისუფლებას⁵⁰, XIV ს. 30-იანი წლებისათვის სომეხი პოეტი ტერტერი ერევანს საქართველოს ქალაქად თვლის⁵¹, თუ რამდენად არის შეჭრილი ქართული სახელმწიფოებრიობა სომხეთში ჩანს ანისში (1330 წ.) ამოკვეთილი აბუ საიდის ბრძანებიდან, რომლის სპარსულ ტექსტს ერთვის მინაწერი სომხურ და ქართულ ენებზე. აქედან ვხე-

⁴⁶ *Հայ Ժողովրդի պատմություն*, III, *Երևան*, 1976; Л. О. Бабаян, Социально-экономическая и политическая история Армении в XIII—XIV веках, М., 1969; Н. Токарский, Архитектура древней Армении, Ер., 1946.

⁴⁷ Б. გაბაშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები იაპონელი მეცნიერის სეიჩი კიტაგავას შრომებში, *მნათობი*, 1987, № 6, გვ. 151.

⁴⁸ С. Джанашиа, Об одном примере..., с. 47.

⁴⁹ სომხურ ხელნაწერთა XIV—XV საუკუნეების ანდერძების (პოშტაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ, ძველი სომხურიდან თარგმანა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დიურთო ა. აბდალაძემ, თბ., 1978, გვ. 105.

⁵⁰ სომხურ ხელნაწერთა XIV—XV საუკუნეების ანდერძების ცნობები, გვ. 20.

⁵¹ იქვე, 22—23.

დავთ, რომ ქართულ ენას XIV საუკუნეშიც, მონღოლთა ბატონობის დროსაც, შეუნარჩუნებია ოფიციალური ენის მნიშვნელობა, ჩანს სომხეთის მნიშვნელოვანი ნაწილი იცნობს ქართულ ენას და ქალკიდონიტური მრეველიც ძლიერია. სხვაგვარად ვერ ავხსნით სპარსულენოვანი ბრძანებისათვის სომხეთში ქართული მინაწერის ვაკეთებას⁵².

ჟამთაღმწერლის მიხედვითაც, შანშე II მხარგრძელი, ისევე როგორც მისი საგვარეულოს დანარჩენი წარმომადგენლები, სხვა ქართველი მთავრების მსგავსად, საქართველოს სამეფოს ერთ-ერთი ფეოდალი და სამეფო კარის ერთ-ერთი მოხელეა. ჩრდილოეთ სომხეთში მისი მფლობელობის შესახებ ცნობებს ერთგვარად ავსებს ჰოვანავანქის მონასტრის ზემოაღნიშნული წარწერა. იგი კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული თვალსაზრისის სისწორეს. როგორც წარწერიდან ჩანს, მხარგრძელებს ჰოვანავანქის მხარეზე რაღაც განსაკუთრებული უფლებები სრულიადაც არ გააჩნიათ. ამ რეგიონის უშუალო (და არა ნომინალური) პატრონებად ალასტანელი ბაგრატიონები გვევლინებიან. წარწერა ამ მხარეში მხარგრძელთა მფლობელობაზეც მიგვითითებს, მაგრამ ამ ფლობელობის ხასიათი და არც მათი დამოკიდებულება საქართველოს მეფეებთან არ აღემატება სხვა რეგიონის მსხვილი ქართველი დიდებულების უფლებებს (როგორც ზემოთ გვაქვს ნაჩვენები, XIV საუკუნის შინაპოლიტიკურ პერიოდებში, ქართველ მეფეთა ნება-სურვილის მიხედვით, ისინი ხან კარგავენ, ხანაც იბრუნებენ თავიანთ მამულებს).

ამდენად, XIV ს. I ნახევარში ისტორიული სომხეთის გარკვეული რეგიონი შემოდიოდა საქართველოს სამეფოში და ქართველი ბაგრატიონები ამ მხარის რეალურ პატრონებად გვევლინებიან.

საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, შემდეგი:

1. ჰოვანავანქის მონასტრის ეგვიპტის ზემოდ განხილული წარწერა ვაკეთებულია 1320/21 წლებში; 2. წარწერის მიხედვით, სომხეთის ამ მხარის პატრონებად გვევლინება დავით VIII უფროსი ვაჟის — მელქისედეკის ოჯახი: მუხლვე თამარი და მცირეწლოვანი გიორგი; 3. წარწერა გვაცნობს აქამდე უცნობ ალასტანელებს — ზემოაღნიშნულ თამარსა და გიორგის და ამდენად, ავსებს ჩვენს ცოდნას პირველი ალასტანელების შესახებ; 4. წარწერის მიხედვით უფრო ზედმიწევნით დგინდება პირველ ალასტანელთა — მელქისედეკისა და თამარის მოღვაწეობის წლები (კერძოდ, მელქისედეკი — 1311—1320 წწ. თამარი — 1320—1340 (≈?) წწ.); 5. წარწერა ადასტურებს ადრევე გამოთქმულ თვალსაზრისს ალასტანელთა საქართველოს სამხრეთ რეგიონში გაბატონების შესახებ და უფრო სრულ წარმოდგენას გვაძლევს მათ სამფლობელოთა საზღვრებზე (ჯავახეთისა და ქვემო ქართლის გარდა, წარწერის მიხედვით, ისინი ფლობენ ჰოვანავანქის მხარესაც); 6. წარწერა გვიჩვენებს რა ალასტანელთა ფაქტიურ მფლობელობას ჩრდილოეთ სომხეთში, კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ აღნიშნულ პერიოდში ეს მხარე საქართველოს სახელმწიფოს ორგანული — განუყოფელი ნაწილია.

⁵² გ. მამისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII—XVIII საუკუნეებში, თბ., 1982, გვ. 87—88.

დ. ვ. ნინიძე, მ. ვ. სანაძე

ПРИТВОРНАЯ НАДПИСЬ ОВАННАВАНКСКОГО
 МОНАСТЫРЯ И НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ИСТОРИИ
 АЛАСТАНСКИХ «ПРОВИНЦИАЛЬНЫХ ЦАРЕЙ»

Резюме

Изучение притворной надписи Ованнаванкского монастыря помогло уточнить ее дату — 1320/21 гг. Сличение данных указанной надписи с грузинскими историческими источниками того же периода выявило, что владельцами этого армянского края, т. е. Ованнаванка, были грузинский царь Давид VIII (1293—1311) и его семья (старший сын Мелкиседек, его жена царица Тамара и их малолетний сын Гиорги). Эти данные расширяют наши знания о боковой ветви грузинского царственного дома — «Аластанских царей», а также об их владениях, т. е. устанавливается, что кроме Джавахети и Квемо Картли им принадлежала определенная часть исторической Армении.

Таким образом, наряду с другими фактами, и эта надпись подтверждает, что во время монгольского владычества северная Армения являлась неотъемлемой частью грузинского царства.

D. V. NINIDZE, M. V. SANADZE

THE CHAPEL INSCRIPTION OF HOVHANNAVANK MONASTERY
 AND SOME PROBLEMS OF THE HISTORY OF ALASTAN
 „PROVINCIAL KINGS“

Summary

The purpose of the proposed article is to study the chapel inscription of Hovhannavank Monastery. Taking into account the facts of the inscription itself, we have its exact date-1320/21. Collating the data of the given inscription with the Georgian historical sources of the same period showed that the owners of this Armenian land, i. e. Hovhannavank, are the Georgian king David VIII/1293—1311/ and his family (elder son Melkisedek, his wife, Queen Tamar and their young son Giorgi). all these materials extend our knowledge of collateral line of the Georgian Royal House of „Alastan kings“, as well as of their estates. Hence it appears that, besides Javakheti and Kvemo Kartli (Southern Georgia), some of the part of historical Armenia belonged to them.

Thus, together with the other facts, this inscription also shows that, during the rule of Mongols, the Northern Armenia represented an integral part of the Georgian kingdom.

პ. შიშიანი

**გაზეთი „კავკაზი“ და მისი ეთნოგრაფიული პუბლიკაციების
მცენიერული და საინფორმაციო ღირებულება**

(სვანეთი და თუშ-ფშავ-ხევსურეთი. სულიერი კულტურა)

გაზეთი „კავკაზი“, რომლის ეთნოგრაფიული პუბლიკაციების განხილვასაც ჩვენ ვაპირებთ, დააარსდა 1846 წელს და დიდი ხნის მანძილზე თითქმის ერთადერთი ორგანო იყო არა მარტო თბილისში, არამედ მთელს კავკასიაში, რომელიც რუსულ ენაზე აშუქებდა მთელი ამ მხარის და, განსაკუთრებით, საქართველოს ყოფა-ცხოვრებას. გაზეთის დაარსება შემთხვევით არ მომხდარა. იგი მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის განუხრელ გატარებას ამ ახლად შემოერთებულ მხარეში, ხოლო, მეორე მხრივ, ამ უცხო და შორეული, უცნობი ხალხებით დასახლებული ქვეყნის ახლოს გაცნობას რუსეთისათვის.

თავისი პირველი ნომრის (1846 წ. 5 იანვარი) სარედაქციო წერილში გაზეთი წერდა: „აქამდე კავკასიის შესახებ მცდარი შეხედულების საფუძველი ის იყო, რომ ზოგიერთ აქაურ მკვიდრს არ ესმოდა არა ხდებოდა ან ცალმხრივად გებულობდა ყველაფერს და ამხსნელი კი არავენ ჰყავდა;

ზოგს, მაგალითად, თუნდაც ჩვენს თანამემამულეებს, მცდარი აზრი უჩნდებოდათ იმის გამო, რომ კარგად არ იცნობდნენ ამ მხარეს, არ იცოდნენ რა ჭრელი იყო აქაური მოსახლეობა თავისი შემადგენლობით, რა აკავშირებდათ მათ ერთმანეთთან და არც აქაურ ბუნებრივ შესაძლებლობებზე, სამრეწველო და სავაჭრო საქმეებზე ჰქონდათ წარმოდგენა;

სხვებს კი, არაპატიოსან ხალხს ანუ შურიან მეთვალყურე-უცხოელებს მახინჯი წარმოდგენა ჰქონდათ ყველაფერზე იმიტომ, რომ საერთოდ არ ესმოდათ მთავრობის ღონისძიებათა აზრი, მიმართული მხარის საკეთილდღეოდ.

აი, სწორედ რომ ბოლო მოეღოს ყველა ამ მცდარ აზრს და წარმოაჩინოს კავკასია, როგორცაა ისეთი, ეს არის ჩვენი გაზეთის მცდელობისა და მოღწეობის მთავარი მიზანი“¹.

როგორც ვხედავთ, ამ პროგრამაში ორი ძირითადი მიზანია დასახული — ბოლო მოუღონ მცდარ ინფორმაციებს, რაც აქამდე მიდიოდა რუსეთში და მისცენ ობიექტური წარმოდგენა მკითხველს აქ მოსახლე ჰრავალრიცხოვან ხალხებზე, ქვეყნის ბუნებრივ შესაძლებლობებზე, სამრეწველო და სავაჭრო საქმეებზე და, გარდა ამისა, განმარტონ მთავრობის ღონისძიებათა აზრი, რომლებიც, გაზეთის თქმით, მხარის კეთილდღეობისკენაა მიმართული, მაგრამ არ ესმით „შურიან მეთვალყურე-უცხოელებს“.

¹ გაზ. „კავკაზი“, 1846, № 1, გვ. 1.

9. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1990, № 3 /

ამავე წერილში გაზეთი მდლიერებით იხსენიებს მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვს, როგორც ამ გაზეთის დაარსების ინიციატორს და, სავსებით სამართლიანადაც, ვინაიდან არც ის არის შემთხვევითი, რომ სწორედ მისი მეფისნაცვლობის დროს კავკასიაში (1844—1854 წწ.) გატარდა მრავალი კულტურული ღონისძიება. როგორც ცნობილია, მ. ვორონცოვი თავის წინამორბედ მთავარმართებელთაგან გამორჩეოდა იმით, რომ ცარიზმის პოლიტიკას მეტაქეთილგონიერებით ატარებდა ადგილობრივ მოსახლეობაში. გაზეთ „კავკაზის“ დაარსებაც მიხეილ ვორონცოვის კულტურული პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი ნაწილი იყო.

თავდაპირველად გაზეთი გამოვიდა როგორც არაოფიციალური პოლიტიკურ-ლიტერატურული ორგანო (მისი პირველი რედაქტორი იყო ო. კონსტანტინოვი 1850 წლამდე. მის დროს გაზეთი გამოდიოდა კვირაში ერთხელ — შაბათობით) და უკვე იმათივე ნათელი გახდა გაზეთის მიმართულემა. ამ მრავალმხრივი და მრავალფეროვანი გაზეთის ფურცლებზე ადგილობრივი ხელისუფლების ოფიციალურ ცნობებთან ერთად დიდი ადგილი ეთმობოდა ეთნოგრაფიულ-სალიტერატურო ხასიათის მასალასაც. ამან ადგილობრივ მკვიდრთა, განსაკუთრებით, მოწინავე ინტელიგენციის, მეცნიერთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ამის შედეგია სწორედ ის ფაქტი, რომ გაზეთის უკვე პირველსავე ნომრებიდან ვხედავთ მასში საინტერესო ეთნოგრაფიულ-ისტორიულ სტატიებს. უკვე 1846 წელსვე გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა რ. ერისთავის, დ. ყიფიანის, ი. ცისკარიშვილის, ა. ზისერმანის, დ. ბაქრაძის, ი. ევლახიშვილის, ა. პერევალენკოს, ი. სლივიცკის, ნ. ბერძენიშვილის (ბერძენოვის), ნ. ლიხაჩოვის, შახოვსკოი და ნემიროვიჩ-დანჩენკოს, ლობანოვ-როსტოვსკის, ი. მამაცაშვილის, ნ. გამრეკლოვის, კ. განის და სხვათა წერილები.

გაზეთის ამგვარი ყურადღება ეთნოგრაფიული საკითხებისადმი ერთგვარი გამომხატურება იყო რუსული გეოგრაფიული საზოგადოების (შექმნა 1845 წელს) მოწოდებისა, რომელიც ამავე წლის № 33-ში დაიბეჭდა და მოითხოვს კავკასიაში შემავალ ყველა ტომთა შესახებ არსებული ცნობების მიწოდებას. ცნობები უნდა შეგებოდა ტომთა აღწერილობას (წეს-ჩვეულებებს, მათ ენას, ხელნაწერებს (თუ ამგვარი ჰქონდათ) და სხვა საბუთებს.

საერთოდ, რუსეთის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ დიდი როლი შეასრულა რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების ეთნოგრაფიის შესწავლაში. ამ საზოგადოების ეთნოგრაფიულმა განყოფილებამ, რომელსაც სათავეში ედგა კ. მ. ბერი, დიდი მუშაობა გასწვია ამ მიმართულებით და უკვე 1847—1848 წლებში დააგზავნა მ. ი. ნადეჟდინის მიერ შედგენილი პროგრამა ეთნოგრაფიული მასალების შეგროვების წესის შესახებ, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო საქართველოში გაჩაღებულ მუშაობასაც. ამ პროგრამის მიხედვით ყურადღება უნდა მიქცეოდა: 1) გარეგნობას — ადგილობრივ მცხოვრებთა სხეულის აგებულებისა და სახის იერის თავისებურებებს; 2) ენას — მის დიალექტებს და კილო-კავებს; 3) საოჯახო ცხოვრებას; 4) საზოგადოებრივი ცხოვრების იმ გადმონაშთებს, რომლებშიც დროისა და სხვა რაიმე ფაქტორის გავლენით ჯერ კიდევ არ იყო წაშლილი ამა თუ იმ ხალხის პირველყოფილი წეს-წყობილების კვალი; 5) გონებრივ და ზნეობრივ თავისებურებებს, რამდენადაც მასში ჩანს ხალხის ბუნებრივი სულიერი ნიდრეკილებანი. 6) ხალხურ გადმოცემებს, და ძეგლებს, ამ ცოცხალ, მიუქერძობებელ ისტორიას, რომელშიც ხალხი ავ-

ლენს თავის თავს, როგორცაა ისეთს, ყოველგვარი მოჩვენებითობისა და შელამაზების გარეშე.

როგორც ჩანს, ამ მოწოდება-პროგრამას დიდი გამოხმაურება მოჰყოლია რუსეთში, რადგან სწორედ ამის შემდეგ იწყო გამოსვლა ეთნოგრაფიულმა კრებულებმა, იბეჭდება მოგზაურთა შთაბეჭდილებანი და გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული აღწერილობანი, ქვეყნდება გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული რუკები; დაარსდა ეთნოგრაფიული მუზეუმი და ბოლოს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დაისვა საკითხი გეოგრაფიული საზოგადოების პერიოდული განყოფილებების გახსნის შესახებ. პირველად 1850 წელს გაიხსნა სწორედ კავკასიური განყოფილება თბილისში, რადგანაც, როგორც ჩანს, აქ უფრო იყო ეს საქმე მომწიფებული. ამაში ერთგვარი წვლილი „კავკასიაც“ მიუძღვის. უკვე 1849 წელს გვხვდება თვით გაზეთ „კავკაზის“ საინტერესო განცხადება — მოწოდებაც — „კავკაზი 1850 წელს“, რომელშიც ნათქვამია, რომ ეს მშვენიერი და საინტერესო ქვეყანა ბნელ და ბარბაროსულ მხარედ რომ არ ეჩვენებოდეთ რუსებსა და უცხოელებს, საჭიროა გაზეთში იბეჭდებოდეს უფრო მეტი მასალა ქართველი ხალხის წეს-ჩვეულებებზე, ისტორიასა და კულტურაზე და რაც შეიძლება ობიექტურად, რომ ნამდვილი მეცნიერული შესწავლისათვის გამოდგესო. აქვე რედაქცია დასძენს: „საერთოდ ვიწვევთ ყველას, ვისაც აქვს ესა თუ ის საინტერესო ისტორიული ცნობები, იციან ხალხური გადმოცემები, თქმულებები, რელიგიური ლეგენდები, რათა თავისი ცოდნა გაუზიარონ რედაქციას, რომელიც თავის დროზე და სათანადო ადგილას გამოიყენებს ამ ძვირფას მასალას“².

ალბათ ამ განცხადების შედეგი იყო, რომ ახალი ძალით და უფრო სისტემატურად იწყო გაზეთმა ეთნოგრაფიული წერილების ბეჭდვა. მაგრამ ყველა ეს მასალა თანაბარი ღირებულებისა არ იყო, რადგან ზოგიერთი მათგანი თვალსაჩინო მეცნიერის დაწერილია ან ქართული წეს-ჩვეულებების კარგად მცოდნე პირისა, ზოგი კი ზერაღე დამკვირვებელს ან მოგზაურს ეკუთვნის, თუმცა ამ დროისათვის ასეთ მასალასაც კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც იგი, რუსულ პერიოდულ ორგანოში დაბეჭდილი, ერთი მხრივ, ქართველთა ყოფაცხოვრების პოპულარიზაციას ეწეოდა, ხოლო მეორე მხრივ, მომავალ თაობებს უნახავდა, ხშირად საკუთარი თვლით ნანახსა და პირადად განცდილ შთაბეჭდილებებს. აქედან გამომდინარე, ამ პუბლიკაციებსა და აქ გამოთქმულ მოსაზრებებსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული ეთნოგრაფიის ისტორიისათვის, იგი გარკვეულწილად ავსებს ქართული პერიოდული პრესის მონაბოვისა ამ მიმართულებით, მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ ილია ჭავჭავაძე არც მათი (ქართული) პუბლიკაციებით იყო მინცდამაინც კმაყოფილი. თავის წერილში — „ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ“, იგი საფუძვლიანად აკრიტიკებს იმ მოღვაწეთ, რომლებიც ხალხის ყოფა-ცხოვრების, მათი ზნე-ჩვეულებების შესწავლის მაგიერ ერთავად ყველანი პოეზიის შესწავლას უფრო ეტანებიან, „მოდად“ აქციეს იგი, ყველა ამაზე წერს და სხვა მხარე ხალხის გონების მუშაობისა თუ ცხოვრებისა მივიწყებულია. „ჩვენი დედა-აზრი ეს არის, — წერს იგი, — ხალხის ცხოვრება ყოველმხრივ და ჰარმონიულად უნდა შევისწავლოთ: იმის ყოველგვარი გონებით ნაწარმოები უნდა შეეკრიბოთ... ერთის რომელსამე საგნის ამოჩვენება, იმისი „მოდად“ დაწესება და სხვა საგ-

ნების დავიწყება — კარგი არასდროს არ ყოფილა და არც ჩვენთვის იქნება³. საქმე ისაა, რომ აქ ილია ხალხური პოეზიის შესწავლით გატაცებას საყვედურობს განათლებულ ინტელიგენციას. სახალხო პოეზია, თქმა არ უნდა, კარგია, წერს იგი. მაგრამ უფრო ფანტაზიის ნაყოფია. „მარტო პოეზიის მიხედვით დასკვნა და მსჯელობა ხალხის ცხოვრების საჭიროებაზედ და მის მოთხოვნილებაზედ შეცდომა იქნება და ამ შეცდომას საზარელი შედეგი უნდა მოჰყვეს. თუ ამ შემთხვევაში შეცდომის თავიდან აცილება გვსურს პოეტური შეხედულებების გარდა ხალხის სხვა შეხედულებას და მსჯელობასაც ყური უნდა ვათხოვოთ“⁴. როგორც ვხედავთ, ილია აქაც არ ღალატობს თავისი ცხოვრების და შემოქმედების უმთავრეს პრინციპს, უფრო რეალურად და არა პოეტურ ფერებში შეხედვით ცხოვრებას და ამ კუთხით შევისწავლოთ მისი საჭიროებანი. ამისათვის კი, ილიას აზრით, „საჭიროა, რომ ჩვენმა ნასწავლმა საზოგადოებამ ერთად თავი მოიყაროს, მოილაპარაკოს, ასწონ-დასწონოს ყველაფერი ამ საგნის შესახებ და პროგრამა შეადგინოს ხალხის ზნე-ჩვეულებათა შეკერებისა და შესწავლისათვის. თუ ყველგან მას მისდევენ, განა ჩვენთვის კი დრო არ არის!“⁵ — კითხულობს იგი.

როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძესაც მიუღია აქტიური მონაწილეობა ეთნოგრაფიული კვლევის სწორი კონცეფციის შემუშავებაში.

„კავკასის“ მოღვაწეობაში დასაფასებელი ისაა, რომ იგი ითვისებდა როგორც მეცნიერთა და ქართველი ერის გულშემატიკვართა მოთხოვნებს, ისე თავისი მკითხველის გაზრდილ ინტერესს ამ მხარისა და აქ მოსახლე ხალხების მიმართ. ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ გაზეთი საგანგებო ყურადღებით ეკიდება საქართველოს მთიანეთს, კერძოდ, სვანეთსა და თუშ-ფშავ-ხევსურეთს, რომლებიც ამ დროის რუსი მკითხველისათვის თითქმის უცნობია. თემატიკის მხრივ კი ყველაზე ფართოდ და მრავალმხრივ გაშუქებულია ამ რეგიონების ძირძველ მოსახლეთა სულიერი კულტურა, განსაკუთრებით მათი რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, რასაც ქვემოთ შევხებით.

ეტყობა, მოგზაურ-მკვლევართ პირველ რიგში ის ანტიერესებდათ, რომ თვითონაც გარკვეულიყვნენ და რუსი მკითხველისთვისაც გაეცნოთ რა სარწმუნოების ხალხთან ჰქონდათ საქმე, როგორი იყო მათი რწმენა-წარმოდგენების სამყარო, იყვნენ ისინი ქრისტიანები თუ არა და ა. შ. უნდა ითქვას, რომ თუ პუბლიკაციების მიხედვით ვიმსჯელებთ, მაინცადამაინც დიდ წარმატებისთვის ამ მხრივ ვერ მიულწევიათ. მაგალითად, სვანეთის შესახებ შახოვსკოი და ნემიროვიჩ-დანჩენკო წერენ: — „მიწამ შემოინახა ოდესღაც აქ გავრცელებული ქრისტიანობის კვალი, მაგრამ ხალხში ნაკლებადაა დარჩენილი მისი ნიშანი“⁶. „ჰყავთ კერპები, ამავე დროს თაყვანს სცემენ წმ. გიორგის, მიქელ მთავარანგელოზს“⁷, — კვერს უკრავს მათ ლობანოვ-როსტოვსკი. „თავს თვლიან ქრისტიანებად, იესომ მოგვანთალაო“...⁸ უდასტურებს ანონიმი ავტორი. „არის ქრისტიანობის ნიშნებიც და შეიმჩნევა კერპთათაყვანისმცემლობისაკენ მობრუ-

3 ი. ჭავჭავაძე, ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ, ტ. IV, გვ. 191—195.

4 ი. ჭავჭავაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 193.

5 იქვე, გვ. 194.

6 შახოვსკოი და ნემიროვიჩ-დანჩენკო — „სვანეთი“, გაზ. „კავკასი“, 1846, № 44.

7 ლობანოვ-როსტოვსკი — „სვანეთი“, „კავკასი“, 1852, № 14—17.

8 ანონიმი — „სვანების ცხოვრებიდან“, „კავკასი“, 1891, № 253—265.

ნება. იციან მსხვერპლშეწირვა⁹, — იუწყება კ. ვანი, რომელსაც ამავე დროს, სვანეთში ხეების თაყვანისცემაც შეუნიშნავს — „საფლავები ხეებთან ბევრია; რაც გადმონაშთია ხეების თაყვანისცემისაო“ და ა. შ. ამას ვერ შველოდა ისიც, რომ ხანდახან ქართველი კორესპონდენტის ხმაც გაისმოდა გაზეთიდან — „ქრისტიანობა სვანეთში გავრცელდა ჯერ კიდევ 1 საუკუნეში წმინდა მოციქულის ანდრიას მეშვეობით“ (ი. მამაცაშვილი)¹⁰. ვერ უშველიდა იმიტომ უფრო, რომ რეალური სანახაობა ისეთი იყო, როგორსაც უცხო თვალი აღწერდა.

იგივე მდგომარეობაა თუშ-ფშავ-ხევსურეთშიც. ი. ცისკარიშვილის აზრით, ბერძნულ-ალმოსავლური ეკლესიის ქრისტიანული სარწმუნოება კი ჰქონდათ ოღესღაც თუშებს, მაგრამ მერე „ალარ შეიძლებოდა შენარჩუნება და დამხობილა“¹¹; რ. ერისთავი წერს, რომ ფშავ-ხევსურებს „ვერ ვუწოდებთ კერბთაყვანისმცემლებს, რადგან სწამთ ღმერთი, მაგრამ ვერც ქრისტიანებს ვუწოდებთ...“¹² რატუნ შეეხება ა. ზისერმანს, იგი გადაჭრით აცხადებს, რომ „ხევსურების სარწმუნოებაზე ძნელია რაიმე გარკვეულის თქმა: ძნელია იმის თქმაც კი, თუ რომელ სარწმუნოებას ეკუთვნიან ისინი, ეს არის სხვადასხვა სარწმუნოებების ნარევი: არის ქრისტიანობის ნიშნებიც, მაჰმადიანობისაც, თალმუდიზმისაც და უფრო მეტად, კერბთაყვანისმცემლობისა“¹³.

ამიტომ სრულიად ბუნებრივი და გასაგებია ის განცვიფრება, რასაც პუბლიკაციების ავტორნი გამოხატავენ. ერთი მხრივ, განსაკუთრებით სვანეთში ისინი ყოველ ნაბიჯზე ხედავენ დიდებულ ტაძრებს, შუა საუკუნეების იშვიათ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, რომლებშიც, ამასთან, დაუნჯებულა სხვადასხვა სხის ნივთიერი მასალა (ხოლო ეს ნივთიერი მასალა რომ უხვად იყო, ამას ეკლესიათა აღწერილობანიც მოწმობენ, რომლის მიხედვით, „ამ ნივთების საერთო რაოდენობა შეადგენს 3385 დასახელების 6851 ერთეულს. აქედან 600 ცალი ხატი და ჯვარია, ხოლო დანარჩენი 6251 ნივთი სხვადასხვა დანიშნულებისა.“¹⁴. აქ არის: სამკაულები, ქვეები, მონეტები, ისრები, ტყვიები, ნანადირევის რქები... წარწერიანი ჯოხები... სასამისები“¹⁵ და ა. შ. ამასთან „ქრონოლოგიურად, შეწირული მასალა მოიცავს დიდ მონაკვეთს დაწყებული ბრინჯაოს ხანის ნივთებიდან და დამთავრებული თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელი ნივთებით“¹⁶, რაც ნიშნავს, რომ ეკლესიებს საუკუნეების მანძილზე მოქმედება არ შეუწყვეტიათ. ნაკლებნიშვნელოვანი არც ის ცნობაა, რომ ამ ეკლესიებში „ყველგანაა სახარება“ (წმ კვირიკესი, უშგულა, ლაფშვილის, ლატალის, და ა. შ.) და, რაც მთავარია, აქ ქურდობა არ იციან, ხატებს არ ეკარებიათ“ (ანონიმი ავტორი)¹⁷. ხედავენ მკვლევარ-მოგზაურნი და ხშირად ესწრებიან მრავალრიცხოვან ხალხურ და რელიგიურ დღესასწაულებს, სხვადა-

9 კ. ვანი — „მოგზაურობა სვანეთში“ „კავკაზი“, 1892, № 206—209.
10 ი. მამაცაშვილი — „ჩანაწერები სვანეთზე“, „კავკაზი“, 1872, № 121.
11 ი. ცისკარიშვილი — „ჩანაწერები თუშეთზე“, „კავკაზი“, 1849, № 7—13.
12 რ. ერისთავი — „ჩანაწერები თუშ-ფშავ-ხევსურეთზე“, „კავკაზი“, 1854, № 43—52.
13 ა. ზისერმანი — ნარკვევები ხევსურეთზე, „კავკაზი“, 1851, № 23.
14 მ. ჩართლანი — სვანეთის მატერიული და სულიერი კულტურის ძეგლების შესწავლისათვის, სვანეთი 1, თბ., 1977, გვ. 10.
15 იქვე, გვ. 12.
16 იქვე, გვ. 13.
17 ანონიმი — სვანების ცხოვრებიდან, „კავკაზი“, 1891, № 253—265.

სხვა სამგლოვიარო თუ სალხინო წეს-ჩვეულებებს, რიტუალების აღსრულებას, მეორე მხრივ, ვერ გაუფიქრებია კარგად, ვის აღიღებენ და თაყვანს სცემენ ეს აღამიანები, ვინაიდან ღმერთთან ერთად, იესო ქრისტესთან ერთად სხვა ღვთაებათა სახელებიც ისმის ხშირად ვედრებასა და ლოცვაში. ლობჯინაძე-არისტოვსკის აზრით, სვანეთში არის „ღიღიბული ტაძრები, რომლებიც აქამდე შემონახულა“ და მოწმობენ, „რომ სვანები ოდესღაც მორწმუნე ქრისტიანები ყოფილან“, თუმცა ახლა პატივს სცემენ ეკლესიაში შემორჩენილ ხატებს. ყოველ მათგანს მიაწერენ რაღაც განსაკუთრებულ თვისებას... ჰყავთ კერპები, ამავე დროს თაყვანს სცემენ წმ. გიორგის, მიქელ მთავარანგელოზს“ და სხვა. კერპებში ალბათ გულისხმობს ტოტემებიდან შექმნილ ცხოველურ კულტებს, რის „ნივთიერი საბუთები ბრინჯაოს ცხოველსახოვანი ქანდაკებები“¹⁸, დღემდეა შემორჩენილი, ასეთებია „ცხვარ-ჩიტები“, ხარის, ჯიხვის, ირმის, ცხენის და სხვა პლასტიკური გამოსახულებანი.

ასეთივე აზრისაა რ. ერისთავი ფშავ-ხევსურებზეც. „ხევსურებს გაგონებაც არ უნდათ, რომ ღმერთი ერთია... ისინი თაყვანს სცემენ: ადგილის დედას, მუხის ანგელოზს, გორის ანგელოზს, უნჯის ანგელოზს, თეთრ გიორგის“ და ა. შ.

ე. ი. მკვლევარ-მოგზაურნი კი ხედავენ, რომ აქ ჩვეულებრივ, მათთვის ნაცნობ-რწმენა-წარმოდგენების აღიარებასთან არა აქვთ საქმე, მაგრამ სახელდობრ, რა არის ეს თავისებურებანი, ვერ გაურკვევიათ. ამიტომაც ასეთი აზრითა სხვადასხვაობანი მათ გაგებაში იქამდეც კი, რომ, როგორც ვნახეთ, მაქს. კოვალევსკიმ მთელი რიგი უძველესი ქართული წარმართული ზნე-ჩვეულებანი უცხო წარმოშობისად, „სპარსული მახდენობისა ან ცეცხლთაყვანისმცემლობის მოძღვრების ნიშნად აღიარა“¹⁹, რაც შემდგომ ბ. ინოტრანცევემაც გაიზიარა²⁰. თუმცა რაღა უცხო მეცნიერნი, როცა თვით აკად. ნ. მარმაც „ძველი წარმოდგენა ქართველი ხალხის წარმოშობისა და კერპთაყვანისმცემლობის შესახებ ძირიანად შეარყია“²¹ და ქართველი ხალხის ღვთაებები არაბული სამყაროდან შემოტანილად მიიჩნია.

საკითხი იმდენად რთულია, რომ „კავკასიის“ პუბლიცისტთა ავტორები კი არა, როგორც ვხედავთ, ცნობილი მეცნიერნიც კი ვერ გარკვეულან და მხოლოდ ივ. ჯავახიშვილის ძალისხმევა დასჭირდა, რომ წესრიგი და კანონზომიერება დაგვეჩვენა მრავალსახოვან ღვთაებათა პანთეონში. როგორც ვიცით, მან თანმიმდევრულად განიხილა ქართული წარმართული ღვთაებანი, დამყარა მათ შორის უფროს-უძეცროსობა, რომლის დროს გამოიჩვენა, რომ ჰირეკლი ადგილი ქართველთათვის ძლიერებით უკავია წმ. გიორგის. „იგი გულკეთილია და აღამიანის მფარველი“²², მეორე ადგილი ეკუთვნის — შემოქმედ ღმერთს, მესამე — ელიას, რომელიც შემოქმედის ბრძანებას ასრულებს და, სხვათა შორის ეს დებულება იმით გაამყარა, რომ „ხევსურებისა და ფშავლების ხევის-ბერებზეც ლოცვის დროს წმინდა გიორგის პირდაპირ ღმერთად იხსენიებენ. „ღმერთო იხინჯის წმინდა გიორგივ“, — ასე დაიწყებენ ხოლმე ლოცვას ისინი

18 შ. ჩ ა რ თ ლ ა ნ ი, სვანთა უძველესი რელიგიური რწმენა-წარმოდგენები არქეოლოგიური მასალების შუქზე, სვანეთი, თბ., 1977, გვ. 85.

19 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ტ. 1, თბ., 1979, გვ. 78.

20 იქვე, გვ. 79.

21 იქვე.

22 იქვე, გვ. 89.

ქადაგების, კურთხევის დროს²³; სვანებიც გიორგის ღმერთის მსგავსად თაყვანსა სცემენ და ღმერთზე ძლიერად მიაჩნიათ²⁴. ამ მოვლენას კი ახსნა სჭირდებოდა, რაკი იგი ქრისტიანობის გავებაში ვერ ეტეოდა და დიდი მეცნიერი იკლევს რაა წმ. გიორგის ვინაობას, მიღის იმ დასკვნამდე, რომ „ქართველი ხალხის აზროვნებაში წმინდა გიორგის ძველი წარმართობისდროინდელი ქართველობის მთავარი ღვთაების, მთვარის ადგილი უკავია“²⁵. ხოლო მთვარეს ქართველი ხალხი რომ თავის „მთავარ მეუფედ“ თვლიდა, ამას მეცნიერი მრავალი მაგალითით, თქმულება-გადმოცემით ასაბუთებს²⁶.

რაკი წარმართი ქართველები მნათობს — მთვარეს აღმერთებდნენ, ბუნებრივია, ამ წარმართ ღვთაებათა სასუფეველში მთვარის გარდა სხვა ღვთაებანიც იქნებოდა; ღმერთი შემოქმედისა და ღრუბელთა ბატონისა — ელიას გარდა, მკვლევარი კიდევ რამდენიმეს ასახელებს, ესენია — მორიგე — კრონოსი და კვირია — შვილიერების მფარველი. სვანური დღესასწაულების „ადრეკილაჲ“-ს და „მელიაჲ ტელეფიაჲ“-ს, აგრეთვე „საქმისას“ შესწავლით, რომლებშიც წარმართული თაყვანისცემის წესებია დაცული, — ასევე ფშავურხევსურული გადმოცემებით, რომლებიც უზუნაეს ღვთაებას „მორიგეს“ უწოდებენ, იგი „მეშვიდე ცაში სუფევს“ და „ცოცხლების ღმერთია, ქრისტემკედრებისაო“, მეცნიერი ეძიებს „მორიგეს“ ადგილსა და როლს მნათობთა შორის და იმოწმებს რა საბა-სულხან-ორბელიანის ლექსიკონს, სადაც ნათქვამია, რომ: „კრონოსი — ესე ვარსკვლავი არს მეშვიდე ცასა ზედა, რომელსაც ეწოდების ალაბასტრო“, — ასკვნის: „მორიგე“ ან მნათობი კრონოსი უნდა იყოს, ან მისი თანამოსაყდრე და გამოხატულება“²⁷.

ხევსურებს ჰგონიათ, რომ „მორიგე“ — რიგს და წესს აძლევს ქვეყნიერებას, მაგრამ „თითონ ქვეყნის მმართველობაში არ ერევა და ბრძანების მეტს არას აკეთებს“, მას ფრთოსანი ხელქვეითნი ჰყავს დიდნი და პატარანი, რომელთაც „ხატები“ ან კიდევ „ღვთის მოკარვე“ ჰქვია“²⁸.

მორიგის ერთ-ერთ დიდ ხელქვეითთაგანად, როგორც ეტყობა, უნდა ყოფილიყო — „ხმელთ-მოურავი“, რომელსაც მორიგის ახლო კარავი უდგია“ და აგრეთვე „მეკობრეებისა და მონადირეების ხატი“, რომელსაც ხევსურთა რწმენით თვით მორიგემ თავისი ხელით სისხლიანი ხმალი შემოარტყა“²⁹.

ამგვარად, „მორიგე“ — მნათობი ღვთაება კრონოსია. იგი მეშვიდე ცაში სუფევს და ქვეყნიერებას რიგს აძლევს. „უნებლიედ გვაგონდება, — წერს ივ. ჯავახიშვილი, — საბერძნეთის მითოლოგიაში კარგად ცნობილი ღვთაება კრონოსი, რომელიც აგრეთვე მნათობთა სამფლობელის ეკუთვნოდა და რომელსაც აგრეთვე ქვეყნიერების და დრო-ჟამის მომწესრიგებლად თვლიდნენ. მისი თაყვანისცემა და სახელიც აღმოსავლეთიდან გავრცელდა საბერძნეთში და, სხვათა შორის, ფრიგიაშიც ადგილობრივი ღვთაება იყო“³⁰.

²³ დ. გორელი, „რამდენიმე სიტყვა ფშავ-ხევსურეთის დღესასწაულზე“, ივერია, 1886, № 242.

²⁴ Свящ. Гульбани — „Краткий очерк религиозно-нравственного состояния сванетия, СМОМПК, кн. X, გვ. 89.

²⁵ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

²⁶ იქვე.

²⁷ იქვე, გვ. 102.

²⁸ ბ. ურბნელი, ეთნოგრაფიული წერილები, „ივერია“, 1887, № 158.

²⁹ იქვე.

³⁰ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი გვ. 102.



„ხმელთ-მოურავი“ ღვთაებაა, რომელსაც კვირიას ან კვირეას უძახიან ფშავ-ხევსურნი; ზღვის პირას რაც კი რამე მოხდებოდა ხმელეთზე, ყველაფერი მას ეკითხვის“. მას „კარავი უდგია“ და „სამწერლო აქვს გამართული, ამიტომ, არის, რომ მას „კარავიანი“ ეწოდება და ფშაველი ხევისბერები თავიანთს დიდებაში სხვათა შორის ასე ლოცულობენ ხოლმე: „დიდება შენთვის „კვირიას კარავიანს“-ო³¹.

ამას გარდა, კვირიას, როგორც ჩანს, „სამართალიც ეკითხებოდა და „წულის მომატებაც“, რაკი ხევისბერთა ლოცვებში ნათქვამია: „ძალი ღთისა გწყალობდეთაც და სამართალი კვირიკესა“ ან კიდევ: „წული ვის ჰყავდეს გაუზარდემო, და თუ ვინმე გეხვეწებოდეს, ღმერთსა და კვირიას გამოუთხოვეო“³².

ეს პარალელები ერთგვარად ამართლებენ რ. ერისთავის თამამ განცხადებას, რატომ არ შეიძლება ქართველებსაც ბერძნების მსგავსად თავიანთი ღმერთები ჰყავდეთო³³.

ამრიგად, „ციცილიზაციის გარიჟრაჟზე, — გადმოგვცემს ვ. ბარდაველიძე, — ზეციური არსებები — ჯვარ-ხატები ასტრალურ ღვთაებებად გარდაიქმნენ (ვარსკვლავებს განასახიერებდნენ), გაუჩნდათ უზენაესი ტრიადა (მორივე ღმერთი, მზე ქალი, კვირია), რომლის მორჩილების ქვეშ აღმოჩნდნენ ისინი. ეს დამორჩილებული ასტრალურა ღვთაებები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ღვთისშვილებად მოიხსენიებიან“³⁴. თავის მხრივ, ღვთისშვილებს დაემორჩილნენ ის არქაული დროიდან მომდინარე რელიგიური პერსონაჟები, რომლებიც დროთა განმავლობაში მეტამორფოზას განიცდიდნენ და ცხოველის თუ ბუნების სხვა საგნის სახით ევლინებოდნენ ადამიანს. ბუნებრივია, ადამიანებმა ვერ სწიდადნენ რა ამ მოვლენებს, ეს უხილავი ქმნილებები ცაზე გადასახლეს, ზეციურ არსებებად აქციეს, ხოლო დედამიწაზე კი მათ ამქვეყნიური დროებითი საბრძანისი მიუჩენს. თუმცა ფშავ-ხევსურეთისათვის ზეციურ არსებებათა ამ საბრძანისს ჯვარს ან ხატს უწოდებენ.

მაგრამ იმისათვის, რომ ჯვარ-ხატთა და ანგელოზთა ურთულეს იერარქიაში სწორად გავერკვეთ და ამ საბრძანისების ტრადიციულად ჩამოყალიბებული მრავალსაფეხურიანი სამსახური, რომელიც შესანიშნავადაა „კავკაზში“ ასახული, ვეროვნად შევაფასოთ, ისევ ივ. ჯავახიშვილს დაეუბრუნდეთ, რომელმაც ვაჟაზე დაყრდნობით, სრულიად მარტივად ახსნა ეს ფენომენი, რომელიც ასე აბნევდა მოგზაურ-მეცნიერთ და ამასთან, რაც მთავარია, მაოგან განსხვავებით, ეროვნულ ნიადაგზე დაასახლა ისინი. არსი კი ამ ჯვარ-ხატის მრავალსახოვნებისა ასეთია, „რომ როგორც ეხლაც, „თვითთულს თემს ჰყავს საკუთარი ხატი, გარდა საზოგადო ხატისა... რომლის სამსახურიც ყველა ფშაველს ადევს კისრად“, ისე უძველესს დროსაც, უექველია, უნდა ყოფილიყვნენ ყველა ტომთათვის საზოგადო ღვთაებანი და ამასთანავე თითოეულ ტომს თავისი საკუთარი ღვთაებანიც ეყოლებოდა; თანდათან დროთა განმავლობაში გაერთიანების, ან ერთ-ერთი ტომის გაძლიერების და დანარჩენებზე გაბატონების დროს, ზოგიერთი საკუთარი ღვთაებანი საზოგადოდა ზღებოდნენ და ამის გა-

31 ვ ა ე ფ შ ა ვ ე ლ ა, „ფშაველები“, „ივერია“, 1886, № 34.

32 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

33 რ. ერისთავი, დასახ. წერილი, „კავკაზი“, 1854, № 45.

34 ვ. ბარდაველიძე — აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. 1, ფშავი, 1974, გვ. 11.

მო ზოგჯერ ერთისა და იმავე ღვთაებისათვის რამდენიმე სახელი არის ზოლმე შემონახული; ზოგიერთ მათგანს სხვადასხვა ტომის კერძო ღვთაებათა სახელები შერჩენია, ზოგი კი მეზობელთაგან არის შეთვისებული³⁵.

თუ ზემოთქმულ დებულებას საქართველოში მძლავრად განვითარებული ტოტემური კულტის არსებობასაც დავუმატებთ, რომლის არა ერთი ნიმუში უნახავთ მოგზაურ-მკვლევართ³⁶ სვანეთსა და თუშ-ფშავ-ხევსურეთში ცხოველთა, ფრინველთა და სხვ. გამოსახულებით, რომელთა აზრი ის იყო, რომ „რაზან ტოტემი ითვლებოდა გვარის მფარველად, რაც შეიძლება ახლოს ჰყოლოდათ იგი, რის გამოც ზოგჯერ ცოცხალ ტოტემს მისი გამოსახულება სცვლიდა“³⁷ კერიასთან ხარის რქების სახით ან სულაც ტოტემური სიმბოლოები ეკერათ ტანსაცმელზე³⁷, ზოგი რამ ერთი შეხედვით გაურკვეველი, უფრო ნათელი გახდება.

ახლა კი, როცა ცნობილია ღვთისშვილთა წარმომავლობაც და მათი მრავალსახოვნების მიზეზებიც, შეიძლება მათს საბრძანისებზეც, — ჯვარ-ხატებზე ვისაუბროთ და მათს ფუნქცია-მოვალეობებშიც გავერკვეთ. ფშავში დაცულია წარმართული დროის ხატის „საბრძანისები“, სადაც ხალხი წინათ ლოცულობდა და ხატობა-დღესასწაულებსაც იხდიდა.

ფშაველების თქმით, მათი ხატები ღვთისშვილები არიან და მათ ღვთისაგან საყმო აქვთ ნაბოძები. ფშაველების ეს ხატები ოდესღაც „ხორციელნი“ ყოფილან და ფშავში უცხოვრიათ, შემდეგ ის მაღლიანი და უცოდველი ხორციელნი დახოცილან და ანგელოზებად ქცეულან. ზოგიერთი მათგანს, მაგალითად, კოპალას, იახსარს და პირქუშს ღვთისა და ადამიანის მტრები დევ-კერპები უზოციათ თურმე და ამისათვის „ისინი ღმერთს დაუჯილდოებია და „სულიწმინდებად უქცევია და ყმად ფშავის ხევი უბოძებია“³⁸! ამიტომ ფშაველები თავიანთ თავს ამ სულიწმინდადქცეული ხატების ყმებად თვლიან.

ყველა ეს ხატი, გარდა ღმერთისა, ემორჩილება კვირიას და მისი თანაშემწენი არიან. ხატებს თავიანთი მსახურნი „მხავანნი“ ანუ დობილები ჰყავთ, რომლებსაც ხატი თავის ურჩ ყმებს დასასჯელად მიუსხევს, ამიტომ მხავანის მოსამადლიერებლად ფშაველი დედაკაციები „სადობილო“ ხშიადებსაც აცხოვენ³⁹.

იგივე მდგომარეობაა ს. მაკალათიას გადმოცემით ხევსურეთში. „ხევსურებს სწამთ მრავალი ხატ-ანგელოზები, რომელთა საყმოს მთელი ხევსურეთი წარმოადგენს, თავიანთ თავსაც ხევსურები ამ ხატების ყმებად თვლიან. მაგრამ ამ წარმართულ პანთეონში ღვთაებები დაჯგუფებულია იერარქიული კიბისა და მათი ფუნქციონალობის მიხედვით. თითოეულ ღვთაებას უფროს-უმცროსობის თანახმად მიჩენილი აქვს თავისი სამოღვაწეო ასპარეზი, რომელსაც მხოლოდ ის განაგებს“⁴⁰.

ხევსურის წარმოდგენით ღვთაებებში პირველია მ ო რ ი გ ე ღმერთი, მეორე ადგილი უჭირავს კვირიაეს ანუ კვირიას... ამით შემდეგ ძლიერ და მნიშვნე-

35 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, ტ. 1, გვ. 79.
36 Т. С. Уварова, „Кавказ“ (Путевые заметки), М., 1887, გვ. 96-97.
37 შ. ჩართოლანი, სვანთა უძველესი რელიგიური რწმენა-წარმოდგენები არქეოლოგიური მასალების შექმნე, სვანეთი, 1, 1977 გვ. 86.
38 ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985, გვ. 229.
39 იქვე.
40 ს. მაკალათია, „ხევსურეთი“, თბ., 1984, გვ. 229—230.

ნელოვან ხატად მთელს ხევსურეთში ითვლება „გუდანის-ჯვარი“, რომელსაც „სამღვთოდ“ იხსენიებენ და წმ. გიორგობას ლოცულობენ. იგი ლაშქრობის საქმეს განაგებს. თუ მას გაუჭირდებოდა — მორიგეს ბრძანებით მას შეეშველებოდნენ კოპალა კარატის წვერისა, პირქუში და სანება ცროლის წვერისა, რომლებსაც თავიანთი ცალკე სამოღვაწეო დარგიც ჰქონიათ მიჩენილი“⁴¹.

ანალოგიური მდგომარეობაა თუშეთშიც. აქ „თითოეულ სოფელს თავისი სამლოცველო ნიშანი აქვს, სადაც დაცულია ხატის დროშები და რიტუალური ჭურჭელი, აქ არის: ლაშარის ხატი (ჭილოში), მარიამწმინდა (ომალოში), კურხის ჯვარი და ნივრის ჯვარი (შენაქო), შაფურთის ხატი (ქუმელაურთა), ფარსმის წმინდა გიორგი (ფარსმა), მადოლის ნათლიმცემელი, თხურსიების ჯვარა და გორთიგო (ჭონთიო), მაღალოელი, მარიამწმინდა და იახსარი (დაბოლო), ბიჭეხგორის წმ. გიორგი (დიკლო), ხითანის წმ. გიორგი (ჯვარბოსელი), სამეზბის წმ. გიორგი (წოვათა) და სხვა... მთავარია ამათგან ლაშარი, ხითანა და სამეზბა, სადაც წინათ ხატობა იმართებოდა“⁴².

ამრიგად, ხატ-ჯვრები, რომელთა სიმრავლეს ხაზს უსვამენ მოგზაურ-მკვლევარნი და ზშირად გაუგებარი რჩებათ მათი თაყვანისცემის მოტივები. ერთმანეთისადმი იერარქიულად დამორჩილებულ და საკუთარი ფუნქციის მატარებელ ღვთაებათა მთელი სისტემა ყოფილა ჩასახული უძველეს დროს, ცივილიზაციის გარიყრაჟზე მნათობთა, კერძოთა თაყვანისცემის შედეგად და შემდგომ თანდათანობით სახეშეცვლილნი, რომელნიც თავისებურად გადმოგვცემენ სვანთა და თუშ-ფშავ-ხევსურთა რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს, მათ უაღრესად მდიდარ სულიერ სამყაროს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცოცხალი ადამიანის ზედის განმკვებელ ღვთაებათა და ღვთისშვილთა გარდა, როგორც სვანეთში, ისე თუშ-ფშავ-ხევსურეთში მრავლად არიან ის ღმერთებიც და ანგელოზებიც, რომლებიც მიცვალებულის სულზე ზრუნავენ. საერთოდ, უაღრესად განვითარებული წინაპართა კულტი, სამგლოვიარო წესების მტკიცედ დაცვა, საიქიოს თავისებური წარმოდგენა, მიცვალებულის სულის მსახურება ძალზე ნიშანდობლივია ქართველ მთიელთათვის. აქვე უნდა შევეხოთ იმ საკითხსაც, რომელიც „კაეკაზის“ ზოვიერთმა ავტორმა (ე. განმა) დააყენა ხეთა თაყვანისცემის გადმონაშთების შესახებ, რომლის ნიშნებსაც იგი საქართველოს მთიანეთში ხედავს; მართლაც, ივ. ჯავახიშვილმა ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალებზე დაყრდნობით ძველ საქართველოში ხეთა მსახურებისა და მცენარეულობის მკვლევარი კულტის არსებობაც გამოავლინა⁴³. მისი შეხედულებები კიდევ უფრო განამტკიცა ქართველ მთიელებში მოპოვებულმა ეთნოგრაფიულმა მასალამ. ვ. ბარდაველიძემ მთური მასალების საფუძველზე დაადგინა, რომ „თავდაპირველად ჩვენში ხის ესა თუ ის სახეობა ამა თუ იმ ტომის ტოტემური მცენარე უნდა ყოფილიყო, რომელიც შემდეგში, შედარებით გვიან, სათაყვანებელ არსებად იქნა მიჩნეული“⁴⁴. ამას გარდა, გარკვეულია ისიც, რომ ქართველ ხალხს შემუშავებული ჰქონდა წარმოდგენა ხეზე, როგორც ცოცხალ, ადამიანის მსგავს არსებაზე.

41 ს. მაკალათია, „ხევსურეთი“, თბ., 1984, გვ. 230.
42 ს. მაკალათია, „თუშეთი“, თბ., 1983, გვ. 202—203.
43 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. 1, თბ., 1928, გვ. 86.
44 ვ. ბარდაველიძე, სიცოცხლისა და სიუხვის ხე ქართველთა სარწმუნოებაში, მსოფ. XIV, № 1968, გვ. 44.

რომელსაც საკუთარი სული გააჩნდა⁴⁵. ამის შედეგი უნდა იყოს ის, რომ საქართველოში მთელი ტყეები, ჭალები, კორომები გააჩენილა, რომელთა ხელის ხლება არ შეიძლებოდა, ვინაიდან წმინდა ადგილებად იყო მიჩნეული. ასეთი ჭალები ე. ვეიდენბაუმის⁴⁶ გადმოცემით აღმოსავლეთ მთიანეთშიც უნახავს ბარტოლომეის, დუშეთისაგან ორნახევარი ვერსის დაშორებით. წმ. ჭალები შეხვედრია თუშ-ფშავ-ხევსურეთში მოგზაურობისას ნ. დინიკსაც: „იორის ხეობაში მოგზაურობის დროს, — წერს იგი, — მომიხდა გავლა რამდენიმე წმინდა ჭალისა და მდელისი. ზოგიერთ მათგანზე არის სამლოცველოები, სადაც ჩვეულებრივ ცხოვრობს ე. წ. ხევის ბერი, ანუ განდევილი, რომელმაც მიატოვა თავისი მშობლები, ნათესავები, შვილები, თუკი ჰყავდა, და ცხოვრებას ატარებს ადამიანურ ვნებათაგან შორს. ახლო მდებარე სოფლებიდან მისთვის მოაქვთ საჭმელი და ხშირად ტანსაცმელიც. ის კა ლოცულობს მათთვის... მინდვრები და მდელოები ხშირად შემოკავებულია ქვის ყურეებით, ზოგჯერ კი ნამდვილი კედლითაც. იორის ხეობაში ხილიან ახლოს მდებარეობს ფშავლებში განსაკუთრებით პატივისცემი წმინდა მსხლის ჭალა“⁴⁷.

„წმინდა ჭალა ცნობილია თავისუფალ სვანეთშიც... იგი წარმოგვიდგება ოაზისად უტყეო ადგილებს შორის და თავის არსებობას უნდა უმაღლოდეს რელიგიურ ცრურწმენას — წერს იგი. მაგრამ უღარესად საინტერესოა, ის, რასაც გვაუწყებს ამასთან დაკავშირებით ვეიდენბაუმი: ბართოლომეის სვანეთში ყოფნისას კალას საზოგადოებაში სვანები თურმე შესჩიოდნენ ხე-ტყე არა გვაქვსო. ბარტოლომეის მიუთითებია თურმე უღრანი საუქუნოებრივი ტყეებისკენ წმ. კვირიკეს მონასტერთან — აბა ეს რა არიო? მაგრამ სვანებს უარი უთქვამთ იქიდან ტყის მოჭრაზე: „აღმოჩნდა, — წერს იგი, — რომ ამ ტყიდან თურმე წნელის მოჭრაც არ შეიძლება, ვინაიდან საეკლესიო ყოფილა, და ტყის მოჭრა ღვთის წყრომას გამოიწვევს, რომლის ყველაზე უფრო საშინელი სასაჯელია, სვანების წარმოდგენით, უდიდესი და არნახული სიდიდის სეტყვის წარმოგზავნა“⁴⁸.

საერთოდ, წმ. კვირიკეს და ივლიტას მონასტერს დიდ პატივს სცემენ ადგილობრივი მკვიდრნი — „ტაძრის ხატს გამაჯანსაღებელი თვისებები მიეწერება, — წერს ბართოლომეი, — მის წინაშე დებენ ფიცს. მისი გატანა არ შეიძლება ეკლესიიდან, მაგრამ მის მავივრობას სწევს წყალი, რომლითაც ამ ხატის განბანვა ხდება. დღესასწაული 15 ივლისსაა, რომელზედაც თითქმის მთელი სვანეთიდან ჩამოდიან“⁴⁹.

ბართოლომეის ამ დაკვირვებას შემდგომი კვლევა-ძიებაც ადასტურებს. რაც მთავარია, ასეთი ტრადიცია თურმე დღემდეა შემორჩენილი ხალხში. „ტყე ხატსაც გააჩნდა და მას სოფელი ვერ შეუდიოდა, — გვაუწყებს გ. ჯალაბაძე, — მას მხოლოდ დასტურები იყენებდნენ ლუდის სადღუღად ან არყის გამოსახდე-

45 ვ. ლ. მ. ი. ა., ხის კულტისათვის საქართველოში, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, თბ., 1927. ტ. 3, გვ. 164 —

46 Священные роши и деревья у кавказских народов, I. Кавказские этюды, исследование и заметки Е. Г. Вейденбаума, Тфл., 1901, გვ. 76.

47 Дини Н. Я., „Путешествие по Пшавии и Тушетии“. Тфл., 1893, გვ. 145-146.

48 Бартоломей — „Поездка в Вольную Сванетию“, ЗКОИРГО, кн. III, Тфл., 1856, გვ. 101.

49 ბ ა რ თ ო ლ ო მ ე ი, დასახ. ნაშრომი, იქვე.

ლად. აღსანიშნავია, რომ ქართლის მთის რაიონებში დღემდეა შემორჩენილი სახატო ტყის კორომები, ასეთი ტყის კორომების გამოყენება, ხალხის რწმენით არ შეიძლებოდა. ტყიდან შეშის წამლებს რაიმე უბედურება დაატყდებოდა. მის მოპკრელს და სახლში წამლებს ღმერთი დასჯიდა“⁵⁰. — წერს მეცნიერი.

ამ საკითხზე შემთხვევით არ გავვიმახვილებია ყურადღება. ჩვენი ფიქრით, აქ იმალება ხალხის ღრმა სიბრძნე დამყარებული საუკუნოებრივ გამოცდილებაზე, რომელიც შემდგომ ქრისტიანულმა რელიგიამაც შეიძინა როგორც სასარგებლო ბუნებისთვისაც და, აქედან გამომდინარე, ადამიანისთვისაც. საუბარია მის მნიშვნელობაზე ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისა და და აგრეთვე, რაკი ეს მთას ეხება, ნიადაგის ლანდშაფტების დაცვის თვალსაზრისით, ვინაიდან, როგორც ბოლო დროის მოვლენებით დავრწმუნდით, მთებზე და ფერდობებზე ტყეების გაჩეხვის შედეგად უფრო ადვილად ხდება ნიადაგის ჩამოშვება და არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მეწყერიც, წყალდიდობებიც, თავსხმა წვიმებიც — სვანეთისა და აჭარის ტრაგედიები ამ წონასწორობის დარღვევისა, ბუნებაზე უხეში ძალმომრეობისა და ძველი ხალხური ტრადიციებისადმი დაუდევარი დამოკიდებულების შედეგია. „კავკაზის“ პუბლიკაციების ერთ-ერთი პრაქტიკული სასარგებლო შედეგი ესეც შეიძლება იყოს.

ხეივანიანი მასალებიდან გამომდინარე „კავკაზის“ მკითხველის წინაშე, ვფიქრობთ, სვანეთი და თუშ-ფშავ-ხევსურეთი იხატებოდა, როგორც დიდი სულიერი ტრადიციების მქონე ქვეყანა, სადაც საკმაოდ ღრმად ყოფილა გამჯდარი ეს ტრადიციები, რომელთაც თითქმის XX საუკუნემდე მტკიცედ იცავდნენ ხალხური, რელიგიური დღესასწაულებისა თუ სხვადასხვა წეს-ჩვეულების სახით.

ეს ტრადიციები, განსაკუთრებით, მსხვერპლთშეწირვასთან დაკავშირებული, ზოგიერთი ავტორის აზრით (ლობანოვ-როსტოვსკი, კ. განი, ა. აზისერმანი...) ქრისტიანობამდელია, მაგრამ სახეშეცვლილი და ქრისტიანობასთან მისადაგებული. თუ ფუნქციების მიხედვით დავაჯგუფებთ ამ წეს-ჩვეულებებსა და დღესასწაულებს, აღმოჩნდება, რომ ყველაზე მეტი დაკავშირებული ყოფილა მიცვალებულის კულტთან, აქ მათ მხედველობაში აქვთ არა მხოლოდ რელიგიური დღესასწაულები, როგორცაა — შობა, აღდგომა, ამაღლება, ან სხვადასხვა წმინდანებისადმი თავყანისცემა — მარიაობა, გიორგობა და ა. შ., არამედ მიცვალებულის სულის მოსახსენიებელი, რომელიც ადგილობრივია, ერთ შემთხვევაში — სვანურია, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი, მაგ. ლავგანი ანუ კონჩხარი, ბაცხი/ლიმფარი და სხვა. მეორე შემთხვევაში თუშ-ფშავ-ხევსურული სახეიშო — ლაშარის ჯვრობა, გუდანის ჯვრობა, თამარობა.

სახალხო დღესასწაულებს — ქორწინებას, ნიშნობა-ნაჭვლას და ა. შ. ამ ავტორთა აზრით, სვანეთში ნაკლები ადგილი ეთმობა, რასაც ვერ ვიტყვით თუშ-ფშავ-ხევსურთა შესახებ, სადაც ი. ცისკარიშვილის, რ. ერისთავის, ა. ზისერმანის წყალობით ეს მხარე მთის ცხოვრებისა ფართოდაა გაშუქებული; მაგრამ ყველა მათგანი — სალხინო თუ სამგლოვიარო დღესასწაული, მათი დაკვირვებით, ნადიმით მთავრდება, რაც, როგორც საუფლდაუფლოდ აქვთ ნაანგარიშები, ხალხმრავლობისა (ზოგჯერ მთელი სოფელი მონაწილეობს) და ხან-

⁵⁰ გ. ჯალაბაძე, „მიწათმოქმედება ფშავ-ხევსურეთში“, თბ., 1963, გვ. 49.



გრძლივობის გამო ოჯახის ეკონომიკას მიძიმე ტვირთად აწვება და, ამდენად, უარსაყოფია. ერთი მხრივ, ნათქვამი სიმაართლეს შეეფერება, ფაქტია და დასკვნაც ლოგიკურია. მეორე მხრივ, ალბათ, ამ ტრადიციებსაც თავისი გამართლება უნდა ჰქონოდა შორეულ წარსულში, როცა ადამიანს არსებობა, თავის გამოკვება უჭირდა. ღმერთებისადმი, კერპებისადმი თავყვანისცემა და მსხვერპლ-შეწირვა ადამიანმა ცოცხლად დარჩენილთათვის გამოიყენა. იგივე პრინციპებია გადმოტანილი მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად. მრავალრიცხოვან დღესასწაულებში, სულისა და ხორცის ინტერესების შერწყმა უაღრესად პრაქტიკულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს და ცხოვრების პირობებით უნდა იყოს ნაკარნახევი. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი საუკუნეებს ვერ გაუძლებდა და ტრადიციად ვერ იქცეოდა; გარდა ამისა, ამ რიტუალებსა და წეს-ჩვეულებებში ბევრი რამ არის ისეთი, რაც ხელს უწყობს თემის, სოფლის, საზოგადოების შეკავშირებას, ჰიროსა და ლხინში თანადგომას, ერთმანეთის გატანას, საბოლოოდ თავისებური — ერთ შემთხვევაში სვანური, მეორე შემთხვევაში — თუშური-ფშავური-ხევსურული ხასიათის, ფსიქიკის, რწმენის ჩამოყალიბებასა და მათი თავისთავადობის შენარჩუნებას.

შორეულ, მივიარდნილ მთებში მოხვედრილი ცივილიზებული მკვლევარი თუ მოგზაური აქ ეგზოტიკურ გარემოში ისეთ აბორიგენებთან ელოდნენ შეხვედრას, რომელნიც თითქოსდა დაუფიქრებლად კლავენ კაცს, თუნდაც იმიტომ, რომ სისხლის აღების ჩვეულება აქვთ. ამ წეს-ჩვეულების შესახებ ისინი ვანციფრებულნი, ზოგჯერ გადაჭარბებული შიშით წერენ. ამასთან „კავკაზის“ ავტორთა ინფორმაციის თანახმად, როგორც სვანთა, ისე თუშ-ფშავ-ხევსურთა წარმოდგენით, მკვლელი ჯოჯოხეთში ვარდება, სადაც მოკლულის აჩრდილი სულ თან დაჰყვება ღმუილით და მოსვენებას არ აძლევს.

როგორ შევათავსოთ ეს ორი რამ ერთმანეთთან, თუ არ ჩავთვლით, რომ სისხლის აღებას, აქ, ამ კონკრეტულ გეოგრაფიულ და სოციალურ გარემოში მხოლოდ შემაკავებელი ფაქტორის როლი ენიჭებოდა? უფრო მეტიც — ჯოჯოხეთში, პირდაპირ კუბრში ვარდება ის, ვინც ცხოველებს აწვალებს. ე. ი. კაცის ან ცხოველის მოკვლა კი არა, ცხოველის წვალებისთვისაც ისევეა თურქე დამნაშავე — ასეთი ჰუმანური მორალური კანონი დღესაც არა აქვს მრავალ განვითარებულ სახელმწიფოს და რა კარგად ახასიათებს იგი მამაცი ხალხის ბუნებას, რომლებიც მხოლოდ მტრის წინააღმდეგ არიან მკაცრი, მხოლოდ თავისი ქვეყნის და ღირსების დაცვის დროს მიმართავენ იარაღს. როგორ ზნეობრივ სიმაღლეზე მიგვითითებს, მაგალითად, ა. ნიკიტინი, რომელიც სვანთა საიქიო ცხოვრებაზე მოგვითხრობს: „მომაკვდინებელ ცოდვად ითვლება, — წერს იგი, — სიმრუშე... დიდი ცოდვაა მკვლელობა და მეზობლის მიწის მიტაცება... ცოდვად ითვლება ქურდობა, ცილისწამება, ცხოველთა წვალება, დღესასწაულების უგულვებელყოფა“⁵¹.

ძნელი არ არის იმის დადგენა, რომ აქ ქრისტიანობის მორალურ კოდექსთან გვაქვს საქმე, რომელიც, ამავე დროს, გამდიდრებულია ადგილობრივი ზნე-ჩვეულებების შესაბამისი კანონებით.

ახლა, როდესაც ველზე მოპოვებული მასალებისა და სხვა წერილობითი ძეგლების შესწავლის შედეგად მეცნიერულად დადგენილია, რომ „ქართველი ხალხის სარწმუნოებაში ჯერ კიდევ შემონახული ყოფილა მაგიის, ტოტემიზმის,

51 ა. ნიკიტინი, ქორწინება ხევსურეთში, „კავკაზი“, 1894, № 311.

ანიმისტური მსოფლმხედველობისა და კულტის უზვი გადმონაშთები⁵², გარკვეულია აგრეთვე „საქართველოს მთიელების სარწმუნოებაში ასტრალური პანთეონის ორი საფეხურის არსებობა: ერთი პირველყოფილთმური წყობილების რღვევის ხანისა... მეორე წარმოდგენილი ღვთაებათა უზენაესი ტრიადისა (მორიგე ღმერთი, მზე ქალი, კვირია) და ე. წ. ღვთისშვილებისაგან⁵³, სრულიად ნათელია, რომ „ამგვარი პანთეონი წარმოადგენდა... საქართველოს მთიელების სარწმუნოებრივ ზედნაშენს მათი საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარების ადრეკლასობრივ საფეხურზე. ეს მონაპოვარი ახლებურად აშუქებს არა მარტო ქართველი ხალხის ისტორიულ განვითარებას, არამედ უნდა ვიფიქროთ, სხვა კავკასიელ მთიელთა ისტორიულ წარსულსაც⁵⁴.

მაგრამ მაშინ, XIX საუკუნის შუახანებისათვის, როდესაც ეს წერილები იწერებოდა და არ ჩანდა მთის რელიგიის ინსტიტუტი, გასაკვირად არ უნდა მივიჩნიოთ ერთგვარი ქაოტური, აღრეული შთაბეჭდილება, რასაც მთიელთა რწმენა-წარმოდგენები არასპეციალისტ მოგზაურებში იწვევდა.

„კავკასის“ უდავო დამსახურება ისაა, რომ უმდიდრესი მასალა გამოამხურა თავის ფურცლებზე მთიელთა სარწმუნოების, რწმენა წარმოდგენების და მათი მომსახურების წესისა და რიგის საჩვენებლად და ამავე დროს სცადა, თავისი დროის შესაფერისად, ამ ურთულეს ფენომენში გარკვევა: იქნებ მან ბოლომდე ვერც შეძლო ამის დაძლევა, მაგრამ უზვი მასალის კონსტანტაციამ, მკითხველისათვის ამ მასალის გაცნობამ, მძლავრი ბიძგი მისცა ამ ურთულესი საკითხის შემდგომ კვლევას.

П. И. КИПИАНИ

«ГАЗЕТА «КАВКАЗ» И НАУЧНО-ИНФОРМАЦИОННАЯ ЦЕННОСТЬ ЕЕ ЭТНОГРАФИЧЕСКИХ ПУБЛИКАЦИЙ»

(Сванети и Туш-Пшав-Хевсурети. Духовная культура)

Резюме

В работе на основе этнографических публикаций газеты «Кавказ» изучена духовная культура сванов и жителей Туш-Пшав-Хевсурети, их религиозные верования.

В частности, из этих публикаций явствует, что вместе с Иисусом Христом, здесь поклоняются своим богам (гмертеби) и их сыновьям (гвтисшвилеби), в культовом служении которых замечаются пережитки языческого периода (жертвоприношение). Примечательно и то, что в этих многочисленных праздниках есть много такого, что способствует сплочению общин, формированию своеобразного характера, психики, веры горцев, что имеет большое значение для сохранения их самобытности.

52 ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრომი, ტ. 1, გვ. 4.

53 იქვე.

54 იქვე.

P. KIPIANI

„THE NEWSPAPER „KAVKAZ“ AND THE SCIENTIFIC AND
INFORMATIVE VALUE OF IT'S ETHNOGRAPHIC PUBLICATIONS“

(Svaneti and Tush-Pshav-Khevsureti, Spiritual culture)

S u m m a r y

This work presents a study of the ethnographic materials that appeared in the newspaper „Kavkaz“ and dealt with the spiritual culture of Svaneti and Tush-Pshav-Khevsureti, particularly with their religious dogmas and creeds. These materials prompt the researchers to conclude that along with Jesus Christ, the local population worships gods of their own together with „god's children“. In the divine service conducted here survivals of pagan rituals (sacrifice) are discernible. Besides, the various religious festivals celebrated in these areas reveal a number of features which contribute to unification of local communities, formation of their original character, psychological pattern and faith, which is extremely important for the preservation of their original entity.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-
კორესპონდენტმა ე. შამილაძემ

ზოგადი განჯალია

ბოდბის ტაძრის ეგვიპტის მოხატულობა
და მისი ლიტერატურული წყაროები

შუა საუკუნეების მიწურულს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ქართული კულტურის ყველა დარგში თავი იჩინა ეროვნული სახელმწიფოსა და სარწმუნოების, განათლებისა და მწიგნობრობის განახლება-აღორძინებისაკენ მისწრაფებამ. ამას თან სდევდა რუსეთისა თუ ევროპისაკენ მიბრუნება, დასავლეთიდან შემოსულ სიახლეთა დაუფლების, გათავისების მცდელობა.

სახვით ხელოვნებაში XVII ს-ის მეორე ნახევარში ჩასახული ეს პროცესა XVIII ს-ში გამოიკვეთა, ჩამოყალიბებული სახე კი, როგორც ჩანს, XVIII ს-ის დასასრულსა და XIX ს-ის დასაწყისში მიიღო. სწორედ ამ პერიოდის მნიშვნელოვანი ძეგლია ქართველთ განმანათლებლის, წმ. ნინოს განსასვენებლად ცნობილი ბოდბის წმ. გიორგის ტაძრის მხატვრობა. ტაძარი 1823 წელს მოუხატავთ — ყოველთაგან დიდად პატივცემული მოღვაწის, მწიგნობრის, სიღნაღისა და ქიზიჯის მიტროპოლიტის იოანე ბოდბელ-მაყაშვილის ნებათ.

ბოდბეში, ძეგლი და ახალი აღთქმის სიუჟეტებთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა წმ. ნინოს ღვაწლის ამსახველ სცენებსაც. ტაძრის ძირითად სივრცეში, ჩრდილო ბურჯის დასავლეთის მხარეს — ტაძარში დასავლეთიდან შესულს პირისპირ — სვეტის ამალგების სიმბოლური გამოსახულებაა; წმიდა დედის სამარხ სამხრეთის ეგვიპტურში² კი მისი ცხოვრების ეპიზოდებია წარმოდგენილი. ვრცელი ციკლი ახლა ნაკლულია: ფერწერა ჩრდილოეთისა და ნაწი-

¹ დასავლეთის კარიბჭიდან ტაძარში შესასვლელის თავზე მოთავსებულია მხედრული წარწერა: „ხატო და ბრწყინვალეობაო ღთისა მამისაო შეწვევითა შენ... და წყალობითა, ვიწყე ეკლესიისა ამის განახლებად და ორთა კარისბქეთა და ეკლესიისა ამის გუმბათისა ახლად აღშენებად, და სდ ეკლესიისა ამის დახატვად კარისბქებითურთ, და კანკლისაცა ახლად გაკეთებად, და ყოვლითავე ეკლესიისა სამკაულითა შემკობად, ჩვენ ყდ უსამღვდელოესმა სიღნაღის და ქისიყის მიტროპოლიტ და კაეაღერმა, მაყაშვილმა ბოდბელმა იოანემ. ვითხოუ აღმკითხველთაგან, რათა ჰყოფდეთ ხსენებასა ჩემსა... წელსა ჩყკგ“ (1823). — წარწერა გამოქვეყნებულია: **Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тб., 1959, გვ. 85; ი. ლოლაშვილი, არსენ იყალიბოელი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 1978, გვ. 21.**

ბოდბის მხატვრობა საგანგებო მეცნიერული კვლევის საგანი არ ყოფილა. მის თაობაზე სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში მხოლოდ გარკვეული ვარაუდებია გამოთქმული **გ. ჩუბინაშვილისა (Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 85)** და **შ. ამირანაშვილის (Ш. Амиранашвили, История грузинского искусства, М., 1978, გვ. 349—354; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1975, გვ. 428—433)** მიერ.

² 1920 წელს **გ. ჩუბინაშვილის**ათვის მონასტრის ილუმინანს უთქვამს მოზუიკი მღვდლისაგან გაგონილი, რომ XIX ს-ის 40-იან წლებში წმ. ნინოს ნეშტი ლეკების შიშით ეგვიპტის ქვეშ მდებარე სამარხიდან საკურთხეველის ქვეშ გადაუსვენებიათ.

ლობრივ დასავლეთის კედლებს შერჩა ისე, რომ ჯეროვნად მხატვრობის მხოლოდ ქვედა ორი რიგი გაირჩევა. ზედა გამოსახულებების კონტურები ძლიერი ხელოვნური განათებისას თუ იკითხება და მაშინაც ზოგი რამ სათუო რჩება. თითქმის წარბოცილია თანდართული ასომთავრული წარწერები, ჩრდილო კედლის ქვედა ორ რიგს ლამის ფარავს მ. საბინის მიერ შეწირული საფლავის ძეგლი. ამდენად, გამოსახულებათა განსაზღვრა მეტწილად ლიტერატურულ პირველწყაროსთან მათი შეკერების გზით არის შესაძლებელი.

ჩვენში ქართველთა განმანათლებლის „ცხოვრების“ რამდენიმე ძირითადი ვერსიია მოღწეულია: ა. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ნაწილი (ე. წ. „მოქცევისეული“) — თხზულება XIX ს-ის დასასრულს გახდა საყოველთაოდ ცნობილი და ძნელი სავარაუდოა, იგი ტაძრის მომხატველთა სცოდნოდან³. ბ. „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი ლეონტი მროველისეული ტექსტი (XI ს-ის II ნახ., ე. წ. „მატიანისეული“ ან „მროველისეული“) — „მოქცევისეული“ „ცხოვრების“ გადამუშავების შედეგად შექმნილ ამ რედაქციაში მასალა დალაგებულია უფრო მწყობრად⁴; გ. „ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ და ლუაწლი წმიდისა და ღირსისა დედისა ჩუენისა ნინოჲსი, რომელმან ქადაგა ქრისტე, ღმერთი ჩუენი, ქუეყანასა ჩრდილოჲსასა და განანათლა ნათესავი ქართველთაჲ“ (XII ს., ე. წ. მეტაფრასი) — წმინდანის ცხოვრებას გაბმულ ამბად ეს ერთი მოკვითხრობს, მასში შეტანილია რიგი ახალი ეპიზოდები⁵; დ. „მატიანისეულ“ ტექსტს დაუფძნებელი, ნიკოლოზ გულაბერიძის „საკითხავი სუტისა ცხოველისაჲ, კუართისა საუფლისაჲ და კათოლიკე ეკლესიისა“ (XII ს. II ნახ.) — აქ სვეტთან დაკავშირებული ამბებია გავრცობილი⁶; ე. ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნინოჲსი“ (XIII ს.) — უცნობი ავტორის მიერ

³ წმ. ნინოს „ცხოვრების“ ვერსიათა შესწავლის საკითხისათვის იხ. მ. ჩხარტიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს ქრისტიანიზაციის წყაროთმცოდნეობითი პრობლემები, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1982, გვ. 4—17.

⁴ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილია აბულაძის რედაქციით, წ. I, თბ., 1964, გვ. 81—163.

⁵ თავად „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ორი, მცირე და ვრცელი, რედაქცია გამოიყოფა (მ. ჩხარტიშვილი, ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები, „ცხოვრებაჲ წმიდისა ნინოჲსი“, თბ., 1987, გვ. 12—23). მაგრამ ამ რედაქციებს შორის სხვაობა ჩვენთვის საინტერესო სცენებთან მიმართებაში არ ვლენდება და ამდენად, წყაროს ზოგადი მითითებით შემოვიღარგლებით. აღსანიშნავია, რომ მ. ჩხარტიშვილის ნაშრომში აღებულია დათარიღებული „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ — V ს-ის II ნახევრით, ნაცვლად ტრადიციული IX—X სს-სა (გვ. 63—90).

⁶ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 128.

„მროველისეული“ რედაქციის შესახებ იხ. მ. ჩხარტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 69—100.

⁷ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილია აბულაძის რედაქციით, წ. III, თბ., 1971, გვ. 7—51.

მეტაფრასული „ცხოვრების“ შესახებ არსებული მოსაზრებებისა და ლიტერატურისათვის იხ. მ. ჩხარტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 109—117; მისივე, ქართული ჰაგიოგრაფიის... გვ. 4: 93.

⁸ საქართველოს სამოთხე, სრული აღწერა ლუაწლთა და ვენებათა საქართველოს წმიდათა, შერეული ქრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურდის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივრიელის გობრონ (მიხაილ) პავლეს ძის საბინის მიერ, პეტერბურდი 1832, გვ. 79—118; იხ. მ. ჩხარტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 100—105.

10. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1990, № 3

მეტაფრასულ ტექსტზე დაყრდნობითა და „მატიანისეული“ გამოყენებით შექმნილი დამოუკიდებელი სვინაქსარული რედაქციის მსგავსი მოკლე რედაქცია: საგულისხმოა, რომ ხსენებული ვერსია მეტად გავრცელებული ყოფილა XVII—XIX სს-ში⁹, თავად ბოლბეშიაც კი ინახებოდა მოკლე „ცხოვრების“ ხელნაწერი¹¹. მეტად გავრცელებული იყო „მატიანისეული“ ვერსიაც: XVII ს-ის გასულს ონოფრე მაჭუტაძისა, ხოლო XVIII ს-ში დომენტი კათალიკოსის მიერ შექმნილ ქართულ პაგიოგრაფიულ კრებულებში „ცხოვრების“ თავისებური რედაქცია შეიტანეს — იგი „მროველისეულ“ ტექსტს ეფუძნება, ბოლო თავში კი მოკლე „ცხოვრების“ რიგი ეპიზოდებია ჩართული¹².

ამდენად, ბოლბეში გამოსახულ წმ. ნინოს ცხოვრების სცენათა გაიგივება წყაროებთან მათი მიმართების გარკვევასაც გულისხმობს.

მომხატველი-ოსტატი თხრობას დასავლეთის კედლის ქვემო რევისტრიდან იწყებს. პირველ სცენად გამოსახულია წმ. ნინოს „მოციქულად“ წარგზავნა იმ ქვეყანას, „სადა-იგი არს კვართი უფლისა იესუსისა“. ხის ქვეშ ძილსმიცემულ წმინდანს ვაზის ჯვარს უწვდის გაცისკროვნებული დედა ღმრთისა: „უღ წაღნი მშობელი გამოეცხადა ძილსა შინა ნინას და ჯვარი მისცა მას“ (თანდართული წარწერა)¹³. წმ. ნინოს მიერ დედა ღმრთისა სიზმრად ხილვას მხოლოდ „ცხოვრების“ მოკლე რედაქცია აღწერს: „ღამესა მას გამოუჩნდა ღირსსა ნინოს ძილსა შინა წმინდა ღმრთისა-მშობელი... წმიდამან დედოფალმან ჯელი მიჰყო ზედა კერძო ცხედრისა მისისა მყოფსა მას რტოსა ვაზისა და მოჰკუთნა მისგან და შექმნა ჯუარი და მისცა კელთა ღირსსა ნინოს“¹⁴. — როგორც ვხედავთ, მომხატველი ზედმიწევნით არ მისდევს წყაროს, არ გამოსახავს „ზედა ცხედრისა“ მყოფსა ვაზს (მეტაფრასულ „ცხოვრებაში“ წმ. ნინოს ქადაგებად წარგზავნა ცხადში ხდება).

მომდევნო კომპოზიციაზე დართულ წარწერაში ნათქვამია: „ნინა მწყემსთაგან იუწყა მცხეთა და ანგელოსმან მისცა წერილი“. მძინარე წმ. ნინოს „ნათლისა კაცი“ წარმოუდგება მცხეთას წასაღები წიგნით ხელში, უკან წმინდანისა და ორი მწყემსის მცირე ზომის ფიგურებია. აქ გამოსახული ამბები „ცხოვრების“ ყველა ვერსიაში იხსენიება, ოღონდ იმ სხვაობით, რომ ანგელოსის მიერ მოტანილი წიგნის შესახებ თხრობისას მეტაფრასულსა და მოკლე რედაქციაში „მატიანისეული“ რედაქციისაგან განსხვავებით არ არის მოტანილი იქ დაწე-

⁹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, გვ. 52—83. ამ რედაქციის შესახებ იხ. ქ. ცხადაძე, უცნობი ავტორის „ნინოს ცხოვრება“ — სალიბლოკო კრებული საქ. მეცნ. აკად. აკადემიკოსის მეცნ. დამს. მოღვაწის პროფ. კორნელი სამსონის ძე კეკელიძის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავად, თბ., 1959, გვ. 389—401.

¹⁰ ქ. ცხადაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 396—397.

¹¹ А. Натроев, Мухет и его собор Свѣти-Цховели (историко-археологическое описание), Тифлис, 1901, с. 94: «Рукопись свѣщ. П. Карбелова, составляющая, надо полагать, копию с варианта жития св. Нины Азнатского музея. Она списана для митр. Бодбели». ხსენებული სახელი მუზეუმის ხელნაწერი № 39 (გვ. 87) — ახლანდელი სსრკ მეცნ. აკად. ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის Н-22—წმ. ნინოს „ცხოვრების“ მოკლე რედაქციის ხელნაწერთაგან უძველესია (ქ. ცხადაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 396).

¹² ქ. ცხადაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 391.

¹³ კომპოზიციებს დართული ასომთავრული წარწერები აქაც და ქვემოთაც მხედრული დაწერილობითაა მოტანილი.

¹⁴ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, გვ. 55—56.

რილი „ათნი სიტყუანი“¹⁵. ბოდბის გამოსახულება კი სწორედ ამ უკანასკნელ ვერსიას მისდევს; „იხილეთ ბრწყინვალე კაცის“ მიერ მოტანილ წიგნზე გამო-სახულია ათი სიტყვის აღმნიშვნელი ათი ასო: 1—ს; 2—ც; 3—ქ; 4—ჩ; 5—ს; 6—ა; 7—ა; 8—ჩ; 9—ს; 10—ს. ამ ასონიშნებსა და ლიტერატურულ წყარო-თა გამოქვეყნებული ვარიანტების შესაბამის ასოთა შორის მცირეოდენი სხვა-ობა, ის, რომ „ათნი სიტყუანი“ ყველგან ერთნაირად არ არის ჩამოყალიბებუ-ლი, გასაკვირი როდია — მრავალჯერ გადანუსხულ ხელნაწერებში ტექსტი უდა-ვოდ განიციდდა ამგვარ უმნიშვნელო ცვლილებებს¹⁶.

ამ წყების შესამე კომპოზიციაში წმ. ნინო სარეცელზე განისვენებს. მარ-ცხნივ რიკულებიანი აივნის კართან მდგომი ანგელოზი ხელთ მიანიშნებს წმინ-დანს აივნის მიღმა გადაშლილ პეიზაჟს. ეს უეჭველად მეფის წალოკტის მცვე-ლის, უშველო ანასტოსის სახლს შეხიზნული წმ. ნინოსადმი სიზმრად „ნათლისა კაცის“ ჩვენება უნდა იყოს (ამბავი, რომელიც ყველა წყაროშია მოთხრობილი): „და ლამაჟა ერთსა იხილა ნეტარმან ნინო კაცი ბრწყინვალე, რომელმან ჰრქუა: შევედ სამოთხესა მავას ხესა ქუეშე ყუავილოვანსა და აღიღე მიერ მიწაჲ და აჰამე კაცსა მავას და იქმნეს შვილიერ“¹⁷. ოღონდ ესაა — მონეტულაში ლა-მის დიდებულ სასახლედ უცვლია ფერი ანასტოსის „მცირე“ სადგომს.

რიგის დამასრულებელი კომპოზიცია წმ. ნინოს ისევ სარეცელზე წარმო-გვიდგენს, მარჯვენა არე თაღდის ორ ღიობს უჭირავს. მათგან ერთში რამდენ-იმე ფიგურა დგას, მეორეში კი ფრინველთა გამოსახულებები გაირჩევა. მონეტულაზე ზუსტად მისდევს წმინდანის ცხოვრების წყაროთათვის საერთო ქარგას: ანასტოსის სახლში „კუალად იხილა ღირსმან მან ჩუენებით, რამეთუ მოვიდიან მფრინველნი და განიბანნიან წყალსა მას შინა მდინარესა მტკურისა-სა და მოვიდიან და ხესა მას ზედა შეკრბიან და ქუეშე მისსა ყუავილთა მოის-თულედიან. მაშინ მიუთხრა ჩუენება ესე შრომანას და ასულსა აბითარ მღღლისა“¹⁸. — რამდენადაც კომპოზიციის ნაშთით ჩანს, გამოსახული სცენა აერთიანებს „ცხოვრების“ ორ ეპიზოდს (სიზმრისეულ ხილვასთან ერთად ოთახ-ში შემსვლელთა ფიგურებიც არის წარმოდგენილი).

თხრობა, როგორც ჩანს, ჩრდილო კედლის ზედა რიგში დასავლეთის მხრი-დან გრძელდება წმ. ნინოს მიერ წარმართთა სასწაულებრივი განკურნების ეპი-ზოდთა წყებით. ამ სცენათაგან წარწერა, და ისიც საკმაოდ ფრამენტული, შუა კომპოზიციასა შერჩა: „წა ნინა . . . მეფის ძე შეპყრობილი მხურვალეითა... განიკურნა“. ასე რომ, აქ მეფისწულ რევის განკურნების ეპიზოდია ასა-ხული, რომელსაც მეტაფორასული და მოკლე ვერსიები მოგვითხრობს: „მცირე ძე მეფისა შეპყრობილი იქმნა ფიცხლად სენითა მჭურვალეობისაჲთა. უბრძანა დე-ლოფალმან, რაჲთა მიჰყუარონ ღირსსა ნინოს. და ევედრებოდა განკურნებად მისსა. ხოლო წმინდამან ჩუეულდისაებრნი ლოცვანი ზედა დაასხნა... და ყოვლი-თურთ განკურნებული მისცა დედასა თვისსა“¹⁹. წმ. ნინო აქ მარცხნივ, ჩარდა-

15 ქართლის ცხოვრება, გვ. 86—87.
16 ბოდბის 9—ს შეესაბამება „მროველისეული“ „ცხოვრების“ 9—ა (ქართლის ცხოვრება, გვ. 86—87); ბოდბის 5-ს — პავიოვრაფიულ კრებულთა „ცხოვრებას“ 5-დ (საქართველოს სამოთხე, გვ. 127).
17 მეფი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, გვ. 62.
18 იქვე, გვ. 62—63.
19 იქვე, გვ. 66.

ხისებრი ნაგებობის წინ დგას. სწორედ ამ ნაგებობაში არის აღმართული ცხოველი სვეტი მოხატულობის მომდევნო რეგისტრში. თუმცა კი, წყაროთა თანახმად, მეფემ სვეტს საბურველი გაცილებით გვიან, სასწაულთა მოხდენის შემდეგ აუბო, რამეთუ „შიში დეცა ყოველთა მათთჳს სასწაულთა რომელნი იქმნებოდეს სუეტისა მისგან ბრწყინვალისა“²⁰. მარჯვნივ მეფე და მასთან მდგომი ორიოდ ფიგურა იკითხება. შუაში კი რევი თაყვანს სცემს განკურნებულს. მოხატულობა არც ამ შემთხვევაში მისდევს ზუსტად პირველწყაროს: რევის მიერ წმ. ნინოს თაყვანისცემას არც ერთი ზემოხსენებული ვერსია არ შეიცავს და ორივეგან მხოლოდ დედოფალი იხსენიება.

რიგის პირველ კომპოზიციაში მარცხნივ კვლავ წმ. ნინო დგას, მარჯვნივ — მეფე-დედოფალი. მათ შორის კი მიწაზე განრთხმული მომცრო ფიგურა თაყვანსცემს მოციქულთა სწორს: მოქმედება დრაპირებითა და სვეტით შემკული ინტერიერის ფონზე მიმდინარეობს. გამოსახული სცენა შეიძლება რამდენიმე სიუჟეტს გაუფიგვროთ: წარჩინებული კაცის ძის, ვინმე დედაკაცის ვნებული ასულისა ან სპარსი მთავრის, დედოფლის დედის ძმის, ხუარას განკურნებას. პირველი ორი ამბავი ქრონოლოგიით უფრო შეფერება მოცემულ ადგილს (ხუარას განკურნება რევისას მოსდევს. აქ კი მიმდევრობა პირიქითაა), მაგრამ ეს განკურნებანი წყაროებში გაკვრითაა ნახსენები და ამდენად, ნაკლებსავარაუდოა მათ დამსწრედ მეფე-დედოფლის გამოსახვა. მიოიანიცა და ნანაც სწორედ ხუარას განკურნებას უკავშირდებიან: მთავრის ბოროტი სულისაგან განთავისუფლებას „ცხორების“ ყველა ვერსიაში წინ უძღვის მეფისა და წმ. ნინოს ვრცელი საუბარი, დედოფალი კი თან მიჰყვა მთავარს მოციქულთა სწორთან. მაგრამ მოვლენის ამგვარი სახეცვლა — თაყვანისცემა მეფე-დედოფლის თანდასწრებით, ისევე, როგორც ფონი — მდიდრული ინტერიერი წალკოტის ნაცვლად, მნიშვნელოვნად სცილდება წყაროებს.

ამ რიგის უკანასკნელი კომპოზიციის წაკითხვა სრულად არ ხერხდება. სცენა კი იმდენად უჩვეულოა, რომ დღესდღეობით ჰირს კიდევ მისი დაბეჭდვით სხელდება. გულხელდაკრეფილი შარავანდომოსილი ქალი მარჯვნივ, კედელთან დაშვებული დრაპირების ქვეშ სარეცელზე განისვენებს ისევე, როგორც — წმ. ნინო ხილვათა ზემოაღწერილ სცენებში. მარცხნივ ნაწილობრივ ჩანს ჩარდახისებრი ნაგებობა, ხოლო მის შიგნით „ნათლისა კაცის“ ფიგურა უნდა იყოს გამოსახული (სამოსელი — კვართი და ზედ გადაცმული მოკლე ქანდა, თავდაუბურავი), რომელიც ორსავ ხელით ეხება რაღაც ვერტიკალურ საგანს, საფიქრებელია — სვეტს. აქ უეჭველად გამოირიცხულია ზემოაღწერილ გამოსახულებათა გვერდით მოსალოდნელი დედოფალ ნანას განკურნება (წყაროთა მიხედვით განკურნებათაგან უმნიშვნელოვანესი და უპირველესი, რომლის არსებობის შემთხვევაში რეგისტრში თხრობა მწყობრად განვითარდებოდა, ოღონდ პირიქით — აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ). წარმოდგენილი კომპოზიცია სვეტთან უნდა იყოს დაკავშირებული, ასეთ შემთხვევაში წმ. დედაც წმ. ნინოდ შეიძლება მივიჩნიოთ. თავისთავად ამგვარი სცენის არსებობა დასაშვებია განკურნების ეპიზოდთა რიგში, ამ უკანასკნელისა და ქვედა რეგისტრში გამოსახული სვეტის სასწაულების დასაკავშირებლად. მდგომარეობას ის ართულებს, რომ ზუსტად ასეთ ეპიზოდს „ცხორების“ არც ერთი ზემოხსენებული ვერსია არ იცნობს. ყველაზე უფრო სავარაუდოდ სვეტის ამოღება გვესახება. მაგრამ

²⁰ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, გვ. 72.

ცხოველყოფელი სვეტის აღმართვა ცხადში ხდება (ამ მოვლენის აღწერისას წყაროები თანხვედნილია): „ხოლო ნეტარი ნინო დგა მას დამესა მახლობელად სუეტისა მის და ილოცვიდა, და იხილა ჭაბუკი ერთი ნათლითა შემოსილი. და ნინო/ა/სვე გვერდით დგეს შროშანა და სიდონია, და იხილეს მათცა... და კაც-მან მან ნათლითა შემოსილმან აღჰმართა ძელი იგი აღმართებითა ადგილსა მას, სადა-იგი პირველ მდგომარე იყო და ორ კაც ოდენს სიმალღესა დადგა იგი“²¹. ეჭვი არ არის, სვეტის ამალღების ჩვენებად გარდასახვის საფუძველს წმ. ნინოს „ცხოვრებანი“ არ იძლევა, მაგრამ ზემოხსენებულ კომპოზიციებშიც გამოვლენილი, წყაროებისადმი თავისუფალი დამოკიდებულება ამგვარ ვარაუდს მაინც დასაშვებად ხდის.

შემდეგი რეგისტრი მთლიანად სვეტს უკავშირდება. დასავლეთიდან პირველი სცენის წარწერა გვაუწყებს: „ურია ვინმე შობითგან ბრმა შეეხო სვეტსა და განკურნა“. სწორედ ამ ეპიზოდით იწყება სვეტის სასწაულები „ცხოვრების“ ყველა ვერსიაში: „მას ჟამსა იყო ვინმე ჰურია შობითგან ბრმა. მოვიდა და შეეხო სვეტსა მას და აღეხილნეს თუალნი მისნი“²². ჩარდახისებრ ნაგებობაში მდგარ ურიას ცალი ხელი შემოუჭდვია ზემალღებული ცხოველყოფელი სვეტისთვის, მარჯვნიდან კი მას კომპოზიციის კიდეში გამოსახული ორი მამაკაცი შეჰყურებს.

მომდევნო სცენაში ორ ქალს ყრმა მიჰყავს — წინა ფიგურა ენერგულად ეწევა ბავშვს სვეტისაკენ, ხელითაც მას მიანიშნებს, მეორე ქალი კი დახრილა და ორსვე ხელით თითქოსდა ეშველება, უკნიდან უბიძგებს ყრმას. ამ კომპოზიციის საგარაულო სიუჟეტსაც ყველა წყარო შეიცავს: „კულაღ მთავრისა ვისმე წარმართისა ძე მრავალ ჟამ მდებარე იყო ცხედარსა ზედა, რომლისა ასონი უძრავ ქმნილ იყვნენ და დაჰსნილ ეშმაკისაგან. ესე მოილო დედამან მისმან წინაშე სუეტისა მის და ევედრებოდა ნეტარსა ნინოს, რაათა ილოცოს ძესა მისსა ზედა და განკურნოს. ხოლო ღირსსა მას შეეწყალა დელაკაცი იგი და დას-და ჯელი სუეტისა მას, და მერმე შეახო ყრმასა მას“²³. ზუნდოვან ლაქებად დარჩენილ ფიგურათაგან არც ერთი არა ჰგავს წმ. ნინოს (არ ჩანს შარავანდი, განსხვავებულია სამოსი: ერთს გრძელ კაბაზე სარტყელი უკეთია, მეორის შესამოსელი კვართი და კაბაა. წმ. ნინოს კი ყველგან კაბა და მოსახამი მოსავს). ამდენად, აქაც „ცხოვრებაში“ მოთხრობილი ეპიზოდის თავისებური ვარიაცია უნდა იყოს წარმოდგენილი.

რიგს მცხეთას ჩასული კახეთის დედოფალ სუჯის მიერ სვეტის მოხილვის გამოსახულება ასრულებს. წარწერა მეტყველებს: „დედოფალმან წარიღო წიგნი ნინასი და მისცა მეფესა, შვიდა და თაყვანისცა სვეტა-ცხოველსა“. (სვეტი კვლავ მარცხნივ არის აღმართული, მარჯვნივ სცენაში მონაწილე პერსონაჟთა ჯგუფია). ამგვარად, მომხატველნი, რათა დაასრულონ სვეტთან დაკავშირებული ამბების წყება, მნიშვნელოვნად უსწრებენ წინ მოვლენებს. მომდევნო რეგისტრში კი მირიან მეფის ნათლისღებისა და სუჯისათვის მცხეთას წასაღები წიგნის გადაცემის გამოსახულებებით ისევ თანმიმდევრული თხრობა გრძელდება.

მირიან მეფე მღვდელთმთავრის წინაშე იყრის მუხლს. მარცხნივ, მეფის უკან, წმ. ნინო დვას ლოცვად მიმართული, მღვდელთმთავრის უკან — დიაკვანი.

21 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, გვ. 71.

22 იქვე, გვ. 71.

23 იქვე, გვ. 72.

მეფის მონათვლა მცხეთას ჩამოსულ ევსტათი პატრიარქს „ცხოვრების“ მეტაფრა-სულსა და მოკლე რედაქციაში მიეწერება: „და ხვალისა დღე მოუწოდეს მე-ფემან და წმიდა ნინო პატრიარქსა და სამღვდლოთა და ნათელ-ილო მეფემან და დედოფალმან და ყოველთა მთავართა და ყოველმა ერმან და აყურთხნა ეკლესიანი და დაამყარა საკურთხეველნი და ყო სატფურებაჲ...“²⁴: „ქართლის ცხოვრებაში“ კი ნათქვამია: „მაშინ ნათელ ილო მეფემან გელსა ქვეშე წმიდისა ნინოსა“²⁵. („მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ზუსტად არ უთითებს მირიანის მონათვლელს). მოკლე და მეტაფრასული „ცხოვრება“ საესეებით იძლევა მეფის ნათლისღების ეპიზოდში წმ. ნინოს გამოსახვის საშუალებას და მომხატველებმა ეს გამოიყენეს კიდევ წარმართთა მოქცევაში წმინდანის ღვაწლის კიდევ ერთხელ ცხადილ საჩვენებლად. თუმც, არ არის გამორიცხული, ეს კომპოზიციის შემოსხენებული ორი ვერსიის ერთგვარი შერწყმის კვლასაც ატარებდეს, მით უფრო, რომ ამგვარი მაგალითი „ცხოვრების“ ერთ ვერსიაშიც იძებნება. ესაა: გარეჯის მრავალმთის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში არქიმანდრიტ სოფრო-ნიოს ერისთვისშვილის მიერ 1852 წელს გადაწერილი კრებულის „ცხოვრება“²⁶. რომელიც მეტაფრასულ და „მატიანისეულ“ რედაქციათა შეჯერებითაა შექმნილი. აქ ნათქვამია: „თუთ პატრიარქი ნათელს ცემდა მეფესა და დედოფალსა და სახლელთა მათთა და მთავართა გელსა ქუეშე ჩისა ნინასა“²⁷.

მომღვეწო სცენაში წმ. ნინო და სუჯი დედოფალი ორი თაღის ფონზე არიან წარმოდგენილი. წარწერა გვეუბნება: „წასა ნინას ეუწყა სულის მიერ წისა გწსლვა ხორცთაგან და წიგნი მისცა დედოფალსა, რათა მირიან მეფესა წარუგზავნოს“ (წარწერაში აქაც, ისევე როგორც სვეტის თაყვანისცემის სცენაში, ზოგადად დედოფალი იხსენიება და არა — სუჯი). კახეთის დედოფლის მიერ მეფისათვის წერილის გადაცემაც მეტაფრასულსა და მოკლე რედაქციაშია მოთხრობილი: „და ვითარცა სრულ-ყო ქადაგებაჲ მისი ნეტარმან ნინო და სრულ-ყო ღუაწლი თჳსი, ეუწყა სულისა მიერ წმიდისა განსლვაჲ მისი ჳორცთაგან და მიწერა წიგნი მეფისა და მისცა დედოფალსა კახეთისასა სუჯის... და მიილო რაჲ წიგნი იგი ნინოჲსი დედოფალმან სუჯი, სურვილითა აღბრული თაყუანის-ცემისათჳს სუეტისა ცხოველისა თუთ მოსწრაფედ წარემართა...“²⁸. „მატიანისეულ“ რედაქციაში („მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მსგავსად) წმ. ნინოს ამბავს რევი და მისი ცოლი სალომე ატყობინებენ მეფე-დედოფალს²⁹. ჰაგიოგრაფიულ კრებულთა „ცხოვრება“ ამ შემთხვევაში მოკლე რედაქციას მის-დედს³⁰.

წმ. ნინოს ცხოვრების თხრობა ჩრდილო კედლის ბოლო რეგისტრზე სრულდება. დასავლეთიდან პირველი კომპოზიციის წარწერაში ნათქვამია: „მეფემან და ეპისკოპოზმან თაყვანისცეს და აზიარეს წა ნინა“. მარცხნივ დახატულ წმინდანს ჭაღარა-წვეროსანი ეპისკოპოსი აზიარებს: „ხოლო წმიდა ნინო შეპყრობილ იყო სნეულებითა და უბრძანა იოვანეს წირვაჲ ჟამისაჲ. ხოლო მან შე-

24 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, გვ. 73.

25 ქართლის ცხოვრება, გვ. 116.

26 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H—215 (H—215-ის შესახებ იხ. ქ. ცხა-დაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 394).

27 H—215, გვ. 36.

28 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, გვ. 76—77.

29 ქართლის ცხოვრება, გვ. 126.

30 საქართველოს სამოთხე, გვ. 149.

წირა მსხუერპლი უფლისა და აზიარა ჯორცსა და სისხლსა ქრისტესსა, რომელი-
იგი წარიძღუნა მან საგზლად საუკუნოდ³¹. მარჯენივ, პერსონაჟთა ჯგუფში
მეფე-დედოფალიც ჩანს (სცენის მარჯენა ნაწილში, როგორც მთელ მომდევნო
კომპოზიციაში, კედელს მიდგმული საფლავის ძეგლის ზემოთ ფიგურათა მხო-
ლოდ თავები იკითხება).

მომდევნო სცენას წარწერა განმარტავს — „მიცვალება წმინდისა ნინასი“
საინტერესოა, რომ მარცხნივ ორი მღვდელთმთავრის ფიგურებს შორის (რო-
მელთაგან ერთი იოანეა) სამღვდელთმთავრო კვერთხი მოჩანს. რაც გვაფიქრე-
ბინებს, რომ აქ კვერთხის გადაცემა უნდა იყოს ასახული. ეს კი გარკვეულად
უახლოვდება „ქართლის ცხოვრებაში“ თქმულს: „შევედრა მეფესა იაკობ
მღვდელი რათა შემდგომად იოვანესსა იგი იყოს ეპისკოპოსი“³². სხვადასხვა-
დროინდელ ანბანთა შერთება კი, როგორც ზემოთ დავიხახეთ, უცხო არ არის
ბოდბის მოხატულობისათვის (ფრინველთა ხილვა ანასტოსის სახლში, ხუარას
განკურნება).

ჩრდილო კედლის ბოლო სცენა სავსებით დაფარულია საფლავის ძეგლით.
ერთი მხრივ, წარწერის ფრაგმენტი — „კახეთს წარვიდა წა ნინა და...“ — თით-
ქოს ბოლო ორ რიგში წარმოდგენილ სცენათა წინარე ეპიზოდს უნდა უთითებ-
დეს, მაგრამ ეს ნაკლებდასაშვებია, რადგან ბოდბის მოხატულობისათვის უჩვე-
ულოა მოვლენათა თანამიმდევრობის ამგვარი აღრევა. წმინდანის გარდაცვა-
ლების ამსახველი სცენის მომდევნოდ, წყაროთა მიხედვით, მისი ცხედრის სას-
წაულთა გამოსახულებაა სავარაუდო: „მაშინ მოვიდა მეფე და ყოველი ერის
სიმრავლე გუამისა მიმართ მისისა დავრდომითა და გოდებითა, შიშითა და
ძრწოლით შეუტრდებოდეს. და სიმრავლისაგან ერნი დასთრგუნვიდეს ფერჯითა
ურთიერთას და სნეულნი განიკურნებოდეს, რომელნი შეეხნენ ფესუსა საპოს-
ლისა მისისა. ხოლო მეფემან... განიზრახა, რამათა გუამი მინი აღიყვანოს და
დაჰკრძალოს მახლობელად სუეტისა ცხოველისა. და ვითარცა ჯელ-ყვიან აღე-
ბად გუამისა მის წმიდისა, კელნი მათნი უქმ იქმნიან და ყოვლიად ვერ უძლიან
შეძრვად. მაშინ გულისკმაყვეს და დაჰკრძალებს მასვე დამბასა შინა ზღედს“³³.

როგორც დავიხახეთ, ბოდბეში გამოსახული წმ. ნინოს ცხოვრების ერთი
ნაწილი — ჩვენებანი ანასტოსის სახლში, ხუარას განკურნება, სვეტის ამაღლება
თუ მისი სასწაულები, წმ. ნინოს ზიარება, გარდაცვალება და მისი ცხედრის
სასწაული — ყველა წყაროში თითქმის უკლებლივ ერთნაირადაა მოთხრობილი.
ამასთან, ფრაენის ტბის პირას წმინდანისათვის ანგელოზის მიერ ათ სიტყვად
დაწერილი წიგნის გადაცემისა და სამღვდელთმთავრო კვერთხის გადაბარების
გამოსახვა „მატიანისეული“ რედაქციის გამოყენებას მეტყველებს. მეფისწულ
რევის განკურნების, მღვდელთმთავრის მიერ მირიან მეფის მონათვლის, წმ.
ნინოსაგან მცხეთას წერილის დედოფალ სუჟის ხელით წარგზავნის სცენები
„ცხოვრების“ მეტაფრასულსა და მოკლე რედაქციებს უთითებს. ხოლო წმ. ნი-
ნოსადმი ღმრთისმშობლის გამოცხადების სიხმრად წარმოდგენა უკანაანკელ-
თაგან მეორეს — მოკლე რედაქციას ანიჭებს უპირატესობას.

მომხატველნი, როგორც ჩანს, არსებითად მოკლე რედაქციას ეფუძნებიან,
ამასთან, „მატიანისეული“ ეპიზოდებითაც ავსებენ მას, რათა უფრო დაწერი-
ლებით მოგვითხრონ ქართველთა განმანათლებლის ცხოვრება.

³¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, გვ. 78.

³² ქართლის ცხოვრება, გვ. 127.

³³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, გვ. 79.

სადღესოდ ქართულ ხელოვნებაში წმ. ნინოს ცხოვრების კიდევ ოთხი ციკლია ცნობილი: დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის საღიაკენეს (XIII ს.)³⁴, მცხეთის საკათედრო ტაძრის ცხოველი სვეტის (1678—1688 წწ.)³⁵ მოხატულობებში, წმ. ნინოს ჯვრის მოქედულობასა (1724 წლამდე)³⁶ და სამთავროს მცირე ეკლესიის მხატვრობაში (XIX ს.)³⁷. მათგან ცხოვრების“ განსხვავებულ ვერსიებთან მიმართების თვალსაზრისით პირველი ორის შესახებ ვერას ვიტყვით, ორივეგან ყველა ის კომპოზიცია, რომელთა გაიგივება დღეს შესაძლებელია, ქართლის მოქცევის ყველა წყაროსათვის საერთო ეპიზოდებს ასახავს.

უდაბნოში სვეტის ამალღება და ერთ-ერთი განკურნებაა წარმოდგენილი³⁸; ცხოველ სვეტზე — წმ. ნინოს ლოცვა არმაზის მთასთან, ხუარასა ანდა უფლისწულ რევის განკურნება³⁹; მირიან მეფე და კონსტანტინოპოლის სამღვდელთა, მირიან მეფე სვეტიცხოვლის ტაძრის წინაშე (აღმოსავლეთით), სვეტის ამალღება, „წმ. ნინოს ერთ-ერთი სასწაულთაგანი — ალბათ არმაზისავე მთას-

³⁴ უდაბნოს ტაძრის საღიაკენეს გამოსახულებანი სავანგებო კვლევის საგანი არ ყოფილა. მხატვრობა განიხილა შ. ამირანაშვილმა თავის ნაშრომში: *История грузинской монументальной живописи т. I, Тб., 1957, გვ. 52—53*; მასვე გაკვირთ იხსენიებს გ. აბრამიშვილი წიგნში: *დავით გარეჯის ციკლი ქართულ კედლის მხატვრობაში, თბ., 1972, გვ. 25—26*. მოხატულობის დათარიღებისა და სცენათა სახელდებისას იგი შ. ამირანაშვილის შემოსხენებულ ნაშრომს ეყრდნობა.

³⁵ ეს ძეგლი გამოკვლეულია ვ. ბერიძის მიერ: *მცხეთის კათედრალის „სვეტიცხოველი“ და ქართლის მოქცევის სიუჟეტები მის ფრესკებში, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე XV—B, თბ., 1978, გვ. 135—164*.

³⁶ წმ. ნინოს ჯვრის მოქედულობას უტრადღება დაუთმეს პლ. იოსელიანმა (*Пл. Иоселиани, Описание древностей города Тифлиса, Тифлис, 1866, გვ. 120-121*); მ. მ. ჯანაშვილმა (*მოსე ჯანაშვილი, ნინას ჯვარი, „მწვეთში“, 1884, № 7, გვ. 5—6*), ა. ნატროევმა (*А. Натроев, დასახ. ნაშრომი, გვ. 129—130*). ამ სიძველეთმცოდნეობით აღწუსს ჯვრის კუბოსა თუ მასზე დასვენებულ წმინდა ნინოს ხატის წარწერები. ა. ნატროევმა თავად ბუღეზე მოთავსებულ კომპოზიციათა სიუჟეტებიც მიუთითა, მაგრამ — არცთუ ზუსტად.

ჯვრის კუბოს უკანა მხარეს მოთავსებული წარწერის თანახმად მოქედულობა ეპიტანგ მეფის დაკვეთით შეუსრულებიათ. ცნობილია ისიც, რომ ჯვარი 1749 წელს მოსკოვს წაღვლია მიტროპოლიტ რომანოსს. საქართველოს იგი 1801 წელს დაუბრუნა ალექსანდრე I-მა (ყველა შემოსხენებული ავტორი; ასევე: *Б. С. Эсадзе, Летопись Грузии. Тифлис, 1913, გვ. 91*). ამდენად, ჯვრის მოქედვა სავარაუდოა XVIII საუკუნის დასაწყისში, არა უგვიანეს 1724 წლისა (როცა ეპიტანგ მეფე მოსკოვს გაემგზავრა).

³⁷ სამთავროს მცირე ეკლესიის მოხატულობა გამოუკვლეველია. მას მხოლოდ გაკვირთ იხსენიებს გ. აბრამიშვილი შემოსხენებულ ნაშრომში და ასევე გაკვირთ უთითებს მხატვრობის შესრულების თარიღს — XVIII საუკუნეს (გვ. 10). ამ პერიოდის მასალის გათვალისწინებით უფრო სავარაუდოდ XIX საუკუნე ჩანს.

³⁸ შ. ამირანაშვილი ამ სცენას რევის განკურნებად იხსენიებს (*Ш. Амيرانашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 53*) — დღეს რისამე დაბეჭდვით თქმა შეუძლებელია. იქვე მკვლევარია წმ. ნინოსადმი ღმრთისმშობლის გამოცხადებად განსაზღვრავს სვეტის ამალღების მომდევნო (აღმოსავლეთისაკენ) კომპოზიციას. შარავანდმოსილი წმ. დედის ანგელოზთაგან თაქვანისცემისა თუ ამალღების გამოსახულების შ. ამირანაშვილისეული ახსნა სათუო ჩანს, სათუოა მისი ქართლის მოქცევის სცენათადმი მიკუთვნებაც კი.

³⁹ ამ კომპოზიციისათვის შ. ამირანაშვილი უთითებს თავის ამოკითხულ წარწერას „რევ მართალი“, ვ. ბერიძე კი ხუარას განკურნებასაც დასაშვებად მიიჩნევს (*ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 156*).




თან დაკავშირებული“⁴⁰ (დასავლეთით), მეფის შესაგებებლად წასული დედოფალი ამალითურთ, მირიან მეფის ნადირობიდან დაბრუნება. მეფე-დედოფლის მიერ სვეტის თაყვანისცემა, სნეულის — სეფეწულისა თუ ნანა დედოფლის — განკურნება⁴¹ (სამხრეთით).

მათგან განსხვავებით, ორი დანარჩენი, ბოდბესთან დროით ახლომდგომი, ციკლი აგრეთვე სხვადასხვა წყაროთა შეჯერებას ცხადყოფს. თუმცა ისიცაა აღსანიშნავი, რომ სამთავროს მონატულობის დაზიანებისა (წმ. ნინოსადმი ღმრთისმშობლის გამოცხადების კომპოზიციაში თვით წმინდანის გამოსახულება არ არის მოღწეული) და მისი არცთუ მთლად გააზრებული აგების გამო დღეს შეუძლებელია თქმა, თუ რომელ რედაქციას (მეტაფრასულსა თუ მოკლეს) ენიჭება აქ უპირატესობა. ეპიზოდთა შერჩევაცა და თანმიმდევრობაც შემთხვევითის შთაბეჭდილებას ტოვებს. სვეტის ამბოღების სიმბოლური გამოსახულების გარშემო წარმოდგენილია: წმ. ნინოსადმი ღმრთისმშობლის გამოცხადება, წმ. ნინო და პატრიარქი, წმ. რიფსიმეს ხატის გამოსახვა. წმ. ნინო და დედოფალი „საწნახელსა შინა“, წმ. ნინოს სასწაულებრივი ხსნა რიფსიმეანთა წამების დროს, წმ. ნინოს ზიარება, წმ. ნინოს მიერ „ცეცხლისა ჯვრის“ ხილვა, წმ. ნინოს მიერ ჩვილის განკურნება. როგორც ვხედავთ, წვრილად არის მოყოლილი წმ. ნინოს ცხოვრების საწყისი, შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი ეპიზოდები, შემდეგ კი თხრობა წყვეტილი და გაუგებარი ხდება. რატომღაც შუაშია ჩართული წმ. ნინოს ზიარების გამოსახულება, წმინდანის მოცაქულებრივი ღვაწლი კი არსებითად ნაჩვენები არც არის; იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მომხატველს სცენები რომელიღაც ვრცელი ციკლიდან ამოეკრიფოს. ერთი წვრილმანი აქ თითქოს მეტაფრასულ ვერსიას ემხრობა: რიფსიმეანთა წამების სცენაში სწორედ იქ იხსენიება სულთა „ზეცად აღმაყვანებლად“ ანგელოზთა დასები. „მატიანისეულ“ რედაქციაში ანგელოზებთან ერთად დიაკვნიცაა ნახსენები, მოკლე „ცხოვრებაში“ კი ეს ეპიზოდი საერთოდ ამოღებულია. მაგრამ, ერთი მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ მეტაფრასულ ვერსიაში რიფსიმეანთა ისტორია ისე ვრცლად არაა მოთხრობილი, როგორც სამთავროს მონატულობაში, და მეორე — ამ მხატვრობისთვის არ არის დამახასიათებელი წარმოდგენილ ეპიზოდთა ამომწურავად ჩვენება (მაგ., ანგელოზის მიერ წმ. ნინოსათვის „წიგნი აღბეჭდილის“ გადაცემის სცენაში მომხატველთ არ მიუჩნევიათ საჭიროდ მოქმედების ადგილის დასაზუსტებლად მწყემსთა გამოსახვა).

რაც შეეხება ვაზის ჯვრის მოჭედილობას, აქ წმ. ნინოსადმი ღმრთისმშობლის სიზმრად ჩვენებისა და მეფისწულ რევის განკურნების ეპიზოდები მოკლე რედაქციას უკავშირდება; სომხეთში წმ. ნინოს სასწაულებრივი ხსნის გამოსახულება, მორწმუნეთა სულების ზეცად აღსაყვანად დიაკვნისა და ანგელოზთა მოვლინება კი — „მატიანისეულ“ ვერსიას (ამათ გარდა წარმოდგენილია: წმ. ნინოსათვის ფარავნის ტბის პირას „ნათლისა კაცის“ მიერ წიგნის გადაცემა, არმაზის კერბთა დამსხვრევა, დედოფალ ნანას განკურნება).

40 აქ მთის წინ რამდენიმე ნეოპრის ფიგურაც განიჩქევა. ამდენად, სავსებით დასაშვებია შ. ამირანაშვილის მიერ ამ კომპოზიციის განსაზღვრა, როგორც სპარსთა შემოსევისაგან მცხეთის ხსნისა (შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, გვ. 386).

41 ამ კომპოზიციას შ. ამირანაშვილი ნანა დედოფლის განკურნებად მიიჩნევს, ხოლო ვ. ბერიძე იმის გამო, რომ კომპოზიციაში წმ. ნინო არ არის გამოსახული, სვეტის მიერ სეფეწულის განკურნების სცენასაც დასაშვებად თვლის (ვ. ბერიძე, დასაბ. ნაშრომი, გვ. 159).



ასე რომ, წმ. ნინოს ცხოვრების წყაროთა შეჯერება ჰაგიოგრაფიაშიცა (მოკლე რედაქცია, ქართულ ჰაგიოგრაფიულ კრებულთა „ცხოვრება“, H—215) და სახვით ხელოვნებაშიც (ვაზის ჯვრის მოჭედილობა, ზოდბისა და სამთავროს მონასტულობები) დასტურდება. უნდა ითქვას ისიც, რომ ჰაგიოგრაფიულ კრებულთა „ცხოვრებაში“, როგორც მოკლე რედაქციაში, ფუძე ვერსიას სხვა ტექსტის მოზრდილი ეპიზოდები აქვს ჩართული (მაგ., კრებულთა „ცხოვრებაში“, რომელიც „მატიანისეულ“ ვერსიას მისდევს, მოკლე რედაქციიდან შეტანილია კახეთის დედოფალ სუჯის შესახებ თხრობა და მთელი დასასრული ნაწილი; ხოლო მოკლე „ცხოვრებაში“ „მატიანისეულიდან“ ჩართულია: რიფსიმეანთა ამბები, თხოთის მთაზე მზის დაბნელების წინ მირიანის განჯრახევა ქრისტიანებზე შურისძიებისა, უფლის სამსჭუალის ადგილსამყოფელის შესახებ თხრობა...)¹². ზოდბისა და ვაზის ჯვრის მოჭედილობის ციკლები და H215-ის „ცხოვრება“ კი წყაროთა უფრო გამოწვლილვით შეჯერებას ცხადყოფს (H—215-ში შეტანილია: წმ. ნინოსადმი დედა ღმრთისას ცხადში მოვლინებისა და მისთვის „ნათლისა კაცის“ მიერ ათი სიტყვით დაწერილი წიგნის გადაცემის, მირიან მეფისათვის წერილის დედოფალ სუჯის ხელით წარგზავნის ეპიზოდები, წმ. ნინოს თხოვნა იაკობ მღვდლის ეპისკოპოსად კურთხევის თაობაზე; წყაროთა შერწყმის კვალს ატარებს მეფის ნათლისღების ეპიზოდიც; ხსენებული ციკლები-საგან განსხვავებით, არ არის შეტანილი მეფისწულ რევის განკურნების ეპიზოდი).

ამგვარად, ქართველი განმანათლებლის ღვაწლის წარმოჩენა, მისი „ცხოვრების“ გასრულების მცდელობა ერთი მომგებელის, გადაწყვერისა თუ მომხატველის ნების გამოხატულება კი არა, საზოგადო მოვლენაა და არ არის შემთხვევითი, რომ იგი ასე ნიშნულია XVII ს-ის დამლევდიან მოყოლებული. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ სწორედ ამ დროს იქმნება წმ. ნინოს ცხოვრების ვრცელი ციკლები, უთუოდ ეროვნულობისა და სარწმუნოების დამამკვიდრებლად გააზრებული.

დასასრულ, ბოდბის მომხატველნი ქართველთა განმანათლებლის „ცხოვრების“ ვერსიათა შეჯერებასთან ერთად, თავად სცენათა გამოსახვისას საკმაოდ თავისუფლად ეყიდებიან პირველწყაროს. განსაკუთრებით საინტერესოდ მეფისწულ რევისა და ზუარას განკუთრებათა ეპიზოდების სახეცვლა ჩანს. წმ. ნინოს ცხოვრების ცნობილ გამოსახულებათაგან არც ერთი არ წარმოადგენს ამ რიგის სცენებს წყაროთაგან ესოდენ განსხვავებულად: ყველგან უშუალოდ განკუთრების მომენტია ასახული. ბოდბეში კი წმინდანის თაყვანისცემის ჩვენებით პირდაპირვე ენიშნება მხილველს გამოსახულის უჩვეულობა, წმ. ნინოს გამორჩეულობა. მოვლენათა ამგვარი გათვალსაზიარება საფუძველს უმტკიცებს ჩრდილო კედლის ზედა რიგის ბოლო სცენის თაობაზე გამოთქმულ ვარაუდს, სვეტის ამალღების ჩვენებად გარდასახვის შესახებ — წმ. ნინოსადმი ყველა სხვა გამოცხადება სიზმრისეული ხილვაა და სვეტის ამალღების სახეცვლა იმთავითვე მიახვედრებდა მორწმუნეს გამოსახულის ღვათებრაობას.

არსის თვალსაზიაროდ გადმოცემა, ყოველივეს მკაფიოდ წარმოდგენა (როცა საჭიროა, ქრონოლოგიის დარღვევითაც კი) ციკლის აგებაშიც აშკარაა. ასე მაგალითად, დასავლეთის კედლის სცენები წმ. ნინოს ღვათებრივი ძალმოსილების, მასზე უზუნაესის სასწაულებრივი უნარის გარდამოსვლის იდეის წარმოჩენაა, იმ იდეისა, რომელსაც თავად „ცხოვრების“ ერთი ვერსია ასე გამოთქვამს: „ეითარცა იტყუს წინასწარმეტყველისა მიერ „მოვჭვინო სულისაგან ჩემისა ყოველსა ზედა ჯორციელსა და მონათა და მკვეალთა ჩემთა ზედა და წინასწარმეტყულებდენ ძენი და ასულნი თქუენნი“⁴³. ამგვარადვე ერთი გარკვეული იდეა აერთიანებს ჩრდილო კედლის ზედა ორ რიგსაც, წმ. ნინოსა და სვეტის სასწაულთა გამოსახულებებით — ძალმოსილების ვაცხადება, გაზორცილება. მეფის ნათლისღება წმ. ნინოს მისიის ერთგვარ დავვირგვინებად, ქეშმარიტი სარწმუნოების გამარჯვების მათწყებლად გვევლინება, დედოფალ სუჯისათვის წერილის გადაცემა კი — ბოლო, წმინდანის გარდაცვალების სცენათა რიგის მაკავშირებლად. ამდენად, წმ. ნინოს ცხოვრების ციკლი ახლანდელი ნაკვლი სახითაც საკმაოდ სრული და გასაგებია. თანაც ყოველივე მოწოდებულია უაღრესად ნათლად, მკაფიოდ, განსხვავებით, თუნდაც ცხოველი სვეტის ასევე ვრცელი თხრობითი ციკლისგან, სადაც კომპოზიციითა გამაერთიანებელი რთული იდეური სვლები იმითაც არის დეტირთული, რომ ახალი აღთქმის სცენებსაა შეთანხმებული.

ბოდბის მოხატულობის ცალკეულ სცენათა თუ მთელი ციკლის გადაწყვეტა რომ შემთხვევითი არ არის და ახლებური აზროვნების ვაცხადებაა, ამას ტაძრის ძირითად სივრცეში დამოუკიდებელ აქცენტად წარმოდგენილი სვეტის ამალღების კომპოზიცია გვიდასტურებს: შუაში ანგელოზნი ზეიტაცე-

⁴² ქ. ცხადაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 391, 397.

⁴³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, გვ. 27.

ბენ ვარსკვლავებით შემოვლებული გვირგვინით განდიდებულ სვეტს. ცალ მხარეს წმ. ნინოა გამოსახული, მეორე მხარეს ანგელოზს ხელთ უფლის კვართი უპყრია, სვეტის გაყოლებაზე ზევით წმ. სამებაა, მის ქვევით კი საფლავია მინიშნებული, რომელშიც სიღონია განისვენებს უფლის კვართით. ეს სიმბოლოურ-განზოგადებული, ამასთან თხრობითი დეტალებით დატვირთული ზატი XVIII ს-დან მოყოლებული ქართული სახეითი ხელოვნების „გადახალისების“ ხანისათვის ნიშნულად სახავს ზემოხსენებულ კომპოზიციათათვის დამახასიათებელ, თუ შეიძლება ითქვას, „თხრობით“ განზოგადებას, „ხელშესახებობას“ (ეს სცენა თითქმის უცვლელი სახით გვხვდება საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე: სადღესასწაულო 1718 წლისა, მომგებელი დომენტი კათალიკოსი — აქ სვეტს თავად მაცხოვარი ამალეებს⁴⁴; სადღესასწაულო, 1742 წელს მოსკოვს გადაწერილი დემეტრე ებისტაშვილის მიერ⁴⁵; საკათალიკოსო საბეჭდაეები — დომენტი III-სა, ბესარიონ კათალიკოსისა, ანტონ კათალიკოსისა⁴⁶; ვახტანგ VI-ის დროშა — სვეტის აქეთ-იქით წმ. ნინო და მირიან მეფე არიან გამოსახულნი⁴⁷; დომენტი ტფილელ-ბოლნელი მიტროპოლიტის სტავროტეკა, 1727 წლისა⁴⁸; ცხოველი სვეტის 1784 წელს შესრულებული მოჭედლი კარი — აქაც წმ. ნინო და მირიან მეფე არიან გამოსახულნი⁴⁹; ბაგრატ ბატონიშვილის ნებით 1803 წელს მოსკოვის დახატული ზატი⁵⁰; ბოდბისა და სამთავროს მხატვრობა — ამ უკანასკნელთა კომპოზიციები ყველაზე მეტად თხრობითია, ყველაზე მეტად დატვირთული ფიგურებითა და საგნებით. გამოსახულება შუა საუკუნეთა ხელოვნებისებრ რთულ სიმბოლოებად აზროვნებას კი არ მოითხოვს მორწმუნისაგან, გარეჯის სვეტის ამალეების კომპოზიციის მსგავსი ლაკონური ნიშანი კი არ არის (მხოლოდ ანგელოზთა მიერ ზეატაცებული სვეტი), არამედ გულმოდგინე დათვალერებას საჭიროებს საიმისოდ, რათა მხილველმა რაც შეიძლება სრული ცოდნა მიიღოს ცხოველი სვეტის რაობისა თუ წმ. ნინოს მისიის შესახებ.

ამგვარი სიციხოვლე ეროვნული განცდისა — მისი მნიშვნელოვანების შეგრძნება, სრულყოფილად წარმოჩენის სურვილი, ამასთან, არა რისამე ბრმად გადმოღების, არამედ საკუთრად გადააზრება-გადამუშავების გზით — საეცნებით ლოგიკურია XIX ს-ის ძირეული პოლიტიკური ცვლილებების მერმინდელ ბოდბის მხატვრობაში. იგი იმ მიმართულების ორგანული განუყოფელი ნაწილია, რომელიც მკაფიოდ გამოიკვეთა XVII—XVIII საუკუნეთა ქართულ კულტურაში და რომლითაც განპირობებულია: ინტენსიური ისტორიოგრაფი-

44 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A—425.

45 ხელნაწ. ინსტ. A—152.

46 ს. ბარნაველი, საქართველოს საბეჭდაეები და სხვა გლობტიკური მასალები, თბ., 1965, გვ. 142—143, ტაბ. XXXV, XXXVIII.

47 ს. ბარნაველი, ქართული დროშები, თბ., 1953, გვ. 53—54, ტაბ. XVII.

48 ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საგანძურში, ტფ., 192.

ეს ძეგლი ჩვენთვის ცნობილი გახდა ქ. ჩოლოყაშვილის მოხსენებით: ერთი იკონოგრაფიული პროგრამის აღდგენის ცდა სვეტიცხოვლის აღმოსავლეთ ფასადზე, პროფესორ ლევან რჩულიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, თბ., 1988, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, გვ. 25.

49 ამ მოჭედლობას ერმაკოვის ფოტოთი ვიცნობთ.

50 ეს ზატი ჩვენთვის აგრეთვე ქ. ჩოლოყაშვილის მოხსენებით გახდა ცნობილი (იხ. შენ. 48). ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საგანძურში (ქ. 1081 ა).

ული მოდერნიზაცია⁵¹, ქართულ ჰაგიოგრაფიულ კრებულთა თუ ადრეულსაგან თავისი ეროვნულობით განსხვავებული ჰიმნოგრაფიის შექმნა, ეროვნული ტენდენციის გაძლიერება თვით რუსული ტიპიკონის რიგით გამართულ სადღესასწაულოებზეც კი⁵², XIX ს-ის რეალური პოლიტიკური ვითარებისა (სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და ეკლესიის თვითმწყობის დაკარგვა) და XVIII ს-ის დასასრულამდე მოტანილი ერთიანი სამეფოს შეგრძნების⁵³ შეჯახება კი არცთუ უმნიშვნელო პირობა იყო ეროვნული გრძნობის გამაფრებლისა და ხსენებული მიმართულების სიცოცხლისუნარიანობისათვის.

М. Б. ДЖАНДЖАЛИА

РОСПИСЬ ПРИДЕЛА ХРАМА В БОДБЕ
И ЕЕ ЛИТЕРАТУРНЫЕ ИСТОЧНИКИ

Резюме

В приделе Бодбийского храма, расписанного в 1823 году по велению митрополита Иоана Бодбели (Макашвили), изображен обширный цикл жития св. Нино. Сопоставление древнегрузинских агиографических и исторических памятников позволяет предположить, что создатель цикла опирался на данные краткой редакции жития Просветительницы Грузии, конца XIII века и редакции «Картлис Цховреба».

M. B. JANJALIA

MURALS IN THE ANNEX OF BODBÉ CHURCH AND
THEIR LITERARY SOURCES

Summary

The annex of Bodbé church, which was adorned with murals in 1823 by the commission of the metropolitan John of Bodbé (Makashvili) bears a vast life cycle of St. Nino. The comparison of old Georgian hagiographic and historical monuments enables us to propose, that the creator of the cycle based himself on the data of a late 13-th c. contracted version of the life of the Enlightener of Georgia and version of „Kartlis Tskhovreba“.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ბერიძემ

51 შ. ხანთაძე, ქართული ისტორიოგრაფია XVIII საუკუნეში, თბ., 1985.

52 მ. ქავეთარია, ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან, XVII—XVIII სს. თბ., 1977.

53 ვ. ხოშტარია, საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის იდეის ასახვა ქვეყნის დაშლილობის ხანის ქართულ დოკუმენტურ წყაროებში, მრავალთვი, VI, თბ., 1978, გვ. 190—203.

НОДАР ЛОМОУРИ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ РАННЕЙ ИСТОРИИ АБХАЗИИ

(Ответ проф. Ш.Д. Инал-ипа)

7 апреля 1989 г. в газете «Литერатурули Сакартвело» была опубликована моя статья «Как понимать этноним абхазы?» 16 сентября газета «Советская Абхазия» напечатала ответ на эту статью проф. Ш. Д. Инал-ипа с довольно высокопарным заглавием: «О моем народе, его истории и отечестве». Уже в заглавие вложен плохо скрытый пафос — кто-то в чем-то ущемляет народ и отечество Ш. Д. Инал-ипа и они (народ и отечество) нуждаются в защите. На этот раз этим «кем-то» оказался я и вот острое критики направлено против меня. По правде говоря, я был весьма удивлен, что абхазским коллегам не понравилась и моя концепция, хотя я искренне верил, что моя позиция создавала наиболее благоприятную почву для выработки единого мнения.

Пользуясь припиской редакции «Советской Абхазии», в которой она заверяет, что предоставит возможность высказать свою аргументированную точку зрения каждому специалисту, я направил в газету русский вариант своих разъяснений (грузинский вариант был опубликован в «Литературули Сакартвело» от 20.X. 1989 г.), поскольку считал (и считаю), что Ш. Д. Инал-ипа, хотя и объявляется той же редакционной припиской «известным специалистом в области абхазоведения», многое не понял в моей статье, кое-что неверно интерпретировал и тем самым дезориентировал читателя. К сожалению, редакция «Советской Абхазии» не сочла возможным опубликовать мой ответ. Как видно в Абхазии продолжают считать нежелательной объективную и правдивую информацию широких кругов населения относительно истории Абхазии.

В первую очередь мое недоумение вызвало то обстоятельство, что мою критику Ш. Д. Инал-ипа почему-то объединил с критикой статьи писателей М. Кахидзе, Р. Мишвеладзе, Т. Мебуришвили и Г. Джулухидзе, опубликованной в газете «Ахалгазда Комунисти» от 6 мая. Ведь между нашими взглядами на вопрос о времени поселения на территории современной Абхазии абхазских (апсуйских) племен нет точек соприкосновения. Очевидно Ш. Д. Инал-ипа просто не понял мою концепцию. Хочу воспользоваться случаем и еще раз заявить, что я как исследователь, в течении многих лет изучавший все виды источников по истории древней колхиды, Лазики, предантичной, античной и раннефеодальной Абхазии, полностью отмежевываюсь от точки зрения названных и примыкающих к ним авторов относительно переселения предков современных абхазов на территорию исторической Абхазии лишь в XVI—XVII веках. Я, подобно большинству компетентных специалистов, считаю, что из всех народов, населяющих территорию Грузии, лишь грузины и абхазы являются автохтонными, коренными жителями этой страны.



В моей статье я отмечал, «что долгое время исследовательская сфера истории Абхазии (в широком понимании) находилась под определенным, причем достаточно строгим запретом, была подчинена ложно понятым политическим целям и мало обращалось внимания на научное, объективное исследование и непредвзятую оценку. Все это принесло весьма отрицательные результаты как в научном, так и в политическом отношениях».

Проф. Ш. Д. Инал-ипа удивлен такой постановкой вопроса и требует факты, подтверждающие мое утверждение. Я не конкретизируя отметил общеизвестную истину, так как не хотел обострять вопрос и ставить абхазских коллег в неудобное положение, но раз Ш. Д. Инал-ипа требует факты, извольте — приведу таковые:

1. Должна была выйти VIII книга сборника трудов Н. А. Бердзенишвили: «Вопросы истории Грузии»; книга содержала концепцию видного ученого о происхождении абхазов — концепцию строго научную, аргументированную и верную. Абхазским историкам что-то не понравилось в этой концепции, они подняли бучу, задержали выход книги и добились изъятия той ее части, которая их не устраивала. Книга вышла искромсанная. Факт?

2. Публиковались труды исследователя П. И. Ингорквва; один из томов должен был включать исследование «Георгий Мерчугле», в котором содержится точка зрения ученого об абхазах. Я лично не разделяю эту точку зрения П. И. Ингорквва, но это научная гипотеза. Абхазским ученым с начала же не понравилась эта гипотеза и они добились прекращения издания всего многотомника. Возмутительный факт, но факт!

3. В 1968 г. выходила моя книга «История Эгрисского царства», в которой, между прочим, отмечалось, что апсиды в начале II в. проживали севернее р. Эрисцкали, а к началу III в. граница между ними и эграми прошла по р. Кодори. Абхазским коллегам об этом кто-то сообщил из издательства, они пожаловались в Главлит, книгу задержали, а у меня потребовали изъять это место. Должен сознаться в малодушии — для спасения книги я пошел на это, а когда вышла работа, обнаружил, что изменение было внесено и в карту, приложенную к книге. Факт? Да факт, а сегодня Ш. Д. Инал-ипа: использует эту измененную карту против меня.

4. В 1965 г. вышла книга проф. Ш. Д. Инал-ипа: «Абхазы (историко-этнографические очерки)», второе издание, а в 1976 г. — его же другая книга: «Вопросы этно-культурной истории абхазов». Обе книги, как и другие работы автора, содержат несметное количество не только спорных положений, но и явно ошибочных, зачастую просто курьезных выводов. Книжки вызвали возмущение историков, этнографов, антропологов, археологов, лингвистов. Перед руководством АН, перед ЦК партии республики неоднократно ставился вопрос о необходимости публичного разбора этих книг, о разрешении опубликования рецензий, но всякий раз ответ был отрицательный; республиканская пресса так же отказывалась публиковать рецензии. Единственное, что было достигнуто, это публикация в абхазской прессе редакционной статьи, составленной Г. А. Дзидзария и З. В. Анчабадзе; в статье была дана хоть и отрицательная, но весьма мягкая и обтекаемая оценка второй книги. Грузинским специалистам же строго на строго запретили касаться этих работ и единственным оправданием для вышестоящих органов было, что «абхазы могут обидеться!» Факт?!

5. Точно не помню, в 1962 или 1963 г. в Университете защищал диссертацию на соискание ученой степени кандидата искусствоведения А. Кацья. Диссертационный труд назывался: «Архитектурный памятник в Илори». Автор объявлял памятник древнегрузинского зодчества — храм в Илори — абхазским памятником. Я был одним из оппонентов и дал отрицательное заключение. Оставим вопрос, каким образом А. Кацья была присуждена искомая степень, но все попытки опубликовать мою рецензию, наткнувшись на запрет с тем же стереотипным ответом: «Абхазы могут обидеться!» Факт?!

6. Не раз пытались многие из нас опубликовать рецензии на полные ошибок и тенденциозные книги и проспекты В. П. Пачулия, но каждый раз нас ждал тот же ответ: «Не надо! Абхазы могут обидеться!»

7. В 1982 г. известный грузинский антрополог М. Г. Абдушелишвили в соавторстве с В. Ф. Ващаевой и И. П. Ладария подготовил книгу: «К антропологии народов Восточного Причерноморья». Книга была переслана на отзыв в Абхазский научно-исследовательский институт им. Дм. Гулия (это тоже был реверанс абхазам!). Абхазским товарищам и в этой книге что-то не понравилось и, на основании совершенно невалифицированной рецензии, при активном соучастии Ш. Д. Инал-ипа, книга была угроблена. Это еще один факт!

8. В Сухуми подвизается Ю. Н. Воронов, весьма продуктивный автор. В своих работах он сплошь и рядом искажает историческое прошлое как Абхазии, так и Грузии. В 1978 г. вышла в свет его книга: «В мире архитектурных памятников Абхазии» (Москва, на русск. яз.). Не говоря уже о тщетных попытках простых смертных подобных мне, опубликовать рецензию на эту книгу, та же участь постигла и отзыв академика В. В. Беридзе (см. газету «Заря Востока» от 7.IV. 1989 г.) Парадоксально, но причина была та же: «Абхазы обидятся!» Парадоксально потому что Ю. Н. Воронов конечно же не абхаз, а в его книге не было ничего проабхазского; напротив, и эта книга, и все другие работы Ю. Н. Воронова проникнуты в той же мере антиабхазской, как и антигрузинской тенденцией. Однако проникновение в абхазскую тематику без разрешения самих абхазов находилось под столь строгим запретом, что за этим запретом укрывался и Ю. Н. Воронов. Вот Вам еще один факт.

9. В течении ряда лет никак не удавалось опубликовать великолепную книгу Л. Д. Рчеулишвили «Купольная архитектура VIII—X веков в Абхазии» (на русск. яз.). Какие усилия пришлось приложить, что бы наконец добиться публикации этой книги в 1988 г. И все из-за того, что абхазским специалистам не нравилось то, что было написано в этой книге; а в ней убедительно показано, что памятники купольной архитектуры данного периода на территории Абхазии являются неотъемлемой частью грузинского зодчества.

Вы нуждаетесь в дальнейшем перечне фактов, уважаемый Шалва Денисович? Я мог бы удвоить и утроить их количество, но думаю и сказанного достаточно. Кстати, может быть эти факты будут не безинтересны для тех, кто верит в провакационные утверждения «Абхазского письма» и «Лыхнского письма» о том, что якобы грузины ущемляют интересы абхазских историков и искажали историю Абхазии.

Еще одно предварительное замечание: единственное в чем я должен согласиться с Ш. Д. Инал-ипа, это его упрек, что я применяю термин «черкесо-адыгейские» племена и языки. Очевидно, что



термин этот неточный и следует применять другой. Всякий раз, когда я употребляю этот термин, я имею в виду «абхазо-адыгские» племена.

Теперь перейдем к конкретным замечаниям Ш. Д. Инал-ипа. Первый спорный вопрос касается этнической принадлежности апсиров и абазгов; по данному вопросу в грузинской историографии выработаны две главные точки зрения: 1. Апсилы и абазги являются аборигенными предками современных абхазов. 2. Апсилы и абазги — племена картвельского (мегрело-чанского) происхождения, а предки современных абхазов пришли на территорию исторической Абхазии лишь в XVI—XVII веках. По мнению Ш. Д. Инал-ипа, я не считаю себя связанным ни с одним из этих двух направлений; по его словам, я, хотя и не считаю апсиров и абазгов картвельскими племенами, но не причисляю их и к абхазским, объявив «черкесскими». Полное недоразумение! Неудобство применяемого мной термина «черкесо-адыгейские» я уже признал выше, но не в термине же дело: ведь я и современных абхазов считал «черкесо-адыгейскими» племенами, тем самым совершенно недвусмысленно объявляя апсиров и абазгов племенами того же происхождения, что и абхазов, т. е. признавал и признаю первых прямыми предками последних. Приступая к чей-нибудь критике, уважаемый Шалва Денисович, надо же предварительно хотя бы понять смысл его положений!

Но Ш. Д. Инал-ипа не нравится в моей статье и другое, в частности мое утверждение, что в античную эпоху наименование апсиров и абазгов покрывалось собирательным наименованием «колхи». Возможно Ш. Д. Инал-ипа назовет хотя бы один единственный источник, в котором ранее I в. н. э. названы были бы апсилы или абазги. А реальная картина такова: Геродот (V в. до н. э.) на восточном побережье Черного моря знает лишь один народ — колхов; по Псевдо-Скилаксу Кариандийскому (IV в. до н. э.) от Диоскурии (Сохуми) до р. Апсара (Чорохи) живет лишь один народ — колхи; Страбон (I в. до н. э. — I в. н. э.), описывающий ситуацию III—I вв. до н. э., вдоль восточного побережья Черного моря от Питиунта (Бичвинты) до окрестностей Трапезунта упоминает опять-таки один народ — тех же колхов. Как это понять? Специалист-историк вполне правомочен сделать вывод, что в V—I вв. до н. э. вдоль восточного побережья Черного моря проживал лишь один народ — колхи, а все те племена, упоминание которых начинается с первых веков нашей эры — зидриты, лазы, апсилы, абазги, саниги — переселились сюда именно к этому времени. Между прочим, именно такого мнения придерживается Г. А. Меликишвили, которого Ш. Д. Инал-ипа зачастую цитирует, когда это ему на руку, скрывая от читателя, что этот ученый относит апсиров, абазгов и санигов к горным племенам, в I в. н. э. спустившимся в низменные области Колхиды. Но я не думаю так. По моему, сравнительно небольшие племенные единицы могут до времени покрываться собирательными названиями более сильного племени, получившим в определенном регионе политическое преобладание. Поэтому я допускаю, что апсилы и абазги издревле проживали там, где их упоминают начиная с I—II вв., но они покрывались именем колхов, которые являлись гегемоном при образовании Колхидского царства. Чем же недоволен Ш. Д. Инал-ипа в данном случае, совершенно непонятно.

Но я предвижу возражение Ш. Д. Инал-ипа, что есть один источник, который еще в III в. до н. э. называет на территории Абхазии древне-абхазские племена абазгов; он мельком упоминает этот источник и в своей газетной статье: это поэт III—II вв. до н. э.



Ликофрон. Знайте, мне даже неудобно указывать на столь элементарные вещи: ведь сведение об абазгах принадлежит не Ликофрону, а его средневековому комментатору, автору XII в. Иоанну Цецу (Т. С. Каухчишвили, Сведения греческих писателей о Грузии, кн. IV, 1980, сс. 68, 82, на груз. яз.).

Далее недовольство Ш. Д. Инал-ипа вызывает то, что я на весьма ограниченном пространстве современной прибрежной полосы Абхазии, рядом с апсилами и абазгами, помещаю и картвельские племена. К этому вопросу Ш. Д. Инал-ипа возвращается несколько раз и я коснусь его несколько ниже, теперь же остановлюсь на другом вопросе: Ш. Д. Инал-ипа не врет, что я отмечаю изменение значения термина «абхаз» во времени: в эпоху раннего и развитого феодализма этноним «абхаз» объединял собой как апсидов и абазгов, так и грузинские племена эгров, сванов, картов. Это, по мнению оппонента, ошибочное и противоречивое утверждение. Думаю, непредвзятый историк должен понять, что ничего противоречивого здесь нет. Да, апсиды и абазги издревле жили на территории позднейшей Абхазии, да, термин «абхаз» в средние века изменил значение: если первоначально он обозначал собственно абхазские племена апсидов и абазгов, позже он получил собирательное значение, обозначая все население Абхазского княжества, как абхазское, так и картвельское, а еще позже этноним «абхаз» получил еще более обширное значение — в смысле жителей всей Западной Грузии, а иногда и всей Грузии. Конечно же средневековый грузин знал, что в Абхазском княжестве или эриставстве, проживают апсиды и абазги и название «абхазы», в первую очередь, относится к ним; несомненно и то, что грузинский термин «абхазы» восходит к этнониму «абаз-пи» «абаз-хи», но **средневековый грузин** под этим этнонимом все же подразумевал население одной из **грузинских областей**, ибо для него не было особой разницы между Абхазией и Мингрелией, или Абхазией и Месхетией; ведь и там и здесь грузинский язык был официальным и богослужебным языком, грузинской была письменность, в Абхазии строились такие же храмы, как в Картли, Тао-Кларджети или Одиши. Что в этом противоречивого и непонятного, почему приходится все это еще раз объяснять историку, которого оказывается считают «известным специалистом в области абхазоведения»?!

Теперь рассмотрим вопрос изначального проживания на территории исторической Абхазии картвельских племен. Напомним читателю, что те же источники, которые упоминают апсидов и абазгов, рядом с ними называют **санигов** (Плиний, Флавий Арриан), **суанноколхов** (Клавдий Птолемей), **мисимиан** (Агафий), т. е. племена, которых мы считаем картвельскими. Ш. Д. Инал-ипа страшно недоволен, что я считаю санигов мегрело-чанским, а мисимиан — сванским племенами и обвиняет меня в чрезмерно легком решении этих вопросов. Он пишет: «Как легко изрекаются все эти категорические «несомненно», «бесспорно», «изначально». Если бы все было так просто и ясно!»

Нет, ничего не изрекается легко и просто, уважаемый Шалва Денисович! Вы очевидно просто не знаете, что в наименовании «саниги» «-ги» или «-хи» является суффиксом (как в абаз-хи, ка-хи, мес-хи и т. д.); остается основа «сани-», а форма эта является вполне закономерной передачей по-гречески этнонима «чани» (ჭანი). И это нами не просто «изрекается», а основывается на результаты исследований ряда ученых, таких как И. Джавахишвили, С. Джанашиа,



С. Каухчишвили, Г. Меликишвили, М. Инадзе, Б. Гигинейшвили и др. А вот что противопоставляет сам Ш. Д. Инал-ипа этому, выработанному учеными мнению: «согласно его голословному заявлению, саниги — это те же садзы, причем каким образом в названии «садзы» «-дз» превратилось в «-н-», остается загадкой, которую Ш. Д. Инал-ипа и не старается решить. Но санигов, оказывается, одновременно следует связать и с абхазским племенем цанов (ср. абхазские фамилии Цанаа, Цанба). Как можно этноним «саниги» связать одновременно и с садзами и с цанами — это секрет Ш. Д. Инал-ипа*. Но самое главное, что никто, в том числе и сам Ш. Д. Инал-ипа, не знает, существовало ли реально племя цанов. В своей книге «Вопросы этно-культурной истории абхазов» (Сухуми, 1976) Ш. Д. Инал-ипа называет цанов-ацанов «слишком легендарным карликовым племенем» (стр. 35). Комментарии, как говорится, излишни! Что же касается фамилий, то Ш. Д. Инал-ипа забывает, что существует мингрельская фамилия Цанава, прекрасно объясняемая именно этнонимами «чан-цан».

Что касается мисимлян, Ш. Д. Инал-ипа, вновь без всякой аргументации, заявляет, что они «самыми неразрывными узлами» связаны с апсилами, являются «своеобразной этнографической группой того же крупного древнеабхазского племени абсиллов», при этом он оговаривается, что у него нет возможности в газете подробно аргументировать это положение. Во-первых, по данным византийских писателей Агафия и Менандра, описывающих мисимлян, они отнюдь не «этнографическая группа» внутри какого-либо племени, а вполне независимое племя; вряд ли «этнографическая группа» могла поднять восстание против Византии. Во-вторых, что-то я не припомню, в каком источнике значатся апсилы как «крупное» племя. Наконец, и там, где он имел такую возможность — в своих вышеупомянутых книгах — Ш. Д. Инал-ипа никоим образом не смог ничем аргументировать связь мисимлян с апсилами, кроме как их соседством. В то же время, на основании квалифицированного анализа самого этнонима, С. Каухчишвили доказал несомненную связь этого этнонима с самоназванием сванов — «му-шуан». Эта этимология признается всеми серьезными специалистами. Весьма примечательно, что Ш. Д. Инал-ипа ни словом не обмолвился относительно упоминаемых в данном регионе суанно-колхах, поскольку даже он не может отрицать, что оба компонента этого этнонима восходят к картвельскому этническому миру. В данном случае он счел наиболее удобным просто умолчать. Это тоже метод спора! Таким образом Ш. Д. Инал-ипа не только не смог опровергнуть утвердившееся в историографии положение о изначальном проживании на территории Абхазии картвельских племен, но ему не удалось хоть сколько-нибудь поколебать его.

Ш. Д. Инал-ипа не соглашается с нашим утверждением, что абхазские племена никогда не проживали на территории нынешнего Гальского района, а с конца II в. н. э. они не находились и на территории Очамчирского района. Посмотрим, какова его аргументация:

1. Римский историк Флавий Арриан сообщает, в основном, только о расстояниях между реками и о последовательности расселения

* Недавно Ш. Д. Инал-ипа представил в издательство «Мецниереба» книгу, специально посвященную садзам («Садзы. Историко-этнографические очерки»); можно было ожидать, что хотя бы здесь он попытается обосновать тождество садзов и санигов, однако дальше такого же голословного утверждения дело не пошло.



племен, почти никогда не указывая **точных** границ между отдельными этно-политическими образованиями. Это верно, но разве я где-либо писал, что Арриан, именно Арриан, указывает точную границу между лазами и апсилами? Ведь мы знаем из других источников, что р. Фазис протекала по земле лазов, что г. Фазис был городом тех же лазов. Арриан, к тому же указывает, что статуя богини Фазияны находилась по левую руку для входящих в устье Фазиса, т. е. на правом берегу реки («Перипл Понта Евксинского», §9). Ведь невозможно предположить, что город находился на земле одного царства (в данном случае Лазского царства), а святилище городской богини в пределах другого государства. К тому же византийский историк Прокопий Кесарийский прямо пишет, что все населенные пункты лазов находились к северу от Фазиса («Война с готами», VIII, 2). Все это давало основание еще С. Джанашиа утверждать, что лазы жили на обоих берегах Фазиса. Таким образом попытка Ш. Д. Инал-ипа доказать, что лазы не жили севернее Фазиса и апсилы обитали чуть ли не до самого правого берега этой реки, несостоятельна и находится в противоречии со всем комплексом источников. Так-то, Шалва Денисович, пора уж Вам привыкать при утверждении какого-либо положения, опираться не на один, произвольно выбранный источник, а на комплекс всех наличных источников. Это ведь азбука исторического исследования! ✓

2. До каких рубежей простиралась территория лазов, т. е. где проходила граница между ними и апсилами, у Арриана не сказано. Это было отмечено и мною, но я там же оговариваюсь, что, как известно, лазы римско-византийских источников тождественны эграм грузинских летописей, а последние довольно четко указывают северную границу страны эгров, т. е. Эгриси: она проходила по р. Эгрисцхали («Обращение Картли», «Житие Грузин»). Теперь возникает вопрос локализации Эгрисцхали. Ш. Д. Инал-ипа непременно нужно, чтобы Эгрисцхали отождествлялась с Ингури, однако на основании анализа грузинских, византийских, армянских источников, Д. Мухелишвили убедительно показал, что Эгрисцхали ни в коем случае нельзя идентифицировать с Ингури и река эта может быть отождествлена только с р. Гализгой («Вопросы исторической географии Грузии», кн. 1, 1977, стр. 77, 106—113, на груз. яз.). Ш. Д. Инал-ипа очевидно не знаком с этим исследованием, иначе он не стал бы столь безапелляционно отождествлять Эгрисцхали с Ингури. Между прочим идентичность Эгрисцхали и Гализги признавал и З. Анчабадзе («Из истории средневековой Абхазии», 1959, с. 7). Но самое удивительное, что на карте, включенной в его книгу («Абхазы», 1965), граница между апсилами и лазами проходит по рекам Мокви и Гализга (стр. 12). О чем же идет спор, уважаемый Шалва Денисович? Таким образом, у меня есть все бесспорные основания утверждать, что апсилы никогда не жили на территории современного Гальского района и Ш. Д. Инал-ипа ничего не может противопоставить этому утверждению. Что касается Очамчирского района, я в данном случае исхожу из положения Кисслинга и Г. Меликишвили, поддержанного и З. Анчабадзе, о перемещении со временем апсильов и абазгов на север (Г. Меликишвили, к истории древней Грузии, 1959, стр. 371—372, здесь же ссылка на Кисслинга; ГСЭ, т. I, «абазги», т. II, «апсилы»). Следовательно у меня и в данном случае было основание объявить, что с определенного времени абхазские племена не проживали и на территории Очамчирского района и их южная граница проходила по р. Кодори. При этом это



не моя прихоть, а утвердившееся в историографии мнение, основанное на анализе источников. А вот Ш. Д. Инал-ипа ничего не может этому противопоставить, кроме голословного отрицания.

3. И наконец, Ш. Д. Инал-ипа приводит высказывания ряда ученых — А. Чикобава, К. Ломтатидзе, Г. Меликишвили, О. Джапаридзе — о том, что вдоль восточного побережья Черного моря некогда обитали абхазо-адыгские племена, которые лишь позже заменили картвельские. И вот, исходя из этого Ш. Д. Инал-ипа полагает окончательно разбитой мою концепцию о том, что абхазские племена некогда не жили на территории Гальского района. Более того, приводя вышеуказанные высказывания, Ш. Д. Инал-ипа вносит сомнение в мою «подлинную научную объективность». Не хочу обвинять моего оппонента в научной необъективности, но вот в его **научной компетентности** у меня лишний раз невольно появляется серьезное сомнение.

Действительно в научной литературе существует точка зрения о том, что восточное побережье Черного моря в древности населяли не картвельские, а племена, говорившие на языке северо-западно-кавказского типа, с которыми были родственны и протохеттские (хаттские) племена. Я даже могу расширить круг тех ученых, которые поддерживают эту точку зрения: это и И. Дьяконов, и Т. Гамкрелидзе — В. Иванов и др. Однако здесь налицо ряд недоразумений: во-первых, О. Джапаридзе вовсе не того мнения, что все восточное побережье Черного моря было некогда заселено абхазо-адыгскими племенами; по его представлению, после распада общекавказского этнического единства (V—IV тысячелетие до н. э.), пре-абхазо-адыгская этническая группа заняла лишь Северо-западный Кавказ, т. е. лишь ту область примерно, где потомки этой группы — абхазо-адыгские племена — проживали и в историческое время (См. его последнюю работу: «На заре этнокультурной истории Кавказа», 1989, стр. 367, карта), а центральную и южную части Восточного Причерноморья уже тогда занимали картвельские племена. Во-вторых, данная концепция никак не связана с конкретными племенами апсилы и абазгов: неужели Ш. Д. Инал-ипа имеющий претензию быть «известным специалистом» по этническим и этно-культурным проблемам, не понимает, что дело касается расселения не конкретных абхазских племен, а еще не распавшегося западно-кавказско-хаттского единства. В-третьих, в любом случае это лишь гипотеза, практически основанная лишь на лингвистических данных, на нескольких топонимах, носящих как будто абхазо-адыгский характер и на весьма проблематичной идентификации хаттских (?) племенных названий «абешла» и «кашки» с этнонимами «апсилы» и «косоги». Ни археологически, ни тем более антропологическими данными эта концепция не подтверждается, а решение этногенетических вопросов на основе лишь лингвистических данных методологически неверно. Поэтому-то мы и говорим, что налицо только предположение, рабочая гипотеза.

Но допустим, что мы признали эту гипотезу непреложной истиной, почему Ш. Д. Инал-ипа скрывает от читателей тот факт, что все исследователи подчеркивают факт замены этнического состава Восточного Причерноморья в очень раннюю эпоху: расселение здесь не позже II тысячелетия, а по мнению ряда специалистов уже в III тысячелетии до н. э. картверьских племен — сперва предков сванов, затем — мегрело-чанов (см. например Т. Гамкрелидзе, В. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, Тбилиси, 1984, т. II, стр.



880—881, 908—909). Причем, если даже преадыгские племена некогда жили на территории Западной Грузии, после их вытеснения, здесь не осталось практически никаких их следов, в лучшем случае, их язык мог служить своеобразным субстратом для мегрело-чанского языка, хотя факт наличия в мегрельском абхазо-адыгских элементов может быть объяснен и длительными неразрывными контактами этих языков. В этой связи весьма примечательно, что предполагаемое наличие в прибрежной полосе Западной Грузии пре-адыгско-хаттских племен не оставило никаких следов в антропологическом типе населения Западной Грузии. Как установлено антропологами на основании исследований по краниометрической, антропометрической, антропоскопической, дерматоглифической и одонтологической программам (М. Абдушеллишвили, Г. Джанберидзе, В. Вацаева, И. Ладария)*, население Северо-западного Кавказа (адыгейцы, черкесы, абазинны) относится к Кавказской разновидности понтийского типа средиземно-балканской расы, а грузинское население Западной Грузии (кстати, в том числе и абхазы) — уже к другой ветви индо-средиземноморской расы к т. н. переднеазиатскому типу. Таким образом мы имеем дело с кардинальным, принципиальным различием, что вряд ли могло иметь место, если бы пре-адыгский этнос служил субстратом для картвельского. Это лишний раз доказывает сомнительность вышеназванной гипотезы. Данных антропологии мы коснемся и ниже.

Но еще раз допустим, что названная гипотеза имеет научное основание, одно несомненно, что замена преадыгского единства картвельским произошло значительно раньше, чем это преадыгское единство распалось на абхазские, адыгские и другие родственные племенные образования. Ш. Д. Инал-ипа же очевидно считает, что, поскольку можно предполагать проживание вдоль всего восточного побережья Черного моря далеких предков абхазо-адыгских племен, мы не имеем права отрицать проживание на территории Гальского района апсилов и абазгов. Но если следовать подобной логике, надо будет признать, что апсилы и абазги некогда проживали на территории не только Гальского, но скажем и Потийского, Зугдидского, Ланчхутского, Озургетского, Кобулетского и Хелвачаурского районов, т. е. практически на всей территории Западной Грузии. Заманчивая идея, не правда-ли Шалва Денисович?! Вы же раньше неоднократно подчеркивали, что вся Западная Грузия принадлежала абхазо-адыгским племенам, а картвельские появились здесь значительно позже, в I тысячелетии до н. э. Почему же Вы сегодня говорите об этом в столь «завуалированной форме»? Да, идея для Вас весьма заманчивая, но, к сожалению для Вас, полностью абсурдная!

Особое неудовольствие Ш. Д. Инал-ипа вызвало мое утверждение, что в Абхазском княжестве, т. е. в собственно Абхазии картвельское население было в «подавляющем большинстве». Во-первых, искажается мое высказывание: я нигде не говорил о «подавляющем большинстве» картвельского населения в Абхазском княжестве; это выражение я употребил относительно Абхазского царства. Но Ш. Д. Инал-ипа не вранится и это; он категорически заявляет: «Не существует никаких данных для утверждения, что подавляющее

* Кроме опубликованных работ названных ученых, мы хотели бы сослаться на упомянутую выше книгу М. Абдушеллишвили, В. Вацаевой и И. Ладария, которая стараниями абхазских коллег не увидела свет.



большинство населения Абхазского царства было грузинским (эгры, сваны, карты)». Допустим, я ошибаюсь и за р. Кодором действительно не было грузинского населения, но Абхазское царство ведь объединяло в VIII—X веках всю Западную Грузию, его границы простирались на юге до сектора устья ф. Чорохи, а на востоке до Лихских гор. Неужели и здесь не было грузинское население в «подавляющем большинстве»? Побойтесь бога, уважаемый Шалва Денисович, вся Сванетия, Рача, Лечхуми, Мингрелия, Верхняя и Нижняя Имеретия, Гурия, Аджария входили в состав этого царства! Посмотрите хотя бы на карту, сравните весь этот регион с Абхазским княжеством! О чем можно после этого с Вами серьезно говорить, если и в Абхазском царстве Вы не желаете признавать подавляющего большинства грузинского населения? Будьте открытвенны, Вы ведь подспудно считаете, что большая часть Западной Грузии издревле да и позже была заселена абхазами. Если для IV—III тысячелетий это еще можно предполагать как гипотезу, но никак не более, для раннего средневековья, такое предположение просто абсурдно, но Вы же держите его в уме! Зачем Вы скрываете это от читателя? Вы, по всей вероятности, поняли, что сегодня, когда снято табу с абхазоведческих изысканий, Вам уже не позволят так свободно высказывать и отстаивать подобные мысли, но скрытно Вы все же говорите об этом в ожидании «лучших времен». Кого же обвинить после этого в тенденциозности, Вас или грузинских историков, кто кому искажает историю народа, я Вам, или Вы мне?!

Но вернемся к Абхазскому княжеству. Что на его территории издревле проживали, рядом с абхазскими, и грузинские племена, я уже говорил и это не подлежит сомнению. Но я пишу, что здесь грузинское население было ведущим в количественном отношении и по значению. Возмущенный Ш. Д. Инал-ипа спрашивает: «на основании какой статистики делаются такие категорические утверждения о подавляющем преобладании грузинского населения в средневековой собственно Абхазии?» Конечно же никаких статистических данных у нас нет, но нет их и у Ш. Д. Инал-ипа для утверждения противоположного мнения. Ш. Д. Инал-ипа, который претендует на звание «известного специалиста», должно быть известно, что в распоряжении историка не всегда имеются документальные статистические данные, тем не менее, существуют косвенные аргументы, соответствующее осмысление которых (если конечно у историка есть способность такого осмысления) дает основания делать определенные выводы. Интересно, чем объяснит Ш. Д. Инал-ипа тот факт, что на всем протяжении бронзовой эпохи, раннего железного века и античного времени на территории Абхазии засвидетельствована только **общеколхидская материальная культура**, для которой здесь были характерны определенные локальные своеобразия, но в рамках единой западногрузинской культуры. Ведь это непреложный факт. Ш. Д. Инал-ипа конечно же с удовольствием объяснил бы это тем, что и эта западногрузинская культура не грузинская, а абхазская, но сегодня не решаясь отстаивать эту абсурдную мысль, иначе ставит вопрос: он спрашивает — «кто же является создателем загадочной дольменной культуры, кромлехов, многих других замечательных памятников, находимых во всех районах Абхазии и не характерных для других регионов?»

Я опять повторяю: конечно материальная культура территории Абхазии характеризуется рядом своеобразий, но они не того разряда, что бы говорить о наличии здесь полностью самостоятельной куль-



туры; это общеколхидская бронзовая культура, а своеобразия полностью уместаются в локальный вариант этой общей культуры и никак не могут быть объяснены этническим отличием населения северо-западной Колхиды. Подобные локальные варианты выделяются и в других областях Западной Грузии. Возьмем конкретный пример, на который ссылается Ш. Д. Инал-ипа. Дело касается т. н. долменов, т. е. огромных каменных ящиков для захоронения. Такого типа погребальных сооружений действительно нет в остальной Грузии; в этом Ш. Д. Инал-ипа прав, но вот что он оказывается не знает (или намеренно скрывает от читателя): инвентарь этих долменов в основном повторяет те предметы и типы, которые характерны для памятников ранне- и среднебронзовых эпох Западной Грузии. Следовательно и долменная культура не выпадает из общеколхидского круга и никак не может служить основанием для утверждения совершенно своеобразного этнического состава населения Абхазии. То же можно сказать и о культуре кромехов или памятников античной культуры. Культура долменов, кромехов и другие археологические памятники являются плодами совместной деятельности проживающих в этом регионе абхазо-адыгских и картвельских племен, но то обстоятельство, что здешний культурный вариант полностью уместается в рамки общеколхидского культурного круга, является несомненным свидетельством ведущей роли этнического субстрата, создававшего колхскую культуру, т. е. ведущей роли грузинского этноса.

Продолжим наши рассуждения. Интересно, чем объяснит Ш. Д. Инал-ипа тот факт, что на протяжении всей раннефеодальной эпохи на территории Абхазии строились только памятники архитектуры, носящие общегрузинский характер, что здесь создавались только такие типы церковного зодчества, какие характерны для остальной Грузии — трехнефные базилики присущего Грузии типа, встречающиеся только в Грузии трехцерковные базилики, купольные храмы типа Джвари и т. д. (см. труды Л. Рчеулишвили, В. Беридзе, Р. Мепишавили, В. Цинцадзе и др.)? Чем объяснит Ш. Д. Инал-ипа, что в Абхазии не выработался ни один своеобразный, характерный только для Абхазии архитектурный тип? Несомненно, памятники Абхазии имеют кое-какие локальные своеобразия, позволяющие некоторым ученым говорить об «абхазской школе» архитектуры, но эти своеобразия не такой даже степени, как отличия кахетинских скажем памятников от картлийских, или тао-кларджетских от эгрисских. Об «абхазской школе» говорит и Ш. Д. Инал-ипа, но скрывает от читателя, ответвлением какой архитектуры является эта школа. Ведь речь может идти только об «абхазской школе» грузинского зодчества.

Интересно, чем объяснит Ш. Д. Инал-ипа также тот несомненный факт, что, когда Западная Грузия политически, а позже и в церковной сфере освободилась от власти Византии, в Абхазском эриставстве, как и во всей Западной Грузии, языком администрации и богослужения стал, вместо греческого, грузинский язык? Почему не создало абхазское население собственное богослужение на абхазском языке, почему не создало собственную письменность, а восприняло грузинский алфавит? Ведь православная церковь способствовала тому, что бы каждый народ имел богослужение на собственном языке и создавал собственную церковную литературу. Ответ может быть лишь один: не было такой надобности. Многовековое приобщение к колхской, а затем общегрузинской культуре, ведущее положение



этой культуры на территории самой абхазии, вот те причины, которые обусловили естественное превалирование для абхазов грузинского языка, письменности, общей культуры. Вот это и еще многое другое давало мне основание утверждать, что апсилы и абазги, несмотря на абхазо-адыгское происхождение, «представляли собой неотделимую часть грузинского этнического единства, также как згры, сваны, кахи или месхи». Во-первых, это отнюдь не отрицание абхазо-адыгского происхождения абхазов, т. е. апсильев и абазгов. Рядовому читателю может быть и трудно сразу разобраться в этом, но историк-этнограф должен же понимать разницу между генетическим происхождением и этно-культурной принадлежностью. Во-вторых, во всем том, что я здесь пишу, нет ничего оскорбительного для абхазов, унижительного для их предков и конечно же не выявляется «безнадежный нипилизм в отношении культурного развития абхазского народа», как в этом пытается убедить читателя Ш. Д. Инал-ипа. Как раз наоборот! Ведь я вышесказанным приобщаю древнеабхазские племена к созданию древнекохлской, а позже общегрузинской феодальной культуры, а принадлежность к грузинскому культурному миру, насколько я понимаю, еще никогда не являлась для кого бы не было унижительным. К сожалению, это не смог понять «известный абхазовед», но может быть поймут другие.

Теперь коснемся вопроса переселения новой волны абхазо-адыгских племен на территорию Абхазии в XVI—XVII вв. Несмотря на то, что я признаю абхазо-адыгское происхождение апсильев и абазгов и следовательно исконное проживание предков современных абхазов на территории исторической Абхазии, я все же считаю, что в XVI—XVII вв. здесь осложнилась и изменилась этническая ситуация в результате переселения сюда горных племен. Приводя соответствующую цитату из моей статьи, Ш. Д. Инал-ипа пишет, что в ней чувствуется какая-то двусмысленность и недоговоренность и что я в завуалированной форме придерживаюсь мнения тех, кто считает, что собственноабхазские племена (апсуйцы) пришли в Абхазию то ли в XVII, то ли в XVIII веке.

Никакой двусмысленности и недоговоренности в моем предположении нет и мне нечего преподносить в завуалированной форме. Я опять подчеркиваю: я признаю апсильев и абазгов предками современных абхазов, но, вместе с тем считаю, что в XVI—XVII веках на территорию низменной Абхазии спустилась с гор новая волна абхазо-адыгских племен. Где здесь двусмысленность или недоговоренность? Ш. Д. Инал-ипа опять не понял мои рассуждения, но самое плачевное, что «известный специалист в области абхазоведения» оказался настолько несведущим в истории Грузии и Кавказа, что не знает азбучной истины о действии по всему Закавказью в позднефеодальную эпоху процесса переселения горных племен в низменные области, этнического натиска гор на равнину. Когда беретесь, уважаемый Шалва Денисович, за исследование этно-культурных проблем одной из областей Кавказа, а тем более за чью-нибудь критику, надо знать и понимать общие этнические процессы всего региона. В Абхазии ничего необычного не происходило: здесь, как и по всей Грузии, население в результате постоянных нашествий сильно поредело и это создало благоприятные условия для спуска с гор горных племен; это был, повторяю, повсеместный процесс, несомненное действие которого не могут опровергнуть единичные факты противоположного движения, если таковые действительно имели место (пример кабардинцев и бжедугов, приводимый Ш. Д. Инал-ипа).



Ш. Д. Инал-ипа отрицает этот процесс и приводит сведения, якобы опровергающие его. Это данные авторов XVII в. — итальянского миссионера Арканджело Ламберти, турецкого политического деятеля Евлии Челеби и историка начала XVIII в. Вахушти Багратиони. Оказывается эти авторы застают абхазов на местах их нынешнего обитания. Интересно, кто же отрицает, что в XVII в. в Абхазии жили абхазы? Но разве речь об этом? Главное, как описывают названные авторы быт и культуру современных им абхазов. Какую же картину рисуют Ламберти и Челеби: жители Абхазии не живут в городах и крепостях, а проживают родовыми поселениями, занимаются скотоводством, чем резко отличаются от жителей Мингрелии, основным занятием которых является земледелие; по своему быту и верованиям жители Абхазии схожи с горцами, они не молятся в церквях; Ламберти описывает подлинную языческую страну. (Арканджело Ламберти, Описание Колхиды... СМОМПК, вып. XIII, Тифлис, 1913, стр. 128, 187—188). По словам Евлии Челеби, живущие за Кодором племена «не имеют религии» что в его устах означает язычников (Евлия Челеби, Книга путешествий, изд. Г. Пугуридзе, кн. 1, Тбилиси, 1971, стр. 106). Что же, если не произошло поселение в Абхазию горных племен, она была всегда такой языческой и отсталой страной, с экстенсивным скотоводством и родовым бытом? Такой вывод напрашивается по теории Ш. Д. Инал-ипа, мы же считали более раннюю Абхазию высокоразвитой страной с интенсивным феодальным хозяйством и богатыми христианскими традициями. Пусть решает читатель, кто умалает историю абхазского народа.

Но самым парадоксальным является то, что Ш. Д. Инал-ипа, сам того не замечая, прекрасно иллюстрирует приход населения в Абхазию с севера, с горных областей. Он вообще весьма охотно использует различные легенды и предания для решения различных исторических вопросов и вот, в своей книге — «Абхазы. Историко-этнографические очерки», вышедшей в 1965 г., он приводит несколько «этногенетических преданий», среди которых обращают на себя внимание предания, повествующие о приходе абхазов на территорию нынешней Абхазии. Именно этот процесс отразился в легендах о приходе нартов, т. е. **мифических горных племен и их героев**, об уничтожении живущих здесь великанов-людоедов, а по другой версии — карликов-ацанов. Согласно одной легенде, предки абхазов вышли из страны арапов, в конце-концов достигли Кубани (!), но не выдержали здешних холодов и переселились на землю Абхазии, хотя часть из них осталась на севере — это абазинцы (Назв. книга: стр. 103—104). О чем же говорят эти предания, если не о том, что население Абхазии пришло сюда с севера, т. е. именно с гор Западного Кавказа?

Ш. Д. Инал-ипа с большой охотой использует при решении исторических вопросов многовековой давности рассказы долгожителей Абхазии. Рассказ одного из таких долгожителей, 145-летнего Мажага Адлейбы о живущих в Абхазии арабах он приводит в своей выше-названной книге (стр. 104), ссылаясь на публикацию С. Басария, напечатанную в «Трудах Абхазского научно-исследовательского института краеведения» (вып. II, 1934, стр. 108), но скрывает от читателя, что в той же публикации приведены слова того же Мажага Адлейбы, что «к первым насельникам Абхазии принадлежит фамилия Агрба, Адлейба. Иналшба... все они вышли из Крыма (имеется в виду Карачай — объясняет С. Басария)... Наши предки переселились, когда узнали, что население Абхазии разбежалось и она стала пустынной»



(С. Басария, Редкие случаи долголетия в Абхазии, указ. сб-ик, стр. 108). Комментарий, думаю, и здесь излишни!

Здесь же считаем нужным отметить один немаловажный факт: когда мы говорим, что современные абхазы (да и их предки) принадлежат к абхазо-адыгской группе народов, мы имеем в виду, в первую очередь, лингвистический аспект, поскольку абхазский язык совершенно определенно принадлежит к абхазо-адыгской группе языков. С народностями Западного Кавказа связывают абхазов и некоторые хозяйственно-бытовые особенности и данные фольклора. Однако, совершенно иная картина вырисовывается по данным антропологии. Как было указано выше, абхазцы, вместе с грузинами как Западной, так и Восточной Грузии, относятся к переднеазиатскому типу индо-средиземноморской расы, тогда как адыгейцы, черкесы, абазинцы — к кавказской разновидности понтийского типа средиземно-балкарской расы (М. Абдушелишвили, Антропология древнего и современного населения Грузии, Тбилиси, 1964; М. Абдушелишвили, В. Вацаева, И. Ладария, указ. рукопись, здесь же вся лит.; Г. Джанберидзе. К антропологии Абхазии, ТИЭМ, т. X, 1962; он же, Взаимоотношения абхазов с грузинскими и адыгейскими группами в свете данных антропологии, ТИЭМ, т. XI, 1963). Дело обстоит таким образом, что антропологи вообще отрицают изначальное, генетическое родство абхазов (и современных и средневековых) с адыгской группой народов и их языковое единство считают вторичным явлением: результатом распространения адыгского языка на жителей Абхазии, генетически неотделимых от грузин. Как мы исторически объясним это явление, другой вопрос, но что оно требует объяснения — не подлежит сомнению. Игнорировать данные антропологии как в данном случае, так и вообще при решении этногенетических проблем, непростительно. Это в равной мере должны помнить и абхазские и грузинские историки. Следовательно, вопрос этногенеза абхазского народа решается не так просто и однозначно. Удельный вес и значение северо-западнокавказского (адыгского) этнического субстрата в этногенетических процессах абхазов по данным антропологии выглядит еще слабее, чем по другим источникам. Вот и объяснение тому, почему абхазские коллеги помешали выходу в свет вышеуказанного антропологического труда.

Споря со мной, Ш. Д. Инал-ипа несколько раз упомянул топонимику и даже привел несколько топонимов, по его мнению, подтверждающих его «концепции». Не являясь специалистом-лингвистом, я воздержался от использования топонимических материалов. Другое дело Ш. Д. Инал-ипа: он ученый такого широкого диапазона, что ему и карты в руки! Но может быть и для него было бы лучше воздержаться от этих изысканий. Его смелость подтолкнула и меня привести несколько ярких примеров его топонимических штудий, прекрасно иллюстрирующих его компетентность в данной области. В своей уже названной книге — «Вопросы этно-культурной истории абхазов», Ш. Д. Инал-ипа приводит порайонный перечень древнеабхазских языческих святилищ. Из с. Лыхны Гудаутского района он называет «Мтаргелаз» (Мтаргъалаз) и скрывает от читателя, что местное грузинское население называет это место с вековыми дубами «Мтавар ангелози», т. е. по-грузински — «Архангел». Да и этимология приводимого им названия может быть только такой. В с. Цебельде Гульрипшского района, в с. Члоу Очамчирского района засвидетельствовано наименование «Джахашькар». Ш. Д. Инал-ипа дает его абхазское написание «Цахашькар» и думает, что мы не узнаем



весьма распротарненный мингрельский топоним «Джихаш кари» (букв. «Преддверие Крепости»); и разве не явно сванский топоним «Лашкендар»? (Указ. книга. стр. 303—304). И это «древнеабхазские наименования», уважаемый Шалва Денисович?!

Не могу не привести здесь еще один «перл» из топонимических изысканий Ш. Д. Инал-ица. В поисках абхазских топонимов южнее р. Ингури, он обращает внимание на известную надпись Левана Дадияни в Хонской Церкви, где упоминается «Анчис хати», т. е. «Образ из Анчи». До сих пор мы знали, что Анчи — это местность в Юго-западной Грузии, в Кларджети, центр епископской кафедры; образ перенесенный отсюда, после захвата турками этой области, в Тбилиси — это «Анчис хати» (отсюда наименование церкви «Анчисхати»). Но все оказывается не так: Анча — это название абхазского бога «Анцва». Неужели и Анчи принадлежит Вам, уважаемый Шалва Денисович, и Анчисхати? Может быть и Хандзта и Квашвети, или Шатберди и Хахульский образ тоже?! Да хранит Вас бог Анцва, нас же да оградит Христос от подобных этимологий! Ш. Д. Инал-ица может возразить, что сопоставление это принадлежит еще Н. Джанашиа. Но ведь должна быть разница между наивными этимологиями непрофессионалов начала XX в. и высказываниями человека, который слывет «специалистом в области абхазоведения».

Я вынужден коснуться лишь основных спорных вопросов в выступлении Ш. Д. Инал-ица. Непредвзятый читатель должен был увидеть, что это, по существу, не «спорные вопросы», а явное недоразумение, недостаточный профессиональный уровень, преднамеренное искажение взглядов моих и других ученых. В статье Ш. Д. Инал-ица представлен столь широкий спектр, мягко говоря, лягусов, что останавливаться на всех было просто невозможно. Отвечая на статью Ш. Д. Инал-ица, я отнюдь не надеялся убедить его самого; да это и не столь важно. Моей целью было другое: я надеюсь, что может быть читатель, в первую очередь абхазский читатель, уяснит себе реальные позиции грузинских историков, увидит, что его специально вводят в заблуждение, убедится, что никто из нас не искажает историю Абхазии и, тем более, не унижает прошлое абхазского народа. Ибо самым основным пороком статьи Ш. Д. Инал-ица я считаю намерение восстановить абхазский народ против грузинских ученых.

История Абхазии требует дальнейшего углубленного изучения. Поскольку Абхазия всегда была неотъемлемой частью исторической Грузии, исследование истории Абхазии должно осуществляться объединенными усилиями абхазских и грузинских ученых; но непременным условием этой совместной работы является объективное, непредвзятое отношение к историческим фактам, к научным истинам.



N. I. LOMOURI

SOME PROBLEMS OF THE EARLY HISTORY OF ABKHAZIA

(IN ANSWER TO PROF. SH. D. INAL-IPA)

Summary

On April 7, 1989, My article „How the ethnonym «Abkhazi» should be understood“ was published by the newspaper „Literaturuli Sakartvelo“. On Sept. 16, the paper „Sovetskaya Abkhazia“ carried an answer to my article signed by the Abkhazian scholar, Prof. Sh. D. Inal-IPA and entitled „On my people, their history and homeland“. Seeing that Prof. Sh. D. Inal-IPA must have misunderstood some of my propositions, while misrepresenting others, he presented to the readers a completely erroneous picture of our attitude to the past of the Abkhazian people. Thus, Prof. Sh. D. Inal-IPA intentionally attempted to convince the Abkhazian public that my article is an example of how Georgian scholars distort the history of Abkhazia and vilify the past of the Abkhazian people.

The main points of my conception are as follows: since ancient times, the forefathers of the present-day Abkhazians dwelt on the territory of historical Abkhazia, i. e., to the north of the river Kodori. In antiquity, these tribes were designated by the collective name „Colkhi“; in the first centuries A. D., the Apsilae and Abazghi, Abkhazian tribes, are mentioned in Graeco-Roman sources; but since ancient times, side by side with them on the lands to the north of the Kodori there lived Georgian tribes (Megrelo-Chanian and Svanian communities); it was only for a comparatively short time (2nd and 3rd cc. A. D.) that the Apsilae and Abazghi had their own semi-independent statehood, but subsequently they were part of the Egrisi kingdom (Laz Kingdom).

The so-called „Abkhazian kingdom“, which took shape in the 8th c. f. was a Georgian political formation, but not an Abkhazian state, if such factors are taken into consideration as the overwhelming majority of the Georgian (Megrelo-Chanian, Kartic) population, as well as the political and cultural factors; generally speaking, the Apsilae and Abazghi, belonging as they do, as regards language, to the Abkhaz-Adyghe group, were always part of the Georgian ethnic world as regards ethnic-political and ethnic-cultural factors, which explains why no culture that was different from that of the Georgians ever took shape on Abkhazian soil; neither did Abkhazians ever develop their own script; in the course of centuries Abkhazian tribes participated in the formation, first, of Colkhan culture, and later—of common Georgian culture. All this serves to explain why the ethnonym Abkhazi appeared Georgian alongside such ethnonyms as Egri, Kakhi, Svani and Meskhi.

ილია შავაშვიდი

საზოგადოება და ზენიობა

საფრანგეთის მეცნიერი სახელგანთქმული რენანი, ლაპარაკობს-რა ქრისტეს აქეთ პირველის საუკუნის ნახევარზედ და გვიხატავს — რა მთელის ქვეყნიერების ცხოვრების სურათს ამ ხანში, ამბობს, რომ თუმცა რომის იმპერია მოწამლული იყო მრავალ-გვარის მწიკვლითა და გარყენილობითა, მაგრამ მაინც ეს დრო იმისთანა არ იყო, რომ კაცს ამ მხრით სასოება წარეკვეთნა და ქვეყნის ზნეობითად დამხობის მოლოდინს მისცემოდაო. „მართალიც არისო, განაგრძობს რენანი: — ძველ სული რომისა კიდევ სცოცხლობდა და ჰტრიალებდა. პატიოსნება კაცურის ხასიათისა ჯერ შორს იყო საუკუნოდ წაწყმედისაგან და არ გამქრალიყო. დიდნი ანდერძნი თავმოწონებულის რიდისა და სათნოებისა შეიკედლა თავის საფარველს ქვეშ ზოგიერთმა ოჯახმა, რომელმაც იმპერატორის ნერვის დროს ხელისუფლებამდე მიადწიეს და ბრწყინვალე შარავანდედი მოჰფინეს ანტონინების საუკუნესა, მჭერმეტყველებით ტაციტის მიერ აღწერილსა. იგი დრო, რომელმაც გამოზარდა, გამოაყენა, ახერხა ისეთი ღრმად პატიოსანის ჭკუის კაცნი, როგორც კინტილიანი, პლინი უმცროსი, ტაციტი, იმისთანა არ იყო, რომ შესაძლო ყოფილიყო ადამიანი სასოწარკვეთილებას მისცემოდა. უმართებულობა ზედაპირისა თავის-დღეში არ დასწვდენია იმ დიდს საძარკველს, პატიოსნებისას და ჭკვათაყოფობისას, რომელსაც რომის კარგი საზოგადოება შეადგენდა. ზოგიერთი ოჯახები ჯერ კიდევ თავდადებულნი იყვნენ ქეთილზნეობისათვის, მოვალეობის ერთგულობისათვის, თანხმობისა და სათნოებისათვის. კეთილშობილ სახელულობაში კაცი შეხვდებოდა დიდად პატიოსანს დასა. განა ყოფილა ვისიმე ბედი ისე გულშესატკეველად სამაგალითო, როგორც ახალგაზრდა და უბიწოებით სავსე ოკტავიასი, კლავდიის ასულისა და ნერონის ცოლისა, რომელსაც სიწმინდე თავისი არ შეუბღალავია არც ერთის მოქმედებითა, თუმცა ბიწი, მწიკვლი გარს ეხვია? იგი ოც-და ორის წლისა მოაკვდინეს, ეს იგი მაშინ, როცა ჯერ არც ერთი სხვაარულიც არ ეგემნა ქვეყნიერებაზედ. ცოლები ქმრებს მისდევდნენ ექსორიაში, სხვები ქმრებთან ერთად ჰრჩეობდნენ სახელოვანს სიკვდილსა. ძველი სადა ცხოვრება რომისა არ იყო გამქრალი, შვილებს დიდის ზრუნვით და თავდადებით ჰზრდიდნენ. ქალები დიდის ოჯახებისა და გვარეულობისა არა ჰთაკილობდნენ მატყლის კეთებასა და რთვასა; მორთვისა და პრანჭიანობის ზრუნვა კარგს ოჯახებში თითქმის არც-კი იცოდნენ, რა არის“.

გარდა ამისა, რა საოცარი მაგალითებია მაშინდელ კაცების დიდ-ბუნებოვანობისა. ნუთუ მართლა გამოკეთების ძალნი თვითვე არა აქვს იმ საზოგადოებას, რომელიც ჰბედავს, ჰზრდის და გამოაყენებს ხოლმე მტკიცე ხასიათების კაცებს, გმირებს? განა ამ შემთხვევაში სამართლიანად ხელზედ დასახვევი და ჭკუად-მისალები საბუთი არ არის, მაგალითებრ, ჰელვიდი პრისკუსის გმირობა, რომელსაც თვით რენანი მოგვითხრობს? ეს ჰელვიდი ვესპასიანის დროსა სცხოვრობდა,

და რადგანაც ამხილებდა იმ დროების ბოროტსა, სიკვდილით დასჯა გადაწყვიტეს. და როცა ვესპასიანმა ეს გამოუტყადა, — ჰელიოდიმ მშვიდობიანად და თავმოწონებით უთხრა: „შენი საქმეა კვლა და ჩემი საქმე-კი — კაცურად სიკვდილიო“. ანუ, მაგალითებზე, დემეტრე ცინიკის ამბავი, როცა განრისხებულს და გამწყრალს ნერონს უპასუხა: „თქვენ მე მემუქრებით სიკვდილს და ბუნება თქვენ გემუქრებათ მაგასვეო“.

ამისთანა კაცების აღმზრდელი და სულის ჩამდგმელი ძალი დიდი ძალია და ამ ძალის მექონს საზოგადოებას ვერ ეთქმის, რომ ფესვი ცხოვრებისა შეჰსუსტებია.

ამაებზედ აღუძნებს რენანი იმ აზრს, რომ საცა მის მიერ ჩამოთვლილნი სათნოებანი ჯერ კიდევ არსებობენ, ბინას ჰპოულობენ და თავს ირჩენენ, იქ საზოგადოება ჯერ შორს არის აღმოფხვრისაგანა და გამძლეობის ძალნი თვითვე აქვსო. კაცობრიობა კი არა, რომ დაეცა, ვითარცა თვითმპყრობელი მაშინდელის ქვეყნისა და მის გასამძლეო ნაშთზედ აშენდა ახალი ქვეყანა, წარმოდგენს სხვა, ახალნი თუ ძველნი ერნი, რომელთაც დღეს სეგებელი ქვეყნიერობისა ხელთ უჭირავთ და კაცობრიობას წინ უძღვებიან.

ჩვენ ამ აზრის გარჩევაში არ შევალთ. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ძალიან დასაფიქრებელი აზრია, გულში მეთად მოსახვედრია და დასაჭდევი. მართალია იგი, თუ არ არის მართალი რომის ისტორიის ახსნისათვის, მაინც ძნელია კაცმა მაგ აზრს ანგარიში არ გაუწიოს, როცა რომელსამე ერის ყოფა-ცხოვრებაში ღრმად ჩაიხედავს. ეს ერთი კი, ჩვენის ფიქრით, უუჭველია: თუ რენანის მიერ ჩამოთვლილნი სათნოებანი დედაკაცობისა თუ მამაკაცობისა, აქა-იქ საზოგადოებაში დარჩენილნი არ არიან თავმდებნი ბევრ-წილად მიხრწნილის ერის გამოკეთებისა, გამობრუნებისა, ამ სათნოებათა არ-ქონა კი უსათუო ნიშანია, რომ ერი ქვეყნის ზურგადამ ასაგველად გადადებულა. თუ ამ სათნოებათა კანტი-კუნტად ქონა ვერ შესძლებს ერი წინ წააყენოს გამოკეთების გზაზედ, არ-ქონა კი უსათუოდ უკან დამწყვეი მიზეზია. ამიტომაც ერს, რომელსაც დღეგრძელობა და მერმისი ჰსურს, ერთი ფიქრი უნდა ჰქონდეს: სათნოება დარგოს და ახაროს თავის გულში, თავის ოჯახში. ამისათვის საჭიროა ზნეობის ამაღლება და გაწმენდა. ამაზედ უნდა მიიქცეს მთელი ღონე ერის გულშემატკივარის კაცისა. იგი დედა, თუ მამა, რომელიც თვისის შვილისათვის მზრუნველობას იმაზედ არ მიიქცევს, რომ კაცური კაცი გამოვიდეს, იგი ჭიაა, რომელიც თავის ერს მერმისის ძირს უთხრის და უღრღნის დღე-მუდამ და იქნება არც-კი ჰგრძნობდეს, რა ცოდვაში ჰდგება: იგი ნელა-ნელა ჰლესავს დანას, რომელმაც, ადრე იქნება თუ გვიან, ყელი უნდა გამოჰკრას მისსავე შთამომავალსა, მისსავე ერსა.

გილგამეშიანი, თარგმანი მ. წერეთლისა

მიხეილ (მიხაკო) წერეთელი (1874—1965წ წწ.) ასირიოლოგიის ფუძემდებელია ჩვენში. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შედეგად შექმნილმა ძნელდებობამ 1921 წლიდან იგი სამუდამოდ მოპყვეთა მშობლიურ გარემოს. ემიგრანტის მძიმე ცხოვრებამ სულეკრად ვერ გატეხა მკვლევარი. მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე მან ქართული კულტურისა და მეცნიერების სამსახურს შეაღია.

ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისშივე გამოიკვეთა მ. წერეთლის ფართო ერუდიცია და განსწავლულობა ქართული კულტურისა და ლიტერატურის დარგში. 10-იან წლებში, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში საფუძვლიანი სამეცნიერო მომზადების პერიოდშივე, იგი ფართო საკვლევებიერო მუშაობას იწყებს ძველი აღმოსავლეთის ისტორიის ისეთ ურთულეს დარგში, როგორცაა შემეროლოგია. იმ დროს, როცა შუმეროლოგია ის-ის იყო ყალიბდებოდა დამოუკიდებელ სამეცნიერო დარგად, მ. წერეთელი ქმნის საყურადღებო ნაშრომებს, რომელთა შორის გამოირჩევა ქართველური და შემერული ენების ურთიერთობის საკითხისადმი მიძღვნილი მისი „სუმერული და ქართული“. ეს საპროგრამო ხასიათის ფუნდამენტური გამოკვლევა ჯერ კრებულ „გვირგვინში“ გამოქვეყნდა 1912 წელს, შემდეგ კი შეესებული და გადამუშავებული სახით ინგლისურ (1913—16 წწ.) და გერმანულ (1959—60 წწ.) ენებზედაც დაისტამბა. გარდა ამისა მ. წერეთლის კალამს ეკუთვნის სოლიდური გამოკვლევები ურარტოლოგიასა და ნეთოლოგიაში, რომელთაც ქართველი მეიოხველი თანდათანობით გაცნობა მომავალში.

ამჟერად ფართო საზოგადოებას ვთავაზობთ ძველი შუამდინარული ეპოსის უბრწყინვალესი ნიმუშის — „გილგამეშიანის“ მ. წერეთლისეული თარგმანის ცალკეულ ადგილებს, რომელიც 1924 წელს გამოიცა („გილგამეშიანი. ბაბილონური ეპოსი მესამე ათასწლეულისა ქრ. წ. ბაბილონური ტექსტიდან თარგმნილი მ. წერეთლის მიერ მთარგმნელის შენიშვნებითურთ, კონსტანტინეპოლი, 1924“). აღნიშნული თარგმანის უპირველესი ღირსება ისაა, რომ იგი შესრულებულია უშუალოდ დედნიდან — აქადური (ასურულ-ბაბილონური) ენიდან. ამით ქართველებს საკმაოდ ადრე მოგვეცა შესაძლებლობა მშობლიურ ენაზე გავცნობოდით „გილგამეშიანს“ მაშინ, როცა ამ ეპოსის თითო-ორილა თარგმანი თუ მოიძებნებოდა თვით ევროპულ ენებზედაც კი. თარგმანი საყურადღებოა იმიოთაც, რომ იგი შესრულებულია დინჯი, ძირღვიანი, ოდნე არქაული ქართულით, რაც დედანთან თითქოს ქრონოლოგიური სახალოის ასოციაციას იწვევს. განსაკუთრებით ფასეულია ის გარემოება, რომ აქადური ენის ურთულესი ფრაზეოლოგიური ნიუანსები მარჯვედ შერჩეული ქართული შესატყვისებითაა ამტყველებული. ყველაფერი ეს ერთად ადებული პოეტური ქმნილების ისეთი ღირსებებია, რაც ქართულ „გილგამეშიანს“ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მთარგმნელობითი კულტურის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშის მნიშვნელობას ანიჭებს.

„გილგამეშიანის“ მ. წერეთლისეული თარგმანიდან ამოკრებილი დამახასიათებელი ადგილების გაცნობით, ვფიქრობთ, ქართველ მეიოხველს გარკვეული წარმოდგენა შეექმნება ჩვენი დღი თანამემამულის მრავალმხრივი შემოქმედების ერთ მნიშვნელოვან მხარეზე.

ქვემოთ მოყვანილი თარგმანის ტექსტში უცვლელადაა დატოვებული საკუთარი სახელებისა და ტოპონიმების მთარგმნელისეული დაწერილობა.

ჯეპალ შარაშინიძე

იგი იყო, რომელმან ყოველი იხილა ქვეყნის საზღვრამდე,
განიცადა ყოველი, ისწავა ყოველი,
ერთბამად განსჯერბია ყოველი საიდუმლო,
სარქველი სიბრძნისა, რომელი ყოველსა დაჰფარავს.

დამარხული იხილა, დაფარული ცხად-ჰყო მან.
წარღვნის წინა ამბავი მოიტანა.

წარვიდა შორს, შრომითა და ზრუნვითა
(და) დასწერა დაფაზედ ერთობ განსაცდელი.

მან აღაშენა კედელნი გალაენიან ურუქისა
წმიდა ეანასი, წმიდა ტაძრისა,
დასდვა საფუძველი, — მტკიცე, ვითარცა რვალი.
აღაშენა ზღუდენი, რომელთ მეზრძოლნი არა სტოვებენ.
ორი მესამედი ღმერთი იყო იგი, ერთი მესამედი კაცი,
სხეულით არვინ იყო დარი მისი.

გილგამეშ შვილს არ აკარებს მამას,
დღე და ღამ კედელთ რომ აშენებს.
გილგამეშ ქალ-წულს საყვარელს არ აკარებს —
ქალ-წულს გმირისას, რჩეულს დიდებულისგან.

ჩივილი მათი ესმა მაღალ ღმერთთ.
ცის ღმერთთა უთხრეს ურუქის ბატონს:
„შენ შეჰქმენ ხარი ძლიერი, გმირი გილგამეშ;
მას ტოლი არა ჰყავს მთელს ქვეყანაზედ“.

ჩივილი მათი შეისმინა მაღალმა ანუმ.
იხმეს არურუ, დიდი ქალ-ღმერთი:
„მრავალ ღმერთსა ჰქმნი შენ, არურუ!
შეჰქმენ ახლა გმირი, ტოლი რომ იყოს მისი!
იყენენ მეტოქენი ურთი-ერთისა, რათა დამშვიდდეს ურუქი!“

რა ესმა ესე არურუს,
შეჰქმნა მან თვის გულში სახე ანუსი.
არურუმ დაიბანა ხელები,
მოზილა თიხა და დანერწყვა იგი.
შეჰქმნა ენკიდუ, შეჰქმნა გმირი;
ერთობ სხეული მისი ბალნით იყო შემოსილი,
ტანს ემოსა მას ვითარცა ნახირის ღმერთსა,
მხეცებთან ერთად მიდის წყალზედა,
შვლებთან ერთად სძოვს იგი ბალახსა,
წყლის ცხოველებთან ერთად იხარებს გული მისი.

ენკიდუ ქალაქ ურუქში მიდის, სადაც შეხედება გილგამეშს.
სასახლის კართან შეუტრა მას გზა ენკიდუმ.

შინ შებრძანებას არ ანებებდა!
ეცნენ ურთი-ერთს სასახლის კართან,
ბრძოდენ შუკაზედ...

იძვროდენ კარნი, ირყეოდა კედელი...
გილგამეშმა დადრია მიწაზედ ფერხი მისი,
დანელდა რისხვა მისი, მკერდსა მისსა შეჰკრავდა იგი.
ოდეს შეჰკრა მკერდი მისი, ჰრქვა მაშინ ენკიდუმ მას, გილგამეშს:

„უღარო უშობიხარ დედასა შენსა,
გარეულ ფურსა ჯოვისასა, ქალ-ღმერთს ნინ-სუნს,
თავი შენი აღმაღლებულია კაცთა ზედა,
ენლილმა მოგანიჭა მეფობა ერზედა!“

გილგამეში დაუმეგობრდება ენქიდუს. იგი აწყობს გეგმას, რომ ენქიდუსთან ერთად წავიდეს წმიდა ნაძვის ტყის მკველ ზუვავას წინააღმდეგ საბრძოლველად და მისი დათრგუნვით სამარადისო სახელი მოიპოვოს.

ენქიდუმ ალალო ბაგენი თვისნი და ეუბნება გილგამეშს:
 „ვისცან, მეგობარო, მთაში, ოდეს ვვიდოდი მხეცებთან ერთად:
 ათი-ათას მანძილობით არის ტყე გადაჭიმული!

ვინ ჩავა იქ?!

ჰუვავას ღრიალი ქარიშხალია,
 პირი მისი ცეცხლი, სულ-თქმა მისი სიკვდილი!
 რად განიზრახე ასეთი საქმე,
 ბრძოლა უდარო, დათრგუნვა ჰუვავასი?!“

გილგამეშმა ალალო ბაგენი თვისნი და ეუბნება ენქიდუს:

„მე უნდა ჩავიდე ტყეში!

თუცა მოვკვდები, სახელს მოვიხვეჭ!

იტყვიან: „გილგამეშ ძლიერ ჰუმბაბასთან მოკვდა“-ო!

ძირს დავსცემ ნაძვებს ხელითა ჩემითა.

ძირს დავსცემ ნაძვებს ხელითა ჩემითა.

სამარადისო სახელს მოვიხვეჭ!

უნდა წავიდე, მეგობარო!

მესაჭურვლეთ შევუკვთ, ჩვენის თვალის წინ ცულნი განსქედონ“

მეგობრები გაემართნენ ზუვავას ტყისაკენ.

ოცი მანძილი განვლეს, სჭამეს პური;
 ოცდაათი მანძილი განვლეს, დაიღამეს...
 ძილი, კაცს რომ გადაესხმის, დეცა მას.
 შუა ღამისას დაასრულა მან ძილი.

ბოლოს მივიდნენ ისინი ტყისთან.

იგინი დადგენ და შეჰყურებდენ ტყეს,
 თვალით ზომავდენ ნაძვთა სიმაღლეს,
 სინჯავდენ ტყის შესავალს, სადა მიმოდის, სეირნობს ჰუმბაბა.
 სწორია ბილიკები, შეენიერი გაჭრილი გზა.
 ჰხედავენ ნაძვის მთას, სავანეს ღმერთთა,
 წმიდა ადგილს ირნინისა.

მთის წინა დვას შემკული ნაძვის ხე, შეენიერი,
 ამოა ჩრდილი მისი, ღზინით აღვსილი.

მზის ღმერთმან ზეცისამან შეისმინა ვედრება გილგამეშისა.

მაშინ აღიძრენ ქარნი ძლიერნი ჰუვავას წინააღმდეგ:

ქარი საშინელი, ქარი ჩრდილოეთისა,

ქარი სამხრეთისა..., გრივალი, ცივი ქარი,

ქარიშხალი, ქარი ბოროტი.

რვა ქარი ამოვარდა და დაჰბერა ჰუვავას წინ და უკან:

ველარც წინ წარსდგა ნაბიჯი, ველარც უკან.

დაეხსნა ჰუვავა გილგამეშს.

ჰუვავა ეუბნება გილგამეშს:

„დამეხსენ, გილგამეშ, შენ ბატონი და მე ყმა.

ქადილნი ჩემნი შენს წინააღმდეგ დაივიწყე!“...

ენქიდუმ უთხრა გილგამეშს:

„არ ისმინო ჰუეავას სიტყვანი!..

ჰუეავა ცოცხალი არ უნდა გადარჩეს!“...

ხუეავას მოჰკლავენ. ძლევამოსილი მეგობრები დაბრუნდნენ ურუქში.

მაშინ მაღალმა იშტარმა თვალი მიაპყრო გილგამეშის შევენებას:

„აჰა, გილგამეშ, ჩემი ქმარი უნდა იყო!

მიძღვენ ნაყოფი შენი, მიძღვენ!

შენ ქმარი და მე ცოლი!

ჩვენს სახლში შემოდი, ფიჭვის სუნი რომ დგას.

ოდეს შემოხვალ ჩვენს სახლში,

ფერხთ გემოხვევიან ივინი, ვინც ტახტზედ სხედან;

თაყვანს გცემენ მეფენი, ბატონნი და დიდებულნი;

ნაყოფს მთისასა და ველისასა ხარკად მოგართმევენ!

თხანი შენნი სამ-ტყუპსა შობენ, ცხოვარნი შენნი ორ-ტყუპსა!

სახედარო შენი ჯორის სიმსხო ოქნება!

ჰუნენი შენის ეტლისა ძლიერად გასწევენ!

ულელ-ქვეშ შენს ჯორს ტოლი არ ეყოლება!“

გილგამეშმა ალაღო ბაგენი თვისნი და პრქვა მაღალ იშტარს:

„დედოფალო, შენთვის შეინახე შენი სიმდიდრე!

მე კი ჩემი სამოსელი, ჩემი პერანგი მეყოფა,

მე კი ჩემი საზრდო, ჩემი საკვები მეყოფა!

არა ვსჯამ განა საღმრთო საქმელსა,

არა ვსვამ განა სამეფო ღვინოს?!...

რომელი საქმრო გიყვარდა მარადის?

რომელმან შენმან მწყყისმან შესძლო შენი მოთოკვა?

ახლა მე გიყვარვარ, გინდა ის მომავო,

რაც მათ მიაგე?!“

ესმა რა ესე იშტარს, განრისხდა იშტარ, აღმიღლდა ზეცად.

ანუსთან, მამასთან მივიდა იშტარ:

„მამა, გილგამეშმა შეურაცმყო მე!

მამა, შეჰქმენ ხარი ზეცისა, რომელმან დასთრგუნოს გილგამეშ!

მთელი სხეული მისი ალაგვე ცეცხლით!“

გილგამეში ენქილუს დახმარებით მოჰკლავს ციურ ხარს. ბოლოს ენქილუს მოკვდება.

ენკილუს, მოყვარეს თვისსა, სტირის მწარედ გილგამეშ, ველად გაჭრილი:

„მეც მოკვდები მეც ის დღე არ მომელის, ენკილუს რომ დაადგა?

ვაება შევიდა ჩემს გულში, შემიპყრო შიშმან სიკვდილისამან.

ამისათვისცა ვაგიჟერ ველად.

უტ-ნაფიშტისთან, უბარა-ტუტუს ძესთან

წარსლვად ვადგივარ გზასა და იქით მივეშურები!“

გზაზე იგი შეხვდება მენავე ურშანაბს.

ურ-შანაბი ეუბნება მას, გილგამეშს:

„რად ჩაგცივინია ლოყები, დაგიდრეკია თავი,

რად არის დაღონებული გული შენი, უძლური სხეული შენი?

რად არის ვაება შენს გულში,

რად ემსგავსები მგზავრსა, შორი გზით მომავალსა?

რად შეგშლია სახე ტანჯვითა, ზრუნვითა და მწუხარებითა,



ქმუნვით აღსავსე გაჭრილხარ ველად?

ოდეს ღმერთებმა კაცნი შექმნეს, კაცობრიობას სიკვდილი გარდუქვეთეს,
ხოლო ცხოვრება თავისთვის დაიტოვეს!

გილგამეშ, აღივსე მუცელი,

იმხიარულე დღე და ღამ, ღვინი გამართე ყოველ დღე,

დღე და ღამ იცეკვე, იმხიარულე!

მხიარულად შეჰხედე ბავშვს, ხელში რომ აიყვან,

განიხაროს ქალმა შენს მკლავებზედ!“

გილგამეში ეუბნება მას, ურ-შანაბის, მენავეს:

„ბედი ჩემის მოყვარისა მიმძიმს ფრიად,

ამისათვისცა შორის გზით ვარ გაჭრილი ველად;

ბედი ენკიდუსი, ჩემის მოყვარისა, მიმძიმს ფრიად,

ამისათვისცა შორის მანძილით გაეჭრილვარ ველად.

როგორ დაეჩუმდე, როგორ აღმოვსთქვა ესე?!

მოყვარე ჩემი საყვარელი მიწად გარდიქვა, —

ენკიდუ, მოყვარე ჩემი საყვარელი, მიწად გარდიქვა!

ხომ მეც დაეწვეები მსგავსად იმისა, რომ აღარ აღესდგე აღარასოდეს?!“

მრავალი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ გილგამეში მიადწევს უნაფიშობიამდე.

გილგამეშ ეუბნება მას, უტ-ნაფიშტის, შორეთლსა:

„გიცქერ, უტ-ნაფიშტი, და შენი სხეული სხვაგვარი არ არის!

რაც მე ვარ, ის შენა ხარ! ქეშმარიტად, სხვაგვარი არა ხარ შენ!

რაც მე ვარ, ის შენა ხარ! ხოლო არსება ჩემი აღსავსეა ბრძოლითა და ომითა!

შენ კი განისვენებ გულ-ალმა წოლითა.

როგორ შეხვედი ღმერთთა კრებულში და მოიბოვე ცხოვრება?“

უტ-ნაფიშტი ეუბნება მას, გილგამეშს:

„დაფარულს განგიცხადებ, გილგამეშ,

გაუწყებ ღმერთთა საიდუმლოსა:

არის ქალაქი შურუშპაკ, შენც ხომ იცი;

ეფრატის პირას მდებარეობს იგი.

ქალაქი იგი ძველია და ღმერთნი მასთან ახლონი არიან.

ღმერთებმა განიზრახეს წარღვნა მოეველინათ.

ნათელ-თვალა ეა მათთანა ბუობდა.

განაჩენი მათი ამცნო ლერმწის ქოხს:

„შურუშპაკელო კაცო, უბარა-ტუტუს ძეო,

დაანგრიე სახლი,

ალაშენე ხომალდი,

განე შორე სიმდიდრეს,

ეძებე ცხოვრება,

დაავდე ქონება,

იხსენ სიცოცხლე, შეიყვანე ხომალდში ყოველი სულიერი

წმიდა ტბაზედ დააყენე იგი ღუზითა!“

გათენებისას მყისვე შეეუდგე მის აღსრულებას;

რადცა მიბრძანა ეამ...

მეხუთე დღეს გამოვსახე სახე ხომალდისა,

მზის ჩასვლამდის მზად იყო ხომალდი.

რაც რამა მქონდა, შევიტანე ხომალდში.

რაც რამა მყავდა, ყოველი სულიერი შევიყვანე.

ჩავსხი ხომალდში მთელი ჩემი სახლობა და გვარი.

მხეცი ველისა, ცხოველი ველისა;

ყოველი ხელობის ხალხი ჩავსხი.

შევედი ხომალდში და ჩავიკეტე კარი.

გათენებისას ცის დასავლითგან აღმოვიდა შავი ღრუბლები,

მთელი დღე ჰქროდა შეუჩერებლად სამხრეთის გრივალი,

სწრაფად მიშხუოდა იგი და წყალი მთამდის ასწია.

ექვს დღესა და ექვს ღამეს მძვინვარებს გრივალი,

იდრიკება ქვეყანა სამხრეთის ქარის ქვეშე.

მეშვიდე დღეს დამარცხდა ბრძოლაში სამხრეთის ქარი,

დაწყნარდა ზღვა, ჩადგა ნაპირებში, შესდგა წარღვნა!

ამინდს შევხედე — დაწყნარებულიყო,

ერთობ კაცობრიობა თიხად ქცეულიყო!

ბრტყელი ბანივით იყო ქვეყანა!

მაშინ განვადე სარკმელი,

ნათელმან შემომანათა პირზედ.

ნისირის მთას მიადგა ხომალდი,

ნისირის მთამ დაიჭირა ხომალდი.

მაშინ ყოველი სულიერი გამოვუშვი,

ოთხი მხრით გავუშვი; და მივიტანე შესაწირავი.

ღმერთთა იყნოსეს საამო სუნი.

ვითარცა ბუზნი მიეხვიენ ღმერთნი სამსხვერპლოს!

რა მოვიდა ენლალ იხილა ხომალდი.

მაშინ შთამოვიდა იგი ხომალდში,

მომკიდა ხელი, გამომიყვანა ხმელეთზედ

და ცოლსა ჩემსა ჩემ გვერდით მუხლნი მოადრეკინა.

შეახო ხელი შუბლსა ჩვენსა,

ჩავვიდგა შუაში და გვაკურთხა:

„აქამომდე იყო უტ-ნაფიშტი მხოლოდ კაცი,

ამიერითგან უტ-ნაფიშტი და ცოლი მისი გვემსგავსნენ ჩვენ, ღმერთთ!

შორსა ცხოვრობდეს უტ-ნაფიშტი,

მდინარეთა შესართავთან!“

ხოლო შენ რომელმა ღმერთმა უნდა მივიღოს,

რათა იხილო შენცა ცხოვრება, რომელსა ეძიებ?

არ დაწვე ექვს დღესა და ექვს ღამეს!“

მოსვენებით ზის იგი, ძილი უბერავს, ვითა გრივალი.

უტ-ნაფიშტი ეუბნება ცოლს:

„შეხედე ამ ძლიერს, ცხოვრებას რომ ითხოვდა:

ძილი უბერავს, ვითა გრივალი!“

ცოლი მიუგებს მას, უტ-ნაფიშტის, შორეულსა!

„შეახე ხელი, რომ გაიღვიძოს კაცმა!

მშვიდობითამც უკან მიქცეულა იგი იმ გზით, რომლით მოვიდა,

შენსულა იმ კარში, სადთგან გამოსულა,
 დაბრუნებულა თვის ქვეყანაში!“

გილგამეშ ეუბნება მას, უტ-ნაფიშტის, შორეულსა:

„ძილისგან ვიყავ გაბრუებული, ძილი მომეკიდა,
 უცბად ხელი შემახე და ძილისაგან განვკრთი.
 რა ვქნა, უტ-ნაფიშტი, სად წავიდე?
 სხეული ჩემი მტაცებელს შეუპყრია,
 საწოლსა ჩემსა სიკვდილი ბუდობს,
 სადაც გავიქცევი, იგიც იქ არის, — სიკვდილი!“

უტ-ნაფიშტი ეუბნება ურ-შანაბის, მენავესა:
 „კაცი, აქ რომ მოიყვანე, რომლის სხეულსა ძონძები ჰფარავს,
 წაიყვანე იგი, ურ-შანაბი, მიიყვანე სარეცხ ადგილს,
 რათა ძონძები თვისი წყალში თოვლივით გაათეთროს,
 განიძროს ტყავები და გაატანოს ზღვას,
 ჩაიცვას სამოსი, ვითა პერანგი,
 დამფარველი მისის სიშიშველსა.“

სანამ არ მიალწვეს თვისსა ქალაქსა,
 სანამ არ განიღოს გზასა თვისსა,
 არ უნდა დაძველდეს სამოსელი მისი,
 არამედ მარად განასლდებოდეს!“

გილგამეშ და ურ-შანაბი ჩასხდენ ხომალდში,
 მისცეს ხომალდი ადღეებულ ტალღებს, გასწიეს.
 ცოლი ეუბნება უტ-ნაფიშტის, შორეულსა:
 „გილგამეშ მიდის შრომისა და ზრუნვის შემდეგ,
 რომელი შენგან მიცემული ნიჭით უბრუნდება იგი სამშობლოს?
 გილგამეშმა აღიღო ძელი, ხომალდი ნაპირს უახლოვდება.“

უტ-ნაფიშტიმ უთხრა მას, გილგამეშს:
 „გილგამეშ, მიდიხარ შრომისა და ზრუნვის შემდეგ,
 რომელი ჩემგან მოცემული ნიჭით უბრუნდება სამშობლოს?
 მე შენ გაუწყებ ერთს საიდუმლოს, გასწავლი ცხოვრების ბალახს:
 ვითა ეკალი ბალახი ესე აბია ჩირგვსა.
 ხელნი შენნი რომ მისწვდებიან ბალახს
 იგი იქმნება, და შენ იცხოვრებ!“

რა ესმა ესე გილგამეშს, მიიბა ფერხთა მძიმე ლოდები.
 მათ უფსკრულის ძირს ჩაიყვანეს იგი.
 მან მოჰკლიჯა ბალახი, ხელს რომ უჩხვლეტდა.

გილგამეშ ეუბნება მას, ურ-შანაბის, მენავეს:
 „ურ-შანაბი, ეს ბალახი აღთქმის ბალახია,
 რაათაც კაცი თვისს უგულითადესს წადილს მიალწვეს.
 სახელი მისი არს: მოხუცი კაცი გაყმაწვილდების.
 მეცა ვსჭამ მისგან, რათა კვლავ დავუბრუნდე სიყმაწვილესა.“

ოცი მანძილი განვლეს, სჭამეს პური,
 ოცდაათი მანძილი განვლეს, დაიღამეს.
 გილგამეშმა დაინახა ჯურღმული ცივის წყლისა,
 ჩავიდა შიგ, იწყო ბანვა ტანსა.

გველმა იყნოსა სუნი ბალახისა,
მყისვე ავარდა და წარიტაცა იგი!

ოდეს დაბრუნდა გილგამეშ, წყევა აღმოხდა,
დაჯდა გილგამეშ ტირილად,
ცრემლი ჩამოდის სახეზედ.

იგი ეუბნება ურ-შანაბის, მენავეს:
„ვისთვის დაშვრენ, ურ-შანაბი, ხელნი ჩემნი,
ვისთვის შრება სისხლი ჩემი გულისა?
ჩემთვის კეთილი არა იქმნა რა!“

ოცი მანძილი განვლეს, სჭამეს პური,
ოცდაათი მანძილი განვლეს, დაიღამეს.
მივიდენ გალავნიან ურუქს.

გილგამეშ ეუბნება მას, ურ-შანაბის, მენავესა:
„ადი, ურ-შანაბი, გალავნიან ურუქის კედელზედ, შემოუარე,
ნახე საძირკველი, იხილე აგურები:
თუ განუახლებიათ აგურები,
თუ შვიდ ბრძენს ჩაუყრია ფუტქენი მისნი“.

გილგამეშმა მიზანს მაინც ვერ მიაღწია — ვერ მოიპოვა უკვდავება. ამიტომ მის
საგმირო საქმეებზე ამის შემდეგ აღარადერს მოგვიოხრობს ეპოსი.



О. Г. БОЛЬШАКОВ, ИСТОРИЯ ХАЛИФАТА, I, ИСЛАМ В АРАВИИ, 570—633, М., «НАУКА», ГЛАВНАЯ РЕДАКЦИЯ ВОСТОЧНОЙ ЛИТЕРАТУРЫ, 1989. 311 СТР.

Отечественное востоковедение, наравне с европейским, имеет почти полуторавековую богатую своими достижениями и традициями историю. Одни имена таких выдающихся востоковедов, какими являются, например, В. Р. Розен, В. В. Бартольд, И. Ю. Крачковский и Г. В. Церетели украсили бы любую другую славную школу зарубежного востоковедения.

Тем не менее ни в русском востоковедении с учетом уровня развития исторической науки той эпохи, ни в советском по существу никто из исследователей вплоть до последнего времени не предпринимал попытки «дать с марксистских позиций связную общую картину истории Халифата, начиная с рождения ислама и до середины X в., базирующуюся на проработке материала арабских письменных источников и учитывающую современные достижения исторической науки, с особым вниманием к проблемам экономики и культуры». Эти слова принадлежат автору рецензируемой книги по истории Халифата, рассчитанной на четыре тома, известному ленинградскому востоковеду О. Г. Большакову (стр. 7). Уже одно это обстоятельство делает честь ее автору, предпринявшему столь серьезное и трудоемкое мероприятие.

Острая необходимость же подобного содержания монографии, на наш взгляд, более чем очевидна. Обо всем сказанном выше, о состоянии исторической науки в области монографического исследования истории стран Ближнего Востока как у нас, так и на Западе относительно подробно говорится во вводной части труда, которой традиционно он открывается (стр. 3-10).

Книга преследует, как пишет ее автор, двоякую цель. Она предназначена не только для специалистов, занимающихся исследованием средневековой истории стран Ближнего Востока, но и широкого круга читателей (ее тираж составляет 15000 эк-

земпляров). Поэтому для ее свободного чтения неспециалистами примечания к основному тексту с принятыми сокращениями арабских источников и литературы перенесены на конец труда. Эти примечания в свою очередь подводят к полному названию тех же источников и литературы, помещенных в пространном списке (стр. 281—294).

Такая, можно сказать, двойная система ссылок на источники и литературу, может быть, удобна для рядового читателя, который желал бы довольствоваться лишь поверхностным и беглым знакомством с книгой, но не может удовлетворить, по нашему мнению, не только специалиста, а и неспециалиста, заинтересованного более глубоким осмыслением вопросов истории рассматриваемой эпохи. Это тем более следует сказать, когда «анализ источников, терминов и вся аргументация выбора того или иного варианта по возможности вынесены в примечания в конце книги» (стр. 7). Что греха танть, это неудобство мы ощутили на себе.

Как видно из заглавия, монография по времени занимает немногим более шестидесяти лет, примерно жизнь двух поколений арабского народа. Но этот период настолько богат историческими событиями, что его сравнительно подробное рассмотрение в отдельной книге вполне закономерно. Это эпоха, когда на историческую арену выступает Мухаммад, основатель новой монотеистической религии — ислама; и в конце концов в результате проповедческой деятельности этого вновь явленного пророка на Аравийском полуострове победу одерживает новая религия со всеми вытекающими отсюда в ближайшем будущем последствиями.

Исходя из содержания первого тома монографии, нам в какой-то степени стало ясно, на какие эпохи могут быть разделены следующие три тома, последний из ко-

торых завершится серединой X в., то есть временем, когда Аббасиды окончательно потеряли политическую, светскую, власть при Буидах, хотя Халифат все еще продолжал существовать до нашествия монголов и захвата ими Багдада в 1258 г.

Едва ли есть необходимость в небольшой по объему рецензии дать детальный обзор всех тех многочисленных вопросов, которые представлены в труде. Отметим только то, что в нем почти не упущен, как нам представляется, ни один значительный исторический факт, связанный с социально-экономическим положением Аравии, ее верованиями, внутренним положением двух великих держав Византии и сасанидского Ирана эпохи, предшествующей возникновению ислама, борьбой между ними за первенство на Ближнем Востоке, с началом проповедческой деятельности Мухаммада и его дальнейшей судьбой, пережившего немало мытарств и страданий, познавшего горечь поражений и радость успехов до того, как он сумел добиться поставленной цели победы ислама в Аравии и образования первого в мире мусульманского государственного образования, получившего после смерти пророка название — «Халифат».

Весь широкий комплекс вопросов автором дан в пяти главах труда, озаглавленных им следующим образом: Глава 1. Общая ситуация (в ней рассмотрено внутреннее положение Византии и Ирана на рубеже VI—VII вв. и описаны физическая география, климатические условия и социально-экономические отношения Аравийского полуострова V—VII вв.); Глава 2. Рождение ислама; Глава 3. Формирование общины (то есть мусульманской); Глава 4. Победа ислама в Аравии и, наконец, Глава 5. Рождение Халифата.

Как бесспорно положительную сторону рецензируемой монографии следует отметить то обстоятельство, что ее автором обильно использованы и арабские письменные источники, и специальные труды, особенно послевоенные, в частности, таких исследователей, как П. А. Грязневич, К. С. Кашталева, Л. И. Надирадзе, А. Г. Лундин, И. П. Петрушевский, М. Б. Пиотровский, И. Ш. Шифман, К. Аренс, Е. А. Аштор, Р. Бляшер, Ф. Габриели, Дж. Глабб, А. Готто, Дж. Джоунз, К. Каэн, М. Кистер,

П. Кроун, М. Муранин, М. Хамидуллах и мн. др.

В длинном списке использованных источников и литературы, к сожалению, мы не обнаружили книгу Т. А. Чистяковой «Арабский Халифат» (М., 1962). Эта небольшая по объему книга, правда, предназначена как пособие для учителей, однако упомянуть ее, на наш взгляд, следовало бы. Тем более, если учесть, что монография Е. А. Беляева «Арабы, ислам и арабский халифат в раннее средневековье» (М., 1965), по суровой оценке О. Г. Большакова, «несмотря на ее краткость и несоответствие современному уровню науки, до сих пор остается единственной книгой, по которой неспециалист может ознакомиться с историей периода» (стр. 6).

Однако одно дело знать почти всю различную современную специальную литературу, владеть данными соответствующих арабских источников по рассматриваемым проблемам, и другое отношение автора к этим материалам, а также к существующей ранее в специальной литературе информации по данным сведениям тех же арабских источников.

Если такая постановка вопроса является естественной для искушенного специалиста, то она может показаться едва ли не праздною для неспециалиста, для которого, как было сказано выше, одновременно предназначена рассматриваемая книга.

Ответ на этот вопрос можно найти в той же монографии, где О. Г. Большаков пишет: «Европейская наука за полтора столетия прошла большой путь от взгляда на Мухаммада как на лжеучителя, наущаемого дьяволом, через попытки дискредитации его учения как вторичного, эклектичного по сравнению с иудаизмом и христианством, до признания ислама религией, равной христианству и иудаизму. Соглашаясь с последним, мы должны смотреть на эту равноценность не с позиции представителя другой религии, великодушно позволяющего исламу быть с ней наравне, с единственно объективной точки зрения исследователя, стоящего вне религиозного мировоззрения. И вот с этой позиции мы должны проникнуть в совершенно чуждый нам мир внутренних переживаний человека, воспринимавшего себя рупором, через

который божество говорит с людьми. Не веря в божественное происхождение этих проповедей, мы должны без предвзятости понять и объяснить, как рождаются эти идеи и, завоевывая умы целых народов, превращаются в могучую действующую силу истории.

Но на пути к этому вторая трудность — характер источников, имеющих в нашем распоряжении, когда единственный памятник, синхронный событиям, — Коран даже более чем векового исследования его текста не удается надежно расчлнить на разновременные пласты. Исторические же сочинения всех жанров состоят из множества противоречивых рассказов очевидцев и современников событий, записанных иногда десятилетия спустя и не из первых уст. Трудность использования этих сведений нередко вызывала у исследователей глубокий пессимизм и противоречивое отношение: от доверия до почти полного отрицания их достоверности, хотя совершенно несомненно, что игнорировать не вполне достоверный источник, когда нет бесспорных документальных данных, — слишком большая роскошь. Ныне, когда факты, лежащие на поверхности, давно использованы, успеха может ожидать только тот, кто найдет более эффективную методику использования этого массового материала» (стр. 9—10).

Абсолютно верно. Поиски такой методики в мировом востоковедении хорошо известны. Взять, к примеру, классический, иначе нельзя назвать, объемистый труд Ю. Веллхаузена „Das arabische Reich und sein Sturz“ (Berlin, 1902).

Однако хорошо известны также другие методы исследования. Это логика мышления ученого на основе сопоставления различных данных источников, даже взаимосключающих, по одному и тому же историческому факту или событию, которые требуют объяснения.

Обратимся к некоторым фактам.

В труде относительно подробно, по возможности, изложена биография Мухаммада и отдельные моменты его личной жизни переданы по материалам, отличным от ранее известных.

Отец будущего пророка Абдаллах скончался вскоре после рождения сына, по мне-

нию О. Г. Большакова, в пределах 570—573 г., а не в 570 г. или 571 г. Хотя было известно, что он должен был умереть еще до рождения Мухаммада. На шестом году жизни он потерял также мать Амину и его приютил глава рода Хашимитов, которому, естественно, принадлежал сам Мухаммад, богатый и состоятельный, авторитетный дед Абд ал-Мутталиб, а через два года, когда умер дед, — дядя Абд Манاف, больше известный в истории под именем Абу Талиб, бедный и неумудрый, семья которого с четырьмя детьми жила скромно, и Мухаммад, видимо, не всегда ел досыта (стр. 65), а не ставший в роде главой после смерти Абд ал-Мутталиба дядя аз-Зубайр. Тем не менее даже сам Абу Талиб, очевидно, был не очень высокого мнения о своем племяннике (стр. 65—66).

Поворот к лучшему в жизни Мухаммада происходит только после того, как он по совету Абу Талиба нанялся в качестве приказчика сопроводить в сирийском караване товары богатой вдовы Хадиджи бинт Хувайлид (стр. 66). Молодой человек приглянулся Хадидже. Был заключен брачный союз между ними, несмотря на то, что Хадиджа была старше своего нового мужа, третьего по счету, не на четырнадцать лет, а на пять. Ей было 28 лет и Мухаммаду, следовательно, 23 года вместо 25 лет. Хадиджа родила Мухаммаду пятерых детей — одного сына ал-Касима и четырех дочерей — Зайнаб, Рукайя, Умм Кулсум и Фатима. До сих пор было известно, что у Мухаммада был еще один сын по имени Абд Манاف, названный им этим именем, по всей вероятности, в честь дяди-покровителя Абд Манафа, и также рано умерший.

Из перечисленных выше фактов наше внимание привлекает бедственное и материально стесненное положение Мухаммада в молодости, до женитьбы. Тот факт, что Мухаммада после смерти Абд ал-Мутталиба приютил не его старший сын аз-Зубайр, принявший главенство рода Хашимитов, а следующий за ним Абу Талиб каким-то образом еще можно объяснить, скажем, личной неприязнью старшего дяди к семи или восьмилетнему мальчику. Но чем можно объяснить столь суровый отзыв Мухаммада об Абд ал-Мутталибе на вопрос Абу Лахаба, ставшего к этому времени главой рода Хашимитов после смерти Абу Талиба

и покровителем пророка, какова судьба Абд ал-Мутталиба, Мухаммад ответил: «Он — в огне» (стр. 82). Не это ли тяжелое экономическое положение заставило Мухаммада решиться на брак с Хадиджой по расчету, хотя она, умная, энергичная и, мы бы сказали, независимая женщина, и после брака сохранила право распоряжаться своим капиталом (стр. 66). Следовательно, и в данном случае Мухаммад все равно оказался материально зависимой личностью от жены. Очевидно, этим следует объяснить привязанность Мухаммада к единственной, так сказать, любимой супруге, но вскоре после ее смерти позабытая и замененная многоженством.

Дать отрицательному отзыву Мухаммада о своем деде объяснение тем, что Абд ал-Мутталиб умер язычником, когда до возникновения ислама было еще далеко, едва ли будет правильно. Мухаммад, острого ума, умевший выходить из любого затруднительного положения и достаточно изворотливый человек, сумел бы найти соответствующий ответ, если бы у него было желание отозваться о своем деде положительно.

К чему обо всем этом мы так широко стали рассуждать? К тому, что не будь у Мухаммада «ощущения своей неполноценности в этом обществе», кто знает, как бы в дальнейшем сложилась его судьба. Все его душевные переживания и невзгоды, о которых так пространно говорится в монографии (стр. 68 сл.), по нашему мнению, вызваны первым долгом именно этим едва ли не нищенственным и бесправным положением Мухаммада, а также потерей сыновей — младенцев.

Одним словом, этот период жизни Мухаммада, как и другие, еще ждет своего исследователя. Но одно сейчас же можно сказать, что придавать чрезмерно большое, почти решающее значение личности Мухаммада в истории арабского народа и его безутешному душевному состоянию без учета реальной обстановки на Аравийском полуострове едва ли приемлемо, даже в нынешних условиях, когда, думается, не ошибемся, если скажем, что личности в истории, оказывается, принадлежит гораздо большая роль, чем мы могли предположить.

Чтобы быть кратким, отметим, что книга вообще оставляет специалисту много пищи для раздумий. Один пример. Как-то трудно вмещается в голове, что Мухаммад, начав проповедческую деятельность за создание новой монотеистической религии, и не помышлял об основании государственного образования, что к этому его привела только реальная историческая действительность в последующем, под конец жизни. Эта тема также заслуживает особого изучения и говорить сейчас о ней нет места.

Оценивая в целом первый том задуманной монографии, следует сказать, что он выполнен успешно и читатель получил хорошую информацию о начальном периоде возникновения ислама. Надо только выразить уверенность, что с таким же успехом будут завершены также следующие три тома по истории Халифата. И еще одно пожелание: надо надеяться, что в этих томах займет соответствующее место история стран Закавказья, в том числе и Грузии, эпохи владычества арабов.

О. В. ЦКТИШВИЛИ



საპარტიველოს ეთნოგრაფია XI რესპუბლიკური სესია

მიმდინარე, 1990 წლის 31 მაისსა და 1 ივნისს ქ. ზუგდიდში ჩატარდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ვ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრის — ისტორიული მუზეუმის ერთობლივი ეთნოგრაფია რესპუბლიკური სამეცნიერო სესია. სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებმა: თ. ოჩიაურმა, გ. ჯალაბაძემ, ბ. გამყრელიძემ; ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატებმა: ნ. ჩინჩალაძემ, ს. ბახიამ, ნ. ჯავახაძემ, გ. არახაძემ, ჯ. ნაყოფიამ, ნ. მგელიძემ, ზ. თანდილაევამ, ნ. კახიძემ, ჯ. ვარშილომიძემ, გ. გოცირაძემ და ინსტიტუტისა და მუზეუმის სხვა თანამშრომლებმა. სესია გახსნა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ბ. გამყრელიძემ. მოსმინეს 11 მოხსენება. ნ. ჩინჩალაძის — „მონაწილე დამკვირვებლობითი მეთოდის გამოყენება სხვა ეთნოგრაფიული მუშაობის დროს“, ნ. მგელაძის „მატერიალური ურთიერთდახმარების ზოგიერთი საკითხი დასავლეთ საქართველოში (სამოხიო და ერისთავობა — შეშვეობა)“, გ. ჯალაბაძის — „ქსოვილთა ფრაგმენტები ნახიდურის და დღეთას გამოქვაბულებიდან“, გ. ჯავახაძის „ხელოვნური ნათესაობის რეგულაცია სამეგრელოს თანამედროვე ყოფაში“, ზ. თანდილაევას — „ღვთაება ლარსის ფუნქციონისა და გენეზისის საკითხისათვის“, ნ. კახიძის — „ეკრამიკული წარმოების ისტორიიდან ზემო აჭარაში“, გ. გოცირაძის — „სევერის წლადური ციკლი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“, კ. სამუშიას „ხობისა და კანისწყლის ხეობებში მდებარე გეოგრაფიული სახელები ზეპირსიტყვიერებაში“, ჯ. ვარშილომიძის „ხის ხარტული ნაგებობანი სამეგრელოში“, მ. ჯალაღონიას — „მასალები საქორწინო წეს-ჩვეულებათა ისტორიისათვის ზუგდიდის მუზეუმიდან“, ს. ბახიას — „თურქის სოციალური ბუნების ზოგიერთი საკითხი“.

ნ. ჩინჩალაძის მოხსენებაში საუბარი იყო ეთნოგრაფიულ კვლევაში უშუალო დაკვირვებისა და მონაწილე დამკვირვებლობითი მეთოდების გამოყენებაზე. უცხოელი სპეციალისტების მიერ ეს მეთოდები სათანადოდა შესწავლილი და პრაქტიკაში დანერგული. მოხსენე-

ბელმა აღნიშნა, რომ თანამედროვე საბჭოთა ეთნოგრაფიაში მონაწილე დამკვირვებლობით მეთოდს არ ექცევა ჭარბი ყურადღება. ვერ ხერხდება მისი პრაქტიკაში დანერგვა. ამის მიზეზია საექსპლუატაციო თანხების სიმცირე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უქონლობა, საექსპლუატაციო მუშაობის სუსტი ორგანიზაცია.

ნ. მგელაძის მოხსენებაში დახასიათებული იყო ურთიერთდახმარების ზოგიერთი ისეთი ფორმა, რომელსაც საზოგადოებრივი ფუნქცია ღრმად აქვს შენარჩუნებული. ურთიერთდახმარების ასეთი ფორმები განსაკუთრებით იჩენს თავს მიცვალებულის დაკრძალვის დროს. სამეგრელოში აღმნიშნის გარდაცვალების დღიდანვე უბნის მოსახლეობა ოჯახისაღმის დახმარების მიზნით ერთიანდება ერთ სოციალურ ორგანიზმად, რასაც სამოხიო ან სათოშო ეწოდება. ავტორის აზრით, სამოხიოს ტიპოლოგიური შესატყვისია გურიაში დამოწმებული მატერიალური დახმარების ტრადიციული ფორმა შეშვეობა (შესაწიერი ან ერისთავობა — შეშვეობა). ტერმინი შეშვეობა სხვადასხვა ფონეტიკური ვარიაციებით საქართველოს არაერთ კუთხეში დასტურდება. მოხსენებელი თვლის, რომ ფუნქციისა და დანიშნულების მიხედვით სამოხიოსა და ერისთავობა — შეშვეობას შორის არ არსებობს პრიციპული სხვაობა, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ თუ სამოხიოში ნატურალური დღით XIX ს-ის მეორე ნახევრიდან ფულადი დახმარება არსებითი ვახდა, გურიაში ერისთავობა შეშვეობაში ფული არ ასრულებს ასეთ დიდ როლს და იგი ძირითადად ნატურალური დახმარებაზეა დაფუძნებული.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სპეციალისტის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლის ნ. ბახაძის მიერ ზრამის ხეობის ნახიდურისა და დღეთას გამოქვაბულებში მიკვლეული ხალიჩა-ფარდაგის და სხვა ქსოვილთა ნიმუშები განხილულია მ. ჯალაბაძის მოხსენებაში. დაღეთისა და ნახიდურის გამოქვაბულებში მიკვლეული ქსოვილები კიდევ ერთი ნივთიერი დასტურია იმ მდიდარი და მრავალმხრივი კულტურისა, რომელიც ქვემო ქართლის მოსახლეობას ჰქონდა.

ნ. ჯავახაძის მოხსენებაში დახასიათებული იყო სამეგრელოში ხელოვნურად და ნათესაე-



ბის გავრცელებული სახეები: შვილად აყვანა მითორგინაფა, მითოდგუმა, მესკულაფა, მორ-თლის დაყენება, გაიმძებება ძიმე-მორდილი, ნა-თელმირინი — მორღია, მეჭვარე-მეჭვარე მორ-ღია, ჩაფილი, მანგიორი — გარდაცვლილი, ახ-ლო ნათესაის სანაცლოდ, უცხოის მოკიდება. ყველა ესენი თავის გამოხატულებას პოეზიად წარმოადგენს ცხოვრების ისეთ სფეროში, როგორცაა საქორწინო ურთიერთობანი, ბავ-შის დაბადება, აღზრდისა და მიცვალებულის გლოვასთან დაკავშირებული რიტუალური ქმე-ღანანი. ტრადიციულად ქველთა ხელოვნური დახანთსავეების ეს სახეები სამეგრელოს ეთნიკური კულტურის, სოციალური ყოფის ელემენტების სპეციფიკური გამოვლენაა. საზოგადოებაში ზემოთმოთხრობილი ჩვეულებათა შესრულების წესი რეგულირებული იყო სანქცინირებუ-ლი ქვეყნით და რეგამენტირებული იყო სო-ციალური ვალდებულებებით.

ღვთაება ლარსას ფუნქციასა და გენეზისზე ილაპარაკა მომხსენებელმა ზ. თანდლაფამ. საქართველოში ლარსას კულტი დამოწმებულია მეთევზეთა ყოფაში. იგი ფიგურირებს მეთევ-ზე-მებადურთა მაგიური მოქმედების შესაბამის სიტყვიერ ფორმულაში. დასტურდება, რომ ლარსას წყლის მუფეფ და თევზთმფარველია. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ სახელწო-ღება „ლარსა“ ზოგჯერ „თევზის“ სინონიმად გვევლინება. ეს დასტურდება, როგორც სათევ-ზოო წეს-ჩვეულებებსა და მეთევზეთა მითო-ლოგიურ რწმენა-შეხედულებებში, ისე ქართულ ხალხურ ასტროლოგიურ კალენდარულ სისტე-მაში.

ავტორი გენეზისის მიხედვით ლარსას უკავ-შირებს ეტრუსკულ-რომაულ ღვთაებას, რომელიც „ლარსა“-ის სახელწოდებით არის ცნობი-ლი. ეტრუსკულ-რომაულ მითოლოგიაში ეს ღვთაება საკმაოდ ფართო ფუნქციის მქონეა, მაგრამ ისიც საკვლეისმსობა, რომ ხან მხელეთსა და ზღვაზე მგზავრთა, მათ შორის მეთევზე-მებადურთა მფარველობაც ეკისრება.

აღინიშნა, რომ ქართულ ეტრუსკული „ლარსა“ მოგვაგონებს აგრეთვე შუმერულ „ლარსას“. ამ სახელით შუმერში ცნობილი იყო ქალაქი, რომელიც მდინარე ეფრატზე მდებარეობდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ძველ შუა-მდინარეთში „ლარსა“ თავდაპირველად წყლის ღმერთის სახელი იყო და მდინარე ეფრატზე მდებარე ქალაქსაც მისი მფარველის სახელი დედაქვეა. ავტორი თვლის, რომ ამ ვარაუდს მხარს უჭერს როგორც სხვადასხვა ხალხთა კულტურულ ყოფაში ღვთაებათა სახელის ტო-პონიმად (ჰიდრონიმად) ქვეყის უამრავი მაგა-ლითი, ისე შუამდინარული პოლითეიზის პერი-

ოდში ღვთაებათა სახელზე ტაძრების აგების შუმერული ტრადიცია.

ნ. კახიძის მოხსენებაში გაანალიზებული იქნა კერამიკული წარმოება აჭარაში არქეოლოგი-ური მონაცემების მიხედვით, რომელსაც ნეო-ლითის ხანაში ეყრება საფუძველი. ბრინჯაოსა და ადრეტყინის ხანიდან დაწყებული ხელოს-ნობის ეს უძველესი დარგი, საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად ფართოდ ფუნქციონირე-ბული ჩანს აჭარის ბარისა და მთის ზონაში. იგი კიდევ უფრო ვითარდება რაოდენობრივად და თვისობრივად ანტიკურ, განსაკუთრებით კი ფე-ოდალურ ხანაში. ჩვენის საუკუნის ორმოციან წლებამდე აქურ სახელსწრებში ინტერსობდა ათზე მეტი დასახელების თიხის ქურქელი (ღერგი, ლერგულა, დოქი, ბაშამანი, ჯამი, ქო-თანნი, ჭველია, ლიტრა, სპარა, ქუფჩურა, საწ-ვაგი, ვარია — ჰორიზონტალური ტრისის თიხის სადღებელი, საკვამლე მილები და სხვა).

საქურქულე თიხის მარაგის ადგილზე არკე-ბობა, თიხის გამოცნობის და მისგან ნაკეთო-ბათა დამზადების მდიდარი ხალხური ცოდნა-ჩვევები, ქურქლის მრავალფეროვნება და მრავალმხრივი ფუნქციური გამოყენება, სამთუნეო ჩარხის გამოყენების პრაქტიკა იმის მაჩვენებე-ლია, რომ ზემო აჭარაში (შუახევში) ხელოსანო-ბის აღნიშნულ დარგს ძირძველი ტრადიციები აქვს. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემო-ებას, რომ დღეს, როდესაც აღორძინების ხანა დაუდგა ტრადიციული ხელოსნობის ბევრ დარგს, თიხის ქურქლის დამზადების განახლე-ბა შუახევში და საერთოდ აჭარაში პერსპექტი-ული ჩანს.

გ. გოციბოძის მოხსენებაში აღინიშნა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთის (ხეცურეთის) ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ თითქმის დღემ-დე შემოგვინახა კვების ხალხური სისტემის ისე-თი მოდელი, რომელიც ორგანულად ერწყმის მოცემული რეგიონის ბიოკლიმატურ პირობებს, სამურჩეო ყოფის ტრადიციულ სპორტსა და ბუნების შეცნობის ემპირიულ ვაზარებას. ყო-ველივე ეს ნათლად აისახა ცალკეულ წეს-ჩვეუ-ლებებსა და ხალხურ კოსმოგონიურ წარმოდგე-ნებში.

ეთნიკური კულტურის სპეციფიკურ თავისე-ბურებათა კვლევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭე-ბა ხალხური ხელოვნების ნიმუშების ეთნოგრა-ფიულ შესწავლას. მომხსენებელი ვარშალომი-ძის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სამეგრელო, რომელიც დასავლეთ სა-ქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად ხის მხატვრული დამუშავების ძირძველი ტრადიცი-ებით ხასიათდება „ხით შუშობის“ მაღალი დო-სტი განპირობებული იყო საუკეთესო სამშენე-ლო თვისებების მქონე ხე-ტყის სიუხვით და

მოსახლეობის მიერ მისი ყოფა-ცხოვრებაში ფართო გამოყენებით.

საველე ეთნოგრაფიული და საისტორიო-ლიტერატურული მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ სამეგრელოს მოსახლეობა საოჯახო ავეჯსა და ჯამ-პურტკულულობაზე მითხოვნას ძირითადად ადგილობრივი შინახელოსნური ნაკეთობებით იკმაყოფილებდა. ჯ. ვარშალომიძემ აღნიშნა, რომ ზის დეკორატიული დამუშავების ტრადიციების აღდგენა-განვითარება თანამედროვე ქართული კულტურის მნიშვნელოვანი გადაუღებელი ამოცანაა.

„თურის“ სოციალური ბუნების ზოგიერთ საკითხზე ისაუბრა ს. ბახიამ. აღნიშნა, რომ მეგრული თურის სოციალური ერთობლიობა გამობატული იყო მის მკვიდრ წევრთა გარკვეული ჯგუფით, რომელიც ქართულსა და აფხაზურში უხუცესთა, ჩენილ კაცთა საბჭოს სახელითაა ცნობილი. საბჭო დაფუძნებული იყო ჩვეულებითი სამართლის ნორმებზე და ხალხური მმართველობის ტრადიციებზე.

სესიის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრის — ისტორიული მუზეუმის თანამშრომლებმაც. ზუგდიდის მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში დაიკულ XIX ს-ის მეორე ნახევრისა და XX

ს-ის დამდგის დოკუმენტებზე დაყრდნობით, რომლებშიც შემონახულია საყურადღებო ცნობები მეგრულთა საქორწინო წეს-ჩვეულებაზე შესახებ, მოხსენება გააკეთა მ. ჯალალონიამ.

ზეპირსიტყვიერების ნიმუში სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლებია, რომლებმაც მეტად სარწმუნო და სანდო ცნობები შემოგვინახეს საგნების სახელებისა და ისტორიულ წარსულში მომხდარი მოვლენების შესახებ. სწორედ ამ სახის სანდო მასალებზე — არქეოლოგიურ ზეპირსიტყვიერებისა და ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გააშუქა მომხსენებელმა კ. სამუშიამ ზეობისა და ჭანისწყლის ზეობაში მდებარე გეოგრაფიული სახელები. მომხსენებელთა მიმართ საინტერესო კითხვები, მოსაზრებები გამოთქვეს: თ. ოჩიაურმა, მ. ჯალაბაძემ, მ. გოცირიძემ, ს. ბახიამ, ბ. გამყრელიძემ, ნ. ჯავახიძემ, ლ. ლევიძემ, გ. არახამიამ, ზ. თანდილაძემ, მ. სოტკილაძემ. მიღებული იქნა რეკომენდაციები. აღინიშნა, რომ ერთობლივ სესიებს, დიდი მნიშვნელობა აქვს ეთნოგრაფიული მიმართულებით კვლევის შემდგომი ვალრმაგება-სრულყოფისათვის. დადგენილ იქნა მსგავსი სესიების მოწვევა ყოველ წელიწადს.

6. კვარაცხელია

ჩ ვ ე ნ ი ა ნ კ ე ტ ა

1. რამდენი წელია, რაც ჟურნალ „მაცნეს“ კითხულობთ?

- 001. 1-დან 5 წლამდე
- 002. 5-დან 10 წლამდე
- 003. 10 წელი და მეტი
- 004. საერთოდ არ კითხულობ

2. რა პერიოდულობით კითხულობთ ჟურნალ „მაცნეს“?

- 005. კითხულობ თითქმის ყველა ნომერს
- 006. კითხულობ ზოგიერთ ნომერს (შემთხვევიდან შემთხვევამდე)
- 007. საერთოდ არ კითხულობ

3. კმაყოფილი ბრძანდებით თუ არა ჟურნალ „მაცნეს“:

- ა) ფორმატით, მოცულობით
 - 008. დიახ 009. არა 010. მიჭირს შეფასება
- ბ) გაფორმებით
 - 011 — დიახ 012. არა 013. მიჭირს შეფასება
- გ) საცალო ფასით
 - 014. დიახ 015. არა 016. მიჭირს შეფასება
- დ) გამოცემის პერიოდულობით
 - 017. დიახ 018. არა 019. მიჭირს შეფასება

ახლა კი რამდენიმე კითხვა ჟურნალის შინაარსზე:

4. თქვენი აზრით, უკანასკნელი 2—3 წლის განმავლობაში იგრძნობა თუ არა ცვლილებები ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების შინაარსში?

- 020. შესამჩნევია ცვლილებები უკეთესობისაკენ
- 021. შესამჩნევია ცვლილებები უარესობისაკენ
- 022. ცვლილებები არ იგრძნობა
- 023. მიჭირს შეფასება

5. თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ ჟურნალის შინაარსში იგრძნობა ცვლილებები უკეთესობისაკენ, რაში გამოხატება იგი? (ჩაწერეთ)

6. თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ ყურნალში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი გაუარესდა, რაში გამოიხატება იგი? (ჩაწერეთ)
 7. ვაკმაყოფილებთ რუ არა ყურნალის პუბლიკაციები საქართველოს ისტორიის საკითხებზე:
პუბლიკაციების რაოდენობა
024. დიახ 025. არა 026. მიჭირს შეფასება
პუბლიკაციის ხარისხი
027. დიახ 028. არა 029. მიჭირს შეფასება
 8. ქვემოთ ჩამოთვლილიდან განსაკუთრებით რომელი სახის პუბლიკაციებს ისურვებდით ყურნალის მომავალ ნომრებში:
030. საქართველოს ისტორიისადმი მიძღვნილი სტატიები, რომელიც მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრისათვის არის განკუთვნილი
031. საქართველოს ისტორიისადმი მიძღვნილი სტატიები, რომელიც ფართო მკითხველისათვის არის გათვალისწინებული
032. მსოფლიოს გამოჩენილი ისტორიკოსთა და ქართველოლოგთა სტატიები
033. საზღვარგარეთის გამოჩენილ ისტორიკოსთა კლასიკური შრომების თარგმანები
034. გამოჩენილ პროვებათა მემუარები, პირადი წერილები
035. ქართველ ისტორიკოსთა ისტორიული და სოციოლოგიური მემკვიდრეობა
 9. კიდევ რას ისურვებდით თქვენ პირადად ყურნალის მუშაობის გაუმჯობესების თვალსაზრისით? (ჩაწერეთ)
-
-
-

რამდენიმე მონაცემი თქვენს შესახებ:

10. ასაკი:

036. 30 წლამდე

037. 30—40 წელი

038. 41—50 წელი

039. 51—60 წელი

040. 60 და მეტი

11. სამეცნიერო ხარისხი, წოდება:

041. დოქტორი, პროფესორი

042. მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

043. მეცნიერ-მუშაკი ხარისხის გარეშე

044. სხვა

12. სამუშაო ადგილი:

045. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემა

046. უმაღლესი განათლების დაწესებულებაში

047. საშუალო განათლების დაწესებულებაში

13. იწერთ თუ არა ყურნალ „მაცნეს“?

048. დიახ 049. არა

გმაღლობთ თანამშრომლობისა და დანმარებისათვის!

697/129

დასი 1 მან. 30 კაბ.



ინტერნეტ-საბიბლიოთეკა
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა